შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლევან ხალვაში

ზოგადი ენათმეცნიერება

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2014

წიგნში განხილულია ლინგვისტური თეორიის აქტუალური პრობლემები. ენის მრავალსახოვანი ბუნება და ფუნქციონირების პრინციპები გაშუქებულია ტრადიციული და თანამედროვე ლინგვისტიკის ფორმალური აპარატის გამოყენებით. ავტორი მიიჩნევს ენას სემიოტიკურ მეტასისტემად, რომლის ფუძემდებლურ თვისებას შეადგენს სუბიექტურობა. თეორიული მასალა გადმოცემულია მსჯელობის ფორმით.

წიგნი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ფილოლოგებისათვის.

რედაქტორი: პროფ. მამია ფაღავა

რეცენზენტი: პროფ. მარინა აროშიძე

© ლ. ხალვაში, 2014

გამომცემლობა „უნივერსალი", 2014

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-457-7

ვუძღვნი პროფ.
დიმიტრი ჭანტურიშვილის
ხსოვნას

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

დიონისეს პირველი გრამატიკიდან მოყოლებული ენის აღწერის კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური აპარატის სრულყოფამ შედეგად მოგვცა მეცნიერული გრამატიკა. მაგრამ როგორც ძველ, ისე თანამედროვე გრამატიკებს გნოსეოლოგიური ბაზა არსებითად აქვთ ერთი, მათ ავტორებს: დიონისეს, დონატუსს, რაიხლინს, სმოტრიცკის, მარიო მაჯოს, ანტონ I-ს, ლომონოსოვს. ა. შანიძეს და სხვას ჰყავთ ნაშრომის უხილავი თანაავტორი–არისტოტელე. არსებული ეროვნული გრამტიკები წარმოადგენენ არისტოტელეს ლოგიკასა და მეტაფიზიკაზე აგებულ ენის აღწერას. ამ მხრივ, ყოველ მათგანს შეიძლება ეწოდოს არისტოტელესეული გრამატიკა. ანტიკური მეცნიერებისათვის ენა იყო აზრების გამომხატველი სტატიკური ფიზიკური ფორმა, რომლის შესწავლა არ განსხვავდებოდა სხვა საგნებისა და მოვლენების შემეცნებისაგან, კერძოდ, იგი უნდა წარმართულიყო ლოგიკისა და მეტაფიზიკის პრინციპების მიხედვით. მართლაც, ლოგიკური სტრუქტურები აბსოლუტურად ობიექტურია, მათი გამოყენება არ შეიძლება სუბიექტურად. მაგრამ მათგან განსხვავებით ენის გამოყენება შეუძლებელია ობიექტურად: გამონათქვამი ყოველთვის სუბიექტურია. ამრიგად, ლოგიკა ვერ ეხება სუბიექტურს, ხოლო ენობრივი გამოხატვა არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად ობიექტური.ამის გამო ლოგიკურ დეფინიციებზე აგებულ ლინგვისტურ აღწერას შეუძლია განიხილოს ენა მხოლოდ ადამიანისა და გამოყენების რეალური პირობებისაგან მოწყვეტით. ე. ი. სტა-

ტიკურად. მაგრამ ჯერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტი განმარტავდა ენას როგორც ენერგეიას და გულისხმობდა ამაში დინამიკას და ქმნადობას. ერთიცა და მეორეც საჭიროებს ადამიანს.ენა სემიოტიკური სისტემაა და არა ლოგიკური. მისი შესწავლა შეიძლება მხოლოდ იმაზე დაკვირვებით,თუ როგორ ახდენს ადამიანი სინამდვილის ნიშანდებას და როგორ იყენებს ენის საშუალებებს კომუნიკაციური მიზნებისთვის. ორივე შემთხვევაში ენა გვეცლინება თავისი დინამიკური არსით. არისტოტელისეული გრამატიკა შეიძლება შევადაროთ ჰერბარიუმთან, რომელიც, მართალია, იძლევა გარკვეულ წარმოდგენას ყვავილებზე, მაგრამ არ არის რეალური ცოცხალი მდელო.ამის მსგავსად ტრადიციული გრამატიკა გვთავაზობს ენობრივი მასალის კლასიფიკაციას, მაგრამ აღწერის მიღმა ტოვებს თავად ენას. ამრიგად, გვაქვს ენის ორი ხედვა: ტრადიციული (სტატიკური) და კომუნიკაციური (დინამიკური). ის, რაც სტატიკურად ენაში გვეჩვენება ლოგიკურად განსაზღვრული და გასაგები, რეალურ გამოყენებაში წარმოგვიდგება სხვა სახით. ენის ორი პერსპექტივიდან ერთი მოჩვენებითია, მეორე – რეალური. ასე, მაგალითად,ლოგიკის შექმნა არისტოტელემ დაიწყო შესაბამისი ცნებების ფილოსოფიური განმარტებით „კატეგორიებში“: ის, რაც არაა მოცემული რამეში, არც ითქმის რაიმეს შესახებ, ქვემდებარეა ანუ კონკრეტული ფიზიკური საგანი. ხოლო ის, რაც ითქმის ქვემდებარის შესახებ, შემასმენელია. შემდეგი დებულება არისტოტელესი: ქვემდებარე (კონკრეტული ფიზიკური საგანი)აღინიშნება სახელით, ხოლო შემასმენელი-ზმნით (Аристотель 1978,56), დარჩა საბედისწერო გრამატიკული აზროვნებისთვის: დღემდე არსებითი სახელი გაიგება როგორც საგნის აღმნიშვნელი სიტყვათა კლასი. დაკვირვება ენის გამოყენებაზე გვაჩვენებს, რომ ენებს არ აქვთ მხოლოდ საგნის აღმნიშვნელი სიტყვები.

არსებითი სახელი არ არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს.

„პოეტიკის“ მე-20 თავში ბრძანებით ფორმებს „წადი“, „მოდი,“ „მოიტანე,“ და ა. შ. არისტოტელე არ მიიჩნევს ზმნის ნამდვილ ფორმებად, რადგან ისინი არ შეიცავენ მტკიცებას. ლოგიკით ნაკარნახევი იმპერატივის ეს გაგება წარმოდგენილია დღევანდელ გრამატიკებშიც, რომლებშიც იმპერატივი ერთხმად აღიარებულია ირიბ კილოდ და ყოველთვის სახელდება მთავარი— თხრობითი კილოს შემდეგ. ენაზე დაკვირვება გვარწმუნებს იმაში, რომ ბრძანება, თხრობა, კითხვა, სამეტყველო მოქმედების დამოუკიდებელი და თანაბარი ფორმებია.

ლოგიცისტური ფანტომებისაგან გაგვანთავისუფლებს დინამიკური მიდგომა (ენის შესწავლა კომუნიკაციაში), რაც შედეგად მოგვცემს ახალ კომუნიკაციურ გრამატიკას, რომელიც ენის სხვაგვარ ხედვასთან ერთად შესაძლებელს გახდის ადეკვატურად გავიგოთ და გამოვხატოთ ყოფიერიდან მარად წარმოქმნადი სამყაროს გაშლა (performance).

კონკრეტულ ენათა შესწავლის მეთოდოლოგიას განსაზღვრავს ენის ზოგადი გაგება. ანტიკური გრამატიკები იმდროინდელი ლინგვისტური პარადიგმის ნაყოფია. პლატონს არ შეეძლო სცოდნოდა, რომ „ის, რაც მარად იბადება და არასოდეს არსებობს,“– ასე განმარტავდა ბერძენი ფილოსოფოსი ფიზიკურ სამყაროს (პლატონი 1994, 288), არსებობს მხოლოდ ენაში. თუ ანტიკურ პერიოდში ფილოსოფია იკავებდა მეცნიერებათა ტახტს, ხოლო გრამატიკა იხსენიებოდა ხელოვნებად, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება ფილოსოფიური გრამატიკა, მოგვიანებით ფილოსოფია გაუჩნდება თავად ენასაც. დღეს ზოგადი ენათმეცნიერების სახელით ცნობილი ფილოსოფიური გრამატიკა და ენის ფილოსოფია სწავლობენ ენის იმ , ა.

არნოსა და კ. ლანსლოს განმარტებით, ზოგად საფუძვლებს (წესებს, კანონებს, პრინციპებს, სტრუქტურას),რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ახალი გრამატიკის შექმნა. მეცნიერებაში ახალი ყოველთვის არ არის ძველის გახსენება, მაგრამ ყოველთვის არის ძველთან დიალოგის შედეგად მოპოვებული ჭეშმარიტება. მეცნიერების განვითარება შეუძლებელია ტრადიციისაგან მოწყვეტით. სხვათა ნააზრევი ჩამოჰგავს კოსმოსური რაკეტის საფეხურებს, რომლებიც თავისი რესურსის გამომუშავების შემდეგ ჩამოსცილდებიან რაკეტას, რათა ხელი არ შეუშალონ მის კიდევ უფრო მაღლა ასვლას. წინამდებარე წიგნში, რომელიც არის ჩაფიქრებული ნაშრომის პირველი ნაწილი, ლინგვისტური აზროვნების პრინციპები ნაჩვენებია ლინგვისტიკასა და ფილოსოფიაში კლასიკურად აღიარებულ წყაროთა განხილვის მეშვეობით. თითოეული ლინგვისტური თეორიის კონცეპტუალურ სტრუქტურაში ჩვენ ვცდილობდით დაგვედგინა იერარქიით ის მთავარი იდეები, რომლებიც განსაზღვრავენ ავტორის აზრთამსვლელობას. არანაკლებ საინტერესო და რთული იყო ავტორისეული აზრთაწყობის გადმოყვანა უფრო მარტივ და გასაგებ ენაზე. ავტორთა მსჯელობამ ისე გაგვიტაცა, რომ გაგვხადა მათ მიერ შემოთავაზებული პრობლემატიკის განხილვის მონაწილე; იმედი გვაქვს, იგი არც მკითხველს დატოვებს გულგრილს.

დასასრულ, მადლობას მოვახსენებ წიგნის რედაქტორს, მამია ფალავას, და რეცენზენტს, მარინა აროშიძეს, გამოთქმული შენიშვნებისა და სურვილებისათვის.

თავი I. ზოგადი ენათმეცნიერების საგნის სპეციფიკა

§ 1.ზოგადი ენათმეცნიერების დანიშნულება და პრობლემატიკა

ენა ადამიანის თანამდევი მოვლენაა. შეუძლებელია ისეთი ადამიანი, რომელსაც მისი შესწავლა და გამოყენება არ სჭირდებოდეს. მაგრამ უმრავლესობა ამას აკეთებს სპონტანურად, დაუფიქრებლად, მცირე ნაწილი კი – გაცნობიერებით, მეცნიერული რეფლექსის გამოყენებით. სწორედ ამ უკანასკნელთა წყალობით შეიქმნა გრამატიკები, ლექსიკონები, რიტორიკა, ჰერმენევტიკა, პრაგმატიკა, კომპიუტერი. საუკუნეთა განმავლობაში ენის მიმართ ადამიანთა შეგნებული დამოკიდებულების გამოცდილება განზოგადდა და ჩამოყალიბდა ლინგვისტურ თეორიად.

ენის გამოყენების უნარს ადამიანი იძენს და სრულყოფს ყველგან სოციალურ გარემოში, ხოლო ენის ბუნების და გამოყენების კანონზომიერებათა გაცნობიერება შეიძლება მხოლოდ ლინგვისტური თეორიის დაუფლებით.

თანამედროვე ლინგვისტიკა კომპლექსური მეცნიერებაა, იგი აერთიანებს მრავალ დარგს. "ზოგადი ენათმეცნიერება" წარმოადგენს "ენათმეცნიერების შესავლის" გაგრძელებასა და გაღრმავებას, ანუ ლინგვისტური აზროვნების და თეორიული ცოდნის მეორე საფეხურს.

ენათმეცნიერების ყოველ დარგს ენის სტრუქტურაში თავისი საკვლევი საგანი მოეპოვება, რომლის მიხედვითაც ის ჩვეულებრივ განიმარტება. ასე, მაგალითად, ფონეტიკა სწავლობს სამეტყველო ბგერებს (ბერძნ. phone ხმა, ბგერა). მორფოლოგია, ლექსიკოლოგია, სიტყვათწარმოება სწავლობენ სიტყვებს, მაგრამ სხვადასხვა კუთხით. მორფოლოგია განიხილავს სიტყვათა გრამატიკულ ფორმას,

ლექსიკოლოგია – ლექსიკურ მნიშვნელობას, სიტყვათწარმოებას აინტერესებს სიტყვათა წარმოქმნის წესები. სინტაქსის "მთავარი გმირებია" შესიტყვება და წინადადება. მართალია, დიალექტოლოგიის, ენის ისტორიის, სტილისტიკის კომპეტენცია ეხება ენობრივი სტრუქტურის ყველა დონეს, მაგრამ თითოეული მათგანი სწავლობს ენას განსხვავებული ასპექტით, რომელიც ამ დისციპლინათა ცალკე დარგად გამოყოფის საფუძველია. რას წარმოადგენს აღნიშნული თვალსაზრისით "ზოგადი ენათმეცნიერება," რა არის მისი ლინგვისტიკაში ცალკე დარგად გამოყოფის საფუძველი? "ზოგადი ენათმეცნიერება" სწავლობს ენის მაკონსტიტუირებელ (ფეძემდებლურ) ნიშნებს, რომლებიც საერთოა (ზოგადი) ყველა ენისათვის, მაგალითად, პრედიკატები: ურთიერთობის, აზროვნების, პოეტური შემოქმედების საშუალება; ნიშანთა სისტემა; კულტურის ამგები, ეროვნული, ენერგია და ა.შ მართებულია ყველა ეთნიკური ენისათვის.

თეორია სამყაროს შესახებ მეცნიერებაა. თეორია სამყაროს უზოგადესი კანონების შესახებ ფილოსოფიაა. მსგავსად ამისა თეორია ენათა შესახებ ლინგვისტიკაა, ხოლო თეორია ენათა უზოგადესი კანონების შესახებ – ზოგადი ენათმეცნიერება, ანუ ენის ფილოსოფიაა.

ეთნიკურ ენათა საერთო, უნივერსალურ ნიშნებს ადგენს ენათმეციერების ცალკე დარგი "უნივერსალიების ლინგვისტიკა." ყველა ენას, მაგალითად, მოეპოვება: ხმოვანი და თანხმოვანი სამეტყველო ბგერები, საზოგადო და საკუთარი სახელები, პოლისემია, ინტონაცია, ლაბიალური და დენტალური თანხმოვნები, სიტუაციური სიტყვები.

თუ "უნივერსალიების ლინგვისტიკა" განიხილავს ენათა ყველა უნივერსალურ ნიშანს,"ზოგად ენათმეცნიერებას" აინტერესებს მხოლოდ მაკონსტიტუირებელი უნივერსალური ნიშნები, რომელთა ერთობლიობა შეადგენს

ენის როგორც მოვლენის არსს. ენის არსებითი გვარეობითი ნიშნების ცოდნა გვჭირდება იმისთვის, რათა ენა გამოვყოთ სხვა მოვლენათაგან და შევისწავლოთ. მეცნიერული გრამატიკა აღწერს კონკრეტული ენის სახეობით ნიშნებს (ახდენს სტრუქტურის ინვენტარიზაციას) და ამით გამოყოფს ერთ ენას სხვა ენებში. მეცნიერული გრამატიკა და "ზოგადი ენათმეცნიერება"ლინგვისტური ანალიზის სხვადასხვა დონეა: პირველი იკვლევს ენას ენათა დონეზე, მეორე – მოვლენათა დონეზე. მეცნიერული გრამატიკის საგანი ონტოლოგიურია, ზოგადი ენათმეცნიერებისა გნოსეოლოგიური. გნოსეოლოგია ყოველთვის ემყარება იდეებს,ამიტომ ზოგადი ენათმეცნიერების საგანი ენა-იდეა არის. ზოგადი ენათმეცნიერება ამოდის რა კონკრეტული ენების მონაცემებიდან, სწავლობს გვარეობით აბსტრაქციას, უსახელო ენას, რომელიც ზოგადი და არა ეროვნული ფენომენია. ამიტომ მეცნიერული გრამატიკა თეორიულად შეიძლება იყოს იმდენი, რამდენიც ენა არის. ზოგადი ენათმეცნიერება კი შინაარსობრივად საერთოა ყველა ენისათვის. დარგის ეს სპეციფიკა ასახულია მის სახელწოდებაში:"ზოგადი ენათმეცნიერება" სწავლობს ენათა ზოგად უნივერსალურ ნიშნებს და წარმოადგენს ზოგად ლინგვისტურ თეორიას.

ყოველგვარი მეცნიერული თეორია წარმოადგენს გამოსაკვლევი საგნის კონცეპტუალურ ახსნას. ჴონცეპტუს ლათ. -ცნებაა. იდეა ბუნებით ზოგადია.ამიტომ ზოგადობა, როგორც კონცეპტუალური მოაზრების აუცილებელი თვისება, მეცნიერების ყველა დარგის საფუძველია.მეცნიერების არც ერთი დარგი არ შემოიფარგლება მხოლოდ დაკვირვებით ემპირიულ ობიექტზე, ანატომია, მაგალითად, აკვირდება რა კონკრეტული ადამიანების ფიზიკურ მონაცემებს, სწავლობს ზოგადი ადამიანის აგებულებას. ზო-

გადი ენათმეცნიერება ლინგვისტიკის მეცნიერებად აღიარების წინაპირობა და დასაბუთება არის.

§ 2. „ზოგადი ენათმეცნიერების“ შინაარსობრივი საზღვრები და სტრუქტურა

“ზოგადი ენათმეცნიერების“ შინაარსს ტრადიციულად შეადგენს სამი ნაწილი: 1. ენათმეცნიერების ისტორია. 2. ენის თეორია. 3. ენათმეცნიერების მეთოდები. საგნის ამგვარი სტრუქტურა ჩამოყალიბდა იმ დროს, როცა იგი წარმოადგენდა თეორიული ლინგვისტიკის ერთადერთ კურსს უმაღლეს სასწავლებელში და მასში იყო თავმოყრილი ყველაფერი, რაც მეცნიერული გრამატიკის გარეთ რჩებოდა. რა თქმა უნდა, ეს „ყველაფერი“ იყო მხოლოდ ის, რაც იფარგლებოდა დიალექტიკური მატერიალიზმის დოქტრინით. ყველაფერს თეორიულ ლინგვისტიკაში ვერ დაიტევს ვერც ერთი სალექციო კურსი. დღეს ლინგვისტიკის ისტორიამ (ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის სახით) და ლინგვისტიკის მეთოდებმა დაიმკვიდრეს ადგილი სხვა ლინგვისტურ დისციპლინათა შორის. „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ცალკე საგნად გამოყოფა იმით არის გამართლებული, რომ იგი არ განიხილავს მხოლოდ ზოგადლინგვისტური ნაშრომების შექმნის ისტორიას, არამედ-ენის შესახებ დაწერილ ყველა წყაროს. მეორე მხრივ,”ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია“ არ წარმოადგენს ენის თეორიას, არამედ – მეტათეორიას, ანუ თეორიას სხვადასხვა ლინგვისტურ თეორიათა შესახებ. განსხვავებული კვლევის საგანი განაპირობებს პრობლემატიკისა და მეთოდების სპეციფიკას.

“ზოგადი ენათმეცნიერება” შეადგენს მეცნიერული გრამატიკის თეორიულ საძირკველს. ზოგადი ლინგვისტუ-

რი თეორიის გარეშე შესაძლებელია მხოლოდ აღწერითი გრამატიკა, რომელსაც ძველი ბერძნები განიხილავდნენ ხელოვნებად და არა მეცნიერებად. მეცნიერული გრამატიკის ავტორს ლინგვისტური თეორია სჭირდება კონკრეტული ენის სტრუქტურის აღსაწერად. თავის მხრივ, ლინგვისტ-თეორეტიკოსსაც ენის ზოგადი ბუნების დასადგენად ესაჭიროება ემპირიული ველი, ამიტომ დაკვირვებისათვის იგი მიმართავს კონკრეტულ ენებს.

თეორია არის საგნის კონცეპტუალური ხედვა, დასაბუთებული ახსნა, რაც მიიღწევა მსჯელობის საშუალებით. ყოველგვარი მსჯელობა კი, მათ შორის ზოგადლინგვისტურიც, შეიძლება მხოლოდ ლოგიკური კანონების დაცვით. მაგრამ სადამდე უნდა უწევდეს ლინგვისტი ანგარიშს ლოგიკის მოთხოვნებს? ეს საკითხი დიდი ხანია აქტუალურია ლინგვისტიკაში. დასაბამიდანვე მეცნიერები განიხილავდნენ ენას აზროვნებასთან, აზრთან მიმართებაში. დიონისეს გრამატიკაში წინადადება განმარტებულია აზრზე დაყრდნობით. დღესაც ფსიქოლოგებთან მჭიდრო კავშირში ლინგვისტები არკვევენ: აზროვნება არის ენობრივი, თუ ენა-ფსიქიკური? პასუხი ამ კითხვას გასცეს ნეოპოზიტივისტური ფილოსოფიის წარმომადგენლებმა: სამყაროა მთლიანად ენობრივი! და ამით მოახდინეს ნამდვილი გადატრიალება მეცნიერებათა იერარქიაში. XXI საუკუნეში ფილოსოფოსებმა და არა ლინგვისტებმა ცენტრალური ადგილი მეცნიერებათა შორის დაუთმეს თეორიულ ლინგვისტიკას.

"ზოგადი ენათმეცნიერების" პრობლემათა ჩამონათვალში:

1. რა არის ენა?
2. როდის და როგორ გაჩნდა ენა?
3. ენა და აზროვნება.

4. ენა და ადამიანი.

5. ენა და საზოგადოება.

6.ენათმეცნიერების ადგილი მეცნიერებათა სისტემაში.

7.ენათმეცნიერების მეთოდები.

ენათმეცნიერების სხვა მეცნიერებებთან მიმართების პრობლემა არასდროს სახელდება თავში. იმისათვის, რომ სწორად გავარკვიოთ აღნიშნული მიმართება, უნდა ვიცოდეთ, რა არის ენა. აზროვნების ისტორიაში ენა გაიგებოდა განსხვავებულად. ანტიკურ სამყაროში ენა ესმოდათ როგორც მეტყველება. იმ დროის გრამატიკები აღწერდნენ პოეტებისა და მწერლების მეტყველებას. მეტყველებიდანვე არისტოტელემ გამოიყვანა ლოგიკის კანონები. ბერძნების თანახმად, კარგი მეტყველება პირველ რიგში ლოგიკურად უნდა ყოფილიყო გამართული, ამიტომ გრამატიკაც განიხილებოდა ლოგიკის ნაწილად. ისეთ მიმართებას ლოგიკასა და ენათმეცნიერებას შორის, როდესაც მათი საერთო საზღვარი ცალმხრივადაა დარღვეული პირველის მიერ, ლოგიციზმი ეწოდება. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ლოგიკის ადგილს ენათმეცნიერების გვერდით დაიკავებს ფსიქოლოგია. რადგან ამ პერიოდში მოღვაწე ახალგრამატიკოსებმა ენის ამოსავალ საწყისად ინდივიდის ფსიქიკა მიიჩნიეს. ყოველივე ახალს ენაში ისინი ხსნიდნენ ამ ფაქტორით. ენათმეცნიერების სხვა მეცნიერებებთან მიმართების მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს, როგორც ლინგვისტიკაში გაბატონებული ენის კონცეფცია, ისე მეცნიერების სხვადასხვა დარგში მიმდინარე პროცესებიც. ლოგიკისა და ფსიქოლოგიის შემომღები არისტოტელე უპირატესობას ანიჭებდა პირველს, როგორც მოძღვრებას სწორი აზროვნების შესახებ. მაგრამ ი. კანტის ფილოსოფიაში ფიზიკური სი-

ნამდვილის ადგილს დაიკავებს ფსიქიკური, ფსიქოლოგია განეითარდება შინაარსობრივად და დაიწყებს კონცეპტუალურ "გადმოდინებას' მოსაზღვრე დარგებში, მათ შორის ლინგვისტიკაშიც. ფსიქოლოგიის "ექსპანსიას" სხვა მეცნიერებათა მიმართ ფსიქოლოგიზმი ეწოდება. XX საუკუნის დასაწყისში ჯერ ამერიკაში, შემდეგ ევროპაშიც ცნობილი გახდა მოძღვრება ნიშანთა შესახებ (სემიოტიკა). სემიოტიკური განმარტებით: "ენა არის არბიტრალურ ნიშანთა სისტემა" ფ. დე სოსიურმა მოაქცია ლინგვისტიკა სემიოტიკის საზღვრებში. ამის შედეგად შეიცვალა ლინგვისტიკის მიმართება ლოგიკასა და ფსიქოლოგიასთან. თუ ლოგიკურ დეფინიციებზე აგებული ენის აღწერა დღეს უკვე ვერ აკმაყოფილებს კომუნიკაციური ლინგვისტიკის მოთხოვნებს, ექსკურსები ფსიქოლოგიაში ეხმარებიან ლინგვისტებს კომუნიკაციის მრავალმხრივ შესწავლაში. სამეტყველო ურთიერთობა ფსიქიკური პროცესია, რომლის წარმატებით წარმართვისათვის კომუნიკანტებმა ჯერ უნდა აღიქვან ერთმანეთი, სხვაგვარად, მოახდინონ ერთმანეთის პერცეფცია (ლათ. Perception-აღქმა, ასახვა). ერთმანეთის გაგონებასთან ერთად მათ აგრეთვე უნდა გაუგონ ერთიმეორეს, რაც საჭიროებს ორივე მხრიდან შეთანხმებული მოქმედების განხორციელებას – ინტერაქციას (საერთო აქციას): კომუნიკანტები რიგრიგობით უნდა გამოვიდნენ მთქმელისა და მსმენელის როლში (აცალონ ერთმანეთს თქმა და მოსმენა) დაეხმარონ ნათქვამის გაგებაში. სოციალური ფსიქოლოგიის თანახმად, გაგება საჭიროებს მსმენელისაგან გარდასახვას მთქმელში, მასთან იდენტიფიკაციას (ლათ. Identificare-გაიგივება, გატოლება) და ამ მიზნით საკუთარ თავში ჩაღრმავებას,მე–ს უკეთ გაცნობიერებას. ესთეტიკური იდეალიზმის დამაარსებელი გერმანელი მეცნიერი კ.ფოსლერი შეეცდება ენობრივი პრაქტიკა განმარტოს ვ. ჰუმბოლდტის იდეათა

მიხედვით: რადგან ენა არის უსაზღვრო მოღვაწეობა სულის, იგი უნდა ისწავლებოდეს როგორც მუდმივი შემოქმედება, რომელიც წარიმართება ინდივიდთა მეტყველებაში, განსაკუთრებით მწერლების მეტყველებაში. მწერალთა სტილები ლინგვისტიკის და ლიტერატურათმცოდნეობის მიჯნაზეა და, კ. ფოსლერის აზრით, წარმოადგენენ ორივე ამ დარგის კვლევის მთავარ საგანს ანუ ფოსლერთან იშლება ზღვარი ამ ორ დამოუკიდებელ დარგს შორის და მათ ადგილს იკავებს ფილოლოგია. მაგრამ არა ტრადიციული გაგებით, არამედ ესთეტიკური ფილოლოგია, რომლის კვლევის მთავარი საგანია ადამიანთა ენობრივი შემოქმედება.

ამრიგად, ლინგვისტიკა არის ესთეტიკური ფილოლოგია. მე-19 საუკუნის დასასრულს ამერიკაში ყალიბდება ენათმეცნიერების და უფრო ფართოდ კულტუროლოგიის ახალი დარგი ამერიკანისტიკა, რომლის საგანი გახდა ამერიკის ინდიელთა ენები და კულტურა. უცნობ ენათა კვლევის დროს ლინგვისტები სიტყვათა მნიშვნელობის დასადგენად აკვირდებოდნენ ინდიელთა ცხოვრების ფორმებს, ყოფას, ქცევას. ენა მათ მიერ განიხილებოდა მჭიდრო კავშირში ანთროპოლოგიასთან, ეთნოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან. მეორე მხრივ, ინდიელთა ტომებს არ ჰქონდათ დამწერლობა, ამიტომ მათი ისტორიის აღსადგენად ანთროპოლოგები, კულტუროლოგები, ეთნოგრაფები მიმართავდნენ ენათა ანალიზს. ანთროპოლოგიურმა ლინგვისტიკამ შეასრულა ბიძგის როლი მეცნიერებაში „ჰიბრიდული" დარგების გამოსაყოფად.

სხვადასხვა მეცნიერების ლინგვისტიკასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია ისეთი დარგთაშორისი დისციპლინების ჩამოყალიბება, როგორიცაა: ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, პრაგმალინგვისტიკა, ნეიროლინგვისტიკა, ლინგვოსემიოტიკა,

ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვექოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვექოლოგია, ლინგვექოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვექოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვექოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვექო

წავლის საფუძველზე. ენის ანალიზის დროს ლინგვისტს არ შეუძლია გაემიჯნოს სამყაროს და აზროვნებას, რაც, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ იგი თანაბრად იკვლევს სამივე სფეროს. სამყაროს, აზროვნების და ენის ტრიადაში ლინგვისტიკის კვლევის საგანია ენა.

ძირითადი ცნებები

ლინგვისტური თეორია; ლინგვისტური აზროვნება; ენის ფილოსოფია; ენის მაკონსტიტუირებელი უნივერსალური ნიშნები; ლინგვისტიკის ისტორია.

საჭირო ტერმინები

რეფლექსია — ადრე მიღებული ცოდნის და განცდის ანალიზი, განსჯა;

ჰერმენევტიკა – ტექსტის განმარტების ხელოვნება;

ინვენტარიზაცია – ინვენტარის, მოცემულის აღწერა;

ონტოლოგია – არსებულის შესწავლა; არსებული;

გნოსეოლოგია – შემეცნების თეორია, მეცნიერული აღწერა;

მეტათეორია – თეორია თეორიათა შესახებ;

ემპირიული – ცდისეული.

საკონტროლო კითხვები

1. რა გზით შეიძლება ენობრივი კომუნიკაციის გაცნობიერება?
2. რა არის „ ზოგადი ენათმეცნიერების“ ლინგვისტიკის ცალკე დარგად გამოყოფის საფუძველი?
3. რით განსხვავდება „ზოგადი ენათმეცნიერება“ „უნივერსალიების ლინგვისტიკისაგან?“

4. რატომ არის „ ზოგადი ენათმეცნიერება“ და „ მეცნიერული გრამატიკა“ ლინგვისტური ანალიზის სხვადასხვა დონე?
5. რას ნიშნავს დებულება „ზოგადი ენათმეცნიერების საგანი გნოსეოლოგიურია?“
6. დარგის რა სპეციფიკაა ასახული „ზოგადი ენათმეცნიერების“ სახელწოდებაში?
7. რატომ არის „ ზოგადობა“ მეცნიერების ყველა დარგის საფუძველი?
8. რატომ არის „ზოგადი ენათმეცნიერება“ ლინგვისტიკის მეცნიერებად აღიარების დასაბუთება?
9. რა განსხვაებაა თეორიასა და მეტათეორიას შორის?
10. რის საშუალებით მიიღწევა დასაბუთებული ახსნა?
11. რას ვიღებთ შედეგად ენის ლოგიკური პრინციპებით შესწავლის შემთხვევაში?
12. რატომ ეთმობა XXI საუკუნეში ლინგვისტიკას ცენტრალური ადგილი მეცნიერებათა შორის?
13. რა უნდა ვიცოდეთ, სწორად რომ გავარკვიოთ ენათმეცნიერების მეცნიერებებთან მიმართების პრობლემა?
14. რამ წარმოქმნა ლინგვისტურ აზროვნებაში ფსიქოლოგიზმი?
15. რატომ შეიცვალა ლინგვისტიკის მიმართება ლოგიკასა და ფსიქოლოგიასთან დე სოსიურთან?
16. რით არის განპირობებული კომუნიკაციური ლინგვისტიკის ექსკურსები ფსიქოლოგიაში?
17. რატომ არის ლინგვისტიკა კ. ფოსლერთან ესთეტიკური ფილოლოგია?
18. როგორ გაჩნდა ლინგვისტიკაში ჰიბრიდული დარგები?

თავი II. გონის ლინგვისტური უნარები

§ 1.პირველადი კოლექტიური ენობრივი შემოქმედება

ძველი ბერძნები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ სამყაროს შესწავლას. მათივე თქმით, შეიმეცნო ნიშნავს შეადარო.მართლაც, შედარება გასავლელი გზაა ობიექტის (შესასწავლი საგნის) კონცეპტუალური საზღვრების დასადგენად. ქართული სიტყვა „განსაზღვრა“, ისე როგორც რუსული „определить“, გულისმობს შესამეცნებელი საგნის მოქცევას საზღვრებში. მხოლოდ ამ პირობით საგანი შეიძლება გამოიყოს სხვა საგნებისაგან. კონცეპტუალური გამოყოფა და შემეცნება სინონიმებია. ამიტომ შეიძლება ვთქვათ: შეიმეცნო ნიშნავს გამოყო , ხოლო ეს უკანასკნელი საჭიროებს შედარებას.

„ზოგადი ენათმეცნიერება“ განიხილავს ენას როგორც მოვლენას სხვა მოვლენათა შორის. ამიტომ მისთვის აუცილებელია გაარკვიოს ენის მიმართება ისეთ მოვლენებთან, რომლებთანაც იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული: ადამიანთან, საზოგადოებასთან, ეთნოსთან, კულტურასთან, სამყაროსთან. ყოფითი ხედვით საზოგადოება შედგება ადამიანებისაგან და დაყოფილია სამყაროს მასშტაბით ეთნოსებად, რომელთაც მოეპოვებათ თავიანთი ენა და კულტურა. მაგრამ საგანთა უშუალო აღქმა და მათი გაცნობიერება ერთი და იგივე რომ ყოფილიყო, კაცობრიობას არ დასჭირდებოდა მეცნიერების გამოგონება. საგანზე ყურება და მისი ჭეშმარიტებაში დანახვა განსხვავებული პროცესებია, მეორე შეუძლებელია მეცნიერული მსჯელობის გარეშე. სხვა საკითხია, რამდენად ხელეწიფება ლინგვისტიკას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ენის დასახელებულ მოვლენებთან მიმართების პრობლემები. ამის

მისაღწევად ლინგვისტებს სჭირდებათ ფუნდამენტური ცოდნა სამყაროს, ადამიანის, საზოგადოების, ეთნოსის, კულტურის შესახებ. ცოდნის „სესხება“ შესაბამისი მეცნიერებებისგან ყოველთვის ვერ იქნება საკმარისი. სწორედ ამან განაპირობა დარგთაშორისი მეცნიერებების: სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის ჩამოყალიბება.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ წარმოადგენს მეცნიერულ დეფინიციას, მაგრამ „ადამიანი“ სიტყვის ლექსიკოგრაფიული განმარტება როგორც „ენისა და აზროვნების მქონე ცოცხალი არსების“, შეიძლება ითქვას, ფილოსოფიურია. ამ განსაზღვრების მიხედვით ენა ადამიანის არსებითი ფუძემდებლური ნიშანია (კონსტიტუტიენტი). უენო ადამიანი ბუნებაში არაა ფიქსირებული (პათოლოგიური და უბედური შემთხვევების გამორიცხვით). ენა ადამიანის თანამდევი მოვლენაა.კითხვა, რისთვის სჭირდება ყველგან და ყოველთვის ადამიანს ენა, მოგვეჩვენება გულუბრყვილოდ. შეუძლებელია ენის გამოყენების გარეშე წარმოვიდგინოთ პარლამენტის სხდომა , მეცადინეობა სასწავლებელში, წარმოების პროცესი ფაბრიკა–ქარხანაში, რაგინდ სახის სპორტული შეჯიბრება, მხედველობაში თუ მივიღებთ რეფერისთან ურთიერთობას მაინც, ენის საშუალებით ტარდება წირვა და სრულდება ლოცვა. მაგრამ პასუხი: ენა გვჭირდება სხვასთან ურთიერთობისათვის, იძულებულს გაგვხდის აღარ ვცნოთ იგი ადამიანის თანამდევ მოვლენად და განვიხილოთ ადამიანის მიერ გარკვეულ მოქმედებათა შესრულებისათვის განკუთვნილ დამხმარე საშუალებათა და იარაღთა შორის (ხელთათმანი, ცული, ნავი, მანქანა, კომპიუტერი და სხვ.). უსაჭიროესი იარაღიც კი არ სჭირდება ადამიანს ყველგან და ყოველთვის. ადამიანებიც არ ლაპარაკობენ სულ. მონაწილეობს თუ არა ენა მხატერის შემოქმედებაში, როცა ის სა-

ნაპიროზე მარტო მდუმარედ ხატავს ზღვას ან მათემატიკოსის მიერ სიჩუმეში ამოცანის ამოხსნასა და მოჭადრაკის მიერ თავისთვის სვლების გათვლაში? პასუხი ამ კითხვაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევხედავთ ენას, როგორც ადამიანური ბუნების ნაწილს, თუ საშუალება–იარაღს. პირველი წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიულ საფუძველს და სათავეს იღებს გერმანელი ფილოსოფოსისა და ლინგვისტის ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის (1767–1835 წ.წ) ნააზრევში. მეორე ხედვა იმიტომაც უსწრებს დროში პირველს, რომ ჩამორჩება მას თეორიული მოაზრების სიღრმით, იგი შეიძლება მიგვეჩნია ენის ყოფით (არამეცნიერულ) გაგებად, რომ არა მაღალი ავტორიტეტი ავტორებისა, რომელთა ნაშრომებში იგი გვხდება მეცნიერული აზროვნების გარიჟრაჟზე და შემდეგაც. ენის როგორც საშუალება–იარაღის გაგებას შეიცავს პლატონის მეტაფორული გამონათქვამი „ტიმეოსში“: „ პირიდან გადმოფრქვეული სიტყვების შადრევანი, რომელიც აზრს ემსახურება, შადრევანთა შორის ყველაზე უმშვენიერესია და უკეთესი“ (პლატონი,1994, 340) . შადრევანი ზედაპირიდან გარეთ ატყორცნილი წყლის ნაკადია, ამიტომ მის მსგავსად ადამიანის გარეთ არტიკულირებულ სივრცეში არსებული ენაც შეიძლება იყოს მხოლოდ ბგერებისაგან შემდგარი ფორმა. ამგვარი გარეთ მდებარე ენა ვერ იქნება აზროვნების მონაწილე გონში, იგი მხოლოდ გამოხატავს აზრებს, რომლებიც არ არის მისი განუყოფელი ნაწილი და ამიტომ კავშირი ენასა და აზრებს შორის არ არის დასაბამიერი, ის აუცილებელია მხოლოდ გამოხატვის თვალსაზრისით. დიონისეს გრამატიკიდან ცნობილი წინადადების განმარტება: წინადადება არის სიტყვათა შეერთება, რომელიც გამოხატავს დასრულებულ აზრს, ენის როგორც საშუალება–იარაღის გაგების ნაყოფია. თუ ენის ფუნქცია მდგომარეობს მხოლოდ

მზა აზრების გამოხატვაში, მაშინ დასაშვებია მოაზროვნე ადამიანი ენის გამოყენების გარეშეც, მაგალითად, მდუმარე ადამიანი. ლათინური homo sapIens-იც ხომ ითარგმნება როგორც მხოლოდ „ადამიანი გონიერი.“ სამყაროს შემეცნება ანტიკურ ფილოსოფოსებს წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც წმინდა აზრობრივი პროცესი, რომელსაც მხოლოდ ხელს უწყობს აზრების გამოხატვა პოლემიკაში, ამიტომაც იყო გრამატიკა და რიტორიკა იმ დროს ლოგიკის ნაწილები. ლოგიკა სწავლობდა ანტიკური ღირებულებით მთავარს–აზრის სტრუქტურას, გრამატიკა–აზრის გამოხატვას სამეტყველო ბგერების საშუალებით. ანტიკური ხანიდან მოყოლებული ვიდრე ჰუმბოლდტამდე შეხედულება ენაზე როგორც მხოლოდ ფიზიკურ ფორმაზე უცვლელი რჩებოდა. ჰუმბოლდტმა აღმოაჩინა, რომ მენტალური სამყარო შინაარსობრივად ენობრივია, ენა ინდივიდის „შიდა სამყაროა“(В. Гумбольдт, 1984:47).

ენა არის ადამიანის სულში ღმერთის მიერ გაჩენილი ენერგია, რომელიც წარმოქმნის აზრს. ამრიგად, ენა სამყაროს გააზრების (კონცეპტუალიზაციის) საშუალებაა. ყველაფერი, რაც ვიცით სამყაროს შესახებ, ვიცით ენიდან. „ყოველი ენა შემოაწერს წრეს იმ ხალხის ირგვლივ, რომელსაც მიეკუთვნება და ამ წრიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი სხვა წრეში გადახვალ“ (В.Гумбольтдт, 1984:80). ადამიანის აზროვნება ენობრივია, ხოლო აზროვნების გარეშე ადამიანისთვის არ არსებობს სამყარო. ჰუმბოლდტის ეს ჭეშმარიტება მ. ჰაიდეგერმა გამოხატა სიტყვებით: „ენა ყოფიერების სახლია.“ ადამიანისთვის სინამდვილე მოცემულია აზრობრივი სამყაროს სახით. ენა წარმოქმნის სინამდვილეს (ონტოლოგიას) და თავად არის ონტოლოგია ადამიანისთვის. ბერძნ. ONTOS არსებულს ნიშნავს. ადამიანისთვის არ არსებობს გამოუთქმელი სამყარო. გაცნობიერება ენობრივი

პროცესია. სამყარო, რომელშიც არსებობს ადამიანი, მის მიერ გაცნობიერებულია და ნომინირებული (დასახელებული). იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირველად ეხვდებით რაიმე საგანს ან მოვლენას, იგი არ შეიძლება იყოს ჩვენთვის აბსოლუტურად უცნობი, ონტოლოგიზებულ სამყაროში ეს გამორიცხულია. გამონათქვამი „მე მას არ ვიცნობ“ არცოდნასთან ერთად გამოხატავს ცოდნასაც, არცოდნა ეხება კონკრეტულს, ცოდნა–ზოგადს. პრედიკატები „უცნობი,“ „რაღაც“ ცოდნის საწყისი დონეა, რომელსაც უზრუნველყოფს ენა.

ადამიანის მიმართებას სამყაროსთან ახასიათებს შემოქმედებითი აქტიურობა. ენის საშუალებით ადამიანი არა მხოლოდ მოიაზრებს ბუნებრივ სამყაროს, იგი გარდაქმნის მას კონცეპტუალიზაციის გზით. ადამიანის მიერ ბუნების მიზანმიმართულად გარდაქმნილ, ხელთქმნილ ნაწილს კულტურა ეწოდება. სიტყვის – „კულტურა“თავდაპირველი მნიშვნელობა უკავშირდებოდა მიწის დამუშავებას, შემდეგ გაფართოვდა და ადამიანის მიერ ბუნების გარდაქმნაზე მიმართულ სხვადასხვა სახის მოღვაწეობა და მისი შედეგი მოიცვა. მდინარის პირას დაყრილი ქვები ბუნების ფაქტია, ქვებით მოწყობილი ბილიკი, არხი, კედელი კულტურის ფაქტებია–არტეფაქტები. ლათ. ARTE „ხელოვნური“, FACTUS „გაკეთებული“, კულტურა ხელოვნური, მეორადი სამყაროა. კულტურული სივრცის შექმნაში ადამიანის მთავარი ინსტრუმენტია არა ქაფჩა, ჩაქუჩი, ამწე, ტრაქტორი, ელექტრონული და ლაზარული ტექნიკა, არამედ გონი, რომელიც ენობრივია. ყოველგვარი სამუშაო იარაღი გონთან მიმართებაში მეორადია. ბუნების მიზანდასახული გარდაქმნა ცნობიერი პროცესია, არტეფაქტი შეუძლებელია საზრისის გარეშე. კულტურა ამოკითხვადია: ყოველ არტეფაქტს ახლავს თავისი ტექსტი. ამიტომ კულტურასაც აქვს ორი, მატერიალური და

სულიერი მხარე. იდეების, საზრისების წარმომქნელია ადამიანში მისი მშობლიური ენა, რომელიც უყალიბებს მის მფლობელს „სამყაროს სურათს“ (weltbild) (Л.Вайсгербер, 2004:120). ამიტომ ერთ „ ენობრივ წრეში“ მყოფი ადამიანების მსოფლხედვა და კულტურა იგივეა. ინდივიდი არ აყალიბებს თავისთვის ცნებებს, იგი მათ იღებს მშობლიური ენიდან მზა ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ენობრივი კომუნიკაცია იქნებოდა შეუძლებელი. რადგან ბუნების მიზანდასახულ გარდაქმნას ანუ კულტურის შექმნას სჭირდება კონცეპტუალიზაცია, რომლის მიზეზი და წყარო არის ადამიანში ენა – ღვთაებრივი ენერგია; შეიძლება ვთქვათ, რომ ენა ის ძალაა, რომელიც წარმოქმნის კულტურას, განსაზღვრავს მის ეროვნულ ხასიათს. მეორე მხრივ, ეთნიკური კოლექტივის სამყაროსთან მიმართების გამოცდილებას ენის საშუალებით გამოხატავენ: რიტუალი, მითები, ლეგენდები, გადმოცემები, ანდაზები, წეს–ჩვეულებები, ეტიკეტი (ქცევათა ნორმები). დაბოლოს, კულტურა“ილექება“ ენაში, აისახება მის ლექსიკაში, ფრაზეოლოგიზმებში, მეტაფორებში, სიმბოლოებში. ამრიგად, ენა წარმოქმნის, გამოხატავს და ასახავს კულტურას, ამიტომ კულტურაც ენობრივია (ეროვნული) და ენაც კულტურის პროდუქტია. ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას სწავლობს ლინგვოკულტუროლოგია. ენისა და კულტურის ურთიერთმიმართება რეალური ხდება მხოლოდ ეთნოსის მეშვეობით. ამიტომ ლინგვოკულტუროლოგიაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთნოლინგვისტიკასთან, რომელიც ენის ანალიზის საფუძველზე ახდენს ეთნოსის მატერიალური და სულიერი კულტურის რეკონსტრუქციას ანუ სწავლობს ენის, ეთნოსისა და კულტურის ურთიერთმიმართებას. არსებობს საფუძველი ლინგვოკულტუროლოგია მივიჩნიოთ ეთნოლინგვისტიკის დარგად.

§ 2. მეორადი სუბიექტური ენობრივი შემოქმედება

ენის ღვთაებრივი ენერგია ანიჭებს ადამიანს შემოქმედების ძალას, რომლის რეალიზებით იქმნება ახალი სულიერი და მატერიალური ღირებულება. ენობრივი არტიკულაცია წარმოქმნის გონში კონცეპტებს, ხოლო კონცეპტუალიზაციის მეშვეობით ადამიანი გარდაქმნის ბუნებას, ქმნის ახალ– კულტურულ სამყაროს. კონცეპტუალიზაციის გარდა ადამიანის გონს მოეპოვება შემოქმედების სხვა ბუნებრივი უნარიც: უკვე არსებული ცნებებისაგან ასოციაციათა საფუძველზე შექმნას ახალი კონცეპტები. ამ უნივერსალურ ენობრივ პროცესს მეტაფორიზაცია ეწოდება. მეტაფორა როგორც გადატანით და ანალოგიის შედეგად მიღებული „უჩვეულო სახელები“ „პოეტიკაში“ პირველად განიხილა არისტოტელემ. ცნობილია, რომ ხელოვნების ყველა დარგის არსს ბერძენი ფილოსოფოსი ხედავდა მიბაძვაში (Mimeseis) (Аристотель, 1978: 55), ამიტომ მასთან მეტაფორა მეორადი, მხატვრული სინამდვილის შექმნის ხერხია, რომელიც არ ემსახურება ყველაზე მთავარს– ჭეშმარიტების ძიებას. შეხედულება მეტაფორაზე შეიცვალა არისტოტელესეულ მსოფლხედვასთან ერთად: ადამიანის გარეშე სამყაროს არ აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი, დასრულებული ფორმები, სამყარო არ წარმოადგენს ტელეოლოგიურად მოწესრიგებულ საგანთა ერთობლიობას, რომელიც სრულიად ექვემდებარება ლოგიკურ, მეცნიერულ ანალიზს; მარად წარმოქმნადი სამყაროს ფაქტები (ხდომილებები) ერთმანეთში დაუსრულებელი გადასვლით იშლება ადამიანის გარშემო და მათი ადეკვატური აღწერა–შეფასება (გნოსეოლოგიური მოწესრიგება) შეუძლებელია სუბიექტური იმპრესიის გარეშე. ეს ჭეშმარიტება პირველად აღმოჩენილ იქნა ხელოვნებაში.

მე–19 საუკუნის მიწურულს იმპრესიონისტები სამყაროს მარად წარმოქმნადი ფორმების ტილოზე გამოსახვისას ინტუიციურად დაეყრდნენ საკუთარ შთაბეჭდილებას და არა ანალიტიკურ გონს. ამ გზით სინამდვილესთან დაახლოების შედეგად მათ ნახატებზე საგნებს მოაკლდათ კონტურული გარკვეულობა, იმატა სუბიექტურმა ხედვამ. ამის მსგავსად სიტყვიერ იმპრესიასაც აქვს დიდი გამომხატველობითი ძალა ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გადმოცემისას:

„– მერი!

–რა ზურიკო? – საფეთქლებზე მოვიკიდე ხელი, ჩემსკენ მოვიზიდე და ჩემი სახე მის თმებში დავმალე. მერი ტიროდა, ვტიროდი მეც. ირიბად თოვდა. იყო ქარი და იყო მთვარე, მზეც იყო, სიყვარულიც, ცრემლიც და ბევრი, ბევრი თოვლი. იმ ღამით ბებიას რომ შევეშვი, სახლში, მაინც არ შევიდოდი" (ნ. დუმბაძე, 1988:92).

ნ. დუმბაძის ცნობილი რომანიდან მოტანილ ფრაგმენტში ერთად მოცემული: ქარიანი თოვლი (ქარბუქი), მთვარე (ღამე) და მზე (დღე) გრძნობების სინამდვილეა და არა ბუნების.

თუ კონცეპტუალიზაციის მეშვეობით ადამიანს სინამდვილის განუსაზღვრელობაში შეაქვს კონცეპტუალური (ენობრივ – ლოგიკური) გარკვეულობა, მეტაფორიზაცია კონცეპტუალური გარკვეულობის წმინდა ენობრივი გადააზრებაა. ამ ასპექტით ეთნიკური კულტურები კიდევ უფრო შორდებიან ერთმანეთს. მაგრამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობაც არ არის აღსანიშნი საგნის "სარკული" (იკონური) ასახვა, ვ. ჰუმბოლდტის თანახმად, იგი საგანზე თვალსაზრისია, შეხედულება (В.Гумболъдт, 1984: 76) ანუ ერის ხედვაა. ენის განუმეორებელი შემოქმედება თავს იჩენს სახელდების უკვე პირველ, კონცეპტუალიზაციის საფეხურზე. მეტაფორიზაციის დროს ის ვლინ-

დება უფრო მეტი ხარისხით, რადგან მეტაფორიზაცია უკვე შერქმეულის სუბიექტური გადარქმევაა და არ არის ყოველთვის ადვილი დასადგენი მისი საფუძველი. მეტაფორიზაციის როგორც ენობრივი შემოქმედების ინდივიდუალური ხასიათი კარგად ჩანს შემდეგ დიალოგში ნ. დუმბაძის რომანიდან „თეთრი ბაირაღები“:

„– ლიმონას რატომ გეძახიან?

– ლიმონა მეორე სროკზე შემარქვეს, აგარაკზე ნაღველი ჩამექცა და ლიმონივით ყვითელი ვიყავი.

– ყვითელი ნესვიც არის, შე კაცო! – შევედავე მე.

– არა, ცოტა ხასიათიც მჭავე მაქვს! – გამომიტყდა ლიმონა“

(ნ. დუმბაძე, 2005:279).

ამრიგად, ენის პირველადი და მეორადიც კონცეპტუალური სისტემები პირობითია და ყველა ენისათვის თავისებური (იდიომატური). ამასთან, ყველა ენას აქვს უნივერსალური საფუძველი კატეგორიალური კონცეპტების სახით, რომელიც შესაძლებელს ხდის კულტურათშორის კომუნიკაციას. გონის ათი უზოგადესი ცნება (კატეგორია) დაასახელა არისტოტელემ “კატეგორიებში”: არსი (საგანი), რაოდენობა, თვისება, მიმართება, ადგილი, დრო, მდგომარეობა, ფლობა, მოქმედება, განცდა (მოქმედების).

უნივერსალური:	**I კონცეპტუალური სისტემა**	**II კონცეპტუალური სისტემა**
საგანი	პური; წყალი	პური ვჭამეთ; გააწყალე ცული
მოქმედება	მიდის; ზის	საქმე მიდის; იგი ქურდობაზე ზის
ადგილი	აქა; იქ	ყურის ძირში; ცხრა მთას იქით
დრო	მეოცე საუკუნე	შუა საუკუნეები

რაოდენობა	ერთი-ბევრი; ცოტა-უთვალავი	ყელამდე; „მილიონ ტრისტა“
თვისება	ტკბილი; თბილი	ტკბილი ღიმილი; თბილი მიღება
მიმართება	ოქროს თასი	ოქროს ხანა
მდგომარეობა	ღვინო ჭურშია	ჭურში ხარ
განცდა	გულის არეში მტკივა	გული მტკივა ამაზე
ფლობა	ხურჯინი მაქვს	ხურჯინივით ამეკიდა

მეტაფორა ახალი საზრისების შექმნის ფართოდ გავრცელებული ხერხია. მეტაფორული კონცეპტი ყალიბდება პირდაპირი მნიშვნელობით გამოწვეული ასოციაციების საფუძველზე ხშირად საგანზე ან მოვლენაზე არასტანდარტული წარმოდგენის შექმნით. კითხვა, შეიძლება თუ არა მთებმა ირბინონ, აბსურდულად ჟღერს, მაგრამ ყველაფერს განსაზღვრავს პოზიცია, საიდანაც ადამიანი ენობრივად აფასებს რეალურ ვითარებას, არავის ეჩვენება ანორმალურად რუსი პოეტის თ. ტიუტჩევის შემდეგი გამონათქვამი: **„Там, где горы, убегая,/ В светлой тянутся дали** (Ф.Тютчев, 94).

ამიტომ არის მეტაფორა მხატვრული აზროვნების მთავარი ხერხი.

“ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ,/ შუაღამე იწვის, დნება,/ სიო სარკმლით მონაქროლი,/ ველთა ზღაპარს მეუბნება” (გალაკტიონი, 39).

მეტაფორა ადამიანის მცდელობაა თავი დააღწიოს “ენობრივ წრეს”, გამოიყენოს ენა ინდივიდუალურად. კომუნიკაცია ამ შემთხვევაში შეიძლება იმ პირობით, თუკი ადრესატი გამოიცნობს მეტაფორულ სახეს. მხატვრული სახეებით მეტყველებს პოეზია. მეტაფორის გამოყენებით ავტორი ცდილობს უფრო ღრმად ჩაიხედოს საგანთა ბუ-

ნებაში, მაგრამ ამის გაკეთება მას შეუძლია მხოლოდ საკუთარ წარმოდგენებზე დაყრდნობით, რის გამოც სამყაროს მიეწერება ადამიანის ხედვა: **"შუაღამე იწვის, დნება", ჩაიდანი დუღს, ჭაჭა დასალევია, მზესუმზირა იყიდება ჭიქობით და ა.შ.** ამ თვალსაზრისით მეტაფორა ანთროპომეტრიკულია, იგი გვთავაზობს საგანთა მიმართების წმინდა სუბიექტურ ინტერპრეტაციას, რომელიც განსხვავდება მიღებულისაგან. ადამიანი გამოდის „საგანთა საზომის" როლში, რის შედეგადაც სამყარო ემსგავსება ადამიანს, რომელიც მიაწერს მას თავის ატრიბუტებს (ანთროპომორფიზმი): **"სიო მეუბნება" ნამუსი აწუხებს, შიში იპყრობს, მეხსიერება ღალატობს, საქმე მოითხოვს, გული კარნახობს, დრო არ ითმენს весёлые заведения, сумасшедший дом...**

„მზემ მოიკრიფა თავისი სხივები, ჩაიყარა უბეში, შეიხვია კალთაში, მოეფარა მთას და განისვენა...ბინდმა დაჰკრა" (ვაჟა "ბუნების მგოსნები").

„Зима недарам злится
Прошла её пора—
Весна в окно стучится
И гонит со двора" (Ф. Тютчев, 98).

მეტაფორა არ ნიშნავს მხოლოდ პოეზიას. პოეტურ სახეებთან ერთად იგი ქმნის გნოსეოლოგიურ სახეებსაც, ამიტომ დიდი ხანია უკვე იქცა მეცნიერების, პუბლიცისტიკის, პოლიტიკის, ყოფითი ცხოვრების კონცეპტუალური შევსების წყაროდ. კონცეპტუალური მეტაფორების გარეშე მეცნიერება იქნებოდა შეუძლებელი: **ემპირიული ველი, სემანტიკური ველი, განვითარების საფეხურები, საკვანძო საკითხები, კვლევის ჩარჩოები, ზღვრული სიჩქარე, ენის ორგანიზმი, ენის ბუნება, ენის სიცოცხლე, ენის კვდომა, სიტყვის ძირი, წინადადების წევრი, მსჯელობის ხასიათი, თეორიის დაფუძნება, სიცხის აწევა-დაწევა, მთის ქედი,**

მთის კალთა, მთის ძირი, ფასების ზრდა, ზნეობის დაცე-მა...

პუბლიცისტიკაში: ცხოვრების კალაპოტი, პროტეს-ტის ტალღა, სიტუაციის დაძაბვა, სიტუაციის გამწვავება, სიტუაციის განმუხტვა, ქვეყნის უფსკრულში გადაჩეხა, უსამართლობის გაბატონება, მძიმე ტვირთად დაწოლა, ურთიერთობის დალაგება, ურთიერთობის გაწყვეტა, გეგ-მის ჩაშლა, საქმის შეკერვა, კბილებით დაცვა, ფარხმლის (არ)დაყრა, ყურით ფაქტის მოთრევა, პრობლემის გასიგ-რძეგანება, სამშვიდობოს გასვლა, ვინმესთვის ხელის და-ფარება. ხმალდახმალ შეხვედრა, მწარე ჭეშმარიტება, გულნამცეცობა...

ყოფით ცხოვრებაში: პირდაპირი ხასიათი, ნათელი ხსოვნა, თბილი მოგონება, ბნელი საქმე, ცუდად ყურება, კაცის გადარევა, სადმე გაქუსვლა, ვინმეს პირში ჩავარ-დნა, წილში ჩაჯდომა, ეჭვის შეპარვა, ეჭვის შეტანა, ეჭ-ვის გაფანტვა, ცხოვრების მოწყობა, ხალხის მოზღვავება, ხმების დაყრა,შემპარავი ხმა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა...

მეორადი კონცეპტები (პოეტური, გნოსეოლოგიური, შეფასებითი) სამყაროს ანთროპომეტრიკული სურათის ნა-წილებია. მეტაფორული აზროვნება ადამიანის ისეთივე უნიკალური თვისებაა, როგორც მისი უნარი ენობრივი არტიკულაციის წყალობით მოახდინოს სამყაროს კონცეპ-ტუალიზაცია. სამყაროს მენტალური ასახვის ორივე აღ-ნიშნული ფორმა თანაბრად პირობითია, გამონათქვამი **„ძალიან მენატრები“** სინამდვილესთან მიმართების თვალ-საზრისით არ არის უფრო რეალური, ვიდრე, ვაჟას **„შენ-მა სურვილმა დამლია“** (99), ან სიტყვა **„ბინდდება“** იყოს უფრო ნამდვილი გამომხატველი ბუნების შესაფერისი მოვლენის, ვიდრე მეტაფორული **„На небе гаснут облака“** (Ф. Тютчев, 125).

§ 3. მეორადი კოლექტიური ენობრივი შემოქმედება

ყოველი ცნების შინაარსი წარმოადგენს მენტალურ განზოგადებას. „კატეგორიებში“ არისტოტელემ განზოგადების ხარისხით განასხვავა სახეები (მაგალითად,ადამიანი, ცხენი) და გვარები (მაგალითად, „ცოცხალი არსება“) (Аристотель, 1978: 56). ვ. ჰუმბოლდტის თანახმად, განზოგადების ყველა შემთხვევაში ცნება ენობრივია (В. Гумбольдт, 1984 :319).

განყენებული საზრისების (სიკეთე, ბოროტება, პატივისცემა, სასოწარკვეთა, მოწონება, ლაჩრობა, სამართლიანობა, მშვენიერება, სიმახინჯე, სითეთრე, სიმწვანე, ერთგულება და ა. შ.) პირველად ენობრივ გამოხატვასთან ერთად აქვთ მეორადი (არაპირდაპირი, გაშუამავლებული) სიმბოლური გამოხატვაც. ასე, მაგალითად, „სიძლიერეს“: „მამაცობას“ კანონიერებას“ შესაბამისი სიტყვების გარდა გამოხატავს ლომი; „მამრის ძალას“ და „ნაყოფიერებას“ – ხარი;“ ტვირთის, სიმძიმის მორჩილად, ღირსებით ზიდვას“ – აქლემი; „დიდებას“; „სამართლიანობას“, „უფლებამოსილებას“– მზე; „სიცოცხლის წყაროს“, „განწმენდას“, „სულიერ განახლებას“ – წყალი; „თავის შენარჩუნებას“, „უკვდავებას“, „იღბალს“ – ფიჭვი. სიმბოლიზაცია განყენებული საზრისების („ სიკეთე, ” „სიძლიერე,“ „მორჩილება“...) გამოხატვაა კონკრეტული შინაარსებით (ლომი, ხარი, აქლემი..). კონკრეტული შინაარსები სიმბოლოებია ზოგადი იდეების. აბსტრაქტული იდეის კოდირება კონკრეტულ შინაარსში არ შეიძლება იყოს პირდაპირი. სიმბოლო წარმოადგენს მეორად ნომინაციას. ამასთან, კავშირი აბსტრაქტულ და კონკრეტულ შინაარსებს შორის მოტივი-

რებულია. სემანტიკური გადატანის საფუძველი იგივეა, რაც მეტაფორიზაციის დროს – ანალოგია. მაგრამ სიმბოლო არ არის მეტაფორა. შეეადაროთ სამი გამონათქვამი:

1. **„აქლემი უდაბნოში გადაადგილების ყველაზე კარგი საშუალებაა;“**
2. **“მე აქლემი არ ვარ, ყოველდღე ჭამა–სმა მჭირდება;“**
3. **“ხვალ იგივე აქლემი თქვენს კარებთან დაიჩოქებს.“**

პირველ მაგალითში“აქლემი“ პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოყენებული და აღნიშნავს ცხოველს. მეორეში მთქმელი არაპირდაპირ, უარყოფით უდარებს თავს აქლემს, სახელდობრ, აქლემის თვისებას დღეების განმავლობაში წყლისა და საკვების გარეშე უდაბნოს პირობებში სიდოს ტვირთი (იმუშავოს). მესამე მაგალითში მთქმელი ასახელებს აქლემს, მაგრამ გულისხმობს გასაწყენ ჯაფას, სიმძიმეს შესაფერისი განცდებით. „აქლემი“ არ არის ვინმესთან ან რამესთან შედარებული. სიმბოლო კონკრეტული გამომხატველია ზოგადი ცნების. ანალოგიით განპირობებული ნიშანთა სუბსტიტუცია იწვევს ესთეტიკურ განცდას, ანიჭებს გამონათქვამს მხატვრულობას, მეტაფორულთან შედარებით უფრო ღრმა ქვეტექსტს, ასე: მაგალითად, გალაკტიონის უკვე მოყვანილი მეტაფორული იმპრესია :

„ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,

სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება“ (მე და ღამე).

გასაგები ხდება მხოლოდ მასში გამოყენებულ სიმბოლოთა გათვალისწინებით. ცალკე მეტაფორა იქნებოდა საკმარისი და გამართლებული, ლაპარაკი რომ ეხებოდეს შუადღეს: „ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუადღე იწ-

ვის დნება“. რაც შეეხება შუაღამეს, იგი შეიძლება იყოს დახუთული და არა „იწვოდეს“ და „დნებოდეს“ დღესავით, რადგან ამ ორ მდგომარეობას იწვევს მზის მცხუნვარება და არა მთვარის შუქი. მოყვანილ მაგალითში „ღამეს“ აქვს არა პირდაპირი, არამედ სიმბოლური მნიშვნელობა: დასაბამიერი წყვდიადი, ქაოსი, სიკვდილი, რომელიც უპირისპირდება ნათელს. პოეტის მთელ შემოქმედებაში „ღამე“, „საღამო“, უკავშირდება მწუხარებას, სევდას, ასოცირდება სიცოცხლის შთანმთქმელ სტიქიასთან: **„საღამოვ, ვიცი, ბაღში შეხვალ ეკლესიიდან და გაოცების მწუხარებას** მასთან მიიტან“ (***).

„თვალუწვდენელი, შორი , ერცელი, დაუსაბამო,
ჩუმი, მყუდრო და **სევდიანი** იყო **საღამო**“
(თვალუწვდენელი, დაუსაბამო).
„ეხლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანია,
გულში **მწუხარებამ ღამე** გაათია.“
(რომელი საათია?).
„განახლდა გული... დღეს ის აღარ ვარ,
რაც უწინ ვიყავ – ფერი ვიცვალე....
გზა დამიცალე, **შავო ბურუსო,**
წყეულო ღამევ, გზა დამიცალე“
(განახლდა გული).

„შავი ბურუსის“ გაფანტვა, ქაოსის დაძლევა შეუძლია მხოლოდ შემოქმედებას, რომლის ღვთაებრივ ცეცხლში „ შუაღამე იწვის, დნება.“ სიო (აღმაფრენა) ეწვია პოეტს და იგი გვიმხელს თავისი სულის მარტოობის, ღამესთან დარჩენის ტრაგიკულ საიდუმლოებას.

ენას არ მოეპოვება ისეთი სიტყვები, რომელთათვის სიმბოლური მნიშვნელობა არის ერთადერთი ან ძირითადი. სიმბოლოები მეორადი სახელდების შედეგია. სიმბოლური მნიშვნელობა აქვს სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ მცენარეებს, ცხოველებს, ფრინველებს, ბუნებრივ მოვლენებს,

საყოფაცხოვრებო საგნებს, ძვირფას თვლებს, ფერებს, რიცხვებს და სხვას. სიმბოლური სემანტიკა შენიღბულია „ჩვეულებრივი“ სიტყვების დენოტატური მნიშვნელობით. სიტყვაში ჩამალული საზრისების წვდომა პოეტური ნიჭის შემადგენელი ნაწილია. მეტაფორისაგან განსხვავებით სიმბოლოს გამოყენება არ მიეკუთვნება კონკრეტულ ტექსტს ან ერთ რომელიმე სფეროს. სიმბოლო გამოხატავს და განსაზღვრავს ტომის, ერის, კაცობრიობის მიმართებას სინამდვილესთან. მეტაფორის არსებობა ენაში მოითვლის წლებს, სიმბოლოებისა – ეპოქებს. ხელოვნების გარდა სიმბოლოები ატრიბუტია სარწმუნოების, მითოლოგიის, რიტუალის, წეს-ჩვეულების, ეტიკეტის. კულტუროლოგიაში კარგადაა ცნობილი „სიმბოლური საგნები და მოქმედებები“: ჯვარი, პური, ღვინო, ცეცხლი, გველი, მტრედი, მზე (В. Маслова, 2002:102), პასქა, ღვეზელი, შემწვარი თევზი, შეღებილი კვერცხი, ლობიანი; მისალმებისას: ქუდის მოხდა, ხელის აწევა, ფეხზე ადგომა, ღვინით სავსე სასმისების მიჭახუნება და სხვა (Н. Мечковская, 2004:63), მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სიმბოლიზაცია ენის ფუნქციაა. ფიზიკური ობიექტები თავისთავად, ადამიანის გარეშე, არათუ ვერ იქნებიან სიმბოლოები, შეუძლებელი არიან კონკრეტულ საგნებადაც. საგნობრივი გარკვეულობის შემტანი სამყაროში ადამიანია და ახორციელებს ის ამას ენობრივი არტიკულაციის მეშვეობით. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი მეორადი სახელდების ორი ფორმა: მეტაფორიზაცია და სიმბოლიზაცია. რადგან სიმბოლურ ფუნქციას სიტყვა ასრულებს ძირითად ნომინატიურ ფუნქციასთან შეთავსებით (შევადაროთ: წყალი – სითხე და „სიცოცხლის წყარო, სულიერი განახლება;“ ბამბუკი – მცენარე და „სრულყოფილი, ამტანი ადამიანი;“ ძაღლი –შინაური ცხოველი და „ერთგულება , სიფხიზლე“...), სიმბოლოებად აღიქმება შესაბამისი

საგნებიც. ამას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მისტიკა, რომელიც დაუშვებს სიტყვისა და საგნის გაიგივებას, მეორე მხრივ, ენის უუნარობა იყოს მსჯელობის სრულყოფილი საშუალება; მეტყველებაში ფართოდაა დამკვიდრებული გამონათქვამები: **„გაზაფხული მარადიული საწყისის, დაბადების, ახალგაზრდობის სიმბოლოა; მზე სიყვარულის სიმბოლოა; მტრედი მშვიდობის სიმბოლოა,** ნაცვლად სწორისა: **„გაზაფხულის ცნება მარადიული საწყისის, დაბადების, ახალგაზრდობის სიმბოლოა“** ან **„გაზაფხულის სიმბოლო გამოხატავს მარადიულ საწყისს, დაბადებას, ახალგაზრდობას.“** მეცნიერული თვალსაზრისით, ფიზიკური საგანი ვერ იქნება სიმბოლო თავისი კონკრეტულობის გამო. კონკრეტული საგანი ერთეულია, რაც შეუძლებელს ხდის მის ნიშნად გამოყენებას კონვენციით. მოძრაობის აკრძალვის ნიშანია არა ერთი რომელიმე შუქნიშნის კონკრეტული წითელი ფერი, არამედ ყველა შუქნიშნის ყველა წითელი ფერი ანუ წითელი ფერის იდეა. სიმბოლური მნიშვნელობა მიეკუთვნება საგანთა მთელ კლასს და არა კლასის ერთ რომელიმე წევრს. სიმბოლო როგორც საგანთა კლასი არის ცნება, რომელიც ნიშანია მასზე უფრო განყენებული ცნების. არისტოტელეს ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ (საგანი–სახე–გვარი), სიმბოლო სახეა, ხოლო მისი აღსანიშნი, შინაარსით მასზე უფრო განყენებული ცნება, გვარია. ამრიგად, სიმბოლო მიმართულია მენტალური სიერცისკენ და არა ფიზიკური სამყაროსაკენ. საგანთან მას აკავშირებს სიტყვა. ერთი და იგივე ნომინაცია საგანთან მიმართებაში ნიშანია, განყენებულ საზრისთან მიმართებაში სიმბოლოა. ასე, მაგალითად, ხარი შინაური ცხოველია გამორჩეული გამწევი ძალით. უძველესი დროიდან ხარის სიმბოლო გამოხატავდა ძლიერებას და ნაყოფიერებას. ხარის ნახატი მეურნეობის შესასვლელთან ფერმის ნიშანია, მისივე გამოსახულება

სატეირთო მანქანაზე სიმბოლოა ძლიერების და არა ხარის, რადგან სიმბოლო არ არის საგნის ნიშანი. გარეულ ცხოველთა შორის ლომი ძალით ერთ– ერთი პირველია. როგორც პირველობის, უძლიერესობის, ცხოველთა მეფობის გამომხატველი ლომის ცნება სიმბოლოა. სამხეცეში, გალიაზე, ლომის ნახატი ნიშანია, თავად ლომი გალიაში არც სიმბოლოა და არც ნიშანი. მაგრამ გვირგვინით თავზე ლომი სიგარეტის კოლოფზე სიმბოლოა (პირველობის, უკეთესობის, გამორჩეულობის), ისე როგორც სიმბოლოა იგი ქვეყნის გერბზე ან დროშაზე.ადამიანთა სახელები ლათინური წარმოშობის: leon, levan, Turquli Aslan გულისხმობენ ლომის სიმბოლოს (პირველს, მეფეს, ძლიერს) და არა ტყეში ან გალიაში ცხოველს. სიმბოლო ორმხრივ (აღმნიშვნელითაც და აღსანიშნითაც) მენტალური მოვლენაა, მეტყველებაში მისი პირობითი შემცველელია შესაბამისი ნომინაცია. სიმბოლოს ნომინაციის შემცველელი ექსტრალინგვისტურ სინამდვილეში ფიზიკური საგანია. საგნის შემცველელია მისი იკონური გამოსახულება:

სიმბოლო ⇨ სიტყვა ⇨ საგანი ⇨ გამოსახულება.

§ 4. ენა როგორც ეროვნულ ფასეულობათა იერარქია

ადამიანი არა მხოლოდ აღიქვამს და მოიაზრებს გარე სამყაროს, იგი მას განიცდის როგორც გრძნობას. გრძნობა არის სუბიექტის შეფასებითი რეაქცია შეგრძნებაზე,წარმოდგენაზე, თვით ემოციაზე. ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიასა და ლინგვისტიკაში ადამიანის ემოციურ სამყაროსადმი დამოკიდებულებას უკავშირებენ შეფასებას (აქსიოლოგიას). რა აკავშირებს ემოციებსა და შეფასებას და რა მიმართებაშია ორივესთან ენა? ეჰუსერლის შენიშ-

ენაში: „ადამიანის დამოკიდებულება გარემოსადმი არ არის ინდიფერენტული, არამედ აქსიომატურია: მას ზოგი რამ მოსწონს, ზოგი უყვარს, ზოგი სძულს, ზოგი რამის სჯერა, ზოგ რამეს მოჩვენებად რაცხს“ (XX ს.ბ.ფ. 1970: 289) კარგად ჩანს ის, რომ ემოცია (მოწონება, სიყვარული, სიძულვილი) ყველა შემთხვევაში შეფასებაცაა, ხოლო შეფასება შეიძლება არ შეიცავდეს ემოციას (რწმენა, მოჩვენებად მიჩნევა), ამ უკანასკნელ შემთხვევაში ენობრივად იგი გადმოიცემა დესკრიფციით (აღწერით): **„გუნდი თამაშობს კარგად“,“მას ცუდი მეხსიერება აქვს,“ „ხვალ კარგი ამინდი იქნება,“ „იგი იქცევა ცუდად.“** მოყვანილი მაგალითები წარმოადგენენ მთქმელის უშუალო შეფასებებს (შეიცავენ შეფასების პრედიკატს **კარგი/ცუდი**). ეს უკანასკნელი გამონათქვამში შეიძლება მხოლოდ იგულისხმებოდეს:**“ფეხბურთი ჩემი გატაცებაა,“ „მეხსიერება მღალატობს,“ „ხვალ უღრუბლო ამინდია“, „ის ვერ იქცევა.“** ავტორი შეიძლება სულ არ ისახავდეს მიზნად რაიმესთვის შეფასების მიცემას, მაგრამ ნათქვამი მაინც იყოს აქსიოლოგიური; **„აყვავებულა მდელო, აყვავებულან მთები“** (ილია, გაზაფხული, 165);**“ანკარა წყარო მთიდან ეშურებოდა ბარადა“**(ვაჟა, **,178); **„გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...დროშები ჩქარა!“**(გალაკტიონი). ძნელია ქართული პოეზიის ამ მაგალითებში ვერ იგრძნო მათი ავტორების დადებითი მოდალობა. მათგან განსხვავებით უარყოფითია შეფასება გალაგკტიონის შემდეგ სტროფში:

„წაიღებს ხსოვნას ჟამი პირქუში,
გასცდება დღეებს, განაპირდება;
მარტოდენ ჭოტი მუხის ძველ ღრუში
დაისადგურებს და ატირდება“(მუხა, 29).

ვიდრე განვიხილავდეთ აქსიოლოგიის ენობრივ მექანიზმს, კერძოდ, იმას, თუ როგორ ხერხდება შეფასების მიცემა შესაბამისი პრედიკატის გამოუყენებლად. ხაზი

უნდა გაეუსვათ იმას, რომ შეფასება არის იმაზე მეტი, ვიდრე ენობრივი ფორმა; იგი კომუნიკაციის განუყოფელი კომპონენტია, რადგან არის მოლაპარაკე ადამიანის გონის უნარის გამოვლინება. რატომ აფასებს ადამიანი სინამდვილეს? დაბადების პირველივე მომენტიდან ადამიანი აღიქვამს ინფორმაციას სამყაროს შესახებ, რომელიც შემოდის ტვინში გრძნობათა ორგანოების მეშვეობით. ადამიანისაკენ მიმართული საინფორმაციო ნაკადი სენსორულად ნაირგვარია, ხოლო ორგანიზაციულად მოუწესრიგებელი (ქაოსური). იგი შედგება სხვადასხვა ბგერის, ფერის, სუნის, სითბოს ან სიცივის, ტკივილის ან კონფორტის შეგრძნებისა და აგრეთვე სიტყვებისაგან. ვ. ჰუმბოლდტის თანახმად, ადამიანს თანდაყოლილი აქვს ენისა და აზროვნების ბუნებრივი ინსტინქტი. გარედან შემოსული ინფორმაციის აღნიშნულ ინსტინქტთან შეხვედრის შედეგად ინფორმაცია იწყებს მოწესრიგებას, ხოლო ენისა და აზროვნების ინსტინქტი ჩამოყალიბება–განვითარებას (В Гумбольдт, 1984:319). სიცოცხლის პირველივე საათებიდან ადამიანის „აღქმის კონვეირი“ ახარისხებს მიღებულ ინფორმაციას სიამოვნებისა და უსიამოვნების მიხედვით დადებითი და უარყოფითი შეფასებით. პირველ ეტაპზე შეფასების ფსიქიკური მექანიზმის მოქმედების ფარგლები ჯერ კიდევ მცირეა, ადამიანში შემოსული ინფორმაციის უზარმაზარი ნაწილი რჩება შეუფასებელი, მაგრამ დღითიდღე ბავშვი, რეაგირებს გამღიზიანებელთა უფრო მზარდ რაოდენობაზე, დადებითი და უარყოფითი შეფასება ეძლევა ახალ საგნებსა და მოვლენებს:

საწოვარა, სათამაშო, ნათურას შუქი, მზის სხივი, დედის ხმა, შეხება, სიმღერა. მეორე ეტაპზე ისახება მეტყველების უნარი და ახლობლებისაგან გაგონილი პირველივე ბგერათკომპლექსები ბავშვის მიერ შეფასდებიან შეგრძნების მიხედვით. ბგერათკომპლექსები „დედა“ , „მა-

მა“, „ბაბუ“, „ბებო“, როგორც წესი, დადებითად, „ჭამე“, „იძინე“, „წამალი“, „ნემსი“–უარყოფითად. ბავშვის ზრდასთან ერთად მატულობს შეფასებულ საგანთა რაოდენობაც. დადებითია: საზამთრო, ბალი, ბანანი, ნამცხვარი, შოკოლადი, ნაყინი, ხაჭაპური და სხვა, უარყოფითია: ქაში, კარაქიანი პური... . ამ დროს ბავშვის ლექსიკური მარაგი აქტიურად ივსება ახალ–ახალი სიტყვებით და მეორე სასიგნალო სისტემის ნიშნებიც პირველი სასიგნალო ნიშნების მსგავსად იძენენ შესაბამის დადებით და უარყოფით შეფასებას. სიტყვები: „ქაში“, „კარაქი“, „კაშნე,“ გამონათქვამები: „კარაქიანი პური“, „ბოლომდე შეჭამე“, „თბილად ჩაიცვი“, „შინ იყავი“, „შემოდი შინ“, „სუფთა ხელები“, „ისწავლე გაკვეთილები“, „უნდა დამიჯერო“, პატარებში იწვევენ ჩვეულებრივ მოწყენას, ხოლო „კომპოტი“, „საზამთრო“, „გუნდაობა“, „ზღვაზე წასვლა“, „ხვალ ვისვენებთ“– გახალისებას. საგნის (მოვლენის) შეფასება გადადის სიტყვაზე. ამის გათვალისწინებით სიტყვები შეიძლება დავანაწილოთ სულ ცოტა სამ ჯგუფად: დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი. ორ ჯგუფად იყოფიან ზღაპრებისა და ნახატი ფილმების პერსონაჟებიც, დადებითია: ცეროდენა, ნაცარქექია, კონკია, ფიფქია, თოვლის ბაბუა, წითელქუდა, ბურატინო, ჩიპოლინო, კარლსონი, ვინიპუხი... უარყოფითია: დევი, გველეშაპი, მგელი, მელია დედინაცვალი. მოყვანილ მაგალითებში კარგი არის ის, რაც იწვევს შემფასებელში სიამოვნებას, ხოლო ცუდი – არასასიამოვნო განცდას. მაგრამ კარგისა და ცუდის დაყვანა სიამოვნება – არასიამოვნებაზე ვერ იძლევა საშუალებას ჩამოვაყალიბოთ მოძღვრება ზნეობაზე – ეთიკა, რადგან ის, რაც ერთისთვის სასიამოვნოა, სხვისთვის შეიძლება არ იყოს ასეთი და, პირიქით. ჩუქება, წართმევა, დახმარება, შრომა, ლოთობა, სწავლა სხვადასხვა ადამიანში იწვევს არაეროგვარ გრძნობა–შეფასებას. სიამოვნე-

ბა, როგორც გრძნობა, სუბიექტურია და ცვალებადი: ვის რა და როდის სიამოვნებს. ყველა გაიზიარებს გალაკტიონის განცდას: **„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები“**? მეორე მხრივ, სასიამოვნო არ ნიშნავს სიცოცხლისათვის სასარგებლოს: მწარე წამალი არასასიამოვნოა, მაგრამ ხელს უწყობს სიცოცხლის შენარჩუნებას. ამაზეს ჩაგვაგონებენ დ. გურამიშვილის და ა. სუვოროვის სიტყვებიც: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“, „ძნელია წვრთნაში, ადვილია ბრძოლაში“.

მეფე სოლომონმა უწინარეს ყოვლისა ისურვა მას ჰქონოდა გონიერი გული, რათა სიკეთე ბოროტებისაგან გაერჩია (Разум сердца, 1989: 9). ბრძენი მეფის არჩევანი განპირობებული იყო არა სიამოვნების მიღების, არამედ თავის გაძლიერების სურვილით. ცოცხალ არსებათაგან ადამიანი ერთადერთია, ვისაც გონის წყალობით შეგნებული აქვს საკუთარი სიცოცხლის აღსასრული და აქედან ისიც, რომ ამქვეყნად სიცოცხლე ყველაფრის აუცილებელი წინაპირობაა. ამგვარად, ადამიანს გაცნობიერებული აქვს არსებობის მთავარი ღირებულება, რაც საფუძველია შეფასების კიდევ ერთი ინტელექტუალური მექანიზმის ჩამოყალიბება–ფუნქციონირების: ღირებულია ის, რაც სხვადასხვა ხარისხით ხელს უწყობს მთავარი ღირებულების–სიცოცხლის შენარჩუნებას. „თამაში , რომლის არსია სიცოცხლე, ევოლუციის მთავარი თამაშია“ (ვ. ლევი, 1985: 26). ადამიანის სიცოცხლისაკენ სწრაფვა განსაზღვრავს მის მიერ შესრულებულ ყველა თამაშს.

ზემნიშვნელოვანი: საკუთარი, ახლობლების, სხვების } სიცოცხლე; სინდისთან თანხმობა; ჯანმრთელობა

ძალიან მნიშვნელოვანი:	თვითშეფასება ძალაუფლება გამარჯვება ავტორიტეტი
მნიშვნელოვანი:	სხვებისთვის საჭიროება ცოდნა–განათლება
ნაკლებმნიშვნელოვანი:	თანამდებობა კვების რეჟიმი
უმნიშვნელო:	პოლიტიკური ცხოვრება სხვებზე ზრუნვა საცხოვრებელი ადგილი ფიზიკური ვარჯიში მოგზაურობა
არამნიშვნელოვანი:	ტოტალიზატორი

მოყვანილი ფასეულობათა იერარქია სხვადასხვა ადამიანში იღებს ინდივიდუალურ სახეს. ადამიანის ბუნება ვლინდება მისი დამოკიდებულებით ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან. სიყვარულის დროს ადამიანი სხვის სიცოცხლეს საკუთარივით ექცევა ან უფრო მაღლა აყენებს, ხოლო თუ ადამიანისთვის მთავარი ღირებულება სულიერი იდეალებია,საქმე გვაქვს წმინდანობასთან.

იმ შემთხვევაშიც, როდესაც სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს ადამიანი აფასებს საკუთარი სიცოცხლისათვის მათი საჭიროებით, ისინი პოულობენ განსხვავებულ შეფასებებს სხვადასხვა სიტუაციაში.წყალდიდობის დროს სახურავზე ასული ადამიანისთვის „წყალი“ სხვა

ღირებულებისაა და ემოციის გამომწვევი, ვიდრე უდაბნოში გზააბნეული და სიცხით გათანგულისთვის. გამოდის, რომ თავისთავად საგანი (ჩვენ შემთხვევაში წყალი) არც კარგია და არც ცუდი, ღირებულებას მას ანიჭებს ადამიანი კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში (Б. Спиноза, 1957: 544). მაგრამ ხომ კარგია ყველა შემთხვევაში: სიყვარული, გმირი, სილამაზე, ჭკუა, ყოჩაღი, გამარჯვება, გენიოსი და, პირიქით, ცალმხრივად ცუდია: ავადმყოფობა, წარუმატებლობა, სილაჩრე, მოტყუება, გინება, გაჭირვება, ტრაბახი და სხვა? პასუხი დასმულ კითხვაზე მდგომარეობს იმაში, რომ არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში სინამდვილე და ენა. თავის თავად აღებული საგნები და მოვლენები არც კარგია, არც ცუდი. სულ სხვაა სიტყვები, სემანტიკური ველები, რომელთა წევრებიც ისინი არიან, ქმნიან ენის ფასეულობათა იერარქიას. ამიტომ სემანტიკური ველის ყოველი წევრი (სიტყვა) ხასიათდება ფასეულობით, რომელიც ცალმხრივად დადებითია ან უარყოფითი. სემიოტიკური სისტემის აგების დუალური (ბინარული) გაყოფის პრინციპი გამორიცხავს შეფასებათა აღრევას. ამიტომ სიყვარული როგორც ცნება მხოლოდ კარგია, სიყვარული როგორც სინამდვილის მოვლენა შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. ოტელოს რომ უყვარდა, იმიტომ დაახრჩო დეზდემონა. თუ ავად გახდომის ან შიშის გამო ბოროტმზრახველმა ვერ ჩაიდინა დანაშაული, ავადმყოფობა და სილაჩრე ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს დადებითად, თუმცა, როგორც ცნებები, ისინი ცალმხრივად უარყოფითია. ჭკუა, როგორც ცნება, კარგია, მაგრამ ბოროტმოქმედის ჭკუა ცუდია. ფასეულობათა იერარქიას წარმოადგენს ენა და არა ფიზიკური სინამდვილე. ენა მისი გამომყენებელი უამრავი ადამიანის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე, ყველაზე ტიპური სიტუაციების გამოყოფით ადგენს თითოეული ცნების ღირებულე-

ბას. მაგრამ სინამდვილე ყოველთვის აღემატება მის აღმწერ სემიოტიკურ სისტემას.

შეფასების სიტყვები **„კარგი – ცუდი“** შესაბამისი სინონიმური რიგების წევრებია:

კარგი, გვარიანი, შემდეგი ასოციაციით: საუკეთესო, შეუდარებელი, უნაკლო, უზადო, უმწიკვლო, წუნდაუდებელი, უძრახველი, სრულქმნილი, სრულყოფილი, სრული, უზიანო, უყვედრებელი, სანიმუშო, სამაგალითო, წარჩინებული, გამორჩეული, უმშვენიერესი, მზეთუნახავი, არაჩვეულებრივი დიდებული, უცხო, საუცხოო,იშვიათი; ცუდი, უვარგისი, მდარე, გლახა... . ჩამოთვლილი სიტყვებისთვის შეფასება ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობაა. უფრო ხშირია შემთხვევები, როცა იგი გადმოიცემა სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ძირითადი მნიშვნელობის ფონზე. დადებითი: მშვენიერი, ბრწყინვალე, დაუჯერებელი, გადასარევი, სასწაული, სასწაულებრივი, ერთადერთი, უნიკალური, თავბრუდამხვევი, რჩეული, გამოჩენილი, მომხიბვლელი, დიადი, ძლიერი, მაგარი, ძვირფასი... **უარყოფითი:** უშნო, უგვანო, უსახური, საძაგელი, აუგი, უხეირო, უხამსი, სუსტი.

დასახელებულ სიტყვებთან ახლოს არიან სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ შეფასებით მნიშვნელობას როგორც დამატებით სუბიექტურ (მოდალურ) მნიშვნელობას, **დადებითი:** ლამაზი, კოხტა, ტურფა, თვალადი, ნატიფი, მწყაზარი, სათნო, კეთილშობილი, მიმზიდველი, პატივცემული, ღირსეული, ძლევამოსილი, წესიერი, უშურველი, გამარჯვებული, მართალი, სამართლიანი, ჩემპიონი,ლაურეატი, თავაზიანი, ზრდილობიანი, მადლი, მადლიანი,მადლიერი, წმინდა,უმანკო, უანგარო, უბიწო, შეურყვნელი, ოქრო, ვერცხლი...

უარყოფითი: უსახური, მახინჯი, ბინძური, უხეში, უზრდელი, ტლანქი, მოუქნელი, ხარმაცი, უსამარ-

თლო,მტყუანი, ჩამორჩენილ;ი, დამარცხებული, უმადური, გარყვნილი, მოუთლელი, უტაქტო.

შეფასება შეიძლება ეფუძნებოდეს სიამოვნებას, დადებითია:მომწონს, მსიამოვნებს, თვალში მომდის, თვალში მრჩება, გულში ჩამივარდა, მეამება, მატკბობს, თვალი დაეადგი, გულს ესა– ლბუნება;თვალადი, მიმზიდველი, საამო, სიხარული, საბედნიეროდ, სახალისო, სასაცილო, ნათელი, ღიმილი, აღტაცება, აღფრთოვანება, კეთილგანწყობა; უარყოფითი: შიში, გაბრაზება, ტანჯვა, ჯავრი, გაფიცხება,სასოწარკვეთილება, დარდი, სევდა, ნაღველი, გაშმაგება, გადარევა, გაგულისება, გაწყრომა, მოწყენა, უგემური, საწყალი.

აქსიოლოგია, რომელიც განპირობებულია სიცოცხლეზე ზრუნვით, დადებითი: ჯანსაღი, სასიცოცხლო, მარგებელი, სასარგებლო, განმკურნებელი, ძალის მომცემი, სითბო, სახლ-კარი, საჭმელი,სუფთა ჰაერი, მშვიდობა, დამამშვიდებელი, დაწყნარება, მოძრაობა, მეგობარი, მეგობრული, უზრუნველყოფილი, უდარდელი, მშრომელი, გამკეთებელი, ძლიერი, შემძლე, მოქნილი, ამტანი, გამოცდილი, უშიშარი, შეუპოვარი, ლომგული...

უარყოფითი: ლოთი: უგუნური, უცოდინარი, გამოუცდელი, ბოროტი, ხარბი, მომაკედინებელი, უღონო, უსიცოცხლი, უბედო, უბედური, ცოცხალ–მკვდარი, ავადმყოფი, განუვითარებელი, უბირი, უმეცარი, გაუნათლებელი, ბედოვლათი, ბედშეკრული,ბეჩავი, უპატრონო, მოუვლელი,ოხერ–ტიალი,ვერანი, მიგდებული, მიტოვებული, უძლური, უილაჯო, გასაჟაოებული, უსუსური, ღონემიხდილი, სუსტი, გადაღლილი, უნიათო, უღიმღამო, ჯანგატეხილი, მოტეხილი, დასუსტებული, ყაჩაღი, თაღლითი, მატყუარა, ფლიდი, ვერაგი, წამრთმევი, რბევა, აწიოკება... ადამიანს, როგორც წესი, სურს ის, რაც მას სიამოვნებს ან მარგებელია სიცოცხლისთვის, ამიტომ შეფასების შემცვე-

ლია ზმნები: მსურს, მინდა, ვცდილობ, მიზნად ვისახავ, ვნატრობ, ვიმედოვნებ, იმედს ვამყარებ და მათი უარყოფითი ფორმები. დადებით შეფასებას იძენს ისიც, რაც ადამიანს სურს, უნდა, და პირიქით:

„ჩვენ **მზე** გვსურს... ხალხო, შეერთდით“

(გალაკტიონი,18).

„ნეტა **ჩიტი** ვიყო, ჩიტუნია პატარა“ (აკაკი,128).

„მინდა , რომ ჩემსა სატრფოსა

ვხედავდე **თავისუფალსა**“ (სურვილი, 141).

„ყველასათვის **კარგი** მსურს“(აკაკი, 66).

„კიდევ ველირსე **გაზაფხულს**“(ვაჟა, 143).

„არ მინდა თავს **ლეშად** ვგრძნობდე“(ვაჟა, 173).

ანორმალურია: მსურს თავისთვის ცუდი (ავადმყოფობა, სირცხვილი, დაღუპვა, უიღბლობა.....). ამგვარი სიტყვახმარება გაგებისთვის საჭიროებს უფრო ფართო კონტექსტის გათვალისწინებას. დადებითია დალოცვის ობიექტი და ის, რაც მას უსურვებენ:

„ ღმერთმა **გვიცოცხლოს ის კაცი,**

ვინც ქართლის შვილებს სწყალობსო“ (ვაჟა,50).

გაკიცხვის, ლანძღვა–გინების, წყევლის შემთხვევაში თავს იყრიან უარყოფითი შეფასების სიტყვები: **„ვაი, შეგირცხვეს კაცობა, მკვეხარავ, გულით ჯაბანო“** (ვაჟა,50).

მხატვრული ტექსტი, განსაკუთრებით პოეტური, გამოირჩევა ექსპრესიით (გამოსახვის გამოკვეთილობით) და ემოციურობით. ლექსის ექსპრესიულობა განპირობებულია რიტმით და ბგერათა ორგანიზაციით, ხოლო ემოციურობა –სამყაროს სურათისადმი შეფასებითი დამოკიდებულებით. შეფასებითია ყოველგვარი შედარება: **„ხელოვნება მარგალიტს ჰგავს’ ’**(გალაკტიონი, 16), **„სიცოცხლემ შხამი მასმია, მე კახურ ღვინოდ შევირგე“**(ვაჟა,170).

სუბიექტურია და ემოციური ეპითეტი, რომელიც გამოხატავს ავტორის შეფასებას ხშირად **უნიკალურს: „ყელმოღერებული ია“** (ვაჟა, 180), **„სამშობლო–დედინაცვალო“** (აკაკი,143), **„ჩემი სიმღერა ქვითინი იყო“**(გალაკტიონი, 80).

ემოციურია თავისი რაობით და ამიტომ აქსიოლოგიურიც საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენამდე მოღწეული სიმბოლოები, დადებითია: კამეჩი, ხარი, გაზაფხული, წიგნი, არწივი, არყის ხე, აქლემი...

უარყოფითია: მგელი, ყვავი, ყორანი, აფთარი, ბუ, ტირიფი, ვირთხა, მელია, ვერხვი...

„გზა გავიარე.... მსურს მოვიხედო
და დავინახო მთისა ქედები;
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:
ნუ იხედები.... ნუ იხედები!“(გალაკტიონი, 25).

გალაკტიონის ამ ლექსში უარყოფითი აქსიოლოგია აქვს სიმბოლოს „ყორანი“ და მის ატრიბუტსაც „მომჩხავის“.

მ. ბახტინის თანახმად, „ყოველი სიტყვა არა მხოლოდ აღნიშნავს საგანს, არამედ გამოხატავს გარკვეულ ემოციურ რეაქციას საგანზე ‘’(М .Бахтин, 1986:10).

ამრიგად, ყოველი სიტყვა და არა მხოლოდ ემოციის გამომხატველი (ემოტივი) დაკავშირებულია შეფასებასთან. ამიტომ სხვადასხვა ეთნოკულტურაში შეფასებითი რეაქცია ერთსა და იმავე საგანზე შეიძლება იყოს განსხვავებული, რაც წარმოქმნის გაუგებრობას უცხო კულტურის ტექსტის ემოციური შეფასებისას. მოლა ნასრედინზე ანეკდოტებში გვხვდება ტიპური სიტუაცია: ნასრედინი ეპატიჟება შინ სტუმარს, მაგალითად, ფადიშაჰს, უმასპინძლდება მას ჩაითა და ფლავით. ღრმად ნასიამოვნები ფადიშაჰი დიდხანს უხდის გულითად მადლობას ნასრედინს. ხდომილება გასაგებია – გამასპინძლება, საგ-

ნებიც კარგად ნაცნობია, ემოციური ფონი კი ცოტა არ იყოს უცხოა. თურქულ კულტურაში ჩაი არ არის მხოლოდ გასტრონომიული პროდუქტი, იგი რიტუალის ელემენტია, ანუ მას აქვს სემიოტიკური დატვირთვა: იგი ყურადღების, კეთილგანწყობის, პატივისცემის ნიშანია და, პირიქით, თურქებს უჭირთ შეუერთდნენ ქართული სუფრის ემოციურ განწყობას, რადგან ღვინო მათთვის მხოლოდ გასტრონომიული პროდუქტია, ანუ მას განსხვავებული კულტურული ღირებულება და, აქედან გამომდინარე, სხვა დანიშნულებაც აქვს. საქართველო მდიდარია ხეხილით, მათგან ვაშლი, ატამი, ციტრუსი და სხვა წარმოადგენს ინდივიდუალურ ღირებულებას, ხოლო ვაზი – ეროვნულს, იგი გამოსახულია საქართველოს გერბზე. არ არის შემთხვევითი ის, რომ რეზო ჩხეიძის ცნობილ ფილმში – „ჯარისკაცის მამა“ გერმანიაში ბრძოლებით ჩასული ქართველი კაცი ომის ქარცეცხლში ტანკის მუხლუხებისგან დაიცავს სწორედ ვაზს და არა სხვა რომელიმე კულტურას. ქართულ ცნობიერებაში ვაზი სიცოცხლის სიმბოლოა.

ლექსში „მთაწმინდის მთვარე“ გალაკტიონი აღწერს რა მთაწმინდის სილამაზეს დასძენს: **„ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული“** (გალაკტიონი, 64). აქსიოლოგიური თვალსაზრისით, ბარათაშვილი ერის სიამაყეა, რომელიც ღირებულებას მატებს მთაწმინდას. მაგრამ ტექსტის ეს ადგილი გასაგები იქნება მხოლოდ იმათთვის, ვინც იცის, ვინ არის ნ.ბარათაშვილი. ენა შემოავლებს რა წრეს იმ ხალხის ირგვლივ, რომელსაც მიეკუთვნება (ვჰუმბოლდტი), სამყაროს კონცეპტუალურ ხედვასთან ერთად გეთავაზობს ენობრივ (=ეროვნულ) ფასეულობათა იერარქიასაც. საკუთარი ფასეულობების გარეშე შეუძლებელია ერის სწრაფვა წმინდა იდეალებისკენ: ეროვნულ ფასეულობათა იერარქია უყალიბებს სუბიექტს ინდივიდუ-

ალურ ფასეულობებს. ადამიანთა სახელები, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვის ეროვნულ და საკაცობრიო კულტურაში–პრეცედენტული სახელები დადებითი აქსიოლოგიის მატარებელია ეროვნულ ფასეულობათა იერარქიაში, მაგრამ ამ სახელების მატარებელთა ღვაწლის შეფასება დამოკიდებულია ინდივიდუალურ ხედვაზე. შევადაროთ ი.ჭაიჭავაძის ამაგის სამი ინდივიდუალური შეფასება:

„წიწამურში რომ მოჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“
(გალაკტიონი 183).

„გაშრა ცრემლი მწუხარების,
„ბევრი იბრძოლე, ბევრი იდავე,
აწმყოდ იქცა მომავალი,
გეწვოდა სული და ბრგე სხეული
დავინახეთ შენი მხრები,
მშობელი მიწის ზე ამზიდავი
დევკაცური შენი კვალი.“
ზედვე დაეცი ტვინდანთხეული.“
(გ.ლეონიძე, ილიას სურათზე,311).
(კ.ჭიჭინაძე, ილიასადმი, 374).

საქართველოში ცნობილია მრავალი გვარის ილია, ვაჟა, გალაკტიონი, აკაკი, რომელთა მიმართ მისაღებია დადებითი ან უარყოფითი შეფასება. მაგრამ გვარის გარეშე **ილია** ერთია – დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ისე როგორც ერთია **გალაკტიონი, ვაჟა, აკაკი**. ერის მიერ საკუთარი სახელის ინდივიდუალიზაცია (ერთი ადამიანისათვის მიკუთვნება) მისი პატრონის ნამოღვაწარის ეროვნულ ღირებულებად აღიარების ენობრივი აქტია. ინდივიდუალიზებულ საკუთარ სახელებს პრეცედენტული სახელები ჰქვია. ამა თუ იმ მკითხველს შეიძ-

ლება უფრო მოსწონდეს სხვა ავტორის, მაგალითად, ვაჟას ლექსები, რაც იქნება ამ მკითხველის ინდივიდუალური შეფასების გამოვლენა. მაგრამ ილიას ღვაწლის დაუფასებლობის შემთხვევაში ამის ჩამდენი უგულებელყოფს ეროვნულ სიწმიდეს (ფასეულობას) და თავს დააყენებს ქართული ცნობიერების გარეთ. ილია, აკაკი, ვაჟა არამხოლოდ მხატვრული სიტყვის დიდოსტატებია, „ილია, აკაკი, ვაჟა," ქართული კაზმული სიტყვიერების სიმბოლოა. ინდივიდუალიზაცია და სიმბოლიზაცია ენობრივი აქსიოლოგიის ხერხებია. თუ დადებითად შეფასების დროს ენა ცდილობს მაქსიმალურად გამოყოს მოწონების, აღიარების ობიექტი, უარყოფითად შეფასებისას შეინიშნება პირუკუ ტენდენცია, შეადარეთ: შადიმანები, ბერბიჭაშვილები, ჩინგისხანები, ჯელალედინები. აღა-მაჰმადხანი პერსონაა, აღა–მაჰმადხანები – საქართველოს მტრის სიმბოლოა. რუსულ ენობრივ ცნობიერებაში ინდივიდუალიზდებიან გვარები და არა სახელები, სერგეი, ლევ, ალექსანდრ მრავალი ადამიანის სახელებია, მაგრამ **პუშკინი, ტოლსტოი, ესენინი** პრეცედენტული (ინდივიდუალიზებული) გვარებია. ყოველ ენაში შეფასება გამოიხატება სინონიმთა რიგის შესაფერისი წევრის შერჩევითაც, მაგალითად: მობრძანება–მოთრევა–მოჩანჩალება; მიცემა–ბოძება–მირთმევა–მიშავება–მიგდება –მიოხრება; დამთავრება–დაგვირგვინება–დასრულება–ბოლოს მოღება.

ძირითადი ცნებები

კონცეპტუალური გამოყოფა; შემეცნება; შედარება, მეტაფორა; სიმბოლო; ღირებულება; აღქმა; გაცნობიერება; სამყაროს სურათი; კულტურა.

საჭირო ტერმინები

კონცეპტუალიზაცია – კონცეპტებად (ცნებებად) გადაქცევა;

მეტაფორიზაცია – მეტაფორებად გადაქცევა;

სიმბოლიზაცია – სიმბოლოებად გადაქცევა;

აქსიოლოგიზაცია – ღირებულებად გადაქცევა;

არტეფაქტი – კულტურის ფაქტი;

იმპრესია – ფრანგ. Impression „შთაბეჭდილება“;

ანთროპომეტრიკული – ადამიანის ხედვით შეფასებული, ადამიანისეული;

ანთროპომორფული – ადამიანს დამსგავსებული;

ინდიფერენტული – არაშეფასებითი, გულგრილი;

ემოტივი – ემოციის გამომხატველი სიტყვა.

საკონტროლო კითხვები

1. რას გულისხმობს ქართული სიტყვა „განსაზღვრა?“

2. რას საჭიროებს ბერძენთა დაკვირვებით შემეცნება?

3. რა განსხვავებაა საგანთა აღქმასა და მათ გაცნობიერებას შორის?

4. რა ფაქტორმა განაპირობა დარგთაშორისი მეცნიერებების ჩამოყალიბება?

5. რატომ არ არის ენა ადამიანისთვის მხოლოდ ურთიერთობის საშუალება?

6. მონაწილეობს თუ არა ენა მხატვრის შემოქმედებაში, როცა ის სანაპიროზე მარტო მდუმარედ ხატავს ზღვას?

7. ენა ადამიანის საშუალება-იარაღია თუ მისი ბუნების ნაწილია?

8. რატომ იყო ანტიკურ პერიოდში გრამატიკა მიჩნეული ლოგიკის ნაწილად?

9. ვჰუმბოლდტის რომელი დებულების გაგრძელებას წარმოადგენს მ. ჰაიდეგერის აზრი: „ენა ყოფიერების სახლია“?

10. არსებობს თუ არა ადამიანისთვის არაენობრივი სამყარო?

11. შესაძლებელია თუ არა ენობრივ სამყაროში ადამიანისთვის არსებობდეს აბსოლუტურად უცნობი რამ?

12. რა სიტყვებით შეიძლება გამოიხატოს ადამიანის მიმართება სამყაროსთან?

13. რა არის კულტურა?

14. რატომ არის ქვებით მოწყობილი ბილიკი არტეფაქტი?

15. შესაძლებელია თუ არა არტეფაქტი ენობრივი შემოქმედების გარეშე?

16. რატომ არის კულტურა ამოკითხვადი?

17. როგორ განსაზღვრავს ენა კულტურის ეროვნულ ხასიათს?

18. რატომ არის მეტაფორიზაცია ენობრივი შემოქმედების მეორადი სუბიექტური ფორმა?

19. რატომ არ მიანიჭა არისტოტელემ მეტაფორას ისეთივე ღირებულება, როგორიც მიანიჭა მსჯელობას?

20. რა მიზანს ემსახურება სუბიექტური იმპრესია?

21. რა როლი ეთმობა კომუნიკაციის პროცესში არისტოტელეს 10 უზოგადეს ცნებას „კატეგორიებიდან“?

22. გულისხმობს თუ არა მეტაფორა მხოლოდ პოეზიას?

23. რატომ არის სიმბოლო მეორადი კოლექტიური ენობრივი შემოქმედების შედეგი?

24. მოეპოვება თუ არა ენას სიმბოლოთა გადმოსაცემად საგანგებო სიტყვები?

25. არის თუ არა შესაძლებელი „სიმბოლური“ საგნები და მოქმედება ენობრივი შემოქმედების გარეშე?

26. არის თუ არა სიმბოლო საგნის ნიშანი?

27. რატომ არის სიმბოლო წმინდა მენტალური ფენომენი?

28. რის მეშვეობით ყალიბდება და არსებობს ეროვნულ ფასეულობათა იერარქია?

29. რა მიმართებაშია ერთმანეთთან ემოცია და შეფასება?

30. როგორ გავიგოთ მ. ბახტინის სიტყვები: „ემოციას გამოხატავს ყოველი სიტყვა“?

31. გამორიცხავენ თუ არა ეროვნული ღირებულებები პიროვნების ინდივიდუალურ ღირებულებებს?

დავალება

გამოყავით: 1. მეტაფორები, 2. სიმბოლოები, 3. ენობრივი იმპრესიის და 4. შეფასების შემთხვევები, 5. პრეცედენტული სახელები

1. „დაღამდა... წერილნი ვარსკვლავნი
აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა“ (ვაჟა, 30).
2. „ცეკვაეს ქალების დასი-
მთვრალი მუსიკის ჟინით“ (გალაკტიონი, 346).
3. „ბათუმი – თბილისი ასთმიანი ბერიკაციევით ყოველ ნაბიჯზე ჩერდება“ (ნ. დუმბაძე, 126).
4. „დღეს მერცხალი შემოფრინდა

ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა“ (აკაკი, 150).

5 „კიდეეაც ვნახავ გაზაფხულს
ყელმოღერებულ იასა
სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველს
იმის სიტურფეს ღვთიანსა“ (ვაჟა, 69).

6. „გაზაფხულისა გაჰქრა შვენება
და მიეფარა ნისლს სიზმარეულს“ (გალაკტიონი, 347).

7. „რამდენი ხანია, გაზაფხული დადგა, რამდენი ხანია, მერცხლები მოფრინდნენ, მაგრამ ციხეს გაზაფხული არ ეკარება... მზე ციხეში იშვიათად იხედება... მერცხლები ციხეზე ბუდეს არ იშენებენ“ (ნ. დუმბაძე, 243-244).

8. „მერე მე ისევ გამომეცხადა უზარმაზარი თბილი მზე. იმ დღეს იგი იმხელა იყო, ჩვენი საკნის ფანჯარაში ვერ შემოეტია, მაშინ მზემ სხივი გამომიწოდა ხელივით, ფრთხილად მომხვია მხრებზე, ნარიდან წამომაყენა და თან გამიყოლა... (ნ. დუმბაძე, 282).

9. „მაშინ საყდრის ორთავე კარი გაიღო და შიგნიდან მზე მარიამი გამობრძანდა პატარა ბავშვით ხელში. „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“,– გაიფიქრა ბაჩანამ და მუხლებზე დაეშვა... (ნ. დუმბაძე, 419).

10. „შვიდი დღე და შვიდი ღამე მიაბიჯებდა ბაჩანა მზით დამწვარ უდაბნოში. პირველი ორი დღე ფეხით იარა, შემდეგ მუხლებით იხოხა, მეხუთე დღემდე, დანარჩენი ორი დღე კი მუცელზე იფოფხა. და როდესაც დაუძლურებული, ტუჩებდამსკდარი და გამოფიტული დაემხო ყვითელ სილაში სახით, იგრძნო სიკვდილის მოახლოება, გულაღმა გადმოტრიალდა ჩამქრალი თვალებით, ახედა ულმობელ მზეს და მის სიცოცხლეში პირველად უთხრა საყვედური

– რაისთვის გამიმეტე ასე?!– და უცებ ადამიანის სხეული აეფარა მზეს და მისი ჩრდილი დაეცა სახეზე ბაჩანას

– ვინ ხარ შენ? — ჰკითხა ბაჩანამ. პირხმელ, ცისფერთვალება მასსავით ფეხშიშველ ახალგაზრდას თვალებში შეხედა. იგი ვერ მიხვდა, მზე იდგა ახალგაზრდის უკან თუ ნათელი ადგა თავზე.

– მე ვარ უფალი შენი და ღმერთი შენი! – უპასუხა ახალგაზრდამ."

(ნ. დუმბაძე, 455).

11. „სად მიდიხარ შენ, ჩემი სოფლის შარაგზაო, და საით მიგყავს ჩემი სოფელი. გახსოვს? ერთ დღეს შენ წამართვი ყველაფერი, რაც გამაჩნდა ამ ქვეყანაზე. მე გთხოვე მაშინ,შარაგზაო, და შენ დამიბრუნე, რაც შეგეძლო, და მე მადლიერი ვარ შენი. ახლა დადგა დრო ჩვენც წაგვიყვანო– მე და ხატია, წაგვიყვანო და გვაჩვენო, სად თაედები, და თუ სადმე თაედები, ჩვენ არ გაგათავებთ შენ, ვივლით ასე უსასრულოდ ხელიხელჩაკიდებული... პირს ვიზამთ აღმოსავლეთით, დავესწრებით ბაჯაღლო მზის ამოსვლას და მაშინ ხატია იტყვის ხმამაღლა:

ეს მე ვარ, ხატია, ხალხო, მე გხედავთ თქვენ" (ნ. დუმბაძე, 393-394).

12. „თუ მზე ხარ, მაშინ მიმზევე,
მიშველე შემიბრალია!" (ვაჟა , 22).

13. „ისევ მაისის მათრობს თვალები
ისევ სავსე მზით და ვნებებით" (გალაკტიონი, 342).

14. „ო, ყოველდღე მზეები
ქიმერებში ვარდება
ქარავანი დღეების
მძიმედ მიემართება" (გალაკტიონი, 346).

15. „ყორანს ცრემლით უმძიმს უპე—
როგორც შავი ყვავილი:
დავიღუპე დავიღუპე-

ისმის მისი ჩხავილი“ (გალაკტიონი, 348).

16. «გუშინწწინ ვნახე, გუშინაც,
გველი სწამლავდა იასა,
აშლიდა შხამსა და გესლსა,
ვერ კი აძლევდა ზიანსა“ (ვაჟა,69).

17. „სიცოცხლემ შხამი მასმია
მეც კახურ ღვინოდ შევირგე“ (ვაჟა, 66).

18. „– ჭიჭიკო მქვია მე და გოგოლი ვარ გვარად...
მე უნდობლად შევხედე მამასახლისს!
– ვიცი, ვიცი, ჩვენ აქ ყველა გოგოლები, პუშკინები, ტოლსტოები და ნაპოლეონები ვართ! – ვუპასუხე მე და სიცილი ამივარდა. იცინოდა მთელი საკანი...“ (ნ. დუმბაძე, 242).

19. „მაშ, თონეთში მეტყევე მე მოვკალი?– ეკითხება შოშია
– მეტყევე იმიტომ მოვკალი, რომ გლეხებს შეშას არ აძლევდა, – თქვა ტიგრანამ. საკანში ისეთი ხარხარი ატყდა, თვითონ ტიგრანსაც გაეცინა.
– ჰო, ბიჭო, არსენა მარაბდელი ხარ, სულ გლეხებზე ფიქრობ! დაუდასტურა შოშიამ“ (ნ. დუმბაძე,246).

20. „Море смеялось
Солнце было счастливо тем, что светило; море-тем, что отражало его ликующий свет» (М. Горький, 127).

21. «Море шепталось по– прежнему с берегом» (М. горький. 34).

22. «Уж солнца раскалённый шар
С главы своей земля скатила
И мирный вечера пожар
Волна морская поглотила» (Ф. Тютчев, 39).

23. «Вечер чёрные брови насопил» (С. Есенин, 212).

24. «Всё мягче становилась ночь“ (М. Горький, 46).

25. »Когда густеет ночь "(Ф.Тютчев, 40).
26. «Мы были вместе, помню я
Ночь волновалась, скрипка пела « (А. Блок,18).
27. «Тает, сияет луна в облаках» (И. Бунин, 76).
28. «Тучи –как озёра,
Месяц– рыжий гусь,
Пляшет перед взором
Буйственная Русь» (С. Есенин, 60).
29. Ещё в полях белеет снег,
А воды уж весной шумят»(Ф.Тютчев, 60).
30. «Весенний день звенит » (С. Есенин, 198).
31. «Снова выплыли годы из мрака
И шумят как ромашковый луг» (С. Есенин, 228).
32. «День догорал» (Ф. Тютчев, 93).

თავი III. ენის ფუნქციები

§ 1. სამეტყველო აქტის სტრუქტურა და ენის გამოყენების ასპექტები

რეფერენცია – კომუნიკაციის და შემეცნების საფუძველი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემათა ჩამონათვალში რიგით, მაგრამ არა მნიშვნელობით მეორე – ენის ფუნქციათა საკითხი პოულობს კომუნიკაციურ ინტერპრეტაციას. აღმოჩნდა,რომ ის, რაც მიიჩნეოდა საკომუნიკაციო ფუნქციად,სინამდვილეში წარმოადგენს ენის გამოყენების განსხვავებულ ასპექტს. ამის კონცეპტუალური დანახვა გახდა შესაძლებელი მას შემდეგ, რაც გამოჩენილმა ფილოლოგმა რ. იაკობსონმა სტატიაში „ლინგვისტიკა და პოეტიკა“ (1960 წ.) აღწერა სამეტყველო აქტის სტრუქტურა: **1. ადრესანტი; 2. ადრესატი; 3. კონტაქტი; 4. კოდი; 5.შეტყობინება; 6. რეფერენცია.** თითოეულ ამ კომპონენტს, ავტორის თანახმად, უნდა უკავშირდებოდეს ენის ცალკე ფუნქცია, გამონაკლისს წარმოადგენს რეფერენცია, რომელიც განაპირობებს ორ ფუნქციას. რ. იაკობსონმა დაასახელა ენის შვიდი ფუნქცია: **1. საკომუნიკაციო, 2. შემეცნებითი, 3.ემოტური (ემოციური, ექსპრესიული), 4.რეგულაციური (აპელაციური, კონატური, ვოლუნტატური), 5. ფატიკური (საკონტაქტო), 6.მეტაენობრივი, 7. ესთეტიკური.**

საკომუნიკაციო ფუნქცია შეპირობებულია რეფერენციით (ამ ტერმინით რ. იაკობსონი აღნიშნავს ექსტრალინგვისტურ კონტექსტს, სინამდვილეს). ადამიანი ცხოვრობს სამყაროში, თავადაც წარმოადგენს სამყაროს და ენა

სჭირდება მას პირველ რიგში სამყაროს შესახებ ინფორმაციის გადასაცემად. უკანასკნელი შეიძლება მხოლოდ შეტყობინების შინაარსის მისადაგებით სინამდვილესთან ანუ რეფერენციით (< ლათ. Refere „შეტყობინება, მოხსენება, დასახელება, მისადაგება“). იმისათვის, რომ გადასცეს ინფორმაცია სამყაროს შესახებ, ადამიანმა უნდა აღწეროს იგი, ანუ შექმნას ტექსტი. ადამიანის სამყაროსადმი მიმართებას ახასიათებს შემოქმედება, სამყაროს გარდაქმნით იგი ქმნის კულტურას. სამყაროს მიზანმიმართული გარდაქმნა საჭიროებს მის შემეცნებას, რაც ისევ შეუძლებელია ტექსტის შექმნის გარეშე. ამრიგად, სინამდვილით განპირობებული შემეცნება ენობრივი პროცესია. ტექსტი იქნება მეცნიერული, თუ შეიცავს თეზისს, მტკიცებას, დასკვნას. ამგვარი ტექსტი წარმოადგენს მსჯელობას – აზროვნების მოწესრიგებულ ფორმას. აზროვნებას აწესრიგებს და ამით მსჯელობას ქმნის ლოგიკა – აზრების სწორად დალაგება ტექსტში. აღნიშნული გულისხმობს, რომ აზრების ყოველგვარი წყობა ვერ მოგვცემს საშუალებას შეუმცდარად გავაცნობიეროთ სინამდვილე. ლოგიკურად მოწესრიგებულ ტექსტში აზრები აუცილებლობით გამომდინარეობენ ერთი მეორისაგან. აზრების ამგვარ დაკავშირებას ეწოდება იმპლიკაციური. იმპლიკაციის წყალობით მეცნიერული ტექსტი წარმოადგენს სინამდვილის ძიებას და არა აღწერას (დესკრიფციას) ან სინამდვილის შესახებ თხრობას (ნარატივს). ყოველგვარი ტექსტი იმდენად არის მეცნიერული, რამდენადაც მასში ლოგიკური წესების დაცვით წარმართულია მსჯელობა. ამ უკანასკნელს მოეპოვება ენობრივი მარკერები – აზრთა ურთიერთმიმართების გამომხატველი სიტყვები: „ამრიგად“, “ამგვარად“, “მაშასადამე,“ „ესე იგი,“ „აქედან ჩანს რომ.“ „აქედან გამომდინარეობს“, „ცხადია რომ,“ „ბუნებრივია რომ“, „ცნობილია რომ“, „საინტერესოა რომ“

და სხვა. აღნიშნული შეადგენს მეცნიერული ტექსტის ფორმალურ თავისებურებას. სინამდვილის კვლევა-ძიება შეგნებული პროცესია, იგი სჭირდება იმას, რაც სიღრმულია, დაფარული. აღქმული (ნანახი, გაგონილი და ა.შ.) ყოველთვის ჭეშმარიტი რომ იყოს, კაცობრიობას არ დასჭირდებოდა მეცნიერება. ემპირიული, გრძნობიერი სინამდვილიდან გასვლის საშუალებას – ცნებას ქმნის ენა. მეცნიერული ტექსტი იძლევა სამყაროს კონცეპტუალურ ახსნას, თეორიას, იგი არ გამორიცხავს წარმოდგენებს, მაგრამ ოპერირებს ცნებებით. მაგალითად, გამონათქვამებში: „ღამეს მოჰყვება დღე, ყინული ცივია, ცეცხლი წვავს“ სიტყვები „ღამე“, „დღე“, „ყინული“, „ცეცხლი“ არ აღნიშნავენ კონკრეტულ საგნებს, არამედ – საგანთა კლასებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერული კანონი. ლოგიკაზე დამყარებულ მსჯელობის შემცველ მეცნიერულ ტექსტს მივყავართ აღმოჩენამდე. დედამიწაზე მყოფი ადამიანები წარმოდგენის საშუალებით იდენტურად აღიქვამდნენ მზისა და დედამიწის მიმართებას, როგორც მზის მოძრაობას დედამიწის ირგვლივ, შედეგად ჩამოყალიბდა სამყაროს გეოცენტრისტული მოდელი. მისი საპირისპირო ჰელიოცენტრისტული მოდელი ეწინააღმდეგება ემპირიულ დაკვირვებას და წარმოადგენს ლოგიკური მსჯელობის შედეგს. დედამიწის ბრუნვა მზის ირგვლივ კოპერნიკს შეეძლო დაენახა მხოლოდ მეცნიერულ ტექსტში. ამრიგად, სამყაროს ენობრივი ასახვა არ არის მეცნიერული, მაგრამ სამყაროს მეცნიერული ასახვა ენობრივია.

§ 2. ფატიკური ურთიერთობა

კომუნიკაცია, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს იგი: აღწერას, თხრობას, ახსნას, მტკიცებას, შეკით-

ხვას, იმპერატივს, დაპირებას, ფიცის დადებას და ა.შ., საჭიროებს კონტაქტს ანუ კომუნიკანტების ფსიქოფიზიკურ დაკავშირებას, რომელიც ხორციელდება ისევე ენის საშუალებით. განვიხილოთ ორი მეგობრის ტელეფონით საუბარი:

I – ალო!

II – დიახ, გისმენთ!

I – ეს გიორგია? დილა მშვიდობისა!

II – ა–ა–ა, ლევან! გამარჯობა!

I – ერთი სათხოვარი მაქვს...

II – ბატონო?! ვერ გავიგონე!

I – ალო, გესმის ჩემი?

II – ახლა მესმის!

I – ხვალ ჩვენ გვაქვს კონსულტაცია...

II – მერე?...

I – გადაეცი ჯგუფხელს, რომ მე არ ვიქნები. გაიგონე?

II – გასაგებია.

I – კარგად!

II – ნახვამდის.

მოცემული დიალოგის შინაარსს შეადგენს თხოვნა, რომელიც იყოფა თემად (ხვალ ჩვენ გვაქვს კონსულტაცია) და რემად (გადაეცი ჯგუფხელს,რომ მე არ ვიქნები). სხვა რეპლიკები ემსახურება კონტაქტში შესვლას (**ალო!, დიახ, გისმენთ? ეს გიორგია? დილა მშვიდობისა! ა–ა–ა–, ლევან! გამარჯობა**), კონტაქტის შემოწმებას (**ალო, გესმის ჩემი? გაიგონე?**), კონტაქტის შენარჩუნებას (**ბატონო? ვერ გავიგონე!**), კონტაქტში ყოფნას (**მერე? გასაგებია**), კონტაქტიდან გამოსვლას (**კარგად! ნახვამდის!**). როდესაც მთქმელი იყენებს ენას მსმენელის ყურადღების მოსაქცევად, მაკავშირებელი არხის შემოწმების ან კომუნიკაციის შეწყვეტის მიზნით, ენა ასრულებს საკონტაქტო ფუნქცი-

ას, სხვაგვარად, მას ფატიკურს უწოდებენ, ლათინური ფატერი ნიშნავს „გამოჩენას, გამოვლენას“. იგულისხმება, რომ კომუნიკაციის დასამყარებლად ადამიანმა თავი უნდა გამოავლინოს კომუნიკანტად საგანგებო ენობრივი ნიშნებით (სიტყვებით, გამოთქმებით). აღნიშნული განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როცა კომუნიკაცია ხორციელდება ეთერში ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. გავიხსენოთ კარგად ცნობილი მაგალითები კინოფილმიდან: **„პირველი, პირველი, მიპასუხე, როგორ გესმის ჩემი? მე ვარ მეორე... “** ან სატელევიზიო გადაცემებიდან: **„-ალო, გამარჯობა, თქვენ ღია ეთერში ხართ, დასვით კითხვა, გესმით ჩემი?**

- დიახ, მოგესალმებით... ალო, არ მესმის, თუ შეიძლება გაიმეორეთ.

- უკაცრავად, ტექნიკური ხარვეზია, გისმენთ , ბრძანეთ!“

ფატიკური სიტყვების მსგავსად ეტიკეტის ფორმებიც არ განსაზღვრავენ კომუნიკაციის თემას, რადგან არ ასახავენ საგნობრივ ვითარებას და ასეთ შემთხვევაში – არც მთქმელის დამოკიდებულებას ამ უკანასკნელის მიმართ (მოდალობას). გამოხატავენ რა კომუნიკაციის კულტურულ და სოციომეტრიულ ასპექტებს, ეტიკეტის კლიშეები ხელს უწყობენ კონტაქტის დაწყებას, გაგრძელება -შენარჩუნებას და დამთავრებას. ამიტომ ენის ფატიკური ფუნქცია რეალიზდება ჩვეულებრივ მიმართვისას, მისალმებისას, მოლოცვისას, მოკითხვისას, მადლობის გადახდისას, დამშვიდობებისას, მაგალითად:

– გამარჯობა!

– გაგიმარჯოს!

– როგორ ხარ? ხომ ხარ მაგრად?

– გმადლობთ, ჯერჯერობით არა მიშავს; თქვენ რას შვრებით? რა არის თქვენსკენ ახალი?

– რა გითხრათ, აბა, ვართ რა, ღმერთით ნელა-ნელა, ბედს არ ვუჩივით.

– ღმერთმა იმედი არ მოგიშალოთ!

– გმადლობთ!

– ნახვამდის!

– შეხვედრამდე!

ამგვარი სამყაროს შესახებ ინფორმაციას მოკლებული კომუნიკაციის ფორმა თავიდან ბოლომდე ფატიკურია. ურთიერთობა ამ შემთხვევაში ემსახურება თვით ურთიერთობას. მაგრამ საუბარი არ შეიძლება გაგრძელდეს სულ ასე. გარკვეული მომენტიდან იგი უნდა შეეხოს ობიექტურ სინამდვილეს. მაშინ, თუ კომუნიკანტები ჩაუღრმავდებიან თემას და გამოთქვამენ საგანთა განსხვავებულ შეფასებებს, ურთიერთობა დაიძაბება. თუ მოსაუბრეთა შეფასებები დაემთხვევა ერთმანეთს, ადგილი ექნება სოლიდარობას. შესაძლო გამოწვევების თავიდან ასაცილებლად კომუნიკამენტებმა შეიძლება აირჩიონ ისეთი ზოგადი თემა (ეროვნული ნაკრების მატჩი, მთავრობის არაპოპულარული გადაწყვეტილება, ინფლაცია), რომლის ზედაპირული გაშლა ვერ გამოავლენს მათ განსხვავებულ შეხედულებებს, ინგლისელები ამ შემთხვევაში ამჯობინებენ ამინდზე ლაპარაკს. ამ პირობის დაცვით წარმართული კომუნიკაცია ისევ იქნება ფატიკური.

§ 3. ენა-ობიექტი და მეტაენა

ამა თუ იმ ობიექტის მეცნიერული შესწავლა-აღწერა შეიძლება მხოლოდ ენის მეშვეობით. თუ ამგვარი ობიექტი თავად ენა არის, მაშინ ერთი ენის (მეტაენის) საშუალებით ისწავლება მეორე ენა (ენა-ობიექტი). მეტაენის და ენა-ობიექტის გარჩევა ადვილია, თუ საქმე გვაქვს ორ ენასთან, მაგალითად, ინგლისური ენის ქართულად აღწე-

რასთან ან ქართული ენის რუსულად გამოცემულ გრამატიკასთან. საზღვარი ენა-ობიექტსა და მეტაენას შორის ამ შემთხვევაში ზუსტად ემთხვევა ორი ენის საზღვარს. პრობლემა თავს იჩენს მაშინ, როდესაც ენა-ობიექტი და მეტაენა წარმოადგენენ ერთ ენას. მოვიყვანოთ მაგალითად ფრაგმენტი ა.შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებიდან“:

„სამ მჟღერს თითო ყრუ შეეფერება, ესენია წყვილეული სპირანტები:

მჟღერი ზ ჟ ღ

ყრუ ს შ ხ

ზოგიერთ მჟღერს სრულებით არ მოეპოვება თავისი მწკრივის ყრუ და განმარტოებით დგას; ასეთია ცალეულები: ვ, მ, ნ, რ, ლ; ზოგიერთ ყრუ თანხმოვანსაც აკლია სათანადო მჟღერი: ჰ, ყ,“ (ა. შანიძე,1980:17).

ლინგვისტური აღწერის ენა (ლინგვისტური მეტაენა) არ არის ფორმალიზებული ანუ არ აქვს ენა-ობიექტისაგან განსხვავებული ნიშნები. აღწერის დროს გამოყენებული ლინგვისტური ტერმინოლოგია, ერთი მხრივ, შემადგენელი ნაწილია მეტაენის (მიეკუთვნება აღწერის აპარატს), მეორე მხრივ, მის გარეშე შეუძლებელია ენა-ობიექტის სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა-არსებობა, ესე იგი წარმოადგენს ენა-ობიექტსაც.

მეტაენისა და ენა-ობიექტის გამიჯვნის პრობლემა პირველად წამოიჭრა ლოგიკაში, სადაც ამ ორი ცნების განუსხვავებლობა ქმნიდა პარადოქსს – მსჯელობას, რომელიც ვერ იძლევა ცალმხრივად დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. ძველ ბერძნებს უკავშირდება ცნობილი პარადოქსი „მატყუარა“. სტყუის თუ არ სტყუის ეპიმენიდე, როდესაც ამბობს „მე ვსტყუი“? თუ ეპიმენიდე სტყუის, როდესაც ამბობს „მე ვსტყუი“, მაშინ გამოდის, რომ იგი არ სტყუის. მარგამ, თუ ეპიმენიდე არ სტყუის, როდე-

საც ამბობს „მე ვსტყუი“, მაშინ გამოდის, რომ იგი სტყუის, ესე იგი ეპიმენიდე არ სტყუის და ასე უსასრულოდ. პარადოქსის შემთხვევაში მსჯელობა მოქცეულია წრეში, რომელიც იქმნება იმით, რომ მსჯელობის სუბიექტურ ნაწილში გამოყენებული სიტყვა (ვსტყუი) მიეკუთვნება ენაობიექტს, ხოლო პრედიკატულ ნაწილშიც იგივე სიტყვა (სტყუის) მიეკუთვნება მეტაენას. მეტაენის ცნება ლოგიკაში შემოიღო პოლონელმა მათემატიკოსმა ალფრედ ტარსკიმ. წარმოშობით ძველბერძნული სიტყვა **მეტა** („შემდეგ“) გეხვდება სიტყვებში: მეტალოგიკა, მეტასემიოტიკა, მეტამათემატიკა, მეტათეორია, მეტამეცნიერება, – ყველა მათგანი აღნიშნავს „მეორე რიგის“ კონცეპტუალურ სისტემას, რომელიც მიღებულია პირველი რიგის კონცეპტუალური სისტემის ანალიზის შედეგად. მეტალოგიკა სწავლობს არა აზროვნების ფორმებსა და კანონებს, არამედ ლოგიკას, მეტასემიოტიკა – სემიოტიკას, მეტათეორია – თეორიას და ა.შ. ამ ლოგიკის თანახმად მეტაენა აღწერს არა სამყაროს, არამედ ენას.

ენაზე რეფლექსია – კონცეპტუალური აზროვნების ერთ-ერთი სახე ახასიათებს მხოლოდ ადამიანს. გაჩნდა იგი გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ლინგვისტური ნაშრომები და მეცნიერული აზროვნება. ყოფითი სიტყვები: **თქმა, გამოთქმა, თქმულება, ნათქვამი, მეტყველება, წინასწარმეტყველება, ლაპარაკი, ლაქლაქი, ლაყბობა, ყბედობა, თხრობა, მოთხრობა, შეტყობინება, ამბავი, ბრძანება, კითხვა, თხოვნა, ნატვრა, მიმართვა, მისალმება, მადლობა, მილოცვა, საყვედური, საჩივარი, ახსნა, პასუხი, სიტყვა, ლექსი** და სხვა მეტაენობრივი რეფლექსიის შედეგია.

თუ კომუნიკაციის დროს თქმა „ვერ გავიგონე!“ მიუთითებს ფატიკურ პრობლემაზე, „ვერ გავიგე“ „რთავს“ ენის მეტაენობრივ ფუნქციას, მაგალითად:

I – გამარჯობა, საით ამ დილით?

II – სალამი, ტრენინგი მაქვს.

I – ტრენინგი? ეგ რას ნიშნავს? ფეხბურთში ვარჯიშობ?

II – ფეხბურთი რა შუაშია. მეცნიერულად სიტუაციების მოდელირებას ნიშნავს.

I – უბრალო ენით რომ ვთქვათ?

II – მარტივად რომ ვთქვათ, წინასწარი მომზადება არის, სუვოროვის არ იყოს, ძნელია წვრთნაში, ადვილია ბრძოლაში.

I – ა–ა–ა, გავიგე. მალე დაბრუნდები?

II – რა იყო?

I – საქმე მაქვს.

კომუნიკაციის დროს მთქმელის ერთ-ერთი მიზანია გააგებინოს მსმენელს ნათქვამი, ამიტომ იგი შეკითხვის გარეშეც თავად განმარტავს საჭიროდ მიჩნეულ ადგილებს ჩართული სიტყვებით: **ასე ვთქვათ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ვიწრო გაგებით, ფართო გაგებით, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მაპატიეთ გამოთქმისათვის, ასე გასინჯეთ, როგორც სამხედროები იტყვიან ხოლმე.** წერისას მეტაენობრივი ფუნქცია რეალიზდება სასვენი ნიშნებით (წერტილი, მძიმე, ტირე, ბრჭყალები, კურსივი...).

§ 4. სამყაროს ემოციური შეფასება

სხვა ცხოველების მსგავსად ადამიანიც განიცდის სამყაროს: ორგანიზმის ემოციური რეაქციით (ფიზიკური მოძრაობით, უესტ-მიმიკით, გამოხედვით, პოზით) აფასებს საგნებსა და მოვლენებს. ცხოველებისაგან განსხვავებით ემოციებს ადამიანი გამოხატავს ენითაც (ინტონაციით,

სიტყვით). სამყაროს ინდივიდუალური ემოციური შეფასება საფუძვლად უდევს ლირიკას:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
«О Русь-малиновое поле
ქალწულებივით ხიდიდან ფენა,
И синь, упавшая в реку,
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
Люблю до радости и боли
და სიყვარულის ასე მოთმენა...“
Твою озёрную тоску»

(გალაკტიონი, თოვლი). (С. Есенин).

სოგიერთ ენაში, მაგალითად რუსულში, ემოციურ დამოკიდებულებას გამოხატავენ შეფასების სუფიქსები: **солнышко,денёчек, водичка, дружок,пёрышко, рученька, жарища. »Морозец!»** ნიშნავს იმას, რომ სიცივე სიამოვნებს მთქმელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცივე– **„Холодина!“ «Умница!»** ამბობენ მაშინ, როდესაც ჭკუა მოსწონთ, **Умник!»** – როდესაც ჭკუა არ მოსწონთ.

ემოციური კომუნიკაციის იდეა აქტუალური გახდა ჯერ ხელოვნებასა და ფილოსოფიაში. ლ. ვიტგენშტაინის თანახმად, ადამიანთა ყოველგვარი ერთობლივი საქმიანობა არის ენობრივი თამაში (ლ. ვიტგენშტაინი, 2008 :46). ასეთ შემთხვევაში კულტურული სივრცე შეიძლება წარმოვიდგინოთ უზარმაზარ თეატრად, სადაც ადამიანები მონაცვლეობით ასრულებენ სხვადასხვა როლებს. როლები ენობრივია, მათი შესრულება კი ემოციური. როლში შესვლა სხვა პირობასთან ერთად საჭიროებს თავის თავში შესაბამისი ემოციური მდგომდრეობის პოვნას, რადგან თეატრში „გაიგო ნიშნავს იგრძნო“. სცენური ხელოვნების ეს კანონი კ. სტანისლავსკიმ ჩამოაყალიბა. თეატრი ჟესტის ხელოვნებაა. ჟესტი, მუსიკა, ინტონაცია გადმოსცემენ მხოლოდ ემოციას. მათგან განსხვავებით სიტყვაში ემო-

ციური მხარე ყოველთვის „დაჩრდილულია“ ინტელექტუალური შინაარსით. ამან განაპირობა ინტერესი გრძნობების როგორც უშუალო ინფორმაციის მიმართ ეგზისტენციალიზმის მიმდევრებში; ემოციური რეაქცია მათ აირჩიეს იმ შემოელით გზად, რომელსაც ცნობიერების აქლით მივყავართ ჭეშმარიტ ყოფიერებასთან. ინტელექტუალური შინაარსის მოშლით იმპრესიონისტები, კუბისტები, დადაისტები ცდილობდნენ ემოციური მდგომარეობის უკეთ წარმოჩენას, რადგან ინტელექტუალური კომუნიკაცია პირობად მოითხოვს გაგებას, ხოლო ემოციური— თანაგანცდას. კომუნიკაციის პროცესში გაიგო ნიშნავს გააცნობიერო და იგრძნო ერთდროულად. უცხო ენის შესწავლის დროს ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს მისი ემოციურ-ექსპრესიული მხარის გათავისება. მოვიყვანთ ამის ერთ მაგალითს: ქართულ-თურქულ ერთობლივ გამოცემაში, ჟურნალ „ქოპრუ“-ში გამოქვეყნდა ნ. დუმბაძის „კუკარაჩას“ თურქული თარგმანი, ეპიზოდში, სადაც ხეხილის ბაღის პატრონი დეიდა მართა ტუქსავს ხეებზე უნებართოდ ამძვრალ ბავშვებს, ფრაზა **„უი, თვალი დამიდგეს, კუჭკო, შენც აქა ხარ?“** თურქმა თარჯიმანმა თარგმნა „aman, gozlerin kor olsun, kuciko, sen de mi buradasin?“ (ქართულად: **„უი, თვალი დაგიდგეს, კუჭკო, შენც აქ ხარ?“** საერთო წყეველა-კრულვის ფონზე დეიდა მართას გაკვირვება თარჯიმანმა წყევლად აღიქვა. ანუ მას „გზა აებნა“ ემოციათა ქართულ სამყაროში, ისმის კითხვა: არსებობს ბედნიერების, სიხარულის, სიყვარულის, გაბრაზების და ა.შ. ეროვნული განცდა? ინტუიციურად, უშუალო გამოხატვის დონეზე ემოციური ექსპრესია ერთნაირად ესმის ყველა ადამიანს. გახარებული ან გაბრაზებული ქართველიც, თურქიც, რუსიც მსგავსად გამოხატავენ თავიანთ შინაგან მდგომარეობას, მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ რომელიმე საერთაშორისო შეჯიბრი. ამასთან, ერ-

თსა და იმავეე ემოციას ყველა ქართველი როდი გამოხატავს ერთნაირად. ფსიქოლოგები ამას ხსნიან ტემპერამენტის სხვადასხვა ტიპით. არ ვიქნებით ორიგინალური, თუ ვიტყვით, რომ სხვადასხვა ეროვნების სანგვინიკს აქვს მსგავსება ემოციათა განცდა-გამოხატვაში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ქართველი სანგვინიკი უფრო ემსგავსება სხვა ეროვნების სანგვინიკს, ვიდრე ქართველ ქოლერიკს ან მელანქოლიკს. ლ. ტოლსტოის ცნობილ ფრაზაში „ყველა ბედნიერი ოჯახი ჰგავს ერთმანეთს, ხოლო ყოველი უბედური უბედურია თავისებურად“ „ყველა ბედნიერი ოჯახი“ არ გულისხმობს მხოლოდ რუსულ ოჯახს.

ემოციათა წარმომქმნელი მექანიზმი უნივერსალურია, ყველა ადამიანისთვის იგი მუშაობს ქანქარას პრინციპით. ამიტომ ყველასთვის ემოციები იყოფა ორ დიდ კლასად: დადებით და უარყოფით ემოციებად, რომლებიც ლაგდებიან გრადაციით. დადებითი: სიმშვიდე, კმაყოფილება, კეთილგანწყობა, სიხარული, აღტაცება, აღფრთოვანება, ვნება; უარყოფითი: აღგზნება, გაღიზიანება, გაბრაზება, გაფიცხება, გაშმაგება, გაცოფება, გადარევა. ასევე ყველა ადამიანისთვის ემოციური მდგომარეობები იყოფა კონტროლირებად (გაღიზიანება, გაწყრომა, სიხარული, სიცილი, აღტაცება) და არაკონტროლირებად (აღფრთოვანება, გაშმაგება, ვნება, სიყვარული) სფეროებად (ვ. ლევი, 1985:30).

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დასახელებული ემოციური მდგომარეობები უნივერსალურია, ამიტომ გვხვდება სხვადასხვა ენაში მათი აღმნიშვნელი სიტყვებიც, რომლებიც შინაარსით არსებითად ემთხვევა ერთმანეთს, რასაც გვიდასტურებს კომპონენტური ანალიზი:

სიხარული	**Радость**	**sevinc**
1. განცდა	1.чувство	1. cosku (განცდა)
2. სიამოვნება	2.удовольствие	2. hos (სასიამოვნო)

გაოცება	Удивление	Hayret
1განცდა	1.впечатление	1. beklenme (მოულოდნელობა)
1. მოულოდნელობა	2.неожиданность	2.durum (მდგომარეობა)
ტირილი	Плакать	Aglamak
1. განცდა	1.проливать слёзы	1.uzuntu, aci (მწუხარება, ტკივილი)
2. ცრემლის დენა	2.боль, горе	2.goz yasi dokmek (ცრემლის დენა)

ამრიგად, ენობრივად გამოხატული ძირითადი ემოციური მდგომარეობების ინტენსიონალები ქართულ, რუსულ და თურქულ ენებში არსებითად ემთხვევა ერთმანეთს, რაც განპირობებულია ფსიქოფიზიოლოგიური და კომუნიკაციის ფაქტორებით. მაგრამ ნაჩქარევი იქნებოდა დასკვნა იმის შესახებ, რომ ქართველი, რუსი და თურქი ხალხი ადეკვატურად აცნობიერებს ემოციებს. მართალია, ემოციების აღქმაც და გადაცემაც ხდება მიმიკის, მუსიკის, ფერწერის, ქანდაკების,ხუროთმოძღვრების და ა. შ. მეშვეობით, მაგრამ მათი გაცნობიერება შეიძლება მხოლოდ ენით. გაცნობიერება არ შეიძლება იყოს არაენობრივი, ხოლო ყოველი ენა, როგორც მაკლასიფიცირებელი სისტემა, თავისებურად ანაწევრებს ემოციათა კონტინიუმს, რადგან, ჰუმბოლდტის თანახმად, „ყოველ ენაში ჩადებულია თვითმყოფადი მსოფლხედვა“(В. Гумбольдт, 1984:80). ამ მხრივ ყოველ ენას თავისებური გარკვეულობა შეაქვს სამყაროში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეუძლებელია გრძნობების სრული კლასიფიკაცია, რადგან მათი ნიუანსები და ვარიაციები უსასრულოა. სხვადასხვა ენის მიერ დანაწევრებული ემოციათა სფერო ვერ იქნება

იდენტური, მაგრამ ადამიანთა ფსიქიკური ბუნების უნივერსალობის გამო განსხვავება არ არის აბსოლუტური: ენებს მოეპოვებათ საერთო ემოტივებიც— ენობრივად გამოხატული ემოციები. რუსული ენობრივი აზროვნებისათვის უცხოა გაბრაზების სემანტიკური გამოხატვა შემდეგნაირად: **გაცეცხლდა, გაწიწმატდა, გაალმასდა, გამგელდა, გაგულისდა, გაასპიტდა, აზვირთდა, აპილპილდა,** ისე როგორც რუსული ემოტივები **томиться, маяться, негодовать** ლაკუნებია ქართულისა და თურქულისთვის; თურქული **sıkmak** აერთიანებს მრავალი სიტყვის სემანტიკას რუსულში: **стеснять, надоедать, беспокоить, волновать, задевать, опостылеть, напрягать,** მას არ აქვს ანალოგი ქართულშიც.

პარადიგმატული ანალიზი იძლევა საშუალებას დავადგინოთ განსხვავებული და საერთო ემოტივები ენებს შორის, მაგრამ ემოციათა აღმნიშვნელი სიტყვები ენებში განსხვავდებიან არა მხოლოდ ინტენსიონალებით (სემური აგებულებით), ექსტენსიონალურადაც (სახელდების საზღვრებით). სიტყვის სემიოტიკურ საზღვრებს ადგენს ენა. ამიტომ, სად იწყება და სად მთავრდება ესა თუ ის ემოცია, იცის მხოლოდ ენამ. ემოციათა საზღვრების დასადგენად საჭიროა სინტაგმატური ანალიზი, რომელიც გულისხმობს სიტყვათა შეხამების (სემანტიკური კავშირების) შესწავლას. რუსული **любовь** შეიძლება იყოს **суровая, горькая, безумная, бешеная, тихая, неземпая,небесная,святая;** თურქული სინონიმები: **gönul belasI** (გულის უბედურება), **gönul derdi** (გულის ტანჯვა-წვალება), **gönul yarasi** (გულის იარა) მიგვანიშნებენ, თუ როგორ ესმით ეს გრძნობა თურქებს. ქართული: **სიყვარული, აშიკობა, ტრფობა, ტრფობის ალი, მიჯნურობა, ჩამწვარია, თავს ევლება, თავს ურჩევნია** და ა. შ. ამ გრძნობის ქართული ხედვაა.

ემოციათა საზღვრები დიფუზიურია. ქართული „გაბრაზება „არ გამორიცხავს დადებით განწყობასაც. შეკითხვაზე „რას შვრებიან შვილები?“ მოსიყვარულე მამამ შეიძლება უპასუხოს: „მაბრაზებენ“. შესაბამისი რუსული ზმნები „злить,“ „сердить» და თურქული кIэдIрмак ამ კონტექსტში არ გამოიყენება. ქართული **“მე შენზე გაბრაზებული ვარ“** შეიძლება იყოს სიყვარულის დასაწყისი, რუსული **„Я зол на тебя“** სიყვარულის დასასრულია მხოლოდ.

ამრიგად, არ არსებობს ბედნიერების, სიხარულის, სიყვარულის, გაბრაზების და ა. შ. ქართული განცდა, მაგრამ არსებობს ბედნიერების, სიხარულის, სიყვარულის, გაბრაზების და ა. შ. ქართული გაგება. ეს უკანასკნელი დგინდება მხოლოდ ლინგვისტურად, ემოტივების პარადიგმატული და სინტაგმატური ანალიზის შედეგად, კერძოდ, მათი სემური აგებულების და სემიოტიკური სივრცის დადგენით.

§ 5. ურთიერთობის იმპერატიული დანიშნულება

ენის ემოტურ ფუნქციასთან დაკავშირებულია მისი კიდევ ერთი–რეგულაციური ფუნქცია. თანამედროვე ლინგვისტიკაში ეს უკანასკნელი განიმარტება ვიწროდ, როგორც კომუნიკაციის დროს ადრესანტის იმპერატივის რეალიზაცია და ფართოდ, როგორც ადრესატის მენტალური მდგომარეობის ჩამოყალიბება. ორივე შემთხვევაში იგი მიმართულია ცალმხრივად მთქმელისაგან მსმენელისაკენ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კომუნიკაციური რეგულაცია უფრო რთული ფენომენია. მის ასახსნელად დაგვეხმარება მ. მამარდაშვილის სიტყვები: „ადამიანი, ეს

უპირველეს ყოვლისა, ასეთად გახდომის მარადიული ძალისხმევაა. ადამიანი არ არის მდგომარეობა, არამედ მდგომარეობა, რომელიც განუწყვეტლივ იქმნება (ЛГ IV,49, 1991). წარმოადგენს რა პროცესს ადამიანი სხვასთან ურთიერთობის დროს რეფლექსიისა და იდენტიფიკაციის გზით ეძებს და სრულქმნის საკუთარ თავს. ამიტომ არის კომუნიკაცია ადამიანური ბუნების მოთხოვნილება. ამას „რიტორიკაში“ აღნიშნავდა არისტოტელეც: „ადამიანისთვის უფრო დამახასიათებელია მეტყველება, ვიდრე სხეულებრივი მოთხოვნილებანი“ (არისტოტელე1981,34). ადამიანი აყალიბებს თავს მაშინაც, როდესაც ენობრივად ზემოქმედებს სხვაზე. ურთიერთობა კომუნიკანტთა ორმხრივი ცვლილების პროცესია. ამ ჭეშმარიტების ამსახველია ანდაზები: „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“, რუსული „С кем поведёшься, от того и наберешься.“ ურთიერთობის პროცესში ადამიანი „მოქანდაკეცაა და მასალაც“ (ი.კოლომინსკი, 1983:220), იგი „აქანდაკებს“ სხვასაც და თავსაც, ხოლო ამის საშუალებად იყენებს აზრსა და განცდას. იდეა რომ გადმოვიღოთ, იგი უნდა გახდეს ჩვენთვის აუცილებელი ან მიმზიდველი, შესანიშნავი, ბრწყინვალე, თავბრუდამხვევი (გამოიწვიოს დადებითი ემოციური განწყობა). აზრისაგან განსხვავებით განცდა გადამდებია და უფრო ახლოს დგას ქცევასთან. სწორედ ამიტომ რეკლამაში ინტელექტუალურ ნაწილს, მაგალითად, „შეიძინეთ ჩაი ჩვენთან“ თან ახლავს მომხმარებელთა დადებით ემოციურ განწყობაზე მიმართული კომპონენტი (მხოლოდ ჩვენთან, უმაღლესი ხარისხის, დაბალ ფასებში ან ფასდაკლებით, საუკეთესო მომსახურებით, დამატებითი საჩუქრებით და ა. შ.) :

„ხარისხიანი მედიკამენტები. პროფესიონალი ფარმაცევტები. ავერსი 18 წელი თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში. ავერსი ყველაზე დაბალი ფასები.“

„შეიძინეთ კონდიციონერი დღეში ერთი ლარიდან და ისარგებლეთ უპროცენტო განვადებით.“

„50% –იანი ფასდაკლება ავტომართვის ასაღებ თეორიულ სრულ კურსზე + ბონუსი. პრესტიჟული ავტოსკოლა „კარერა.“

„შეიძინეთ თეგეტა მოტორსში 5 ლიტრი შელლ ჰელის-ის საავტომობილო ზეთი და მიიღეთ ექსკლუზიური საჩუქარი!!! სწორი გადაწყვეტილება ჯილდოს ღირსია.“

რეკლამაში იმპერატივი რეალიზდება ძირითადად შეთავაზების მნიშვნელობით. რეკლამა არ შეიძლება გამოხატავდეს ბრძანებას, ნებართვას, მოწოდებას, გაფრთხილებას, მოთხოვნას, აკრძალვას, თხოვნას ან ვედრებას. აღნიშნული ინტენციონალური მნიშვნელობები შეადგენენ იმპერატივის სემანტიკას. ტრადიციულად გრამატიკაში იმპერატივი მიჩნეულია ირიბ კილოდ და სახელდება ყოველთვის მთავარი-თხრობითი კილოს შემდეგ, რაც გვაფიქრებინებს იმას, თითქოს ურთიერთობის დროს ადამიანები უმთავრესად მოუთხრობენ ერთმანეთს ამბებს და მხოლოდ თხრობასა და მოყოლას შორის უბრძანებენ, ეხვეწებიან, ემუდარებიან, აფრთხილებენ, ავალებენ, ეკითხებიან ერთმანეთს, ნატრობენ, ოცნებობენ და ა.შ. ლ. ვიტგენშტაინი იყო პირველი, ვინც არ დაეთანხმა ამას, მისი თქმით: „ბრძანება, კითხვა, თხრობა, ლაყბობა – ყოველივე ეს ისევე მიეკუთვნება ჩვენს ბუნებრივ ისტორიას, როგორც სიარული, ჭამა, სმა, თამაში“ (Л.Витгенштейн,1985:89). ამ კონცეფციის თანახმად, ბრძანება, კითხვა, თხრობა სამეტყველო მოქმედების დამოუკიდებელი და თანაბარი ფორმებია. იმპერატივი არ წარმოადგენს ზმნის აქციდენტალურ (იერარქიით უფრო დაბალ, გვერდით) ფორმას. იმპერატივი ადამიანის თანამდევი მოვლენაა. ადამიანი ყველგან იყო და არის იმპერატიული, რაც დასტურდება ლინგვისტურადაც: უცნობია ენა იმპე-

რატიული ფორმების გარეშე. საზოგადოებისათვის მარადი ძალაუფლების საკითხი წყდება მხოლოდ იმპერატიულად. იმპერატივი იმდენი წლისაა, რამდენიც არსებობს საზოგადოება და მეტიც, ბიბლიის თანახმად, იმპერატივი წინ უსწრებს ადამიანისა და სამყაროს გაჩენას. დასადგენია იმპერატივის მრავალი სოციალური დანიშნულება. მხოლოდ 170 მშეიდობიანი წელი ჩვენი ფიქსირებული ისტორიის 3500 წლიდან გვაძლევს საფუძველს ვთქვათ: იმპერატივმა განსაზღვრა კაცობრიობის პოლიტიკური ისტორია. მეორე მხრივ, იმპერატივის გარეშე შეუძლებელია სოციალური ცხოვრების რაიმე ფორმა. ყოველი სოციალური ინსტიტუცია იერარქიულია აგებულებით, ხოლო იერარქიას ქმნის იმპერატივი. ტაბუს, მცნების, წეს-ჩვეულების, კანონის, ნორმის სახით იმპერატივი იცავს ადამიანებს სოციალური ქაოსისა და პიროვნული დაცემისაგან. არსებობს შესამჩნევი დისპროპორცია ადამიანთა მიერ ენის იმპერატიული ფუნქციის გამოყენებასა და მის გრამატიკაში შეფასებას შორის: ტრადიციულმა გრამატიკამ ჩაკეტა იმპერატივი ზმნის მეორე-მესამე პირის ფორმებში, მაგრამ ამგვარი გაგება ვერ ხსნის მისი გამოყენების ყველა შემთხვევას მეტყველებაში. იმპერატივის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის, თხრობისა და კითხვისაგან განსხვავებით, გამოიხატება სამივე კილოს ფორმით. ასე, მაგალითად, კითხვით გამოიხატება შეთავაზება: **მოწევ? დალევ? მიირთმევ? გასინჯავ? წამოხვალ? დააყოლებ?** თხოვნას გამოხატავენ: **ხალხი არა ხართ? ღმერთი არ გწამთ? ქართველი არა ხარ? თუ ძმა ხარ?**

„ნება მომეცით მოგმართოთ, ამხანაგო მაიორო! – ისევ გაეჭიმე

– თქვი, რა გინდა, ოღონდ თავისუფლად დადექი, თუ კაცი ხარ.“

(ნ. დუმბაძე, 205:207).

იმპერატიულია: **შენ ვინ გეკითხება? რატომ არ გინდა გაიგო? რატომ არ გინდა მომისმინო? რატომ არ გინდა დამიჯერო? როგორ იქცევით! რას გაჩერებულხარ! რას დგახარ! რას იცინი!** ნ.დუმბაძეს რომანში „ნუ გეშინია, დედა!“ სასაზღვრო საგუშაგოს უფროსი მაიორი ჩსარტიშვილი მიიღებს რა შეტყობინებას ხანძრის გაჩენის შესახებ, გასცემს ბრძანებას, რომლის შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ იმპერატივს:

„...ზუდოვს უთხარით, დინამიტი და ხელყუმბარები წამოიღოს მალე. ჩემი ოფიცრები სად არიან? კასრები, კასრები სწრაფად“ (გვ. 194-195).

„ჩემი ოფიცრები სად არიან?“ აქ ნიშნავს „დაუძახეთ ჩემს ოფიცრებს“ და არა „მომახსენეთ, სად არიან ჩემი ოფიცრები“.

არც თხრობითი წინადადების მტკიცება უშლით მათ ხელს გამოხატონ იმპერატივი: **მატარებელი გადის 5 წუთის შემდეგ! რეისი გადაიდო! რესტორანი იკეტება! კონცერტი დამთავრებულია! სუფრა გაშლილია! ტელეფონი რეკავს! ვიღაც კარზეა!** ამ შემთხვევაში გადამწყვეტია სიტუაცია, რომელიც ენობრივ ფორმას აქცევს იმპერატივად. ინგლისში „დინამოს“ „ლივერპულთან“ ლეგენდარული თამაშის დროს ჩვენი მეკარე, ოთარ გაბელია პირველ ტაიმში გვიან გადახტა დარტყმულ ბურთზე და გაუშვა გოლი. მრავალი წლის შემდეგ ერთ-ერთ ინტერვიუში ო. გაბელია გამოტყდა, რაში იყო მაშინ საქმე: ლივერპულის სტადიონზე ჩვენ ფეხბურთელებს თვალში ეცათ წარწერა: „აქ იმარჯვებს მხოლოდ ლივერპული!“ სტადიონის ამ სლოგანს შეუბოჭავს თამაშის დასაწყისში „დინამოს“ მეკარე.

§ 6. ენობრივი ესთეტიზმი

სამეტყველო აქტის კიდევ ერთი ელემენტი–შეტყობინება, რ. იაკობსონის მიხედვით, განაპირობებს ენის ესთეტიკურ (მშვენიერების წედმის) ფუნქციას. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია შეტყობინების და მისი ენობრივი ფორმის ერთმანეთისაგან მოწყვეტით. „შეტყობინება შეტყობინებისთვის“ ისე არ შეიძლება იყოს მშვენიერი, როგორც „ფორმა ფორმისთვის“, რადგან ერთიც და მეორეც უგულებელყოფს მსმენელს. მშვენიერებად შეტყობინება იქცევა მხოლოდ ფორმის სრულყოფით ანუ საუკეთესოდ წარმოჩენით. არისტოტელეს თანახმად, ყოველ მატერიალურ ობიექტს აქვს ფორმა, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულით გამოხატავს მის რაობას. მატერიისა და ფორმის თანხმიერება სრულქმნის ობიექტს და იწვევს ადამიანში ესთეტიკურ განცდას. კითხვას, როგორ ქმნით შედეგრებს? მიქელანჯელომ გასცა პასუხი, რომელიც შეიცავს შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს: ვიღებ ქვის ლოდს და ვაცლი მას ზედმეტს.“ ობიექტის სრულქმნილებას განსაზღვრავს მატერიისა და ფორმის ისეთი თანამიმართება, რომელიც გამორიცხავს ზედმეტს: წარმოვიდგინოთ დიდი ან პატარა ზომის კოსტუმი ადამიანზე. ფორმისა და შინაარსის მიმართება აქტუალურია ენის გამოყენების დროსაც. ესთეტიკური ფუნქციით ენა გამოიყენება მაშინ, როდესაც კომუნიკანტები აქცევენ ყურადღებას აღნიშნულ მიმართებას. მეტაფორა, სინტაქსური ფიგურები, რიტმისა და რითმის დაცვა, ასონანსი, ალიტერაცია, პარონომაზია და სხვა ის გარეგანი ხერხებია, რომლებიც მხოლოდ ხელს უწყობენ მეტყველების ჰარმონიას. მშვენიერთან მისვლა საჭიროებს აღმასვლას, – შეგვახსენებს ქართული ენა სიტყვებით

„აღმაფრენა“ და „აღტაცება“. მშვენიერი გვეძლევა სულიერ ხედვაში.

რა მიმართებაშია სრულყოფილი გამონათქვამი და საერთოდ სრულქმნილება ჭეშმარიტებასთან? მხატვრული ტექსტი მხოლოდ აღქმის კომფორტია თუ სინამდვილის უფრო ღრმა წვდომაცაა? ტრადიციულად ჭეშმარიტება განიხილება ლოგიკაში, მშვენიერება – ესთეტიკაში. XX საუკუნის ფილოსოფიის ერთ-ერთი განმაახლებლის მ. ჰაიდეგერის კონცეფციის თანახმად, „მშვენიერება როდი არსებობს ჭეშმარიტების გარეშე“ (მ. ჰაიდეგერი, 1991:84). და თუ ესთეტიკური ალეთეურია (ალეთეია – ძვ. ბერძ. ჭეშმარიტება), მაშინ ჭეშმარიტების გამომვლინებელი ხელოვნებაც იმაზე მეტია, ვიდრე სინამდვილისთვის მიბაძვა (არისტოტელეს mimeseis), იგი არის რეალობის წარმომქმნელი თხზვა, ადამიანისთვის უცნობი ყოფიერის განფარვის, გამჟღავნების სფერო, რომელშიც დაფარული ჭეშმარიტება გვეხსნება ქმნილებაში ხორცშესხმით (მ. ჰაიდეგერი, 1991:75,78). ესთეტიკური ქმნილება სემიოტიკურია, იგი წარმოადგენს ნიშანს, რომელსაც აქვს დაფარული შინაარსი, იგი მესიჯია ყოფიერიდან. „მშვენიერება ჭეშმარიტების ნათელმოსილებაა ქმნილებაში,“– ამბობს მჰაიდეგერი (მ. ჰაიდეგერი, 1991:84). ლეონარდოს ჯოკონდას ფასდაუდებელი ღირებულება არა ფაქტურაშია, ფორმაში (morphe), ნატურასთან მიმსგავსებაში, არამედ ჭეშმარიტებაში. ეს უკანასკნელი კი უფრო ენდობა განცდას, ვიდრე ინტელექტს. ესთეტიკური შეიძლება იყოს თავად ენობრივი ქმნილებაც, რომელსაც, მჰაიდეგერის შეფასებით, გამორჩეული ადგილი უპყრია ხელოვნებაში, რადგან „თქმა“ თავად არის სამყაროს წარმომქმნელი თხზვა (მ. ჰაიდეგერი, 1991:76). ესთეტიკური ფუნქციით გამოყენებული ენა მხატვრულ სახეებთან ერთად გვთავაზობს სამყაროს შესახებ მრავალ კონცეპტუალურ ხედვა-

საც: „სიკეთის ქმნა არ არის ყოველთვის სიკეთის მომტანი“ (დათა თუთაშხია); „მთავარი სიმართლე შენშია, იგი უნდა შეინახო და დაიცვა სამყაროსაგან“ (გორა მბორგალი); მ.ბულგაკოვის ვოლანდი – „ბოროტება, რომელიც იძულებულია ჩაიდინოს სიკეთე“; ფ.დოსტოევსკის თავადი მიშკინი (იდიოტი)– „ვაი სიკეთისაგან“; ლ.ტოლსტოის ანა კარენინა– „ადამიანური სიყვარული გამანადგურებელია“. მოყვანილი და სხვა მსგავსი ჭეშმარიტება შობილია მხატვრული ნარატივით და არა ფილოსოფიური მსჯელობით. შეფასება „ფილოსოფიური რომანი“ არ ნიშნავს ფილოსოფიის საკვლევო აპარატის გამოყენებას რომანში, არამედ მხატვრული აზროვნების იმ ხარისხს, როდესაც ესთეტიკური ანაშუქია ალეთეურის. სამყაროს უდიდეს აღმომჩენად მიიჩნევს დოსტოევსკის ვ.შკლოვსკი და უწოდებს რომანისტს საიდუმლოს მხილველს („тайновидец”) (ж.Смена, 1971, №21). ამ სახელს სამართლიანად იმსახურებს ყველა გამოჩენილი ხელოვანი. ფორმისა და შინაარსის თანხმიერება მწვერვალს აღწევს პოეზიაში. პოეტურ ნაწარმოებში ბგერები თითქოს, შეიძლება, მართლაც, თავად იყრიან თავს საჭირო შინაარსის გადმოსაცემად, მაგალითად, გალაკტიონთან: **„გამომაღვიძა ღამის ალმა, ნელმა და ქურდმა“** „(გალაკტიონი, 148); **„იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ, იმგვარადვე მდევ– იმგვარადვე მკლავ“** (გალაკტიონი,141); **„მალე ფერგადაშლილი ამწვანდება ტყე, ველი, გაიშლება ყვავილი, სურნელების მფრქვეველი“** (გალაკტიონი, 22); ესენინთან: **„Вечером синим, вечером лунным. Был я когда-то красивым и юным”**(С. Есенин,337). ამიტომ ენდობიან პოეტები ბგერებს და ლინგვისტებისაგან განსხვავებით მიმართავენ მათ საზრისების მოსაპოვებლად. **«Россия— слово-то какое нежное: роса, сила и ещё что-то синее»** რუსეთის ამ პოეტურ ხედვაში მის ავტორს სერგეი ესენინს მშობ-

ლიური ქვეყნის სახე სიტყვა **„Россия**-ში ' შემავალი ბგერებით **(рос-, си-)** წარუდგება. პოეზიაში მხატვრული სახეები კიდევ უფრო შორდებიან ინტელექტუალურს, საგნები და მოვლენები იძენენ მარადისობის პერსპექტივას, მაგალითად, გალაკტიონთან: **„შორს ჩვენგან ღამის წყვდიადო, შორს, ბურუსო გრძნეულო“** (19). ზოგჯერ პოეტს ამოაქვს ყოფიერიდან ყველასათვის და, ალბათ, თავისთვისაც უცნაური სახე სინამდვილისა:

„ღამის სიცილი დასცურავს ქვეყნად
ათეთრებული და მოვერცხლილი“ (გალაკტიონი, 15).
„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა“ (გალაკტიონი, 88).
„მოულოდნელად, მდუღარე მზის მთვრალი განგებით
ჰაერი აყვავილდა წითელ ფარშევანგებით“ (პ.იაშვილი,393).
„თუ პოეტი ხარ და ხარ ვაჟკაცი
გათენდი ისე, როგორც გათენდა ოქროყანაში“ (ტ. ტაბიძე, 573).

კითხვა, რამდენად შეეფერება მოყვანილი რეალურს, უადგილოა, რადგან პოეზია თხზვაა, ხოლო ორივე ერთად არის სინამდვილე (მ. ჰაიდეგერი, 77).

ძირითადი ცნებები

ენის ფუნქცია; სამეტყველო აქტი; მეცნიერული ტექსტი; კონტაქტი; კომუნიკაციის არხი; ენა– ობიექტი; მეტაენა; ემოცია; ენობრივი ესთეტიზმი.

საჭირო ტერმინები

რეფერენცია – ენის მიმართება სინამდვილესთან; რ. იაკობსონთან ეს ტერმინი ნიშნავს სინამდვილეს;

ექსპრესია გამოხატვაა; რ. იაკობსონთან ექსპრესია ნიშნავს ემოციათა გამოხატვას;

ემოტივი – ენობრივად გამოხატული ემოცია;

ნარატივი – თხრობა;

რეფლექსია – თავისი ფსიქიკური მდგომარეობის ანალიზი;

იდენტიფიკაცია – გაიგივება, იგივეობის დადგენა;

ინსტიტუცია – სოციალური დაწესებულება;

იმპლიკაცია – ლოგიკური კავშირი: „თუ A, მაშინ B-ც“;

დესკრიფცია – აღწერა;

ალეთეია – ჭეშმარიტება.

საკონტროლო კითხვები

1. რას შეესაბამება ენის შვიდი ფუნქცია რ. იაკობსონის კონცეფციაში?
2. სამეტყველო აქტის რომელ კომპონენტს შეესაბამება ორი ფუნქცია?
3. რის შექმნას საჭიროებს სინამდვილის შემეცნება ენობრივი თვალსაზრისით?
4. რა ახასიათებს მეცნიერულ ტექსტს?
5. რას ეფუძნება მეცნიერული კანონი?
6. სად შეიძლება დაენახა ნ. კოპერნიკს დედამიწის ბრუნვა მზის ირგვლივ?

7. შეიძლება თუ არა კომუნიკაცია კომუნიკანტების ფსიქოფიზიკური დაკავშირების გარეშე?
8. რას არის მოკლებული ფატიკური კომუნიკაცია?
9. შეიძლება თუ არა ობიექტის მეცნიერული შესწავლა ენის გამოყენების გარეშე?
10. რა შემთხვევაში ჭირს ენა-ობიექტისა და მეტაენის ერთმანეთისაგან გარჩევა?
11. რას გულისხმობს ტერმინი „ფორმალიზებული მეტაენა“?
12. რას ქმნის ენა-ობიექტისა და მეტაენის განუსხვავებლობა ლოგიკაში?
13. რა განსხვავებაა ლოგიკასა და მეტალოგიკას შორის?
14. რატომ არის მეტათეორია მეორე რიგის კონცეპტუალური სისტემა?
15. ახასიათებს თუ არა ენაზე რეფლექსია ცხოველებს?
16. განიცდიან თუ არა ცხოველები ემოციურად სამყაროს?
17. რა კავშირშია ემოციები ლ. ვიტგენშტაინის „ენობრივ თამაშთან“?
18. არსებობს ემოციათა ეროვნული განცდა?
19. ეროვნულია თუ უნივერსალური ემოციათა წარმომქმნელი მექანიზმი?
20. შესაძლებელია თუ არა ემოციათა არაენობრივი გაცნობიერება?
21. არსებობს თუ არა გრძნობების სრული კლასიფიკაცია?
22. როგორ ადგენს ენა ემოციათა საზღვრებს?
23. რატომ არის კომუნიკაცია ადამიანური ბუნების მოთხოვნილება?
24. რა შემთხვევაში გამოიყენება ენა ესთეტიკური ფუნქციით?
25. არის თუ არა მშვენიერი ჭეშმარიტი?

ისაუბრეთ ენის ფუნქციებზე რ. იაკობსონის თანახმად

1. „გარკვეული ობიექტის გარკვეული წესით შესწავლა (სპეციალური მეთოდების მეშვეობით) შედეგად მოგვცემს ცოდნას. ეს ცოდნა მხოლოდ მაშინ მოგვცემს სამეცნიერო დისციპლინას, თუ იგი სისტემაშია მოყვანილი. ერთი და იგივე წინადადება შეიძლება ენათმეცნიერული შესწავლის პროცესში განვიხილოთ სხვადასხვა მხრივ..."(არნ. ჩიქობავა, 1983:13).

2. „იმ დროს, როცა ებრაელები ეგვიპტეში იმყოფებოდნენ, არაბეთში ერთი შესანიშნავი კაცი, იობი ცხოვრობდა. ის იმით იყო შესანიშნავი, რომ ჭეშმარიტი ღმერთი სწამდა და განთქმული იყო თავისი ქველმოქმედებით. ამას გარდა, მდიდარი კაცი იყო, შვიდი ვაჟი ჰყავდა და სამი ქალი. მის ვაჟებს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, ყოველ დღეს იკრიბებოდნენ ხან ერთთან, ხან მეორესთან და ასე ატარებდნენ დროს. ყოველ მეშვიდე დღეს მამა დაიბარებდა ხოლმე შვილებს და შესწირავდა მათთვის უფალს საღრმთოს" (წმინდანთა ცხოვრება, 34)

3. „ამ ვარდობისთვის ვარდებით ვთვრები,
კარგია თრობა.
ო, მებრალება მე ჩემი მტრები,
არ ვიცი მტრობა" (გალაკტიონი, 349).

4. „ო,უკვდავო ღმერთებო! რა ხალხში ვართ, სად ვცხოვრობთ? ეს რა სახელმწიფოა, რა ქალაქია? აქ არიან ისინი, ვისაც ჩვენი გაულეტა სურს (ციცერონი,15).

5. „ქართულში სამი უარყოფითი ნაწილაკია: არ, ვერ, ნუ. უარყოფით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებში შედის რომელიმე მათგანი. სამივე ნაწილაკი უარყოფას გამოხატავს, მაგრამ მნიშვნელობით ისინი ერთმანეთისაგან გან-

სხვავდება“ (ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართ. ენის სინტაქსი, 30).

6. „გამარჯობა ნინოშვილის ორმოცდაათო ნომერო! ჯერ არ წაქცეულხარ? ისევ გიდგას სული? შენს გამძლეობას გაუმარჯოს! გამარჯობა, ჩემი ეზოს რკინის ალაყაფო, დარუბანდის ციხის კარს რომ ჰგავხარ, როგორ ჩამოგვარდნია მხარი; გამარჯობა, ჩემო ონკანო, გამარჯობათ , რიგში ჩამდგარო კასრებო, ჩაიდნებო, დოქებო, ბოთლებო, ქილებო (ნ. დუმბაძე, 2005:165).

7. „როგორ მიუთითებენ სიტყვები შეგრძნებებზე? – აქ თითქოს არ უნა იყოს პრობლემა; განა ჩვენ ყოველდღიურად არ ველაპარაკობთ შეგრძნებებზე და არ ვასახელებთ მათ? მაგრამ როგორ ხდება სახელსა და დასახელებელს შორის კავშირის პროდუცირება? ეს იგივე შეკითხვაა, რაც: როგორ სწავლობს ადამიანი შეგრძნებების სახელების მნიშვნელობას? მაგალითად, სიტყვისა „ტკივილი“. აი, ერთი შესაძლებლობა: სიტყვები უკავშირდება შეგრძნების პირველად, ბუნებრივ გამოთქმას და მის ადგილას გამოიყენება.ბავშვმა რაღაც იტკინა, ის ყვირის; ახლა მას მოზრდილები ელაპარაკებიან და ასწავლიან წამოძახილებსა და მოგვიანებით– წინადადებებს. ისინი ასწავლიან ბავშვს ახალ ტკივილ-ქცევას“ (ლ. ვიტგენშტაინი, 2003:135).

8. „-მშვიდობით, ზაზა, ნახვამდის, ზაზა, შენი ჭირიმე, შენი!– შოშია წამოდგა, გულში ჩამიკრა, მერე უცებ შეტრიალდა, გიჟივით გავარდა გარეთ და დამტოვა გულადუღებული, თვალცრემლიანი და გაგუდული შუა საკანში“ (ნ. დუმბაძე, 2005: 386).

9. „ბერძნულ ენაში მეტყველების შემდეგი ნაწილებია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი, შორისდებული; ბერძნულ ენაში გვაქვს აგრეთვე სქე-

სის მაუწყებელი ართრონი(არტიკლი) და სხვადასხვა ნაწილაკი (ა. ურუშაძე, 1987:27).

10. „უკეთუ კაცმა კაცი დაასმინა, მკვლელობა დააბრალა და ვერ დაუმტკიცა, მისი დამსმენელი სიკვდილით უნდა დაისაჯოს“ (ჰამურაბის კანონები,12).

11. „ -თუ ის კაცი ოლინთოსს იგდებს ხელთ,მაშინ მითხრას რომელიმე თქვენგანმა, რაღა დააბრკოლებს მას, იქით იაროს, საითაც ინებებს? უფიქრია თუ არა ვინმე თქვენგანს , ათენელო მოქალაქენო, ან წარმოუდგენია თუ არა, რამ აქცია ბუმბერაზად ფილიპე, ადრე თუ ძაბუნი იყო იგი? რამ და, ჯერ ამფიპოლოსი აიღო მან, მერმე ჰიდნა, კვლავაც პოტიდეა, ამას მეტონეც მიაყოლა და ბოლოს თესალიაში შებრძანდა“ (დემოსთენე, 23).

თავი IV. ენის ბუნება
ლინგვისტიკა და სემიოტიკა

§ 1. სემიოტიკის სათავეებთან – ფ. დე სოსიური (1857-1913)

მას შემდეგ, რაც არისტოტელემ მეცნიერებათა საფუძვლად (ორგანონად) დაასახელა ლოგიკა, ამ უკანასკნელს საპატიო მისიის შესრულებაში გამოუჩნდა „მოცილეებიც“ : მათემატიკა, მექანიკა, ფსიქოლოგია. მეოცე საუკუნეში ცნობილი გახდა მეცნიერებათა მეცნიერების კიდევ ერთი პრეტენდენტი – სემიოტიკა. ტერმინი სემიოტიკა ეტიმოლოგიურად უკავშირდება ძველბერძნულ სიტყვას semeion (ნიშანი). აქედანვეა შემდგარი რუსული სახელი Семён. ძველ საბერძნეთში სტოელი ფილოსოფოსები განასხვავებდნენ ნიშნის ორ მხარეს: აღმნიშვნელს (semainon) და აღსანიშნს (semainomeinon), მაგრამ ორივე კომპონენტს მათი სწავლების თანახმად განიხილავდა ლოგიკა (ИЛЯ.У. 1980:181). სემიოტიკის, როგორც მეცნიერული დარგის, შემოღების საჭიროებაზე პირველად მიუთითებს ინგლისელი განმანათლებელი და ფილოსოფოსი ჯონ ლოკი, რომელიც ნაშრომში „ადამიანური გონის შესახებ“ (1690) განმარტავს რა სემიოტიკას როგორც „მოძღვრებას ნიშანთა შესახებ,“ შენიშნავს, რომ ამ მოძღვრებას უწოდებენ აგრეთვე ლოგიკას და ნიშნების (სიტყვებისა და იდეების) კარგი შესწავლა შედეგად მოგვცემს განსხვავებულ ლოგიკას და კრიტიკას (Локк, 1985:200-201). სემიოტიკის საჭიროებას ლინგვისტიკისათვის და არა ლოგიკისათვის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსში“ აღნიშნავდა დე სოსიური: „ენის ჭეშმარიტი ბუნების შესაცნობად უპირველესად უნდა ჩავწვდეთ იმას, თუ რა აქვს ენას საერთო იმაეე რიგის სხვა სისტემებთან“ (Соссюр, 2002:28),

ამიტომ ლინგვისტიკა სემიოლოგიის ნაწილია, ხოლო ეს უკანასკნელი – სოციალური ფსიქოლოგიის დარგი (სოსიური, 2002:28). სემიოტიკაზე დე სოსიური ლაპარაკობს მომავალ დრო'ში: „იგი (სემიოტიკა-ლ.ხ) გაგვაცნობს, რას წარმოადგენენ ნიშნები და რა კანონი მართავს მათ, ვინაიდან, ჯერჯერობით არ არსებობს მეცნიერების ასეთი დარგი, წინდაწინ არ შეიძლება ვივარაუდოთ, თუ როგორი იქნება იგი. მაგრამ მას სრული უფლება აქვს იარსებოს და მისი ადგილი წინასწარვე განსაზღვრულია“ (სოსიური, 2002: 27). დე სოსიურს შეუძლებელია . სცოდნოდა, რომ მეცნიერების ასეთი დარგი უკვე იყო ჩამოყალიბებული ოკეანის გაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოჩენილი ლოგიკოსისა და ფილოსოფოსის ჩარლზ სანდერს პირსის მიერ. საინტერესოა, რომ გავა დრო და ჩ.-ს. პირსთან ერთად სემიოტიკის დამაარსებლად აღიარებენ თავად სოსიურსაც. პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ლინგვისტური თეორიის ჩამოყალიბების პირობად სოსიური მიიჩნევს ენის შესწავლას ურთიერთობის სხვა სისტემებთან შედარებაში, რასაც თავად არ გააკეთებს. მართალია, იგი ახსენებს სხვადასხვა სემიოტიკურ სისტემას: დამწერლობას, ყრუ-მუნჯთა ანბანს, რიტუალს, ეტიკეტს, სამხედრო სიგნალებს, ადათებს და ა.შ., მაგრამ დამწერლობის გარდა სხვაგან არ განიხილავს მათ. მიუხედავად ამისა სოსიურმა შექმნა არა მხოლოდ თანამედროვე ლინგვისტიკა, – სემიოტიკის მეცნიერული საფუძველიც. ბუნებრივი ენის გაანალიზებისას სოსიურმა ჩამოაყალიბა ნიშნის ზოგადი თეორია, რომელიც ამოსავალია მისთვის ენის განმარტების დროს. ანტიკური ხანიდან მოყოლებული ვიდრე სოსიურამდე აუხსნელი რჩებოდა კავშირი სიტყვასა და საგანს შორის. ძველი სამყაროს მოაზროვნეებს ენა გათანაბრებული ჰქონდათ მეტყველებასთან და წარმოდგენილი როგორც ბგერებისაგან შემდგარი მზა

აზრების გამომხატველი ფორმა. ამიტომ, მათი აზრით, უნდა არსებულიყო ფიზიკური კავშირი სიტყვებსა და საგნებს შორის. რადგან სიტყვები არ წარმოადგენენ საგნების ნაწილს, რჩებოდა მხოლოდ ერთი შესაძლებლობა მათი ფიზიკურად დაკავშირებისა, სახელდობრ, მსგავსების დაშვება მათ შორის, ამის კარგი მაგალითია სოკრატეს წარუმატებელი მცდელობა პლატონის „კრატილში“. უდავოა, რომ სიტყვები აღნიშნავენ საგნებს, ე.ი. სიტყვები საგნების ნიშნებია, სახელდება (სემიოზისი) კი საჭიროებს კავშირს ნიშანსა და აღნიშნულს შორის, მაგრამ სიტყვები არც მიბმული არიან საგნებზე და არც ჰგვანან მათ. ენისა და მეტყველების გაყოფით სოსიურმა პირველი დაუშვა მხოლოდ ადამიანთა გონში და აქვე მოათავსა ენობრივი ნიშნებიც, შემდგარი აღმნიშვნელისა (აკუსტიკური ხატი) და აღსანიშნისაგან (ცნება). აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დასაკავშირებლად სოსიურს დასჭირდა ორიევესთვის ერთი (ფსიქიკური) ბუნების მინიჭება. მასთან ნიშანმა დაკარგა ფიზიკური ფაქტურა და გახდა ნაკლებად თვალსაჩინო, სამაგიეროდ გათვალსაჩინოვდა კავშირი ნიშანსა და აღსანიშნს შორის. სემიოტიკისათვის ამ გადამწყვეტ ნაბიჯს მოჰყვა ის უხერხულობა, რომ ნიშანი და საგანი აღმოჩნდნენ სხვადასხვა: მენტალურ და ფიზიკურ განზომილებაში. მათ დასაკავშიერებლად სოსიური მეტყველებაში გვთავაზობს ფიზიკურ სიტყვას, რომელიც აკუსტიკური ასოციაციით დაკავშირებულია აკუსტიკურ ხატთან. ამგვარად დაუკავშირდა სიტყვა საგანს, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ შუამავლების დახმარებით: ფიზიკური საგანი როგორც კლასის წევრი დაკავშირებულია ცნებასთან, ცნება-აკუსტიკურ ხატთან (ენობრივ ნიშანში), აკუსტიკური ხატი აკუსტიკურ-არტიკულაციური ასოციაციით – ფიზიკურ სიტყვასათან. ამ კონცეფციის თანახმად ენობრივი ნიშანი „ორმხრივ ფსიქიკურია“ (სოსიური,

2002:74). არტიკულაციის მეშვეობით ენა წარმოქმნის ენობრივ ნიშნებს და არა ცარიელ ბგერით აღმნიშვნელებს; „ამ თვალსაზრისით ენა არ წარმოადგენს ნომენკლატურას“ (სოსიური, 2002:73). აკუსტიკური ხატისა და ცნების განუყოფლობა საფუძველია ენობრივი ნიშნის (სიტყვის მეშვეობით) დაკავშირებისა საგანთან. ენობრივი ნიშნის ფარგლებში აკუსტიკური ხატი აღმნიშვნელია, ცნება-აღსანიშნი, ხოლო თავად ენობრივი ნიშანი აღმნიშვნელია საგნის, რომელიც თავის მხრივ არის მისი აღსანიშნი. ამის გათვალისწინებით „ენა არის ფორმა და არა სუბსტანცია“ (სოსიური, 2002:128). ენის დანიშნულება სახელდებაა. ამ ფუძემდებლურ მახასიათებელს ეფუძნება სოსიურთან ენის ერთ-ერთი მთავარი განმარტება: „ენა ცნებების გამომხატველ ნიშანთა სისტემაა“ (სოსიური, 2002:27). მოყვანილი დეფინიცია სემიოტიკურია და არა საკუთრივ ლინგვისტური, რადგან თანაბრად უდგება როგორც ბუნებრივ ენას, ისე ურთიერთობის სხვა ხელოვნურად შექმნილ სისტემებს (დამწერლობა, რიტუალი, ეტიკეტი, სამხედრო სიგნალები და ა.შ.). აღმნიშვნელისა და აღსანიშნის მენტალური (არა ფიზიკური) კავშირი შესაძლებელს ხდის იმას, რომ პირველი არ იყოს მოტივირებული მეორეთი და ენობრივი ნიშანი საგანთან მიმართებაში წარმოადგენდეს პირობით სახელდებას. სოსიური არ უწოდებს ენობრივ ნიშანს „სიმბოლოს“, რადგან დამკვიდრებული აზრით, „სიმბოლო ბოლომდე პირობითი არაა, ასე, მაგალითად, სამართლიანობის სიმბოლო, სასწორი, არ შეიძლება შეცვალოთ ეტლით“ (სოსიური, 2002: 76). გამონაკლისის სახით სოსიური გამოყოფს ხმაბაძვით სიტყვებს და შორისდებულებს, რომლებიც არ წარმოადგენენ პირობით ნიშნებს. აღმნიშვნელისა და აღსანიშნის პირობითი კავშირი განაპირობებს ენობრივი ნიშნის ცვალებადობას დროში, ხოლო მათი მენტალური განუყოფ-

ლობა საფუძველია ენობრივი ნიშნის უწყვეტობის ადამიანთან მიმართებაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენიც არ უნდა იცვალონ ერთმანეთის მიმართ აღმნიშვნელი და აღსანიშნი, ადამიანისთვის დროის ყველა მონაკვეთში ენობრივი ნიშანი იგივეობრივი რჩება. განმარტებაში „ენა ცნებების გამომხატველ ნიშანთა სისტემაა“ (სოსიური, 2002: 27) ენის რაობა განისაზღვრება ორი-„ენობრივ ნიშანთა“და „სისტემა“-ცნებით. მათგან სოსიურისთვის უფრო მნიშვნელოვანია მეორე, რადგან არა ენობრივ ნიშანთა ერთობლიობა განსაზღვრავს ენობრივი სისტემის ხასიათს, პირიქით, ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული თითოეული ენობრივი ნიშნის რაობა, რომელიც არ ამოიწურება მხოლოდ საგანთან მიმართებით, სისტემის სხვა ენობრივ ნიშნებთან თანამიმართება სძენს მას ღირებულებას-სტრუქტურულ, პარადიგმატულ სემანტიკურ კომპონენტს (სოსიური, 2002:121).

სოსიურს არ მოუყვანია სისრულეში სემიოტიკის შესაქმნელად დასახული, მაგრამ არც ნაკლები გაუკეთებია: მან დაადგინა ენობრივი ნიშნის ძირითადი მახასიათებლები (მენტალობა, პირობითობა, კონვენციურობა, ცვალებადობა, უწყვეტობა, ღირებულებითობა) და გადაწყვიტა სიტყვის საგანთან დაკავშირების პრობლემა. ბუნებრივი ენა ურთიერთობის ხელოვნური სისტემების საფუძველია. ამიტომ ფრანგი ენათმეცნიერის ლინგვისტური ნააზრევი სახელდების შესახებ ჭეშმარიტი აღმოჩნდა სემიოტიკური თვალსაზრისითაც.


§2. ნიშანთა კლასიფიკაცია ჩარლზ სანდერს პირსი (1839-1914)

ოუ ფ. სოსიური სემიოტიკაში მოვიდა ლინგვისტიკიდან, ჩ. პირსისთვის ამოსავალი იყო ლოგიკა. ამან განსაზღვრა ამერიკელი მეცნიერის დამოკიდებულება „ნიშანთა შესახებ ფორმალურ მეცნიერებასთან," – ასე უწოდებს იგი ამ უკანასკნელს (Ч.Пирс, 2000: 46). ჩ. პირსი არ იკვლევს სემიოტიკურ სისტემებს (სემიოსფეროს), არამედ აყალიბებს ნიშანთა თეორიას, რათა მას დააფუძნოს მეცნიერება სწორი აზროვნების შესახებ – ლოგიკა: ნიშნებზე დამყარებით განსაზღვროს ძირითადი ცნებები, რადგან კლასიკურმა გერმანულმა ლოგიკამ აუცრუა მას გული (Ч.Пирс, 2000: 325). ფ. დე სოსიური ლინგვისტია, ნიშნის პრობლემას იგი წააწყდა ენაში და შეეცადა მისი გადაწყვეტა, რათა ჩამოეყალიბებინა ლინგვისტური თეორია. ჩ. პირსის თქმით, ნიშნის პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია და მოითხოვს ღრმა რეფლექსიას (Ч,Пирс, 2009: 88). Gramatĭca spekulatva-s ავტორი კუთვნილს მიაგებს ფენომენოლოგიას და პოზიტივიზმს და გვპირდება, რომ გონში მეცნიერულად შეისწავლის მხოლოდ იმას, რაც მოცემულია უშუალო დაკვირვებაში (Ч,Пирс, 2000:6,7), ასეთად ჩ. პირსი ასახელებს არსებულის სამ ფენომენს: პირველია უშუალო ცნობიერება (შეგრძნება, განცდა, იდეა); მეორე – კონკრეტული ობიექტი, ნამდვილი ფაქტი და არსებობს კიდევ მესამე, რომელიც აკავშირებს პირველს მეორესთან, გამოხატავს მათ შორის მიმართებას. ესაა ნიშანი, რომელიც ადგენს ჩვევას, კანონს (Ч, Пирс, 2000:7-14). ამრიგად, ნიშანი ჩ. პირსმა აღმოაჩინა ფენომენოლოგიური ანალიზის შედეგად უშუალოდ არსებულთა სინამდვილეში. ეს იყო ფილოსოფიური მნიშვნელობის აღმოჩენა, რადგან არც ფენომენოლოგიური ანალიზის შემომღები ე. ჰუსერლი, არც სხვა ამ მეთოდის მიმდევარი არაფერს ამბობენ ნიშნებზე. კლასიკურ პლატონიზმში მარადიული იდეა (ეიდოსი) გვევლინება მის მსგავს ფიზი-

კურ საგანთა სახით. ფიზიკურ სინამდვილეში საგანი წარმომადგენელია იდეის და ამიტომ მისი ნიშანიცაა. უ. ოკამის, თ. ჰობსის, ლაიბნიცის, ჯ. ლოკის თანახმად იდეა (ცნება) თავად ნიშანია, რადგან წარმოადგენს კონკრეტულ საგანთა კლასს და ამდენად გულისხმობს მასში შემავალ კონკრეტულ საგნებს. სოსიურთან ცნება აკუსტიკური ხატის გარეშე არ შეიძლება იყოს საგნის ნიშანი, ისე როგორც აკუსტიკური ხატი (ბგერითი აღმნიშვნელი) ცნების გარეშე ვერ დაუკავშირდება საგანს. ჩ. პირსი გვაჩვენებს, რომ აზროვნებას გონი წარმართავს არა პირველი და მეორე სახის არსებით, არამედ ნიშნებით. თუ შემეცნების პრობლემას პლატონი წყვეტს მარადიული იდეების (ეიდოსების) დაშვებით, დიალოგში „კრატილი“ სოკრატე უხსნის კრატილს, რომ მარად ცვალებადი (იგულისხმება ფიზიკური საგნები) არ შეიძლება იყოს შემეცნებული და, თუკი არსებობს შემეცნება, უნდა ვაღიაროთ საგნების მდგრადი საფუძველი– იდეები (Платон, 1968:490). ჩ. პირსთან ყოველგვარი აზრის და კვლევის საფუძველი სიმბოლოებია, „ განსჯა არის ამგვარი ნიშნების გარკვეული წესით განლაგება და ჭეშმარიტების მოპოვების ხელოვნება“ (Ч,Пирс, 2009: 94). ანტიკური ხანიდან მოყოლებული მეცნიერულმა სამყარომ იცოდა ჭეშმარიტების მოპოვების მხოლოდ ერთი ხელოვნება – ლოგიკა, რომელიც აზროვნების ერთეულებად არ განიხილავდა ნიშნებს. ამ ნაკლის გამოსწორებას ანუ სემიოტიკური ლოგიკის შექმნას ჩ. პირსი მიზნად დაისახავს მას შემდეგ, რაც 13-14 წლის ასაკში პირველად წაიკითხავს უეტლის ლოგიკას (Ч, Пирс, 2000: 313). ლოგიკისა და სემიოტიკის შეერთებით ჩ. პირსთან ლოგიკა იქცევა სემიოტიკის მეორე სახელად (სინონიმად) და ნაწილად, ხოლო სემიოტიკას მიენიჭება ფორმალური მეცნიერების სტატუსი, მეცნიერებისა, რომელიც სწავლობს უნივერსალურ მიმარ-


თებებს ნიშნებს შორის: „ლოგიკა სხვა არაფერია თუ არა სემიოტიკის სხვაგვარი სახელწოდება, სემიოტიკა კი ფორმალური მეცნიერებაა ნიშანთა შესახებ“ (Ч,Пирс, 2000:46). სემიოტიკის ნაწილებია: 1) ლოგიკა-ფორმალური მეცნიერება სიმბოლოთა ჭეშმარიტების ანუ თავიანთ ობიექტებთან რეფერენციის შესახებ; 2) სიგნიფიკა სწავლობს ნიშანთა ბუნებას; 3) Grammatica speculativa („წმინდა გრამატიკა“): განსაზღვრავს იმ ნიშნების ჭეშმარიტებას, რომლებიც გამოიყენება მეცნიერებაში; 4) „ წმინდა რიტორიკა“ ადგენს ნიშანთა მიერ სხვა ნიშნების წარმოქმნის წესებს მეცნიერებაში. სემიოტიკის ამგვარად წარმოჩენილ პროექტში ნიშნები იზიდავენ პირსს უპირველესად როგორც აზროვნების საშუალება, ნიშანთა შესწავლის საკუთრივ სემიოტიკური პერსპექტივა იფარგლება მეცნიერების ამოცანებით. სემიოტიკური ლოგიკის შექმნით ავტორმა მიიღო ლოგიზირებული სემიოტიკაც, აღნიშნული წარმოადგენს ამ უაღრესად საინტერესო პროექტის თავისებურებას.

ანტიკურ ლოგიკასთან შედარებით სემიოტიკური ლოგიკა ეფუძნება ნიშანთა გამოყენებას, ამიტომ ჩ. პირსისთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო დაედგინა ნიშანთა ბუნება და ტიპოლოგია. თუ ლინგვისტურად ნიშანი არის აკუსტიკური ხატისა და ცნების მთლიანობა მის მიმართებაში საგანთან, ე.ი. გულისხმობს სამი ელემენტის მიმართებას, ფენომენოლოგიური ხედვითაც ნიშანდება (სემიოზისი) წარმოადგენს ტრიადას: „ნიშანი ანუ რეპრეზენტამენი ენაცვლება თავის ობიექტს და ქმნის ექვივალენტურ ნიშანს (ინტერპრეტანტს) იმ ადამიანის გონში, ვისთვისაც არის განკუთვნილი (Ч. Пирс, 2000: 48).



„ყოველ ტრიადულ მიმართებაში ჩვენ ყოველთვის აღმოვაჩენთ მენტალურ შემადგენელს“ (Ч, Пирс, 2000:288) , სიგნიფიკის ეს მთავარი კანონი ამოიკითხება ასე: რეპრეზენტაციის (ასე უწოდებს პირსი ნიშანდებას) დროს ნიშნის მიერ ობიექტის ჩანაცვლებას თან ახლავს იდეის (ინტერპრეტანტის) წარმოქმნა. თუ ქუჩაში უცნობი ადამიანი მოულოდნელად მოგვართმევს ყვავილებს და უსიტყვოდ წავა, ჩვენი საგონებელში ჩავარდნა ინტერპრეტანტის უქონლობით იქნება გამოწვეული და სანამ ვერ ვიპოვით ამ უკანასკნელს, ყვავილების თაიგული ვერ გახდება ჩვენთვის რისამე ნიშანი. ნიშანდების ბუნება ტრიადულია და არა დუალური: იმისათვის, რომ ჩაენაცვლოს ობიექტს, ნიშანმა უნდა გამოხატოს იდეა. ნიშანდების ტრიადულ ბუნებას ეფუძნება ჩ. პირსთან ნიშანთა ტიპოლოგიაც. სამი შემადგენლის (ნიშანი-ობიექტი-ინტერპრეტანტი) შესაბამისად ავტორი გვთავაზობს სამ ტრიხოტომიას.

1. ნიშანი (signum<ლათინიზებული ძვ. ბერძნ. simeon)
თავის თავთან მიმართებაში



თავისი ფაქტურით ნიშანი შეიძლება იყოს ფსიქიკური მოვლენა, ფიზიკური საგანი ან კონცეპტუალური ფაქტი (კანონი). თუ ნიშანია კონკრეტული საგნის ან მოვლე-

ნის ცალკე თვისება, წარმოქმნილი შეგრძნება, შთაბეჭდილება, განწყობა, განცდა, ან სახე, საქმე გვაქვს კვალისიგნუმთან, მაგალითად, გემოს შეგრძნება მეჭაშნიკესათვის; კვამლის სუნი როგორც ახლოს მდებარე სახლის ნიშანი; პატრონის, ნადირის სუნი ძაღლისთვის; განწყობა დანახულისაგან; კონკრეტული ადამიანისაგან მიღებული შთაბეჭდილება და ა.შ. კვალისიგნუმის კითხვაა „რა იყო ეს?“ პროპოზიცია : „მე რაღაც მენიშნა.“


თუ ნიშნად ერთხელ გამოყენებულია კონკრეტული რეალური საგანი ან ხდომილება, საქმე გვაქვს სინსიგნუმთან (sin-ერთხელ), მაგალითად, კონკრეტული ერთეული ობიექტის სქემა, დიაგრამა, რომლის გამოყენება არ საჭიროებს კონვენციას ან გულისხმობს ვიწრო კონვენციას, მაგალითად, პაროლად დათქმული კონკრეტული საგანი, სიტყვა. სინსიგნუმისაგან განსხვავებით ლეგისიგნუმი საყოველთაოდ დადგენილი ნიშანია, რადგან გამოხატავს წესს, კანონს, მაგალითად, ეტიკეტს, ტრადიციის, რიტუალის წესებს: ცხვირის მოხოცვა ცხვირსახოცის გარეშე საზოგადოებაში უზრდელობის ნიშანია; ანთროპონიმები (ლევან, ქეთევან, ზურაბ); დაავადებათა სიმპტომები. ლეგისიგნუმი არ არის ერთეული ობიექტი, არამედ საყოველთაო კონვენციით დადგენილი ზოგადი ტიპია. ლეგისიგნუმის კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებას ეწოდება რეპლიკა, რომელიც არის სინსიგნუმი. 15-20 ჯერ ერთ გვერდზე შეხვედრილი არტიკლი the არის 15-20 რეპლიკა-სინსიგნუმი, მაგრამ ერთი ლეგისიგნუმი.

ლეგისიგნუმი: —რეალიზდება→ რეპლიკა-სინსიგნუმი:
(სოგადი კონვენციური ნიშანი)

შუქნიშნის წითელი, ყვითელი, მწვანე ფერები — **კონკრეტული შუქნიშნის კონკრეტული წითელი, ყვითელი, მწვანე ფერები**

ვარდების თაიგული საჩუქრად	– კონკრეტული ვარდების თაიგული
საქორწინო კაბა]	– კონკრეტული საქორწინო კაბა
საქორწინო ბეჭედი	კონკრეტული საქორწინო ბეჭედი
საჩვენებელი თითის საფეთქელთან ტრიალი	– კონკრეტული ადამიანის მიერ თითის საფეთქელთან ტრიალი.

ლეგისიგნუმია ყოველი სიმბოლო და, პირიქით, სინსიგნუმი არ შეიძლება იყოს სიმბოლო. სიტყვა, მაგალითად, „ცხენი“ როგორც სიმბოლო (ენობრივი ნიშანი) ლეგისიგნუმია, როგორც კონკრეტული ეგზემპლარი მეტყველებაში სინსიგნუმია. ლეგისიგნუმს ახასიათებს იდენტურობა, ის დაუშვებს მრავალ რეალიზაციას; სინსიგნუმი შეიცავს კვალისიგნუმებს, რომელთაც არ მოეპოებათ იდენტურობა, თითოეული არის თვისება, რომელიც ერთი წამის განმავლობაშიც კი არ რჩება იგივეობრივი (Ч.Пирс, 2000:291).



იკონები – იმიტაციური ნიშნები – უკავშირდებიან ობიექტს მსგავსებით, ისინი სხვადასხვა იმიტირებით ასახავენ ობიექტს: გამოხატავენ მასთან 1) გარეგნულ მსგავსებას – სახეებს, მაგალითად, ფოტოსურათები, განსაკუთრებით მომენტალური, ნახატები, მაკეტები, ესკიზები, თეატრალური რეკვიზიტი, მათემატიკური ნიშნები: (პარალელური||); (პერპენდიკულარი ⊥); 2) სტრუქტურულ მსგავსებას – სქემები (დიაგრამები, გეგმა); 3) აღნიშნავენ ობიექტს სხვა ობიექტთან მსგავსების ფიქსირებით – მეტაფორები, მაგალითად: ვირივით ჯიუტი, მოთაფლავს, აპილპილდა... ჩ. პირსის აზრით, პირველყოფილი ენა უნდა შემდგარიყო იმიტაციური სიტყვებისა და ნახატებისათვის მინიჭებული კონვენციური სახელებისაგან, რადგან გართულებული კომუნიკაციის პირობებში, მაგალითად, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ურთიერთობის დროს ფართოდ გამოიყენება იმიტაციური ბგერები, ჟესტები, მიმიკა (Ч. Пирс,2009:91).

თუ იკონა ობიექტის ამსახველი ნიშანია, ინდექსი ობიექტის მაჩვენებელია (indication) იმის წყალობით, რომ რეალურადაა დაკავშირებული ობიექტთან, რადგან არის მისი ნაწილი. ასეთია, მაგალითად, საგზაო ნიშნები, რომლებიც აჩვენებენ მოძრაობის მიმართულებას; ქარის მიმართულების მაჩვენებელი ფლუგერი (საქროლი); მეზღვა-

ურის რწევით სიარული, მზის საათი, ძრაევის ხმა, ძაღლის ყეფა, წვიმის რაკუნი სახურავზე, ტელეფონის ზარი. ზღვარი ინდექსსა და იკონას შორის არ არის ყველა შემთხვევაში თვალსაჩინო. გეოგრაფიული რუკა, მაგალითად, არ არის მხოლოდ იკონა, იგი ინდექსიცაა, რადგან წარმოადგენს სივრცეში ორიენტაციის საშუალებას. უფრო მეტიც, რადგან ინდექსი ნაწილია ობიექტის, მათ (ინდექსსა და ობიექტს) აქვთ საერთო თვისება, ამიტომ ყოველი ინდექსი შეიცავს განსაკუთრებულ იკონას (Ч.Пирс, 2000: 59). მეორე მხრივ, იკონები ჰგვანან ობიექტს, ე. ი. დაკავშირებული არიან ამ მეორესთან და ამ გაგებით ისინი ინდექსებიცაა (Ч. Пирс, 2000: 90). ინდექსი როგორც მითითება თავის ობიექტზე არის ნამდვილი ინდექსი. ინდექსი როგორც იკონური ასახვა (იკონური ნიშანი) თავის ობიექტთან საერთო თვისების, გადაგვარებული ინდექსია (Ч. Пирс, 2000:81). „ყოველი ინდივიდუალური ობიექტი საკუთარი მახასიათებლების გადაგვარებული ინდექსია“ (Ч. Пирс, 2000:81). ნამდვილი ინდექსი და მისი ობიექტი არსებული ინდივიდუალური ობიექტებია: მზის საათი, კაკუნი კარზე, ბარომეტრი, ფლუგერი, პოლარული ვარსკვლავი, საეკლესიო ზარების ხმა, ბენზინის სუნი და ა. შ. ნიშანს, რომელიც მიუთითებს ინდივიდუალურად არსებულ ობიექტზე, მაგრამ თავად არ არის ინდივიდუალურად არსებული ობიექტი, პირსი უწოდებს აგრეთვე ქვეინდექსს, სხვაგვარად, ჰიპოსემას, ასეთია საკუთარი სახელები; პირის, ჩვენებითი, მიმართებითი ნაცვალსახელები; ასო-ნიშნები სქემაში და სხვა (Ч.Пирс, 2000:81).

თუ იკონა და ინდექსი მოტივირებული ნიშნებია: პირველი ჰგავს ობიექტს, ხოლო მეორე ობიექტის ნაწილია, სიმბოლო პირსთან (სოსიურისაგან განსხვავებით) არამოტივირებული და ამიტომ კონვენციური ნიშანია. სიმბოლოს კონვენცია საყოველთაოა ანუ ატარებს კანონის ხა-


სიათს. ამ მხრივ, „ყოველი სიმბოლო, ლეგისიგნუმია“ (Ч. Пирс, 2000: 292) და შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგადი, როგორც „გონის მენტალური ნიშანი“ (Ч.Пирс, 2000:91). ზოგადია სიმბოლოს ობიექტიც. ამგვარი მენტალური ნიშნის (ლეგისიგნუმის)პრაქტიკაში გამოყენება ხორციელდება ფიზიკური საგნის ან მოვლენის (რეპლიკა-სინსიგნუმის) მეშვეობით, რომელიც თავად არ არის სიმბოლო, იგი მხოლოდ მიუთითებს სიმბოლოზე და ამით არის ამ უკანასკნელის ინდექსი (Ч.Пирс, 2000:59). ამ გაგებით «სიმბოლო შეიცავს განსაკუთრებულ ინდექსებს“ (Ч. Пирс, 2000:54). მტრედის სიმბოლო(იდეა) გამოხატავს მშვიდობის იდეას კონკრეტული მტრედის მეშვეობით, რომელიც მიუთითებს რა მტრედის სიმბოლოზე არის მისი ინდექსი. ამგვარი ინდექსი (რეპლიკა-სინსიგნუმი) ერთ სიმბოლოს შეიძლება ჰქონდეს უსასრულო. მაგრამ სიმბოლოს მნიშვნელობის დადგენა (ზოგად ობიექტთან დაკავშირება) საჭიროებს კონკრეტული შემთხვევის ასახვას გონში, ე. ი. სიმბოლო ინდექსის გარდა შეიცავს იკონასაც. იმისათვის რომ გავიგოთ, რას ნიშნავს სიმბოლო „უყვარს“, უნდა წარმოვიდგინოთ რომელიმე შეყვარებული ადამიანი, რომელიც თავად ჩვენთვის იქნება სიყვარულის მაჩვენებელი (ინდექსი), ხოლო მისი ასახვა გონში--იკონა. გამონათქვამში **„რომეოს და ჯულიეტას უყვართ ერთმანეთი“** სახელები **„რომეო“**, **„ჯულიეტა“** ინდექსებია სიმბოლოს **„უყვართ“**. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ **„უყვართ“** არის ის, რასაც რომეო და ჯულიეტა ავლენენ ერთმანეთის მიმართ. თავის მხრივ, რომეო და ჯულიეტას ურთიერთდამოკიდებულების გონში იკონური ასახვა ახდენს ამ ორი ობიექტის რეპრეზენტაციას, ანუ აკავშირებს სიმბოლოს **„უყვართ“** რომეო და ჯულიეტასთან. ამრიგად, რეფერენციის თვალსაზრისით, სიმბოლო რთული ნიშანია: „სიმბოლო არის ნიშანი, რომელიც გვაუწყებს იმას, რომ

გარკვეული ობიექტები დენოტირებული არიან გარკვეული ინდექსებით და რეპრეზენტირებული არიან მათთან ასოცირებული იკონით“ (Ч.Пирс, 2000:89). „ გონის ამ მენტალურ ნიშნებს აქვთ შერეული ბუნება, ხოლო მათ სიმბოლურ ნაწილს უწოდებენ კონცეპტს“ (Ч. Пирс, 2009:94).ამრიგად გაგებული სიმბოლო პირსის კიდევ ერთი აღმოჩენაა მეცნიერებაში, რადგან გვიხსნის სახელისა და საგნის კავშირის (რეფერენციის) მექანიზმს. პლატონი სიტყვებს მიიჩნევდა იკონურ ნიშნებად და ეძებდა პირდაპირ მსგავსებას მათ და საგნებს შორის. სოსიურთან სიტყვები დაკავშირებული. არიან საგნებთან ენობრივი ნიშნების მეშვეობით. იგი არ გვირჩევს ენობრივ ნიშანს ვუწოდოთ სიმბოლო, რადგან პირველი არამოტივირებულია, ხოლო სიმბოლო, მისი აზრით, მოტივირებული ნიშანია (სოსიური, 2002:76). პირსის მიხედვით, სიტყვები სიმბოლოებია, ისინი უკავშირდებიან საგნებს იმით, რომ სიმბოლო შეიცავს იკონას. ეს კავშირი სიტყვასა და საგანს შორის პირსმა აღმოაჩინა სოსიურამდე, მაგრამ ევროპაში მისი ნაშრომები ცნობილი გახდება მხოლოდ მე-20 საუკუნის შუა წლებში. საინტერესოა, რომ პირსთანაც კი სიმბოლო არ არის სიტყვის იგივეობრივი. ყოველი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა სიმბოლოა, რადგან გამოხატავს საგანთა იდეას. სიმბოლოც არ შეიძლება აღნიშნავდეს ერთეულ საგანს, მაგრამ ერთეული საგანი შეიძლება იყოს სიმბოლო, უფრო ზუსტად, „სინგულარული“ სიმბოლო“ (Ч.Пирс, 2000:89). ნიუ-იორკის უბეში ლიბერტი აილენდ'ზე მდებარე თავისუფლების ქანდაკება არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ცნობილი ინდექსია, იგი ჩაგვრისაგან განთავისუფლების იდეის სინგულარული სიმბოლოცაა. რადგან ამგვარი სიმბოლო მოკლებულია თავის ძირითად ნიშნებს (არ არის მენტალური, ზოგადი) პირსი მას უწოდებს „ გადაგვარებულს“ (Ч. Пирс, 2000:89).

სიმბოლოებ'ხე დაკვირვებამ მიიყვანა ფ. სოსიური დასკვნამდე, რომ მეტყველების აქტში ბგერები და საზრისები განიცდიან უსასრულო ცვლილებას, რამაც აიძულა ელიარებინა ლინგვისტიკის „პირველი ჭეშმარიტება“: მეტყველება არ არის ენა (სოსიური, 2002:20), ჩ. პირსისთვის სიმბოლოთა დინამიკა განმსაზღვრელია თვით გონისთვის: „ერთხელ წარმოქმნილი სიმბოლო ერცელდება ადამიანებს შორის, მისი მნიშვნელობა იზრდება გამოყენებაში. ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ძალა“, „კანონი“, „სიმაღლე“, „ქორწილი“ ჩვენთვის ნიშნავენ რაღაცას განსხვავებულს, ვიდრე ისინი ნიშნავდნენ ჩვენი ველური წინაპრებისთვის... ... სიმბოლო არ არის მკვდარი, არამედ მიჰყავს გონი ერთი წერტილიდან მეორეში“ (Ч. Пирс, 2009: 94).

ნიშნები წარმოქმნიან მოცულობითა და ფორმით სხვადასხვა ინტერპრეტანტს, ეს მომენტი საფუძველია კიდევ ერთი ტრიხოტომიის პირსთან.

III ნიშანი
ინტერპრეტანტთან მიმართებაში



რემა დიციზიგნუმი არგუმენტი

რემას ფსიქოლოგიურად შეესატყვისება ან წარმოდგენა ან ცნება, გამოიხატება სიტყვებით („კი“, „არა“ სიტყვების გარდა). რემა არსის ნიშანია, რომელიც თავისთავად არც ჭეშმარიტია, არც მცდარი.

დიციზიგნუმის ფსიქოლოგიური შესატყვისია მსჯელობა (პროპოზიცია). ამიტომ უწოდებს მას პირსი „ მტკიცების ნიშანს“: „ყოველი მტკიცება წარმოადგენს დიცი-

სიგნუმს, შეიცავს რემას და არ შეიძლება იყოს იკონა (Ч.Пирс, 2000:60).

არგუმენტი არის დასკვნა, იგი შეიცავს პროპოზიციებს და წარმოადგენს კანონს.

ნიშანთა ყოველი ტრიხოტომია ახასიათებს ნიშნებს თავისი პოზიციიდან. პოზიციათა გადაკვეთით თეორიულად შესაძლებელი 81 ნიშნიდან პირსი ასახელებს 10-ს პრაქტიკულად არსებულს:

ნიშანთა ათი კატეგორია

1. კვალისიგნუმი, სრული დასახელება: იკონური რემა-კვალისიგნუმი, რადგან წარმოადგენს თვისების (შეგრძნების, განცდის) იკონურ ასახვას, რემას ფორმით, მაგალითად, მხიარული განწყობა წარმატებით ჩაბარებული გამოცდის გამო.

2. იკონური სინსიგნუმი (იკონური რემა – სინსიგნუმი) – ყოველგვარი ერთეული ობიექტი როგორც იდეა – ობიექტის ნიშანი, მაგალითად, ინდივიდუალური სქემა.

3. ინდექსალური რემა-სინსიგნუმი -ყოველგვარი ერთეული ობიექტის ნაწილი, ფრაგმენტი, რომელიც მიუთითებს თავად ობიექტზე: უნებლიე წამოძახება, ნაკვალევი, ძრავის ხმა.

4.დიცი– სინსიგნუმი – კონკრეტული ობიექტი, რომელიც გვაწვდის მოცულობით უფრო დიდ ინფორმაციას (პროპოზიციას) თავის ობიექტზე, ვიდრე ინდექსალური რემა– სინსიგნუმი.შეიძლება იყოს იკონური დიცი-სინსიგნუმი, მაგალითად, ფოტოსურათი და ინდექსალური დიცი-სინსიგნუმი, მაგალითად, ფლუგერი.

5.იკონური ლეგისიგნუმი (იკონური რემა-ლეგისიგნუმი) – ზოგადი წესი(ტიპი), რომელიც პრაქტიკაში რეალიზდება მსგავსი რეპლიკების სახით ,მაგალითად, სქემა (diagram).

6.ინდექსალური რემა – ლეგისიგნუმი – ზოგადი კანონი (ტიპი), რომელიც რეალიზდება ობიექტზე მიმთითებელ რეპლიკა-ობიექტში, მაგალითად: ჩვენებითი ნაცვალსახელები this, that; კარზე კაკუნი; ყურადღების მიმქცევი სიტყვები: ჰეი! ალო! ინტერპრეტანტი ინდექსალური რემა-ლეგისიგნუმის ახდენს მის რეპრეზენტაციას იკონურ ლეგისიგნუმად.

7. ინდექსალური დიცი-ლეგისიგნუმი – ზოგადი ტიპი (კანონი), რომელიც რეალიზდება კონკრეტულ რეპლიკებში ობიექტზე მითითების მიზნით. ინფორმაციის მიცულობით პროპოზიციაა. ქუჩის მოვაჭრეთა ძახილი: „ ცხელი ფუნთუშები! აბა, ციცი ფანტა ,კოკა-კოლა!ვის უნდა ჩურჩხელა?“ – ახდენენ საქონლის და მისი მფლობელის იდენტიფიცირებას . მაიდინტიფიცირებელია თქმა „ესაა რუსთაველის ძეგლი!“

8. სიმბოლური რემა (სიმბოლური რემა-ლეგისიგნუმი) – საკუთარი სახელი,ე.ი საერთო იდეათა ასოციაციით ობიექტთან დაკავშირებული ნიშანი.

9. დიცი-სიმბოლო (სიმბოლური დიცი-ლეგისიგნუმი) – პროპოზიცია – საერთო იდეათა ასოციაციით ობიექტთან დაკავშირებული ნიშანი.

10. არგუმენტი (სიმბოლური არგუმენტი-ლეგისიგნუმი) – ნიშანი, რომლის ინტერპრეტანტი ახდენს ობიექტის რეპრეზენტაციას მომავალი ნიშნის სახით კანონის წყალობით, რომლის თანახმად გარკვეული დასკვნა მოჰყვება გარკვეულ წანამძღვრებს და ამიტომ არის ჭეშმარიტი.

„ათ კატეგორიას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ლოგიკისათვის“ (Ч. Пирс, 2000:69). ჩ.პირსის ეს შენიშვნა ლოგიკაში უკვე მომხდარის გამეორებად ჟღერს. ცნობილია, რომ ლოგიკის შექმნა მისმა დამაარსებელმა არისტოტელემ დაიწყო ათი ფუძემდებლური იდეის (კატეგორიის) დადგენით: 1. არსი 2. რაოდენობა 3. თვისება 4. მიმართება 5. ადგილი 6. დრო 7. მდგომარეობა 8. კუთვნილება 9. მოქმედება 10. ვნებითობა (Аристотель, 1978:55). მათგან ლოგიკურ ცნებათა განსამარტებლად მან გამოიყენა მხოლოდ პირველი: არსიდან გამოიყვანა ქვემდებარის, სახის, გვარის, იდეის, შემასმენლის და შემდეგ მტკიცების, აზრის (პროპოზიციის), დასკვნის ცნებები. ქვემდებარე არის პირველადი არსი, რომელიც არც მოცე-

მულია რამეში, არც ითქმის რაიმეს შესახებ. შემასმენელი არის ის, რაც ითქმის ქვემდებარის შესახებ. ქვემდებარე აღინიშნება სახელით, შემასმენელი ზმნით. სახელისა და ზმნის შეერთებით მიიღება აზრი. აზრი ყოველთვის შეიცავს მტკიცებას... (Аристотель, 1978:56).

პირსის ნიშანთა ათი კატეგორია არ წარმოადგენს ლოგიკის ახალ კატეგორიებს, ან, რაც იგივეა, არ არის ახალი ლოგიკის კატეგორიები, არამედ არის ტრადიციული ფორმალური ლოგიკის ახალი სემიოტიკური ენა. ლოგიკური აპარატის სემიოტიკური დეფინირებით პირსმა შეძლო ის, რის გაკეთებას ამაოდ ცდილობდნენ ნეოპოზიტივისტები ბ. რასელი, ლ. ვიტგენშტაინი, მ. შლიკი, რ. კარნაპი. სემიოტიკური ლოგიკა გასაგებს ხდის ენობრივ რეფერენციას. როგორ ასახავს აზრი (პროპოზიცია) სინამდვილეს, თუკი მისი არც ერთი ნაწილი (ცნებები) არ ჰგავს რეალურ საგნებს? პირსის თანახმად, პროპოზიცია არის სიმბოლური დიცი-ლეგისიგნუმი, ე.ი. შედგება „დაწესებული“ სიმბოლოებისაგან. მაგრამ სიმბოლოები რთული ნიშნებია: ყოველი სიმბოლო შეიცავს იკონასა და ინდექსს, რომლებიც აკავშირებენ მას კონკრეტულ რეალობასთან. პირსის ნიშანთა თეორია იძლევა საშუალებას სემიოტიკურად გავაანალიზოთ ბუნებრივი ენა, მივუდგეთ მას როგორც ნიშანთა სისტემას, რომელიც ახდენს სინამდვილის რეპრეზენტაციას. როგორ წარიმართება სამყაროს ნიშანდება ბუნებრივი ენით, თუკი ყველა ენობრივი ნიშანი, სოსიურის თანახმად, შეიცავს მხოლოდ ცნებას? პირსი შეუვალია: „სიტყვათა არც ერთ კომბინაციას (საკუთარი სახელების გამოკლებით) არ შეუძლია მეტყველების ინდექსური ელემენტების გარეშე გადმოსცეს რაიმე ინფორმაცია“ (Ч. Пирс, 2009:91). ინდექსების გარეშე სიმბოლოები ვერ დაუკავშირდებიან კონკრეტულ საგნებს. სამეტყველო აქტი ენის რეალობასთან შეხვედრის ადგი-

ლია. ენას იყენებს ადამიანი, რომელმაც გარკვეულ დროს და ადგილას ვიღაცას უნდა აუწყოს რაღაც ანუ წარმოქმნას შეტყობინება. ამრიგად, ენის გამოყენებით შეტყობინების წარმოქმნას აქვს მუდმივი პირობები: მთქმელი, მსმენელი, დრო, ადგილი, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ნიშანდების ობიექტის იდენტიფიცირება. ამიტომ კომუნიკაციას სჭირდება ისეთი ენობრივი საშუალებებიც, რომლებიც მოახდენენ შეტყობინების სინამდვილესთან დაკავშირებას:გამოყოფენ მთქმელს, მსმენელს, მიუთთებენ დროსა და ადგილზე. შეტყობინების ინდექსაციის გარეშე კომუნიკაცია არის შეუძლებელი. ამ აღმოჩენამდე პირსი მივიდა დამოუკიდებლად. ენობრივ საშუალებებს (პირის და ჩვენებით ნაცვალსახელებს, ზმნის პირის, დროის, კილოს კატეგორიებს), რომლებიც აკავშირებენ შეტყობინებას სამეტყველო აქტთან (რეალობასთან) მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დანიელი ენათმეცნიერი ოტო ესპერსენი დაარქმევს ტერმინს **შიფთერები** (ინგლ. Shifter „გადამროველი“). სემიოტიკური თვალსაზრისით შიფთერები წარმოადგენენ ინდექსურ სიმბოლოებს. ამ ნიშნების სიმბოლიზმი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი არ არიან მოტივირებული შინაარსით (შეად. : **მე, Я, I , ბენ, ჟი**), ხოლო ინდექსურობა – იმაში, რომ I და II პირის ნაცვალსახელები ყოველთვის გამოიყენება შესაბამის ობიექტთან – მთქმელთან და მსმენელთან – რეალურ კავშირში. სიტყვიერი ინდექსები პირობითი მაჩვენებელია ობიექტის და არა მისი ბუნებრივი ნაწილი, ამიტომ, პირსის ტერმინოლოგიით, ისინი წარმოადგენენ „გადაგვარებულ ინდექსებს“. პირის ნაცვალსახელების გარდა, ჩ. პირსის მიხედვით, ინდექსურ ფუნქციას ენაში ასრულებენ: ჩვენებითი ნაცვალსახელები (**ეს, ეგ, ის, იგი, ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამგვარი, იმგვარი**); კუთვნილებითი

(ჩემი, შენი, მისი...) ორმაგი ინდექსებია, რადგან, ერთი მხრივ, მიუთითებენ მფლობელზე, ხოლო, მეორე მხრივ – მფლობელობის საგანზე; მიმართებითი **(რომელიც, ვინც, რაც, ვისიც, რისიც)**; განუსაზღვრელობითი **(ვინმე, რამე, ვიღაც რაღაც, ერთი, რომელიმე, რომელიღაც)**; ნაცვალსახელები -კვანტიფიკატორები(რაოდენობის გამომხატველი):(**ყოველი, ყოველგვარი, არავინ, ვერავინ, ნუვინ, ნურავინ, არავის)**;ადგილისა და დროის ზმნიზედები **(აქ, იქ, უკან, ადრე, გვიან, მალე)**; წინდებულები, თანდებულები (მიუთითებენ გრამატიკულ ფორმაზე: **გამო, მიერ, მიმართ, შესახებ...)**; დაბოლოებები, რომლებიც მიუთითებენ მმართველ სიტყვებზე (კარგმა კაცმა; კაცმა გააკეთა; კაცი აკეთებს); ადგილისა და დროის მნიშვნელობის მქონე გამონათქვამები **(მარჯვენა მხარეს, იმ მხარეს, ამის შემდეგ, იმ დროიდან მოყოლებული...)**.

უნდა გვახსოვდეს, რომ პირსის მიხედვით ნიშანი უპირველესად გამოხატავს მიმართებას, ამიტომ ხშირად ადვილი არ არის ზუსტად განვსაზღვროთ, რომელ ნიშანთან გვაქვს საქმე, ასე, მაგალითად, საკუთარი სახელების დანიშნულებაა აღნიშნონ ერთეული საგნები. ამ თვალსაზრისით ისინი ინდექსებია, მაგრამ გასათვალისწინებელია ნიშანთან ადამიანის (რეციპიენტის) მიმართებაც. „საკუთარი სახელი ობიექტთან მიმართებაში ინდექსია, როცა ვინმე მის შესახებ იგებს პირველად. როცა ეს ვინმე ხვდება ამ სახელს მეორედ, იგი განიხილავს მას როგორც ამ ინდექსის იკონას. როცა სახელს ეჩვევიან, იგი ხდება სიმბოლო“ (Ч. Пирс, 2000:118).

გამონათქვამში მოცემული შეტყობინება თქმით უკავშირდება მის გამომთქმელ ადამიანს. თქმა (ბგერათა წარმოთქმა) შედეგად იძლევა ტონს, რომლის აწევ-დაწევას (მელოდიკის ვარირებას) მრავალი დანიშნულება აქვს მეტყველებაში, პირსმა დაინახა მათგან ყველაზე პირვე-

ლი: „ტონი არის რეალური სამყაროს ინდექსალური ნიშანი“ (Ч.Пирс, 2000: 23). ამ ინდექსის გარეშე შეუძლებელია თხრობა, კითხვა, ბრძანება. ერთი და იგივე იმპერატიული ფორმა, მაგალითად, „წადი“ მეტყველებაში შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა ინდექსით: როგორც ბრძანება, თხოვნა, შეთავაზება, გაფრთხილება, ნებართვა. პირსი საგანგებოდ არ გამოყოფს სხვადასხვა ემოციური მდგომარეობის ინდექსებს – შორისდებულებს.

§ 3.სემიოტიკა როგორც მეტამეცნიერება ჩარლზ მორისი (1901-1979)

„ჩ. პირსის ნაშრომები სემიოტიკაში უბადლოა“ (Ч. Моррис, 2002:71), – ასე აფასებს ამერიკელი ფილოსოფოსის ღვაწლს ამ დარგში სემიოტიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი შეერთებული შტატებიდან ჩ. მორისი, რომელიც ნაშრომში „ნიშანთა თეორიის საფუძვლები“ (1938 წ.) ცდილობს დაასაბუთოს სემიოტიკის განსაკუთრებული დანიშნულება სხვა მეცნიერებათა მიმართ. იგი იზიარებს პირსის მთავარ იდეას: არისტოტელეს მიერ მეცნიერებათა საფუძვლად აღიარებული ლოგიკა თავად საჭიროებს სემიოტიკურ საფუძველს და მიიჩნევს, რომ სემიოტიკას შეუძლია გააერთიანოს მეცნიერებანი. თუ ღე სოსიურს სემიოტიკა ესახებოდა მეტალინგვისტიკად, ჩ.პირსისთვის იგი ნიშნავდა მეტალოგიკას, ჩ. მორისის პროექტში სემიოტიკას ეთმობა მეტამეცნიერების ადგილი. „შეუძლებელია რომელიმე სფეროში ობიექტების შესწავლა, თუ არ შევისწავლეთ მათი აღმნიშვნელი ნიშნები“ (Ч. Моррис, 2002:46), – წერს იგი, ამიტომ მეცნიერებანი: ლინგვისტიკა, ლოგიკა, მათემატიკა, რიტორიკა, ესთეტიკა, ბიოლოგია, ფიზიკა სწავლობენ ნიშნებს, ხოლო ამ მეცნიერებათა ენას შეისწავლის სემიოტიკა. „ენა, მათ შორის მეცნიერე-

ბის ენა, საჭიროებს გაწმენდას, გამარტივებას, მოწესრიგებას“ (Ч. Моррис, 2002:46), ამის სისრულეში მოყვანა შეიძლება ნიშანთა თეორიის ჩამოყალიბებით. სემიოტიკის ამოცანაა შექმნას საერთო ენა ყველა ენისთვის. თუ ჩ. პირსის სემიოტიკა აღწერს ნიშნებს, მორისი აღწერასთან ერთად მიზნად ისახავს საჭირო ნიშნების შექმნასაც.ჩ. მორისმა გაამდიდრა სემიოტიკური თეორია „სემიოზისის“ცნებით: „პროცესს, რომელშიც რაიმე ფუნქციონირებს როგორც ნიშანი, შეიძლება ეწოდოს სემიოზისი“ (Ч. Моррис, 2002:46). მისი კომპონენტებია : 1. ნიშანი 2. დესიგნატი (ობიექტთა კლასი) 3. ინტერპრეტანტი 4. ინტერპრეტატორი. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სტრუქტურით ფუნქციონირებს მხოლოდ სიმბოლო, რადგან დესიგნატი როგორც საგანთა კლასი არის ცნება. მაგრამ ნიშანი შეიძლება აღნიშნავდეს არა დესიგნატს (მთლიან საგანთა კლასს), არამედ ამ უკანასკნელის ერთ რომელიმე საგანს — დენოტატს. ჩ. მორისი შენიშნავს: „დესიგნატი აქვს ყველა ნიშანს, მაგრამ ყველა ნიშანს არ აქვს დენოტატი“ (Ч. Моррис, 2002:48). ჩ. პირსისაგან განსხვავებით ჩ. მორისთან სემიოზისის სტრუქტურაში შეყვანილია ინტერპრეტატორიც. ნიშნის, დესიგნატის და ინტერპრეტატორის მიმართებათა გათვალისწინებით ჩ. მორისი განასხვავებს სემიოზისის სამ განზომილებას, დონეს და შესაბამისად სემიოტიკის სამ დისციპლინას: სინტაქტიკას, გულისხმობს ნიშანთა მიმართებას, სემანტიკას – ნიშნისა და ობიექტის მიმართებას, პრაგმატიკას -ნიშნის ადამიანთან მიმართებას. სემიოტიკური თვალსაზრისით ენა არის ყოველგვარი სუბიექტთაშორისი ნიშნების საშუალებათა ერთობლიობა, რომელთა გამოყენება განსაზღვრულია სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატული წესებით. გესმოდეს ენა – ნიშნავს იყენებდე ნიშანთა მხოლოდ იმ შეხამებებს, რომლებიც არ იკრძალება გამოყენებით, აღნიშ-

ნავდე ობიექტებსა და სიტუაციებს ისე, როგორც ამას აკეთებენ ამ კოლექტივის სხვა წევრები (Ч. Моррис, 2002:75).

§ 4. ინფორმაციის ნიშნადი სტრუქტურა და კომუნიკაციის სემიოტიკური არსი

ფ. სოსიურის, ჩ.პირსის, ჩ. მორისის შრომებმა ჩაუყარეს საფუძველი სემიოტიკას და აღძრეს ინტერესი ნიშნების მიმართ. სამყარო, რომელშიც არსებობს ადამიანი, ინფორმაციულია. ყოვე ლგვარი ინფორმაცია კი შედგება ნიშნებისაგან, ანუ გულისხმობს ტექსტს. ნიშნები განაპირობებენ ინფორმაციის გამოხატვას, გადაცემას და შენახვას. სიტყვა „ინფორმაცია“ იწვევს ასოციაციას პრესასთან, რადიოსთან, ტელევიზიასთან, მაგრამ ინფორმაციულია აგრეთვე თავის დაკერა, ხელის ჩამორთმევა, თვალების დახრა, წარბების შეკვრა, გულისწასვლა, გაწითლება, გაფითრება, სხეულის ტემპერატურის აწევა, მოღრუბლვა, ჭექა-ქუხილი, ცისარტყელა, ძაღლის ღრენა, კუდის ქნევა ან ამოძუება. ინფორმაციის გადაცემას საჭიროებს არა მხოლოდ სოციალური ცხოვრება, ბუნებაც, რომელსაც „დიდ და ამაღლებულ წიგნს“ უწოდებდა ჟან-ჟაკ რუსო იმ გაგებით, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს ბუნების ამოკითხვა. ფ. კუპერის რომანში „უკანასკნელი მოჰიკანი“ მტრის კვალში ჩამდგარი ერთ-ერთი მთავარი გმირი, მონადირე ნატი ბემპო მეტსახელად ქორის თვალი,უხსნის სასულიერო გალობის მასწავლებელს დავით გამუტს: „მე ერთი წიგნის გარდა სხვას არ ვკითხულობ,... ის გადაშლილია შენს თვალწინ... ერთი მოკასინი ისევე არ ჰგავს მეორეს, როგორც ერთი წიგნი – მეორეს. ... ამ ნაფეხურის პატრონი, როცა შემთხვევა ექნება, ყლაპავს; მსმელი ინდიელი ყოველთვის უფრო განზე ადგამს ფეხის წვერს,

ვიდრე ჩვეულებრივი წითელკანიანი და ეს საერთოდ ლოთის დამახასიათებელია – გინდა თეთრკანიანი იყოს და გინდა წითელკანიანი" – და შემდეგ აგრძელებს „სიგრძე სიგანეც იგივეა! დახედე, საგამორო. ჩინგაჩგუკი დაემორჩილა, მოკლე გასინჯვის შემდეგ წარმოთქვა ერთი სიტყვა – მაგუა" (ფ. კუპერი, 262). სხვა შემთხვევაშიც ქორის თვალი მიმართავს თავის ინდიელ ძმადნაფიცს: „რა ისმის, ჩინგაჩგუკ ? ჩემი ყურისთვის ტყე სდუმს, ირმებია თუ მგლები? არა",– უპასუხებს ჩინგაჩგუკი, – თეთრკანიანების ცხენები მოდიან, ქორის თვალო, ისინი შენი ძმები არიან და გამოელაპარაკე" (ფ. კუპერი,46) ჩინგაჩგუკი ვერ ხედავს თეთრკანიანებს, მაგრამ დარწმუნებით ამბობს , რომ სწორედ ისინი უახლოვდებიან. რამ დაარწმუნა ჩინგაჩგუკი ამაში? ინდიელმა მიიღო ინფორმაცია , რომლის გადმომცემი ნიშანი ხმა იყო . პირველ შემთხვევაშიც, როდესაც ქორის თვალმა დაასკვნა, რომ იმ ადგილს , სადაც იგი თავის მეგობრებთან ერთად იყო , ცოტა ხნით ადრე ალკოჰოლის მოყვარულ ინდიელს გაუვლია, ინფორმაცია მიღებულ იქნა ისევ ნიშნის – ნატერფალის საშუალებით. განხილულ მაგალითებში კარგად ჩანს ნიშანთა რაობა-დანიშნულება. ნიშანი არის მატერიალური რამ, რაც მიუთითებს რაღაცაზე. ნიშანი გვეძლევა აღქმაში მაშინ, როდესაც ის, რაზედაც მიუთითებს იგი, აღქმაში მოცემული არაა. გამოდის , რომ: 1) ნიშანი შემცველელია იმის, რაზედაც მიუთითებს და 2) კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის იმპლიკაციურია,ინფორმაციის მიღებისას შეგრძნება– აღქმაში გვაქვს მხოლოდ აღმნიშვნელი, ხოლო მეხსიერებაში – აღმნიშვნელიცა და აღსანიშნიც. რაც შეეხება ფაქტურას, იგი ერთ შემთხვევაში ვიზუალურია (ნატერფალი),მეორეში – აკუსტიკური (ხმა). გავიხსენოთ დე სოსიურის კონცეფცია: გონში მოცემულ აღმნიშვნელსა (აკუსტიკური ხატი) და აღსანიშნისაგან

(ცნება) შემდგარ ენობრივ ნიშანს გარეთ შეესატყვისება მხოლოდ აღმნიშვნელი (სიტყვა). მოყვანილ მაგალითებში კარგად ჩანს ისიც , რომ ის რაც ერთისთვის ნიშანია, სხვისთვის შეიძლება ნიშანი არ იყოს. ქორის თვალისა და ჩინგაჩგუკის უპირატესობა სხვებთან მიმართებაში იმაში მდგომარეობს , რომ ჩრდილო ამერიკის ულრან ტყეში მათთვის გაცილებით მეტი ნიშანია მოცემული, ვიდრე სხვებისთვის ანუ ისინი ფლობენ მეტ ინფორმაციას სხვებთან შედარებით. ინფორმაცია განსაზღვრავს მოქმედებას. ბოროტმოქმედების კვალში ჩამდგარი გამომძიებელი იმდენად იქნება წარმატებული , რამდენადაც შეძლებს ნიშნად გამოიყენოს სხვადასხვა საგანი.მსგავსად ექიმმაც ორგანიზმის ფიზიკურ მდგომარეობას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით უნდა დაუსვას დიაგნოზი. რ. იაკობსონმა დაადგინა შიზოფრენიის ლინგვისტური სიმპტომი. მარჯვენა ნახევარსფეროს ფუნქციური დარღვევის გამო ინდივიდს დაკარგული აქვს შიფთერების (პირის და ჩვენებითი ნაცვალსახელები, ზმნის პირის, დროის, კილოს კატეგორიები) გამოყენების უნარი. გერმანელი პოეტი ჰელდერლინი შესანიშნავ ლექსებში ვერ იყენებდა პირის ნაცვალსახელებს. აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური მოშლილობის დროს „ დაავადებულია“ ტექსტი. შიზოფრენიას ,ისტერიას, დეპრესიას, ობესიას აქვთ თავ– თავისი ტექსტები. შიზოფრენიული ტიპის ტექსტის მახასიათებელი ნიშნები მიღებულია სემანტიკური და სინტაქსური კავშირების ხელახალი გააზრებით, რასაც ვხედებით, მაგალითად, რუსი მწერლის ვ. ხლებნიკოვის ტექსტებში (В.Руднев, 2007: 26).

Времыши-камыши
На озера береге,
Где каменья временем,
На берега озера

Времыши, камыши,
На озера береге
Священно шумящие " (В.Хлебников, 28).

ინფორმაციის შემცველია ადამიანის ფიზიკური ალნაგობა, ტანსაცმელ -მოკაზმულობა, თავის დაჭერა, მოძრაობის და ლაპარაკის მანერა, ამ მხრივ ადამიანი თავად წარმოადგენს რთულ ნიშანს, ამოსაკითხ ტექსტს. ამას პირველ რიგში ექცევა ყურადღება ბელეტრისტიკაში, სადაც სხვებთან ერთად ცნობილია შემდეგი პრინციპიც: მთავარი გმირების გარეგანი აღწერა, როგორც წესი, შესაბამისია მათი შემდგომი მოქმედების. ამის კარგი მაგალითია ფ. კუპერის ხსენებული რომანის გმირები: „მისი თითქოს შიშველი ტანი სიკვდილის შემაძრწუნებელ ემბლემას წარმოადგენდა, რომელიც ერთმანეთში შერეული წითელი და შავი ფერებით იყო გამოხატული,– წერს ფ. კუპერი მოჰიკანთა ბელადზე, ჩინგაჩგუკზე, – წმინდად მოპარსულ თავზე საყოველთაოდ ცნობილ და რაინდულ სასკალპო ქოჩორს გარდა სხვა თმა აღარ შეეტოვებინა, არც სხვა რამ სამკაული ამკობდა, მხოლოდ კონკრიხოზე არწივის ერთადერთი ფრთა ჰქონდა გაკეთებული, რომლის ბოლო მარცხენა ბეჭამდე სწვდებოდა. სარტყელში ტომაჰაუკი და ინგლისური ხელობის სასკალპო დანა ერჭო; შიშველ ძარღვიან მუხლზე უყურადღებოდ გადაედო თოფი"(ფ.კუპერი, 37). მის თეთრკანიან მოსაუბრეს ქორის თვალს „ყოველი ძარღვი და კუნთი მძლავრი და გავარჯიშებული ჰქონდა განუწყვეტელი გარჯისა და ჯაფისაგან . ეცვა მონადირის გაცრეცილი, ყვითელქობაშემოვლებული მწვანე ხალათი. უამპუმის სარტყელში იმასაც ინდიელივით დანა ჩაეტანებინა, მაგრამ ტომაჰაუკი არ გააჩნდა, – იქვე ახლოს მოზარდ ხეზე, მიეყუდებინა გრძელლულიანი თოფი. ამ მონადირეს თუ მზვერავს თვალი წვრილი , სწრაფი, მახვილი და მოუსვენარი ჰქონდა,

თითქოს ნადირს ეძებს ან მტრის უეცარ თავდასხმას უფრთხისო“ (ფ. კუპერი,38). ჩრდილო ამერიკის ულრან ტყეში ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ მამაკაცებს უპირისპირდება ფსალმუნთა გალობის ოსტატი დავით გამუტი, რომლის „უგვანოდ და უთავბოლოდ შეხამებული ტანსაცმელი მხოლოდ მისი ულაზათობის კიდევ უფრო აშკარად წარმოჩენას უწყობდა ხელს: ცისფერი მოკლე, ფართოკალთიანი და დაბალსაყელოიანი ქურთუკი ბოროტად განწყობილთათვის სასტიკად გასაკილავად აჩენდა მის გრძელსა და წერილ ფეხებს... აბრეშუმის ჟილეტის ჯიბიდან უცნაურ ხელსაწყოს ამოეყო თავი. უშველებელი მღვდლის ქუდი ღირსებას მატებდა მის გულკეთილსა და ოდნავ გამოთაყვანებულ გამომეტყველებას (ფ. კუპერი,20). წარმოადგენს რა სხეებისთვის ამოსაკითხ ნიშანს თითოეული ადამიანი არის თვითმართვადი ბიოლოგიური სისტემა, რომელშიც ცირკულირებს ინფორმაცია საკუთარი თავისა და გარე სამყაროს შესახებ. ელექტრონული ინფორმაციული სისტემისაგან განსხვავებით, რომელიც, რა სრულყოფილიც უნდა იყოს, მაინც ხელოვნურია და ამიტომ არ იცვლება თავისთავად მასში შემოსული ინფორმაციის შედეგად, ადამიანს გათავისებული ინფორმაცია ცვლის თვისებრივად. ადამიანის გონის უნარებს სრულყოფისთვის სჭირდება ინფორმაცია, უფრო მეტიც, მაღალგანვითარებულ ბიოლოგიურ სისტემაში ინფორმაციის გადაცემა (კომუნიკაცია) განაპირობებს სასიცოცხლო პროცესებს. ორგანიზმში ინფორმაცია გადაიცემა ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და პერიფერიულ ვეგეტატიურ სისტემებს შორის. 1838 წ. გერმანელმა მეცნიერებმა, ბოტანიკოსმა მ. შლეიდენმა და ბიოლოგმა თ. შვანმა აღმოაჩინეს, რომ ყოველი ვე ცოცხალს უჯრედოვანი აგებულება აქვს. ორგანიზმის სიცოცხლე შეპირობებულია უჯრედების სიცოცხლით.

უჯრედი ჩნდება, ვითარდება, ბერდება და კვდება, ხოლო ორგანიზმი განაგრძნობს არსებობას თავისი ძირითადი თვისებების შეუცვლელად. მკვდარი უჯრედების ადგილს იკავებენ ახალი უჯრედები, რომელთაც მემკვიდრეობით გადაეცემათ ინფორმაცია მშობელი უჯრედების თვისებების შესახებ. ინფორმაციის გადაცემა, მათ შორის გენეტიკურის, შეიძლება მხოლოდ ნიშნებით. უჯრედის ენა შედგება 4 ფონემა-რადიკალისაგან (ადენინი, ტიმინი, გუანინი, ციტოზინი); გარკვეული სინტაგმატური წესით შედგენილი 64 სიტყვა-კოდონისაგან: 1. ყოველი კოდონი შედგება სამი რადიკალისაგან; 2. კოდონის ფარგლებში ადენინი ეხამება ტიმინს, ხოლო გუანინი– ციტოზინს (ატა, ტატ, აატ, გცგ, ცგც, გგც): კოდონების თანმიმდევრობა ქმნის დნმ-ის ქიმიურ ტექსტს. აღწერილი გენეტიკური ინფორმაციის გადამცემი კოდი, „უჯრედის ენა“ წარმოადგენს დონეებად სტრატიფიცირებულ სისტემას, რომელშიც ასემანტიკური ერთეულების (სუბნიშნების) შეერთებით მიიღება უფრო მაღალი დონის სემანტიკური ერთეულები (ნიშნები); ნიშანთა კომბინაციით მიიღება ტექსტი. სისტემა აგებულია პარადიგმატულ და სინტაგმატურ პრინციპებზე. სტრუქტურული იზომორფიზმი გენეტიკურ კოდსა და ბუნებრივ ადამიანურ ენას შორის იმდენად აშკარაა, რომ რ. იაკობსონის აზრით, ევოლუციურად ბუნებრივ ენაში აისახა გენეტიკური კოდი, ამიტომ წარმოშობით ენა ბიოლოგიური მოვლენაა. მაგრამ უჯრედთა ცვლა -განახლება ახასიათებს ყველა ცოცხალ ორგანიზმს. პასუხი კითხვას, რატომ არ აქვთ ადამიანის მსგავსი ენა ცხოველებს, შეიძლება გაეცეს ორი: 1. ცხოველების განეტიკური კოდი განსხვავებულია ადამიანურისაგან, 2. ადამიანური ენა წარმოშობით არ უკავშირდება გენეტიკურ კოდს და მაშინ ასახსნელი დარჩება მათ შორის სტრუქტურული იზომორფიზმი.

§ 5. კომუნიკაცია ცხოველთა და ადამიანთა სამყაროში

ის ფაქტი, რომ ცხოველები ერთმანეთთან, აგრეთვე ადამიანებთან, ურთიერთობაში იყენებენ ნიშნებს, კარგად იყო ცნობილი სემიოტიკის დაარსებამდეც . მაგალითად, თუ ძაღლები შეხვედრისას იღრინებიან და აჩენენ ეშვებს, ეს დამუქრების ნიშანია, ხოლო, თუ აქიცინებენ კუდებს— კეთილგანწყობის. კონფლიქტის დროს ერთ-ერთმა მონაწილემ შეიძლება უბრძოლველად აღიაროს თავისი დამარცხება და კუდის ამოძუებით შეატყობინოს ამის შესახებ მოწინააღმდეგეს. თოლიები მორჩილების ნიშნად ეშვებიან ძირს, ამოძრავებენ ფრთებს, ფართოდ აღებენ ნისკარტს; თაგვები დგებიან უკანა თათებზე და აჩენენ საკბენლად ყველაზე დაუცველ ადგილს – მუცელს; ყვავები და ჭილყვავები ერთმანეთს უშვერენ კეფას; მგლები ძლიერის წინაშე კუდამოძუებულნი წვებიან და უშვერენ კისერს. ჩვენ კარგად გვესმის ძაღლის, როდესაც ის წინა თათებით ფხაჭნის კარს, ყეფს უცხოს მოსვლაზე, წკმუტუნებს შეწუხებული. ცხოველთა „ენების“ სემიოტიკური განხილვა გულისხმობს შედარებას ადამიანურ ენასთან, რომელიც ამ შემთხვევაში გამოდის მათი აღწერის მეტაენად. თუ ადამიანთა მეტყველებაში გამოიყენება 6 ქრონოტოპი **(1. ახლა-აქ; 2. ახლა-იქ; 3. მაშინ-აქ; 4. მაშინ-იქ; 5. შემდგომ აქ; 6. შემდგომ-იქ)**, ბიოკომუნიკაციაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი **(1.ახლა-აქ)**. ძაღლის ყეფა არ შეიძლება იყოს გამოწვეული გუშინდელი ან ხვალინდელი სტუმრის მოსვლით. ყეფა, როგორც გარკვეული ინფორმაციის შეტყობინება, არ არის ხდომილების ასახვა -აღწერა, იგი ხდომილების ნაწილია— ინდექსი, რომელიც მიუ-

თითებს ძაღლის ფსიქიკურ (გაბრაზება, გახარება...), ან სომატ'ურ (ტკივილი, სიცივე...) მდგომარეობაზე, როგორც რეაქციაზე გარე გამღიზიანებელზე (პატრონი, უცხო პირი, სხვა ძაღლი, ნადირი, უჭმელობა). ყეფა აღმნიშვნელია გახარების (გაბრაზების, ტკივილის...), ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ მიუთითებს შეგრძნება-ემოციის გამომწვევ საგანზე. სამივე ერთად თანადროული ნაწილებია ერთი ხდომილების. მიჩნეულია, რომ ბიოკომუნიკაცია წარიმართება ძირითადად ინდექსებით (Н.Б. Мечковская, 2007:135) და ამიტომ აწმყო დროში, პირველი შეაპირობებს მეორეს და, პირიქით. მოყვანილი დებულება საჭიროებს დაზუსტებას: ბიოკომუნიკაციაში, ადამიანთა კომუნიკაციისაგან განსხვავებით , გამოიყენება გაუცნობიერებული იკონები და გაუცნობიერებული ინდექსები, ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ მხოლოდ კვალისიგნუმებს – ნიშნებს, რომელთა ობიექტებთან ცხოველებს აკავშირებს შეგრძნება, ემოცია ან სომატური მდგომარეობა. ჩ. პირსი იკვლევდა აზროვნების სემიოტიკურ საფუძველს და მას არ აინტერესებდა ცხოველები, მასთან კვალისიგნუმები, იკონები, ინდექსები გაცნობიერებულია ანუ გულისხმობენ სიმბოლოებს. ადამიანებისაგან განსხვავებით, ცხოველები ვერ იყენებენ სინსიგნუმებს, ანუ ისეთ ინდექსებს,რომელთა კავშირი ობიექტთან მათ ვერ ეძლევათ მხოლოდ შეგრძნებაში.ვეფხვი, დათვი, მგელი შორი მანძილიდან ყნოსვით შეიგრძნობენ ადამიანს, მაგრამ ტყეში მიგდებული ბოთლი, დანა, ცული, გაზეთი მათთვის არ არის ადამიანზე მიმნიშნებელი ინდექსი. შეტყობინების დროს სხვა პლანში – წარსულსა და მომავალში ინფორმაციის გადაყვანა საჭიროებს შესაფერის სიმბოლოებს, სხვაგვარად, კონცეპტუალურ ცოდნას აწმყოს, წარსულისა და მომავლის შესახებ. კვალისიგნუმისაგან განსხვავებით, სინსიგნუმის გამოყენება საჭიროებს სიმბოლოებს, ცხო-


ველთა სემიოტიკები კი მოკლებული არიან ამ უკანასკნელებს. დამატებით შესწავლას საჭიროებს ფუტკრების „ენა“, რომელიც დღემდე რჩება ზოოსემიოტიკისთვის ამოუხსნელ მოვლენად. კომუნიკაციის დროს ადამიანი შეიგრძნობს, ასახავს, აცნობიერებს და გამოხატავს, მაშინ როდესაც ცხოველის გამოხატვა ეფუძნება მხოლოდ შეგრძნებასა და ასახვას. ადამიანის შეტყობინება გამოხატავს აზრს, ცხოველებისა – მინიშნებას (ნიშანს). ადამიანის გარდა არც ერთ ცხოველს არ შეუძლია არ იყოს გაბრაზებული და მოაჩვენოს სხვას თავი გაბრაზებულად, ან პირიქით. სიმბოლოების წყალობითვე ადამიანს უნარი შესწევს მშობლიური ენის გარდა შეისწავლოს და გამოიყენოს სხვა ეთნიკური ენები, კომუნიკაციის კოდები, მათ შორის ცხოველების. ადამიანური ენით ცხოველები ლაპარაკობენ მხოლოდ ზღაპრებში. მათ არც ერთმანეთის კოდების გამოყენება ეხერხებათ. ადამიანის მეტყველების უნარი გამოყენებით ხდება სრულყოფილი, რასაც მოწმობს პოეტებისა და მწერლების მაგალითი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „შაგრენის ტყავივით“ კნინდება და ქრება. მეტყველების უნარის შენარჩუნების მიზნით რობინზონ კრუზო ესაუბრებოდა თავის თავს, ცხოველებს, მაგრამ პრობლემას საშველი დაადგა მხოლოდ პარასკევასთან შეხვედრით. წლების განმავლობაში გალიებში იზოლირებულ ფრინველებს არაფერი ეტყობათ გალობის უნარის მოშლის, რაც შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ცხოველებისთვის მათი საკომუნიკაციო კოდი წარმოადგენს გენეტიკურ თვისებას,ადამიანებისთვის კი – სულიერს. აღნიშნულის გამო ერთხელ გაჩენილი ეთნიკური ენა მარად იცვლება, მაშინ როდესაც ცხოველების სიგნალები ონტოგენეზში და ფილოგენეზშიც მოკლებული არიან სემანტიკურ და ფორმობრივ განვითერებას. სიმბოლოების უქონლობის გამო ცხოველის კომუნიკაცი-

ის უნარი შესწევდეს. იგი სჯერდება კომუნიკაციის იმ ნიშნებს, რომლებიც განსაზღვრულია მისი სახეობისთვის ბუნებით. ცხოველების ურთიერთობა, რა სახის უნდა იყოს იგი (კონფლიქტი, საქორწინო თამაში, ჩხუბი ნადავლისათვის), ყოველთვის რიტუალია, ანუ გარკვეული წესებით შესრულებული მოქმედებების თანმიმდევრობა. ცხოველისაგან განსხვავებით, რომლის სემიოტიკური უნარი გენეტიკურად ჩაკეტილია რიტუალში, ადამიანს შეუძლია ნიშნად აქციოს ყველაფერი და შექმნას ახალი რიტუალი. ცხოველის საკომნიკაციო კოდი ერთდონიანია, მასში შემავალი ელემენტები ვერ ქმნიან ერთმანეთთან შეერთებით უფრო მაღალი დონეების ერთეულებს. ამის გამო შეტყობინებაც მთლიანია და არა დისკრეტული, ე.ი. არ იყოფა დამოუკიდებელ ერთეულებად. ამგვარ ენას არ აქვს გრამატიკა და იგი ვერ ქმნის სხვადასხვა შინაარსის ტექსტებს, არამედ გამოხატავს ერთსა და იმავე მარტივ შეტყობინებებს. ადამიანური ენა, პირიქით, მრავალდონიანია, წარმოქმნის დისკრეტულ გამონათქვამებს, მას აქვს გრამატიკა და ამიტომ ენობრივი ერთეულების განსაზღვრული რაოდენობით შეუძლია წარმოქმნას ტექსტების უსასრულო რაოდენობა. ჩ. ჰოკეტის მერვე დედუქციური უნივერსალიის თანახმად, ადამიანური ენა ღია სისტემაა: ახალ შეტყობინებას იგი წარმოქმნის ადვილად და თავისუფლად.

ცხოველები იყენებენ ნიშნებს, მაგრამ ადამიანისაგან განსხვავებით, მათ არ შეუძლიათ ახალი ნიშნების გამოგონება. ბიოსემიოტიკა მოკლებულია ქმნადობას, ხოლო ცხოველთა არსებობა შემოქმედებას. აღნიშნულის გამო ი. ლოტმანს ცხოველთა სემიოტიკები არ აქვს ჩართული სემიოსფეროში – იმ დროსა და სივრცეში, სადაც სემიოზისის შედეგად იქმნება კულტურა. სემიოსფერო სამყაროს სემიოტიზებული ნაწილია, მის ფარგლებში წარიმართება

ტექსტების წარმოქმნა და მათში მოცემული ინფორმაციის შეუწყვეტელი მრავალგზისი გადაყვანა ერთი სემიოტიკური კოდიდან მეორეზე, რაც კიდევ უფრო ზრდის ტექსტების რაოდენობას. სემიოსფერო კულტურის გენერატორია, ხოლო კულტურა ტექსტების ერთობლიობაა (Ю.Лотман, 2000: 254). სემიოსფერო დინამიკური (მარადცვალებადი) და იერარქიულია: მის ცენტრს იკავებენ ყველაზე განვითარებული ენები, ხოლო პერიფერია არ ამოიწურება ხელოვნური კოდებით: მათემატიკური სიმბოლიკა, ქიმიის, ფიზიკის ფორმულები, ლოგიკის ნიშნები, ზოდიაქოს სიმბოლიკა, მუსიკის ჩაწერის ნიშნები, საგზაო ნიშნები და ა. შ., მას მიეკუთვნება აგრეთვე საზოგადოებაში გამოსაყენებელი ინფორმაციის გამომხატველი ყველა საგანი და მოვლენა (ტექსტი): გეოგრაფიული რუკა, სამხედრო ნიშნები, გერბები, დროშები, ვიმპელები, ორდენები, მედლები, ბეჭდები, ტანსაცმელი, მოდა, ეტიკეტის ნიშნები, ქცევის ნიშნები, რელიგიის სიმბოლიკა, რიტუალები, წეს-ჩვეულებები, ხელოვნების ნიმუშები, მოწყობილობა-ხელსაწყოები (შუქნიშანი, ბარომეტრი, ფლუგერი, სპიდომეტრი)... . უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის თითოეული საგანი (არტეფაქტი) შექმნილი არის გარკვეული მოსაზრებით და ამიტომ შეიცავს საზრისს თავისი დანიშნულების შესახებ, ასე, მაგალითად, ღობეს არ აქვს ენა, მიუხედავად ამისა იგი მაინც მეტყველებს, რადგან წარმოადგენს ნიშანს უნივერსალური მნიშვნელობით: „ამას იქით იწყება სივრცე იმის, ვინც მე გამიყვანა.“ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კაცობრიობის კულტურა ღობის გარეშე. სახელმწიფოთა საზღვრები, ქალაქების ბალავარ-ქონგურებიანი გალავნები, შემაგრებული პუნქტების მესრები, ფრონტის წინა ხაზის მავთულ-ხლართები მნიშვნელობით „არ შეიძლება!“ ყველგან ემსახურებოდნენ დასაკუთრებული სივრცის დაცვის მიზანს. მაგრამ არანაკლები მონდომებით

ადამიანები ცდილობდნენ ღობის გადალახვას და სხვისი საკუთრების ხელში ჩაგდებას. კაცობრიობის პოლიტიკური ისტორია არსებითად ღობის აღმართვის, გაწვეგადმოწვეის და მოშლის ისტორიაა. გავიხსენოთ თუნდაც ბერლინის კედლის აღება, რომელმაც ერთდროულად აუწყა და განსაზღვრა ახალი პოლიტიკური ვითარება ევროპაში. ენა გადმოსცემს ინფორმაციას როგორც სამყაროს, ისე თავის შესახებ, არტეფაქტი შეიცავს ინფორმაციას მხოლოდ თავის შესახებ, იგი არ არის კულტურულ სივრცეში ტექსტების ტრანსლაციის და წარმოქმნის უნივერსალური საშუალება. არტეფაქტებს სწავლობს კულტუროლოგია, სემიოტიკისთვის ისინი საინტერესოა როგორც ინფორმაციის გამომხატველი. სემიოტიკა სწავლობს ნიშნებსა და ნიშანთა სისტემებს როგორც ინფორმაციის შენახვის, გადაცემისა და გადამუშავების საშუალებას ბუნებაში, საზოგადოებასა და თვით ადამიანშიც. მეტონიმიის წესით ტერმინით „სემიოტიკა“ აღინიშნება აგრეთვე ნიშანთა სისტემებიც, მაგალითად: რიტუალის სემიოტიკა, სცენის სემიოტიკა, ხელოვნების სემიოტიკა, კინოსემიოტიკა და ა. შ. ნ. მეჩკოვსკაიას მიხედვით, სემიოტიკების კლასიფიკაცია გრადუალურია:



ბუნებრივი სემიოტიკები გამოიყენება ცხოველთა კომუნიკაციაში. ხელოვნური სემიოტიკები შეგნებულად და მიზანმიმართულად იქმნებოდა და იქმნება ადმიანის მიერ. ბუნებრივი ენა ამბივალენტურია – შეიცავს ორ დაპირისპირებულ თვისებას: ერთი მხრივ, იგი არ შეუქმნია ადამიანს, მისი წარმოქმნა და განვითარება სპონტანურია, არ ემორჩილება ადამიანის ნებას; მეორე მხრივ, ენაში მოცემულია ხელოვნურად წარმოქმნილი ელემენტები: დამწერლობა, ტერმინოლოგიები, სალიტერატურო ენის ნორმები (Н.Б. Мечковская, 2007:123). რ.იაკობსონის თანახმად, ადამიანური ენა იკავებს შუალედურ მდგომარეობას ბუნებასა და კულტურას შორის. სხვა სემიოტიკების მიმართ იგი გამოდის როგორც მოდელი და მეტაენა და იძლევა საშუალებას გავაკონტროლოთ ყველა ისინი (Р.О.Якобсон, 1996:218). ფ. სოსიურს აინტერესებდა ადამიანური ენის სემიოტიკური ბუნება, ჩ. პირსი ადგენდა აზროვნების სემიოტიკურ საფუძველს, ი. ლოტმანისთვის სემიოტიკურია თავისი არსით კულტურული გარემო, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. სემიოტიკას მივყავართ ადამიანის რაობის საიდუმლოებისკენ. ინფორმაციას ადამიანი იღებს სხვადასხვა გზით:

I. უშუალოდ სინამდვილიდან: სამყაროს აღქმა-გაცნობიერების შედეგად;

II. როგორც დამოკიდებული ინტერპრეტატორი სხვა ადამიანის მონაყოლიდან, მუშაობს სქემა „მთქმელი---ნიშანთა სისტემა-- მსმენელი“;

III. როგორც დამოუკიდებელი ინტერპრეტატორი, რომელიც თავად არ ესწრებოდა მომხდარ ფაქტს, არც ამბის მომყოლი ჰყავს, ხელთ აქვს მხოლოდ ნიშნები; მუშაობს სქემა „ნიშნები(ტექსტი) – ინტერპრეტატორი“.

უკანასკნელ შემთხვევაში ინტერპრეტატორმა დამოუკიდებლად უნდა აღადგინოს ხდომილება .თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეჰუმბოლდტის თანახმად გაცნობიერება ენობრივი პროცესია, მაშინ ინფორმაციის მიღება ყველა შემთხვევაში სემიოტიკური (ნიშანთა მეშვეობით წარმართული) პროცესია. თუ ვ. ჰუმბოლდტთან, ე. კასირერთან და მათ მიმდევრებთან ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც წარმოქმნის სიმბოლოებს, შვეიცარიელი ფსიქოლოგის და ფსიქიატრის კ. იუნგის (1875-1961) თანახმად, ადამიანი ერთადერთია, ვისთანაც კაცობრიობის წარსულიდან ფსიქიკის ქვეცნობიერში მემკვიდრეობით დალექილი ცნობიერებაში ამოდიან უცხო სიმბოლოები –„არქეტიპები" და „პირველსახეები". ქვეცნობიერების ცნობიერებასთან ურთიერთობის ენა სიმბოლურია. სიმბოლოები თავს იჩენენ სიზმარში, სიცხადეში, გრძნობაში, აზრში, ქცევაში, სხვადასხვა სიტუაციაში. (WWW.Koob. ru/jung/chelovek I ego sImvoli).

ნიშანთა სისტემის დანიშნულება არის ინფორმაციის გადაცემა. შეისწავლო ესა თუ ის კომუნიკაციის საშუალება ნიშნავს დააკვირდე, როგორ მუშაობს იგი. სემიოტიკა ერთ-ერთი თავისი ასპექტით სწავლობს ნიშნებს და ნიშანთა სისტემებს გამოყენებაში (კომუნიკაციაში). სემიოტიკური პრაგმატიკა საფუძვლად დაედო ლინგვოპრაგმატიკას იმავე კომუნიკაციურ ლინგვისტიკას. კომუნიკაციის ტრადიციული მონოლინგვალური მოდელის ნაცვლად (კომუნიკანტი-ენა-კომუნიკანტი) სემიოტიკაში ჩამოყალიბდა პოლილინგვალური:(კომუნიკანტი (კოდი 1) – (კოდი 2) კომუნიკანტი). ახალი მოდელის ავტორი ი. ლოტმანი ერთენოვან კომუნიკაციას მიიჩნევს ცუდ აბსტრაქციად, რადგან იგი გულისხმობს იდენტურ კომუნიკანტებს აბსოლუტური ურთიერთგაგებით. რეალურ კომუნიკაციაში მონაწილეობენ არაიდენტური კომუნიკანტები თავიანთი კოდე-

ბით და მეხსიერების შესაძლებლობით. კოდი არის ენის საფუძველზე ჩამოყალიბებული ურთიერთობის ხელოვნური სტრუქტურა, „ენა არის კოდი პლუს მისი ისტორია“ (Ю.Лотман, 2000:15). კომუნიკაცია და მისი განმაპირობებელი აზროვნების აქტიც წარმოადგენენ ინფორმაციის გადაყვანას ერთი კოდიდან მეორე კოდზე (Ю.Лотман, 2000: 17;254). კომუნიკაციის დროს არ გამოიყენება მხოლოდ ერთი ენა, იგი ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კოდით და სინამდვილეში წარმოადგენს სემიოტიკურ პროცესს, ვიდრე საკუთრივ ლინგვისტურს.სემიოტიკური თვალსაზრისით ინფორმაციას არ გამოხატავს მხოლოდ ენა, ინფორმაციას გამოხატავს მთლიანად ადამიანი, მისი პოზა, ჟესტები, მიმიკა, გამოხედვა, ემოციურ -სომატური მდგომარეობა, ინტონაცია; მეტყველების ამ თანამდევ არავერბალურ მოვლენებს ეწოდება პარალინგვისტური (ბერძნ. Para ნიშნავს „თან“, „ახლოს“). ცოცხალ დიალოგში ინფორმაციის 60%-70% გადაიცემა არავერბალური არხებით, პრობლემა ისაა, რომ დავაფიქსიროთ და ამოვიკითხოთ შესაბამისი ნიშნები. აღნიშნული იმიტომ არ არის ადვილი, რომ ბგერითი ფორმით გამოხატული ინფორმაცია იპყრობს მსმენელის ყურადღებას, რასაც ხელს უწყობს მთქმელის მცდელობა გახადოს ნათქვამი მაქსიმალურად დამაჯერებელი. ამ მიზნით იგი იყენებს ჟესტებს, მიმიკას, ინტონაციას, პაუზას, პოზას. რიტორიკაში დამკვიდრებული შეფასებით ყოველივე ჩამოთვლილი მეტყველების დამხმარე საშუალებაა. შეკითხვას, რა არის საჭირო წარმატებისთვის საჯაროდ გამოსვლის დროს? დემოსთენემ უპასუხა: „ჟესტები, ჟესტები, ჟესტები!“. დემოსთენეს რჩევას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუკი ჟესტებით გადმოცემული ინფორმაცია შეესაბამება სიტყვიერს. რიტორიკას არ აინტერესებს შემთხვევები, როცა ჟესტებით და სხვა პარალინგვისტური საშუალებე-

ბით გამოხატული ინფორმაცია არ შეეფერება მეტყველებას. სემიოტიკისთვის კი აქ იწყება ყველაზე საინტერესო. ჩ. პირსის წყალობით, მე-20 საუკუნეში ცნობილი გახდა ჭეშმარიტება ადამიანის პრაგმატული ბუნების შესახებ. ადამიანის ყოველდღიურ ქცევას განსაზღვრავს გარკვეული ინტერესი. წარმატებისკენ მსწრაფი ადამიანის სიტყვა, რომელიც კონტროლირდება ცნობიერებით, არ არის ყოველთვის ჭეშმარიტი, ე. ი. არ შეეფერება რეალურ ფაქტს. არავერბალური საკომუნიკაციო არხები იმართება ქვეცნობიერებით და ,როგორც წესი, არ მონაწილეობენ ადამიანის პრაგმატულ თამაშში. „თვალები არ სტყუიან," ეს გამონათქვამი წარმოადგენს სემიოტიკურ ჭეშმარიტებას. ადამიანს ასევე გაუჭირდება იყოს არაგულწრფელი ჟესტით, მიმიკით, ემოციით, ინტონაციით. ტყუილის საშუალება სიტყვებია, რომლებიც ასეთ სემთხვევაში არ შეესაბამებიან არავერბალურ ნიშნებს. როცა ადამიანს განზრახული აქვს თქვენი გაცურება, იგი ცდილობს შეაღწიოს თქვენს მენტალურ სივრცეში და უნებურად ამცირებს სამეტყველო ურთიერთობის ბუნებრივ მანძილს (დაახლოებით 50სმ), გიყურებს ან პირდაპირ თვალებში გამომცდელად, ან სხვა რამეს, გიმალავს თვალებს; ცდილობს გადაიტანოს ყურადღება სხვა საგანზე: ატრიალებს ხელში რაიმე ნივთს , ისწორებს ჰალსტუხს, იფხანს ოდნავ შეხებით ცხვირს, არაბუნებრივად იღიმება (მაშინ, როცა სიტუაცია და თემა არ იწვევენ ღიმილს), იღიმება მხოლოდ პირით, ხოლო გამოხედვა აქვს სერიოზული და დაძაბული. გულახდილ ადამიანს არაფერი აქვს დასამალი, იგი გახსნილია: ფართოდ შლის ხელებს ზევითკენ ხელის გულებით. ტყუილის მთქმელი, პირიქით, ჩანაფიქრის ამოკითხვის შიშით ჩაკეტილია, არ გიშვებს თავის მენტალურ სივრცეში. სემიოტიკისთვის ადამიანი ტექსტია ექსპლიციტური (სიტყვები, გარეგნობა) და იმპლიციტური

(აზრები) სემანტიკით. ორივე შემთხვევაში შინაარსის ამოკითხვა საჭიროებს შესაბამისი ნიშნების ცოდნას, ასე მაგალითად, ხანმოკლე დუნე ხელის ჩამორთმევა გამოხატავს გულგრილობას; ხანგრძლივი გაოფლიანებული ხელით – ძლიერ მღელვარებას; ოდნავ გახანგრძლივებული, ენერგიული – კეთილმოსურნეობას; გამოწვდილი ხელი ზევითკენ ხელისგულით – გახსნილობას, დამორჩილებას; გამოწვდილი ხელი ქვეითკენ ხელისგულით – ძალაუფლებას, ძალას; ხელის ჩამორთმევა თითებით – უპატივცემულობას; ხელების ფშვნეტა – სიხარულს; საუბრის დროს განზე გადატანილი მზერა – ზიზღს; თვალების დახრა – ნაღველს, დანაშაულის აღიარებას; თვალის თვალში გაყრა – სიმაროლეს, უშიშობას.

ადამიანი არ ამბობს ყოველთვის იმას, რასაც ფიქრობს. დაკვირვებამ ამ შემთხვევებზე საშუალება მისცა მკვლევრებს დაედგინათ დამალული აზრების, ზრახვების სიტყვიერი ნიშნები – ურთიერთობის მეტაენა:

მეტანიშნები:	მნიშვნელობა:
„თქვენ გარკვეულწილად მართალი ხართ“	– თქვენ არაფერში არ ხართ მართალი
„არ გამიგო სხვანაირად“	– შენ არ მოგეწონება, მაგრამ ჩემთვის სულერთია
„პრინციპის საკითხია, თუ არა რა მნიშვნელობა აქვს“	– აქვს მნიშვნელობა
„არ მინდა ვიჭორავო, მაგრამ...“	– მინდა ვიჭორავო
„ბევრს ხომ არ გლაპარაკობ?“	– ნება მომეცით ბევრი ვილაპარაკო
„მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს გცემთ“	– პატივს არ გცემთ
„გიხსნით კიდევ ერთხელ!“	– თქვენ გაკლიათ მიხვედრა
„სხვათა შორის...“	– (ნიღბავს მთავარ სათ-

ქმელს)

„მე შუბლი გახსნილი მაქვს“ } – ნამუსი მაწუხებს
„მე ნამუსი წმინდა მაქვს“ }

„თქვენ ხომ იცით, რომ...“ – უნდა დამეთანხმოთ

მეტანიშნები მოვლენათა შესაძლო განვითარების გამოცნობის საშუალებაა. მათ იყენებენ როგორც მისტიკოსები, წინასწარმეტყველები, ასტროლოგები, პოეტები, ისე დიპლომატებიც, მხედართმთავრებიც, მოჭადრაკეებიც, შეყვარებულებიც. ფეხბურთის თამაშის დროს რიგითი შემსრულებლისთვის თანაგუნდელებისა და მოწინააღმდეგის მ.ინდორზე გადაადგილება მხოლოდ ნიშნებია (იკონები), რომლებიც გამოხატავენ იმას, რაც ხდება, ოსტატისთვის – მეტანიშნებიცაა, რომლებიც იუწყებიან იმას, რაც შეიძლება მოხდეს. მეტანიშნების წყალობით ნიჭიერი მოთამაშე ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ უსწრებს მოწინააღმდეგეს.

§ 6. ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმი

ჩ. მორისის სემიოტიკის პრაგმატული ასპექტი (ადამიანი – ნიშანი) იდეალურია, იგი არ ითვალისწინებს კონკრეტულად ვინ და სად იყენებს ენას. განმარტებით ლექსიკონში თითოეულ სიტყვას აქვს დადგენილი მნიშვნელობა, მიუხედავად ამისა ადამიანები ახერხებენ კომუნიკაციის ჩაუშლელად სიტუაციათა უსასრულო რაოდენობის გადმოცემას. ამის ასახსნელად რუსმა ენათმეცნიერმა ს. კარცევსკიმ (1884-1955) წამოაყენა ენობრივი ნიშნის გამოყენების ასიმეტრიული დუალიზმის პრინციპი, რომლის თანახმად ნიშნისა და მნიშვნელობის საზღვრები ვერ ემთხვევა ერთმანეთს ყველა წერტილში: ერთ ნიშანს

აქეს ერთზე მეტი მნიშვნელობა და ერთი მნიშვნელობა გამოიხატება სხვადასხვა ნიშნით (С.Карцевский, 1965:95). ამიტომ გარკვეული ფუნქცია ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით და, პირიქით, ერთსა და იმავე ენობრივ საშუალებას მოეპოვება სხვადასხვა ფუნქცია, ასე, მაგალითად, რუსულ ენაში მორფემა – а შეიძლება გამოხატავდეს: 1) ნათ. ბრუნვას (стол, стола, столу), 2) მრ. რიცხვს (паруса-парусов), 3.) სახ. ბრუნვას (жена – жены) და პირიქით, მრ. რიცხვის მნიშვნელობა წარმოდგენილია სხვადასხვა ნიშნით: 1) столы, шкафы, стены; 2) паруса, дома; 3) крестьяне, горожане. ტერმინისაგან განსხვავებით, ენობრივი ნიშანი ასიმეტრიულია, რადგან დარღვეულია წონასწორობა მის აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის: აღმნიშვნელი მიისწრაფვის გამოხატოს რაც შეიძლება მეტი მნიშვნელობა, თავის მხრივ არც აღსანიშნი პასუხობს მას ერთგულებით, იგი მიისწრაფვის გამოიხატოს რაც შეიძლება მეტი აღმნიშვნელით.

გამოყენების ყოველ ახალ სიტუაციაში ენა არის სემიოლოგიური მექანიზმი, რომელიც მოძრაობს ზოგადსა და ინდივიდუალურს შორის. აღნიშნული მოითხოვს იმას, რომ ლინგვისტური ნიშნის ბუნება იყოს უცვლელი და ცვალებადი ერთდროულად. კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების დროს ენობრივი ნიშანი უნდა იცვლებოდეს ნაწილობრივ, თავისი უცვლელი ნაწილის წყალობით იგი უზრუნველყოფს იგივეობრიობას თავისთავთან და ამით შესაძლებელი ხდება კომუნიკაციაც და ახალი კონკრეტული სიტუაციის გამოხატვაც. ამაში მდგომარეობს ენობრივი ნიშნის ბუნების დუალიზმი. ს.კარცევსკი აღნიშნავს, რომ კონკრეტულ სიტუაციაში სიტყვის გამოყენებისას ჩვენ ვქმნით წარმოდგენათა ახალ ერთობლიობას, ანუ ვიყენებთ მას გადატანით, მიუხედავად ამისა დაცული რჩება სიტყვის იგივეობრიობა. დაეუშვათ, ლაპარაკის დროს

ადამიანს უწოდეს „თევზი“, ამით ამ სიტყვას შეექმნა ომონიმი: თევზი 1, თევზი 2, (ადამიანი) და, მეორე მხრივ – სინონიმთა რიგს: ფლეგმატიკი, ცივი, უგრძნობელი, გულგრილი... შეემატა კიდევ ერთი წევრი – თევზი. ასევე შეიძლება ფორმალურ საშუალებათა გადატანით გამოყენება (ტრანსპონირება), მაგალითად, ბრძანებითი მნიშვნელობა გამოიხატება ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმით: „Замолчи!“ მაგრამ მეტყველებაში ამ მნიშვნელობით გადატანით გამოიყენება არაბრძანებითი ფორმებიც: „Замолчать!“ „Молчание!“ „Тсс!“ (С.Карцевский, 1965:89).

ორივე სახის ტრანსპონირება, სემანტიკურიც და ფორმალურიც, განპირობებულია სინამდვილით, კონკრეტულ სიტუაციასთან მისადაგების გამო ნიშნის ორივე კომპონენტი მარად განიცდის ცვლილებას. ნიშანთა ბუნების ასიმეტრიული დუალიზმის გამო ენობრივი სისტემა შეუწყვეტლივ ვითარდება.

ძირითადი ცნებები

მეცნიერებათა ორგანონი; სემიოტიკა; ნიშანი; აღსანიშნი; ენობრივი ნიშანი; ენობრივი სისტემა; ენობრივი ნიშნის ღირებულება; სემიოტიკური ლოგიკა; ლოგიკური პროპოზიცია; შიფთერები, საკომუნიკაციო კოდი.

საჭირო ტერმინები

სემიოზისი – ნიშანდება;
კონვენციური – მოლაპარაკებით დადგენილი;
ფენომენოლოგია – მეტაფიზიკური მოძღვრება, რომელიც სწავლობს ცდისაგან დამოუკიდებელ სულიერ არსებ. ს (ფენომენებს);
პოზიტივიზმი – ფილოსოფიის მიმართულება, რომელიც უარყოფს ფილოსოფიური კვლევის შემეცნებით ღირებულებას;
ეიდოსი – მარადიული იდეა პლატონის ფილოსოფიაში;
ფორმალური მეცნიერება – მეცნიერება, რომელიც სწავლობს არა ფიზიკურ სინამდვილეს, არამედ გონის იმანენტურ უნივერსალურ კანონებს;
ლოგიზირებული – ლოგიკას დამსგავსებული;
რეპრეზენტამენი – ნიშანი ჩ. პირსთან ;
რეპრეზენტაცია – ნიშანდება ჩ. პირსის თეორიაში;
ინტერპრეტანტი – ნიშანდების (სემიოზისის) დროს წარმოქმნილი იდეა;
პროპოზიცია – ჩ. პირსი იყენებს ამ ტერმინს ლოგიკური გაგებით როგორც მსჯელობას;
დისკრეტული – დაყოფილი, წყვეტილი;
ასიმეტრიული – არასიმეტრული;
დუალიზმი – ორად გაყოფის ფაქტი.

საკონტროლო კითხვები

1. არსებობდა თუ არა სემიოტიკა ანტიკურ პერიოდში?
2. რატომ მიიჩნევდა დე სოსიური ლინგვისტიკას სემიოლოგიის ნაწილად?

3. რა დამსახურების გამო აღიარებენ დე სოსიურს სემიოტიკის ერთ-ერთ დამაარსებლად?
4. რატომ არ უწოდებს დე სოსიური ენობრივ ნიშანს სიმბოლოს?
5. რა მიზნით ჩამოაყალიბა ჩ. პირსმა ნიშანთა თეორია?
6. რატომ არის ჩ. პირსის ნიშანთა თეორია ფილოსოფიური მნიშვნელობის აღმოჩენა?
7. რა არის ჩ. პირსთან ყოველგვარი აზრის და კვლევის საფუძველი?
8. განიხილავდა თუ არა ანტიკური ლოგიკა აზროვნების ერთეულებად ნიშნებს?
9. რას წარმოადგენს ნიშანდება ფენომენოლოგიური თვალსაზრისით ჩ. პირსთან?
10. რას ეფუძნება ნიშანთა ტიპოლოგია ჩ. პირსთან?
11. შეიძლება თუ არა ლეგისიგნუმი იყოს კონკრეტული ობიექტი?
12. რას წარმოადგენს ენობრივი ნიშანი, სინსიგნუმს თუ ლეგისიგნუმს?
13. რას შეიცავს სინსიგნუმი?
14. რის მიხედვით გამოყოფს ჩ. პირსი იკონებს, ინდექსებს და სიმბოლოებს?
15. რა განსხვავებაა ნამდვილ და გადაგვარებულ ინდექსებს შორის?
16. რა საერთო აქვთ იკონასა და ინდექსს სიმბოლოსთან შედარებით?
17. რატომ არის სიმბოლო კონვენციური ნიშანი?
18. რატომ არის ყოველი სიმბოლო ლეგისიგნუმი?
19. რას შეიცავს სიმბოლო?

20. რას ნიშნავს: „რეპლიკა– სინსიგნუმი სიმბოლოს ინდექსია?“
21. რატომ არის სიმბოლო რთული ნიშანი?
22. რატომ უწოდებს ჩ. პირსი სინგულარულ სიმბოლოს გადაგვარებულს?
23. რა დანიშნულებას ანიჭებდა სემიოტიკას ჩ. მორისი?
24. რას სწავლობს სემიოტიკა ჩ. მორისის მიხედვით?
25. რის საფუძველზე განასხვავებს ჩ. მორისი სემიოზისის სამ ასპექტს?
26. როგორ მართლდება სემიოტიკურად დე სოსიურის ენობრივი ნიშნის ლინგვისტური კონცეფცია?
27. რამდენი ქრონოტოპი გამოიყენება ცხოველთა კომუნიკაციაში?
28. რა განსხვავებაა ადამიანთა და ცხოველთა კომუნიკაციებს შორის ინდექსების გამოყენების მხრივ?
29. რას ქმნის სემიოზისი (ნიშანდება) ი. ლოტმანის მიხედვით?
30. რა ჰქვია სამყაროს სემიოტიზებულ ნაწილს?
31. რის ერთობლიობას წარმოადგენს კულტურა სემიოტიკური თვალსაზრისით?
32. მიეკუთვნება თუ არა სემიოსფეროს არტეფაქტები?
33. რატომ არის ადამიანთა ურთიერთობა უფრო სემიოტიკური, ვიდრე საკუთრივ ლინგვისტური პროცესი?
34. რა შეაპირობებს ენობრივი სისტემის შეუწყვეტელ განვითარებას ი. კარცევსკის თანახმად?

დავალება

მოყვანილ მაგალითებში გამოყავით ინდექსები, იკონები, სიმბოლოები

1. გაზაფხულის მიწურულს პირველი მერცხალი ცაში.
2. სიტყვა „მერცხალი“ ანდაზაში: ერთ მერცხალს ზაფხული ვერ მოაქვს.
3. „ მერცხალი“ როგორც საფეხბურთო კლუბის სახელი.
4. „მერცხალი“ გუნდის ფეხბურთელების მაისურებზე ამოქარგული მერცხალი.
5. სახლის ლაგვარდანზე დამსხდარი მერცხლები.
6. წვიმის წინ დაბლა მფრინავი მერცხლები.
7. საავარჯიშო ფიგურა ტანვარჯიშში– „მერცხალი“.
8. სახელი „მერცხალი“ ამ ფრინველთა მიერ გამოცემულ „რწიხ-რწიხ“ ხმასთან მიმართებაში.
9. უცნობ ტყეში მოულოდნელად დანახული თოლიები.
10. სიტყვა „ თოლია“ რეკლამაში „რესტორანი თოლია გეპატიჟებათ“.
11. მოსწავლის მიერ დახატული თოლია.
12. საეკლესიო ზარების ხმა.
13. საეკლესიო ზარების ხმა მტრის მოახლოების დროს.
14. საეკლესიო ზარების ხმა ქრისტიანული დღესასწაულის დროს.
15. დანახული ქრისტიანული ტაძარი.
16. სიზმარში დანახული ქრისტიანული ტაძარი.
17. დახატული ქრისტიანული ტაძარი.
18. წინადადებაში: „ეს იყო ქრისტიანული ტაძარი“.
19. ფოთლების შრიალის ხმა.
20. ადამიანის ხველება.
21. ხველება როგორც დათქმული პაროლი
22. ორი თითის ჩვენება (v -victoria) როგორც გამარჯვების ნიშანი

23. სიტყვა vIctorIa
24. ახალგამომცხვარი პურის სუნი.
25. ღიმილი.
26. ქათმის კაკანი: კო-კო-კო-კო... .
27. დაბადების დღის აღნიშვნა.
28. დაფა ქუჩის სახელით.
29. ფაშისტური სვასტიკა:
    1.) II მსოფლიო ომის დროს გერმანულ ტანკზე;
    2.)ბათუმში სახლის კედელზე.
30. კანზე ამოსვირინგებული:
    1) ლენინის თავი; 2) საყვარელი ქალის სახელი;
    3)საკუთარი სახელი.
31. ტალღები ზღვაზე.
32. წარწერა opel ავტომანქანაზე.
33. ტექსტში opel მარკის ავტომანქანის ხსენება.
34. ავტომანქანის opel ემბლემა მიმაგრებული მერსედესის მარკის ავტომობილზე.
35. დილით სკოლაში მიმავალი მოსწავლეები.

თავი V. წინადადების პრობლემა ლინგვისტიკაში

§ 1. ლოგიზირებული წინადადება

ძველბერძნული ლინგვისტური ტრადიცია დისკრეტულია:იგი იყოფა ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ პერიოდად. ენისადმი ინტერესმა პირველად თავი იჩინა ფილოსოფიაში. პლატონის დიალოგებში, არისტოტელეს პასაუბში, სტოელებისა და სხვა ბერძენ ფილოსოფოსთა მოძღვრებაში ენა განიხილება ფილოსოფიის პოზიციიდან, რაც არა თუ აუფასურებს ფილოსოფიურ წყაროებში მოცემულ პირველ ცოდნას ენის შესახებ, პირიქით, არის კანონზომიერიც: ლინგვისტური აზროვნების ჩასახვას მეცნიერულ პრაქტიკაში სჭირდებოდა დიდი მოაზროვნეების რეფლექსია ენაზე. ალექსანდრიის პერიოდში და შემდგომ ფილოლოგიის წიაღში შექმნილი გრამატიკებისა და ლექსიკონების ავტორებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ფილოსოფოსთა გამოცდილება. მაგრამ პირველად ფილოსოფიაში გამოყენებული ტერმინების: „ქვემდებარე“, „ შემასმენელი,“ „სახელი“, „ზმნა,“ „პროპოზიცია“, „ წინადადება“ და სხვა ფილოსოფიური სემანტიკისაგან „გაწმენდა“ გრამატიკოსებს მოუხდათ დამოუკიდებლად.

ტერმინი „ წინადადება“ ფაროდ გამოიყენება უკვდავ „ორგანონში,“ რომლის ავტორს, არისტოტელეს, როგორც ფილოსოფოსს, პირველ რიგში აინტერესებდა ჭეშმა-რიტება. ამ მიზნით მან ჩამოაყალიბა ლოგიკა, რომლის კანონებსა და ფორმებს სწავლობდა ისე, რომ არ იწუხებდა თავს აზრისა და მისი გამომხატველი „წინადადების“ განსხვავებით, რადგან დაუშვებდა სრულ იზომორფიზმს სამყაროს, აზროვნებასა და ენას შორის (იხ.Л.Халваши, 2005:204). ჭეშმარიტი, არისტოტელეს თანახმად, შეიძლე-

ბა იყოს მხოლოდ მტკიცება, იგივე აზრი, რომელიც რეალურად არსებობს როგორც წინადადება (Аристотель, 1978:96). ამრიგად, „ორგანონში“ წინადადება-გამომხატველი გაუთანაბრდა წინადადება-გამოსახატავს – „აზრს,“ ერთიცა და მეორეც არისტოტელესათვის წარმოადგენდა Logos-წართქმულ (თხრობით) მეტყველებას (Аристотель, 1978:95). ასეთ შემთხვევაში კითხვითი, ბრძანებითი, ნატვრითი, ჯერარსობითი გამონათქვამები რჩებოდნენ წინადადების გარეთ, ხოლო ტერმინი წინადადება არ გამოხატავდა გრამატიკულ ცნებას. გრამატიკულად მას აქცევს ალექსანდრიელი გრამატიკოსი დიონისე, რომელიც კარგად ცნობილ დეფინიციაში **„წინადადება არის სიტყვათა შეხამება, რომელიც გადმოსცემს დამთავრებულ აზრს“** (ИЛ .У. 1980:216) წინადადებას განმარტავს აზრის მეშვეობით და ამით მიაკუთვნებს ტერმინს „წინადადება“ მხოლოდ აზრის გამომხატველის როლს. მისახვედრად ადვილი დიონისეს განმარტება სინამდვილეში წარმოადგენს იმ გორდიუსის კვანძს, რომლის გახსნის მცდელობა შეადგენს ტრადიციული სინტაქსის ისტორიას. ცნობილია, რომ ყოველი განმარტება უნდა იძლეოდეს საგნის სხვათაგან გამოყოფის საშუალებას ანუ იყოს საგნის კონცეპტუალური ხედვა. ამ მიზნით პრედიკატულ ნაწილში იგი უნდა შეიცავდეს განსამარტებელი საგნის არსებით ნიშნებს. პირველი ევროპული გრამატიკის ავტორმა, დიონისემ, წინადადების განმარტებას საფუძვლად დაუდო ორი ნიშანი **„სიტყვათა შეხამება“** და **“აზრი“**, რის წყალობითაც, ერთი მხრივ, შეძლო მკაფიოდ გაეკლო ზღვარი წინადადებასა და შესიტყვებას შორის, მაგრამ, მეორე მხრივ, განმარტების გარეთ დატოვა კითხვითი, ჯერარსობითი, ნატვრითი და ერთსიტყვიანი წინადადებები. და მხედველობაში თუ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ყოველი თხრობითი წინადადება ადვილად იღებს სხვა კილოს

ფორმას, უნდა ვაღიაროთ, რომ წინადადებათა უმრავლესი ნაწილი ვერ პოულობს დიონისეს განმარტებაში ადგილს, რაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ხდის მას მიუღებლად. დიონისეს განმარტება ასახავს წინადადების სამ ასპექტს: პირველი ნიშანი – „სიტყვათა შეხამება“ წარმოადგენს წინადადების ფორმალურ მახასიათებელს, ხოლო მეორე – „გამოხატავს აზრს“ გულისხმობს სემანტიკურ და ფუნქციურ ასპექტებს. მაგრამ განმარტების მაკონსტიტუირებელი ნიშნები „სიტყვათა შეხამება“ და „გამოხატავს აზრს“ ცალმხრივად უქვემდებარებენ სინტაქსს ლოგიკას. არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრების თანახმად, აზრი ყოველთვის შედგება ორი ნაწილისაგან, რადგან არის სახელისა და ზმნის შეკავშირება (Аристотель, 1978:102). წარმოადგენს წინადადება ყოველთვის „სიტყვათა შეკავშირებას“? მეორე მხრივ, წინადადება, რომელიც გამოხატავს მხოლოდ აზრს, ყოველთვის აზრზე იქნება დამოკიდებული. „გამოხატავს აზრს“ ნიშნის გამოყენება ავიწროებს წინადადების დეფინიციას თხრობით წინადადებამდე, მაგრამ უარის თქმა მასზე შლის ზღვარს წინადადებასა და შესიტყვებას შორის. ამრიგად, მარტივი წინადადების პრობლემა შექმნა ლოგიციზმმა – წინადადების დეფინიციის დაქვემდებარება ლოგიკაზე. აღნიშნული ნაკლის დაძლევის ამაო შედეგია ფსიქოლოგიზმი სინტაქსში, რომელსაც მოგვიანებით დაუპირისპირდა იმანენტიზმი. „ამ პრობლემებზე მსჯელობს არნ. ჩიქობავა“ „მ.წ.პ.ქ. 1929 წელი“.

§ 2.წინადადება ფსიქოლოგისტური თვალსაზრისით

ლინგვისტური ფსიქოლოგიზმი გაჩნდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და გამოწვეული იყო ი. კანტის ფილოსოფიით და იმ მოთხოვნებით, რომლებსაც უყენებდა მეცნიერულ კვლევას პოზიტივიზმი. საუკუნეთა განმავლობაში მეცნიერებმა ვერაფერი დაამატეს იმას, რაც აზრის შესახებ „ორგანონში“ ჩამოაყალიბა არისტოტელემ. უშუალო დაკვირვებისათვის მიუწვდომელი აზრი პოზიტივისტური მეცნიერებისთვის არ შეიძლება ყოფილიყო ცდაში მოცემული წინადადების განსაზღვრის საფუძველი. მეცნიერები არ უარყოფდნენ აზრის არსებობას, ისინი ნეგატიურად აფასებდნენ აზრის შესწავლის შესაძლებლობას. სულ სხვაა წინადადება, რომელიც წარმოადგენს ცდაში მოცემულ ფაქტს. რადგან ის არსებობს, რეალური უნდა იყოს ფსიქიკური პროცესიც, რომელიც უზრუნველყოფს მის გაჩენას და ფუნქციას. ამრიგად, ლინგვისტიკაში აზრის რაობიდან ყურადღება იყო გადატანილი წინადადების თანამდევ ფსიქიკურ პროცესზე. აღნიშნულის კარგი მაგალითია ლაიფციგის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლის ჰერმან პაულის (1846-1921) წინადადების დეფინიცია: „წინადადება არის გამომხატველი, სიმბოლო იმისა, რომ მეტყველის ფსიქიკაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე წარმოდგენის ან წარმოდგენათა ჯგუფის შეკავშირებას და საშუალება იმისათვის, რათა მსმენელის ფსიქიკაშიც აღიძვრეს იმავე წარმოდგენათა იგივე შეკავშირება“ (Г. Пауль, 1960:143) მოყვანილი განმარტება ფსიქოლოგისტურია. არის იგი უფრო მეცნიერული? თუ დიონისეს გამოყავს წინადადების განმარტება აზრზე (მტკიცებაზე) დამყარებით ტექსტიდან, ჰ. პაული ცდილობს, განმარტოს წინადადება გონში ჩახედვით. ძნელია დაეთანხმო ავტორს იმაში, რომ წინადადების თანამდევი ფსიქიკური პროცესი მეცნიერული ანალიზისათვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე იქვე, ფსიქიკაში, წარმოქმნილი

აზრი. ამ მხრივ ფსიქოლოგიზმი შორს არ დგას ლოგიციზმისაგან. ისე, როგორც არისტოტელეს აზრი (მტკიცება) საჭიროებს ორ წევრს (სუბიექტსა და პრედიკატს), ჰ.პაულთანაც წინადადების შესატყვისი ფსიქიკური პროცესი იყოფა ორ შემადგენლად: ფსიქოლოგიურ ქვემდებარედ და ფსიქოლოგიურ შემასმენლად (Г.Пауль, 1960:147). მაგრამ ლოგიცისტურთან შედარებით ფსიქოლოგისტურ კონცეფციას აქვს ერთი უპირატესობაც: იგი არ გამორიცხავს ერთსიტყვიან წინადადებებს, რადგან ამ შემთხვევაშიც ლაპარაკობს გონში წარმართულ წარმოდგენათა სინთეზზე, ასე, მაგალითად, feuer! (ცეცხლი!) წინადადების გამოყენებისას ქვემდებარეა სიტყვით გამოუხატავი კონკრეტული ცეცხლის წარმოდგენა, შემასმენელი – ფსიქიკაში უკვე არსებული წარმოდგენა ცეცხლზე, რომელიც გამოიხატება სიტყვიერად (Г. Пауль, 1960:155). ამგვარად, ჰ. პაულთან წარმოდგენათა სინთეზი განაპირობებს კონკრეტული სიტუაციის გააზრებას ცნების მონაწილეობის გარეშე. საკითხავია, რა სხვაობაა ფსიქიკის მოქმედების თვალსაზრისით ადამიანსა და ცხოველს შორის? არისტოტელე აზრს სწავლობდა მეტყველებაში და აქედან გამომდინარე დაუშვებდა მას გონშიც, ამის მსგავსად ფსიქოლოგისტები ჯერ მეტყველებაში წინადადების მოცემულობიდან პოსტულირებდნენ წინადადების ფსიქიკური შესატყვისის არსებობას გონში, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელზე აფუძნებდნენ წინადადების დეფინიციას. წინადადების განსაზღვრის ამგვარი გზა იმ შემთხვევაში იქნებოდა მისაღები, მის მომხრეებს რომ დაედგინათ წინადადების ფსიქიკური კორელატის რაობა, რაც გაცილებით უფრო დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ვიდრე წინადადების შესწავლა მეტყველებაში. აღნიშნული პრობლემის გადაუწყვეტლობა აიძულებდა ფსიქოლოგისტებს მიდგომოდნენ წინადადებას სხვა პოზიციიდანაც.

სინტაქსში ჰ. პაულის მიმდევარმა რუსმა ენათმეცნერმა ა. შახმატოვმა (1864-1920) გადაწყვიტა, ემოქმედა არისტოტელეს პრინციპით, ისე როგორც არისტოტელემ აზრის რაობის შესასწავლად მეტყველებაში დაადგინა ობიექტური საფუძველი -მტკიცება, სხვაგვარად, პრედიკაცია, ა. შახმატოვი შეეცადა წინადადებისთვისაც მეტყველებაში მოეძებნა ამგვარი ობიექტური ნიშანი. ამისათვის მას არ გამოადგებოდა არისტოტელესეული მტკიცება (პრედიკაცია), რადგან ეს უკანასკნელი მოცემულია მხოლოდ თხრობით წინადადებაში, ა. ა. შახმატოვს კი სჭირდებოდა ისეთი ნიშანი, რომელიც იქნებოდა საერთო ყველა ტიპის წინადადებისათვის. ამგვარ სტრუქტურულ ნიშნად რუსმა აკადემიკოსმა დაასახელა **„პრედიკატული მიმართება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის“** (А. А. Шахматов, 2001:38). ისე, როგორც ყოველი აზრი შეიცავს სუბიექტსა და პრედიკატს მათ შორის არსებული პრედიკატული მიმართებით (მტკიცებით), ა.ა. შახმატოვის გადაწყვეტილებით ყოველგვარი წინადადება: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ნატვრითი, ჯერარსობითი შეიცავს ქვემდებარესა და შემასმენელს პრედიკატული მიმართებით. ამრიგად, ა.ა.შახმატოვმა ცნება „პრედიკატული მიმართება“ ლოგიკიდან გადმოიტანა გრამატიკაში და გამოაცხადა წინადადების ფუძემდებლურ ნიშნად. მაგრამ არისტოტელესთან „პრედიკაცია“, რომელიც ნიშნავს მტკიცებას, ყველა აზრის უნივერსალური ნიშანია. ა.შახმატოვის „პრედიკატული მიმართება“, რომელიც არც მტკიცებაა, არც კითხვა, არც ბრძანება, არც ნატვრა და ა. შ. , ნიშნავს ყველაფერს ერთად და არაფერს კონკრეტულად, ამიტომ იგი ცარიელი ცნებაა. ა.ა.შახმატოვი გვთავაზობს დავიჯეროთ, რომ იქ, სადაც გვაქვს ქვემდებარე-შემასმენელი, მათ შორის უნდა მყარდებოდეს წინადადების ასაგებად საჭირო პრედიკატული მიმართე-

ბაც,სხვაგვარად, „პრედიკატული მიმართება“ წინადადებაში პოსტულირდება „ქვემდებარე-შემასმენლის“ საფუძველზე. თუ პრედიკაცია ქვემდებარე-შემასმენლის უხილავი ატრიბუტია, იგი აუცილებელიც არ არის, წინადადების მთავარი ფაქტორია „ქვემდებარე-შემასმენელი“. მაგრამ საკითხავია, ამა თუ იმ სიტყვათა რიგს ჩვენ „ქვემდებარე-შემასმენლის“ გამოყოფით ვცნობთ წინადადებად? შევადაროთ ორი სიტყვათა თანმიმდევრობა: **1. თბილისიდან მიღებული ეს ძალიან საინტერესო წიგნი. 2. წიგნი საინტერესოა.** მეორე მაგალითს მივიჩნევთ წინადადებად არა იმიტომ, რომ მასში გამოვყოფთ ქვემდებარე-შემასმენელს, პირიქით, გრამატიკულ ქვემდებარე-შემასმენელს მეორე შემთხვევაში გამოვყოფთ მას შემდეგ, რაც არისტოტელეს დახმარებით ამოვიკითხავთ მოცემულ სიტყვებში მტკიცებას.

პრედიკაციის აზრიდან წინადადებაში გადმოტანით ა.შახმატოვი დგება ლინგვისტურ თვალსაზრისზე, თუმცა ერთსიტყვიან წინადადებებს განმარტავს პაულიეით როგორც, სუბიექტისა და პრედიკატის წარმოდგენათა შეერთებას.

§ 3. წინადადების ფორმალური აგებულება (იმანენტური ანალიზი)

მეცნიერებაში ატმოსფერული მოვლენების შესახებ – მეტეოროლოგიაში – ცნობილია შემდეგი კანონი: „ციკლონს მოჰყვება ანტიციკლონი“, რომლის თანახმად ამინდის მკვეთრ გათბობას აუცილებლად უნდა მოჰყვეს აცივება და, პირიქით. ასე ხდება იმიტომ, რომ აცივების წინაპირობა თავად გათბობა არის. გათბობა იწვევს აცივებას და ამით ბუნება ინარჩუნებს წონასწორობას. მსგავ-

სად მეცნიერების ისტორიაშიც ახალი თეორია სწორად ყალიბდება უკვე არსებულის უარყოფის საფუძველზე. არსებული მოძღვრების ნაკლოვანებების კრიტიკა აიძულებს მომდევნო მკლევარს ჩამოაყალიბოს ახალი ხედვა. ასე რომ, ახალი თეორიის მეცნიერული ხარისხი მეტწილად ძველი თეორიის ნაკლითაა შეპირობებული.


წინადადების განსაზღვრისას ფსიქოლოგისტებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო წინადადების განმაპირობებელი ფსიქიკური პროცესი (წარმოდგენათა შეერთება), ამის გამო წინადადების სხვა ასპექტები: სტრუქტურა (აგებულება), სემანტიკა, ფუნქცია მათ ნაშრომებში მეორე პლანზე რჩებოდა. უცილობელი ფაქტია, რომ მეტყველება შეუძლებელია ცნობიერების გარკვეული ფუნქციის გარეშე, მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ მეტყველებას უნდა ვსწავლობდეთ ცნობიერების პოზიციიდან? სინტაქსური ლოგიციზმის ცალმხრივობა და ფსიქოლოგიზმის დაუსაბუთებლობა აიძულებდა მკვლევრებს უარყოფითი პასუხი გაეცათ დასმულ კითხვაზე და წინადადების განსაზღვრის საფუძველი მოეძებნათ ფსიქიკისა და აზრისაგან პირუკუ მიმართულებით – ცდაში უშუალოდ მოცემულ მეტყველებაში. ლინგვისტურ მეთოდს, რომელიც ენის ამა თუ იმ ელემენტს განმარტავს ლინგვისტურად, ეწოდება იმანენტური (ლათ. Immanentis – საგნის შინაგანად დამახასიათებელი). წინადადების იმანენტურ განმარტებაში პრედიკატულ ნაწილში გამოიყენება ლინგვისტური ნიშნები (ცნებები). ლოგიკისა და ფსიქოლოგიის დიქტატზე უარის თქმა გზას უხსნიდა ლინგვისტიკას „დამოუკიდებლობისკენ“, მაგრამ არსებობდა წმინდა ლინგვისტური ფაქტორებიც, რომლებიც იმანენტური კვლევის შემთხვევაშიც განაპირობებდნენ წინადადების კვლევის განსხვავებულ შედეგს. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო, როგორ ესმოდა წინადადების მკვლევარს ენა: ჰუმ-

ბოლდტისეულად, როგორც სემანტიკის მქონე ფორმა თუ როგორც მხოლოდ ფიზიკური ფორმა. მეორე შემთხვევაში ყურადღება არ ექცეოდა წინადადების ფუნქციურ და სემანტიკურ ასპექტებს, რის გამოც იშლებოდა ზღვარი წინადადებასა და შესიტყვებას შორის. წინადადების ამგვარ განმარტებას ინდოევროპული ენებისთვის იძლევა არნ. ჩიქობავა: „შესიტყვებას, რომელიც აგებულია მართვა-შეთანხმების პრინციპზე ბრუნვადი და უღლილებადი სიტყვებისაგან, ეწოდება წინადადება“ (არნ. ჩიქობავა, 1968:118). არნ. ჩიქობავასთან წინადადება შესიტყვების ერთ-ერთ სახეობადაა მიჩნეული და ამით სინტაქსი გამოცხადებულია მეცნიერებად შესიტყვების შესახებ. წინადადება გამოკვლეულია იმანენტურად: განმარტებას საფუძვლად უდევს წინადადების სტრუქტურა-აგებულება (ფორმალური ნიშანი) და არა ბოლომდე დაუდგენელი ფსიქიკური პროცესი ან წინადადების შინაარსთან ნაწილობრივ შეფარდებული მსჯელობა-აზრი. ამრიგად, წინადადებას არნ. ჩიქობავამ მოუძებნა შინაგანი, მისთვის იმანენტური საზომი. ესაა სინტაქსური მიმართება შესიტყვებაში შემავალ სიტყვებს შორის და ამ სიტყვათა მორფოლოგიური რაობა. წინადადების გარდა მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნების გადაკვეთით ჩამოყალიბებულია დანარჩენი სინტაქსური ცნებებიც: „ქვემდებარე არის მთავარი მმართველი სახელი; შემასმენელი – მართული ზმნა; დამატება – ზმნის ან სახელის მიერ მართული სახელი; განსაზღვრება – სახელთან შეთანხმებული სახელი; გარემოება – მირთული სიტყვა, ფორმიანი თუ უფორმო“ (არნ. ჩიქობავა, 1968:119-120).


არნ. ჩიქობავას წინადადების ფორმალურ– სტრუქტურული დეფინიცია გამორიცხავს ერთსიტყვიან წინადადებებს, მაგრამ ავტორი დაუშვებს გამონაკლისს ზმნისთვის, რომელიც შეიცავს მითითებას პირზე ან პირებზე, და ამი-

ტომ თავისთავად არის „წინადადება მინიატურაში“ (არნ. ჩიქობავა, 1968:122), „წინადადების ექვივალენტი“ (არნ. ჩიქობავა, 1968:123). მაგრამ სახელები“**ხანძარი!**“ „ **წვიმა!**“ **„თოვლი!**“ და ა. შ., რომლებიც არც შესიტყვებაა და არც ზმნა, არ შეიძლება ჩაითვალოს წინადადებად.

სინტაქსური მიმართების სახეები (შეთანხმება, მართვა, მირთვა) გამოხატავენ დაქვემდებარებას (სუბორდინაციას), ამიტომ სიბრტყეზე გამოსახული წინადადების სტრუქტურა მრავალდონეებრივია, ერთი მწვერვალით ინდოევროპული ენებისთვის:



არნ. ჩიქობავას მიხედვით, ინდოეროპულ ენებში წინადადებას აქვს ორი მაორგანიზებელი დომინანტი: 1. მწვერვალი (მმართველი სახელი) და 2. ცენტრი (ზმნა), მათგან უფრო მნიშვნელოვანი მეორეა, რადგან სახელებისა და ზმნის საურთიერთო მართვის (კოორდინაციის) შემთხვევაში ქართული ენის რელატიურ– გარდამავალზმნიან წინადადებას არ აქვს მწვერვალი (ქვემდებარე), აქვს მხოლოდ მაორგანიზებელი ცენტრი (მეკოორდინაციე ზმნა) და კოორდინატები; შეიძლება აგრეთვე დამატებაც, გარემოებაც და განსაზღვრებაც.




წარმოდგენილ სინტაქსურ ანალიზში წინადადების წევრები განმარტებულია გრამატიკული სუბორდინაციის გამომხატველი მიმართებების (შეთანხმების, მართვის, მირთვის ცნებათა) საფუძველზე, მაგრამ რეალურ წინადადებაში არ ხერხდება ყოველთვის ცალმხრივად იმის დადგენა, სინტაქსური დაქვემდებარების რომელ ფორმასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, „დევს მაგიდაზე“ პასუხობს როგორც დამატების კითხვას „რაზე?“ და უნდა ჩაითვალოს ამ შემთხვევაში მართულ ფორმად, ისე – გარემოების კითხვაზეც „სად?“, რაც აუცილებელს ხდის იგივე ფორმა მირთულად მივიჩნიოთ. სიტუაციას ვერ გაარკვევს კითხვების სახით ანალიზში სემანტიკური კრიტერიუმის შემოტანაც, რადგან ერთი და იგივე სიტყვა წინადადებაში შეიძლება მიუგებდეს სხვადასხვა კითხვას, მაგალითად „ქვეყნის მდგომარეობა იყო რთული“, ქვეყნის– რისი? და როგორი? სემანტიკური სუბიექტივიზმისაგან თავის დაღწევის მიზნით ლინგვისტებმა მიმართეს სინტაქსური ანალიზის კიდევ უფრო მეტ ფორმალიზაციას.

§ 4. წინადადების სინტაქსური სტრუქტურა (დესკრიფციული ანალიზი)

ლინგვისტიკაში დესკრიფციული მეთოდის შემოღებას უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ ამერიკელ ლინგვისტებს უნდა ეკვლიათ მათთვის სრულიად უცნობი ინდიელთა ენები. უნდა აღინიშნოს, რომ დესკრიპტივიზმი

არ გაჩენილა მხოლოდ კვლევის განსხვავებული ემპირიული პირობების შედეგად. მისი თეორიული სახე გამოიკვეთა პირველ რიგში მეოცე საუკუნისათვის კარგად შესწავლილი ინგლისური ენის მიმართ გამოყენებაში, ხოლო მეთოდოლოგიური პრინციპები ამერიკულ მეცნიერებაში გაბატონებული ბიჰევიორისტული მიმართულების პოზიტივიზმის გარდა განსაზღვრული იყო უფრო ხანდაზმული მეცნიერული ტენდენციითაც. მეცნიერების გარიჟრაჟზე არისტოტელე აზრის გაგებამდე (სახელი-სუბიექტისა და ზმნა-პრედიკატის შეხამება) მივიდა წინადადება-აზრის ფორმალიზაციით. ლ.ბლუმფილდის პოზიტივისტურმა განწყობამ: ლინგვისტებმა ბოლოს და ბოლოს თავი უნდა დაანებონ ფილოსოფიას და ისტორიას და აღწერონ ის, რაც უშუალოდ მოცემულია ურთიერთობის საშუალებად (Л. Блумфилд, 1968:32-34), ლინგვისტური ანალიზის თავში მოაქცია გამონათქვამი (წინადადება). ლ. ბლუმფილდს და მის მიმდევრებს: ზ.ჰერისს, ჯ. ტრაიგერს, ბ. ბლოკს, ჩ. ჰოკეტს და შემდეგ ნ. ხომსკის ეჭვი არ შეჰპარვიათ იმაში, რომ ენის და, კერძოდ, წინადადების კვლევა უნდა გაგრძელებულიყო ანალიზის კიდევ უფრო მეტი ფორმალიზაციის გზით, ე. ი. სუბიექტურის და მასთან დაკავშირებული ინტუიციურისა და სემანტიკურის გამორიცხვით, რასაც შედეგად უნდა მოეტანა წინადადების და მთლიანად ენის რეალური (=ობიექტური) სურათი. ლ. ბლუმფილდის თანახმად, მეტყველება აგებულებით იერარქიულია, იგი წარმოადგენს კომპლექსურ ფორმათა ერთობლიობას. ყოველი კომპლექსური ფორმა შედგება უშუალო შემადგენლებისაგან, რომელთაგან თითოეული თავის მხრივ შეიძლება იყოს კომპლექსური და იშლებოდეს უშუალო შემადგენლებად (Л. Блумфилд, 1968:169). ლ. ბლუმფილდის მიმდევრები წინადადებას აღწერენ წინადადების წევრებისა და სინტაქსურ მიმართებათა ფორმების

(შეთანხმება, მართვა, მირთვა) ცნებების გარეშე. მათი ადგილი სინტაქსურ აღწერაში დაიკავა **„უშუალო შემადგენლებმა“** და **„სინტაქსურმა დაქვემდებარებამ“**. აღნიშნული ჩანაცვლება იყო შედეგი მთავარი ყურადღების გადატანის იმ ფაქტზე, რომ წინადადებაში შემავალი სიტყვები უკავშირდებიან ერთმანეთს არა ხაზობრივი თანმიმდევრობით, არამედ ბინარული (წყვილეულთა) წესით, მაგალითად, წინადადებაში „კლასში პატარა ბავშვებმა ლამაზად დაწერეს ქართული სიტყვები დაფაზე“ ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული უშუალო მეზობლობაში მყოფი სიტყვები: „კლასში პატარა“, „ბავშვებმა ლამაზად“, „დაწერეს ქართული“, „სიტყვებს დაფაზე“. წინადადების ნაწილების სწორი თანმიმდევრობით დაკავშირება გამოავლენს დესკრიფციული ანალიზის მიზანს – წინადადების უშუალო შემადგენელთა სტრუქტურას ანუ იმის სურათს, რომელი ნაწილი რომელს რა თანმიმდევრობით უკავშირდება:



პატარა ბავშვებმა კლასში ლამაზად დაწერეს დაფაზე ქართული სიტყვები.

წინადადება, რა სიდიდისაც უნდა იყოს იგი, იშლება კონსტრუქციებად (ევროპული ტერმინოლოგიით, სინტაგმებად): კონსტრუქციათაგან ზოგი ისევ შედგება კონსტრუქციებისაგან, ზოგი – სიტყვებისაგან. სინტაქსური ანალიზის დამასრულებელი ობიექტისაგან. სიტყვები უშუალო შემადგენელია კონსტრუქციების და არა წინადადებების. თუ სიტყვა მეტყველებაში გამოიყენება არა როგორც კონსტრუქციის უშუალო შემადგენელი (მაგალითად, John ran away), არამედ კონსტრუქციისაგან იზოლირებით (შეადარეთ: John!), იგი წარმოადგენს წინადადებას (Л. Блумфилд, 1968:177). წინადადების იერარქიული სტრუქტურა ერთადერთ მიმართებად კონსტრუქციათა და კონსტრუქციაში სიტყვებს შორის დაუშვებს დაქვემდებარებას, რაც განაპირობებს დესკრიფციული ანალიზის ყველა ეტაპზე ორი მთავარი (ბირთვი) და მასთან გამოყენებული (თანამგზავრი) კომპონენტის გამოყოფას. სიახლეს წარმოადგენს ბირთვისა და თანამგზავრის გარჩევის პრინციპი: სინტაქსურ წყვილში (კონსტრუქციაში) მთავარი კომპონენტი (ბირთვი) არის ის, რომლის გამოტოვება შეუძლებელს ხდის წინადადებას; დამოკიდებული წევრის (თანამგზავრის) გამოტოვება შეიძლება წინადადების შენარჩუნებით. ასე, მაგალითად, კონსტრუქციაში „პატარა ბავშვებმა“ ბირთვია „ბავშვებმა“, რადგან შესაძლებელია წინადადება „კლასში ბავშვებმა ლამაზად დაწერეს ქართული სიტყვები დაფაზე“ და შეუძლებელია „კლასში პატარა ლამაზად დაწერეს ქართული სიტყვები დაფაზე“. კონსტრუქციებში „კლასში დაწერეს“, „ლამაზად დაწერეს“, „დაფაზე დაწერეს“, „დაწერეს სიტყვები“ ბირთვია „დაწერეს“, რადგან მოცემული წინადადება შეუძლებელია ზმნის გარეშე: „კლასში პატარა ბავშვებმა ლამაზად ქართული სიტყვები დაფაზე“, მაგრამ შესაძლებელია ზმნასთან გამოყენებული სიტყვების (თანამგზავრების) გარეშე:

„პატარა ბავშვებმა დაწერეს ქართული“. ზმნა როგორც წინადადების შეკუმშვის საბოლოო და, ამდენად, მთავარი კომპონენტი (წინადადების ცენტრი, „წინადადება მინიატურაში“) დადგენილია წინადადების დესკრიფციული ანალიზის შედეგად. შესაძლებელია როგორც წინადადება ზმნის ჯგუფი (VP): „კლასში ლამაზად დაწერეს დაფაზე“; ზმნის ჯგუფი(VP) ცალკე პირველ (NP): ან მეორე სახელის (N_1P) ჯგუფთან კავშირში: „კლასში პატარა ბავშვებმა ლამაზად დაწერეს დაფაზე“, „კლასში ლამაზად დაწერეს დაფაზე ქართული სიტყვები“, მაგრამ წინადადება ვერ შედგება მხოლოდ NP+N_1P ზმნის ჯგუფის (VP) გარეშე: „პატარა ბავშვებმა ქართული სიტყვები“. ამრიგად, ზმნა (V) ან ზმნის ჯგუფი (VP) ყოველთვის ბირთვია, რაც შეეხება დანარჩენ სიტყვათა კლასებს (არსებითი სახელი (N), ზედსართავი სახელი (A), ზმნიზედა (Adv), ისინი გამოდიან როგორც ბირთვის, ისე თანამგზავრის როლში. თუ ტრადიციულ სინტაქსში ქვემდებარე წინადადების იერარქიულ მწვერვალს იკავებს როგორც გრამატიკულად დამოუკიდებელი წევრი, დესკრიფციულ სინტაქსში ეს იერარქიული ადგილი ეთმობა ზმნას როგორც წინადადების ყველაზე საჭირო კომპონენტს. სიტყვათა თანმიმდევრული დართვით ზმნა („წინადადება მინიატურაში“) ადვილად იშლება წინადადებად. დასართავ სიტყვათაგან ზოგს ზმნა გულისხმობს და მოითხოვს, მაგალითად, ზმნისთვის „დაწერეს“ ასეთია სუბიექტისა და ობიექტის აღმნიშვნელი სახელები. წინადადება „ბავშვებმა დაწერეს სიტყვები“ იქნება ელემენტარული. ზმნა „დაწერეს“ არ მოითხოვს იმპლიკაციურად ზმნიზედებს, მაგრამ არც გამორიცხავს მათ დართვას: „კლასში ბავშვებმა ლამაზად დაწერეს სიტყვები დაფაზე“. მიღებული წინადადება უკვე აღარ არის ელემენტარული, მისი გაშლა შეიძლება გაგრძელდეს სახელებზე ზედსართავების დართვით: „კლასში

პატარა ბავშვებმა ლამაზად დაწერეს ქართული სიტყვები დაფაზე". ამრიგად, დესკრფციული ანალიზის მიხედვით ერთი წინადადება შეძლება იყოს წარმოდგენილი გაშლილი და ელემენტარული სახით, ამ მეორის რომელობას განსაზღვრავს ზმნა. როდესაც ზ. ჰერისმა, რომელმაც შემოიღო „ელემენტარული წინადადების" ცნება, მიაკუთვნა იგი ენის ბირთვულ ნაწილს, კონკრეტული მნიშვნელობის მქონე „ელემენტარული წინადადება" იქცა აბსტრაქტულ ენობრივ მოდელად შესაბამისი სახელწოდებით „ბირთვული წინადადება" ან „ბირთვული კონსტრუქცია." „ყოველი ბირთვული წინადადება წარმოადგენს სიტყვათა კლასებისაგან შემდგარ კონსტრუქციას,"– წერს ზ. ჰერისი და იძლევა ინგლისური ენის ბირთვულ კონსტრუქციათა ჩამონათვალს: NvV; NvVPN; Nv VN; NIs N; NIsA; NIsPN; NIsD; NIs between Nand N; N! (3. Хэррис 1962, 627) . ისე, როგორც ფონემათა გარკვეული რაოდენობიდან მიიღება სამეტყველო ბგერათა უსასრულობა, წარმოდგენილი მცირე რაოდენობის ბირთვულ წინადადებათაგან მიიღება ინგლისური ენის ყველა კონკრეტული წინადადება. ასე, მაგალითად,

NisN: Sam is a hunter, Jimmy is a friend, a rose is a flower
NisA: a taiger is strong, a horse is clever, a ring is gold
NisD: a house is here; a garden is there, a dog is far.

მარცხნივ სიტყვათა კლასების სიმბოლოებით აღნიშნულია ბირთვული წინადადებები – აბსტრაქტული ენობრივი მოდელები, მარჯვნივ – მეტყველების ელემენტარული წინადადებები, რომელთაგან თითოეული იშლება და ტრანსფორმაციის შედეგად იღებს სხვადასხვა სახეს, მაგალითად: **Sam is a hunter-My brother Sam is a good hunter – My brother's friend Sam is a good hunter– My brother's frlend Sam , he lives in a village, is a good hunter – is my brother's friend Sam a good hunter?"**

ორი სხვადასხვა წინადადება განსხვავდება ან ბირთვული წინადადებებით ან ტრანსფორმაციებით“ (З. Хэррис, 1962: 627), ამიტომ გრამატიკა გულისხმობს ბირთვული მოდელებისა და ტრანსფორმაციული წესების ცოდნას, რაც იძლევა საშუალებას წარმოექმნათ ნებისმიერი სიგრძის და უსასრულო რაოდენობით წინადადებები. გრამატიკას არ შეუძლია არ წარმოქმნას ენა (З. Хэррис, 1962:633). ამრიგად, ზ. ჰერისის წინადადებათა ტრანსფორმაციის თეორიაში გრამატიკა იძენს ენის წარმოქმნის ფუნქციას ანუ იქცევა წარმომქმნელ გრამატიკად.

§5. წინადადების სიღრმული სტრუქტურა ნ.ხომსკის ლინგვისტურ თეორიაში

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ლინგვისტურ სამყაროს გარდაქმნით „დაემუქრება“ ამერიკელი ნოამ ხომსკის (1928 წ.) ლინგვისტიკის ახალი პროექტი. ახალი იდეა მეცნიერებაში ისეთივე მიღებული მოვლენაა, როგორც ახლის შექმნა ხელოვნებაში. მაგრამ ამერიკელი მკვლევარი წინასწარმეტყველის დაუცხრომლობით პირდებოდა ლინგვისტიკას ახალ საფუძვლებს. ამიტომ შეერქმევა მოგვიანებით მის მოღვაწეობას ლინგვისტიკაში ხომსკისეული რევოლუციის სახელი. კატეგორიულობის მოდუსი წინასწარმეტყველის ნათქვამში განპირობებულია უპირატესობით – მოვლენათა წინასწარი ცოდნით. აქედანვე იღებს სათავეს თაეის ჭეშმარიტებაში დარწმუნებული რევოლუციონერების შეუვალობაც. რევოლუცია ყოველთვის გადაფასებაა. ახალი იდეით შთაგონებული რევოლუციონერი არსებულის გარდაქმნის დროს უნდა იყოს შეუვალი.

ნ. ხომსკის გადაწყვეტილებას დაპირისპირებოდა ლინგვისტიკაში არსებულს გრძელი ისტორია აქვს. ენა როგორც ადამიანის ბუნების ნაწილი (В.Гумбольдт, 1984: 101) ურღვევადაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსთან. ადამიანთა მოღვაწეობის ფორმა თავის მხრივ განაპირობებს ენის გამომხატველობითი შესაძლებლობების განვითარებას. ანტიკური წარმოდგენა ადამიანზე როგორც გონიერ არსებაზე (homos sapiens) წინა პლანზე აყენებდა მის შემეცნებით მოღვაწეობას. უკვე ძველი ბერძენი მოაზროვნეები წააწყდნენ მეცნიერებაში ენის გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ბუნებრივი ენის ნიშნები ასიმეტრიულია. ამიტომ აზუსტებს პლატონის დიალოგების მთავარი გმირი სოკრატე კამათის დროს სიტყვათა მნიშვნელობებს. არისტოტელე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ენამ შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს აზროვნებას, შეიყვანოს ეს უკანასკნელი შეცდომაში. მანვე დაასახელა მსჯელობის დროს შესაძლებელი შეცდომის ერთ-ერთი მიზეზი – სიტყვათა მრავალმნიშვნელიანობა და საგანგებოდ გამოიკვლია პოლისემიის სახეები „ორგანონში“ და „მეტაფიზიკაში“. მნიშვნელობას სიტყვებს უცვლიან ადამიანები. ამიტომ აზრის შინაარსი სიტყვათა ცვალებადი სემანტიკის გამო არისტოტელემ დატოვა ლოგიკური ანალიზის გარეთ და ყურადღება გაამახვილა აზრის ფორმაზე (სტრუქტურაზე), რომელიც სემანტიკისაგან განსხვავებით არ „ემორჩილება“ სუბიექტის ნებას და ამიტომ არის ობიექტური. ტერმინი „ფორმალური ლოგიკა“, რომელიც დროთა განმავლობაში დაერქვა ბერძენი ფილოსოფოსის მოძღვრებას, პირდაპირ მიუთითებს ამ უკანასკნელის ობიექტზე. ამრიგად, უკვე ანტიკურ პერიოდში ფილოსოფია, როგორც „ცოდნა ჭეშმარიტების შესახებ“ (Аристотель, 1976:94), გზად მიზნისკენ

აირჩევს გამონათქვამის ლოგიკურ ფორმას და არა სუბიექტურ შინაარსს (სემანტიკას). ბუნებრივი ენა არ შეიძლება იყოს მეცნიერული მსჯელობის ზუსტი გამომხატველი. ლოგიკური თვალსაზრისით ეს სწორი დასკვნა საბედისწერო გამოდგა ლინგვისტური აზროვნებისთვის. დასაბამიდანვე ხელოვნებად წოდებულ გრამატიკას მეცნიერებად ახსენებდნენ მხოლოდ ლოგიკის ფარგლებში. ურყევი იყო „ორგანონით“ ნაკარნახევი რწმენა, რომ მხოლოდ ლოგიკას შეეძლო ექცია გრამატიკა (ლინგვისტიკა) ცოდნად. თუ ანტიკური ფილოსოფოსებისთვის ცოდნის გაფართოების მთავარი საშუალება ლოგიკა იყო, რ. დეკარტმა „მსჯელობაში მეთოდის შესახებ“ უპირატესობა მათემატიკას მიანიჭა (Р. Декарт, 1953:23), ხოლო ლოგიკა მათემატიკის ნაწილად გამოაცხადა. მეცნიერების ეს ორი დარგი ფორმალურია: გულისხმობს დედუქციურ-აქსიომატური წესების მიხედვით ოპერაციების ჩატარებას სიმბოლოებზე. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული აღნიშნული ცნობიერდება მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ მოთხოვნად. ეჭვს გარეშე გახდა ის, რომ ყოველი თეორია მეცნიერულია იმდენად, რამდენადაც შესწევს უნარი განახორციელოს ოპერაციები სიმბოლოებით, ანუ იყოს ლოგიკური და მათემატიკური, ერთი სიტყვით, ფორმალური. ამ კონტექსტში გასაგები უნდა იყოს ნ. ხომსკის რწმენაც, რომ ლინგვისტიკაში „ფორმალიზებულ თეორიას შეუძლია ავტომატურად მოგვიტანოს მრავალი პრობლემის გადაწყვეტა“ (Н. Хомский, 1962:413), ამ მიზნით ლინგვისტური თეორიის ბუნდოვანი, ინტუიციური წარმოდგენები უნდა შეიცვალოთ ზუსტი ობიექტური მიდგომით (Н. Хомский, 1962: 305). ლინგვისტიკის ტრადიციული ტერმინოლოგიური აპარატის შეცვლა მათემატიკურ-ლოგიკურით შეუძლებელია კვლევის შესაბამისი პრინციპების შემოღების გარეშე, ეს უკანასკნელი კი საჭიროებს

სტრუქტურული მსგავსების (იზომორფიზმის) დაშვებას მათემატიკისა და ლინგვისტიკის კვლევის ობიექტებს შორის. მათემატიკის თანახმად, არ არსებობს ყველაზე დიდი ნატურალური რიცხვი, თვლა შეიძლება უსასრულოდ, მაგრამ ნატურალურ რიცხვთა უსასრულობაში შეგვიძლია გამოვყოთ ისეთი, რომლებიც ქმნიან უსასრულობას. მათემატიკაში ეს მოვლენა ცნობილია რეკურენტულობის (ლათ. recurentis "დაბრუნებული") სახელით. უფრო მარტივად და თვალსაჩინოდ იგი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ არა რიცხვების, არამედ ციფრების მაგალითზე. ციფრების 0,1,2,3,4,5,6,7,8,9 ერთმანეთთან შესამებით წერილობით გამოისახება რიცხვთა უსასრულობა. რეკურენტულობა აღმოაჩინეს ძველმა ბერძნებმა. რ. დეკარტმა აბატი მერსენისადმი წერილში (1629 წ.) გამოთქვა აზრი აღნიშნულ მათემატიკურ პრინციპზე დამყარებით რაციონალური ენის შექმნის შესაძლებლობაზე. იმის გამო, რომ ფრანგი ფილოსოფოსის მოსაზრებას ბედად ეწერა გამხდარიყო არაერთი საინტერესო პროექტის მიზეზი მეცნიერებაში, მოვიყვანთ ამონარიდს ერცლად: „ამას უნდა დავურთოთ ერთი გამოგონება ამგვარი ენის ამოსავალი სიტყვების შესაქმნელად, მათთვის შესაფერისი თვისებების მინიჭებით ისე, რომ ამ ენის შესწავლა წესრიგის წყალობით შეიძლებოდეს ძალიან მოკლე დროში, ე.ი. ადამიანის გონში ყველა აზრს შორის ისეთი წესრიგის დამყარებით, როგორიც არის რიცხვებში. ისე, როგორც შეიძლება ერთ დღეში ისწავლო უცხო ენაზე ყველა რიცხვის უსასრულობამდე დასახელება – ეს ხომ სხვადასხვა სიტყვის უსასრულო რაოდენობაა, ასე შეიძლება მოვექცეთ ყველა დანარჩენ სიტყვებსაც, რომლებიც გვჭირდება იმ ყველაფრის გამოსახატავად, რაც მოხდება გონში. ასეთი ენის გამოგონება დამოკიდებულია ჭეშმარიტ ფილოსოფიაზე, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია აღვრიცხოთ ადამიან-

თა ყველა აზრი, დავალაგოთ ისინი წესის მიხედვით ან თუნდაც მხოლოდ განვასხვაოთ ისე, რომ გავხადოთ ნათელი და მარტივი“ (А-Арно, К. Лансло, 1990:37).

რეკურენტულობის პრინციპი, ნ. ხომსკის აზრით, ფუძემდებლურია ენისთვისაც, სადაც წინადადებათა უსასრულობა აიგება ელემენტების სასრული სიმრავლით (Н. Хомский, 1962: 416, 425), ამიტომ გრამატიკაც უნდა იყოს სასრული, იგი არ შეიძლება შეიცავდეს მორფემათა და სიტყვათა შეხამების სრულ ჩამონათვალს (Н. Хомский, 1962: 422). ტერმინით „წინადადება“ ნ. ხომსკი აღნიშნავს როგორც ენის გამოყენების, ისე მათემატიკური ოპერაციების შედეგად მიღებულ ნიშანთა ბმულობას და მათემატიკის მსგავსად ლინგვისტური ანალიზის მთავარ პრობლემას ხედავს იმაში, რომ ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ნიშანთა სწორი და არასწორი ბმულობა.

მათემატიკური ბმულობა	ბუნებრივი ენის ბმულობა
ორი წინადადება: 3+2=2+3	მოიღრუბლა, წამოვიდა წვიმა.
სამი წინადადება: 3+(2+3)=(3+2)+3=3+2+3	მოიღრუბლა, წამოვიდა წვიმა, აგრილდა.

„ენის გრამატიკა (L) წარმოადგენს ერთგვარ მექანიზმს, რომელიც წარმოქმნის ყველა გრამატიკულად სწორ წინადადებას და არ წარმოქმნის არც ერთ გრამატიკულად არასწორს“ (Н.Хомский, 1962:416). გრამატიკულად სწორი არ ნიშნავს სემანტიკურად სწორს. სემანტიკურად უაზრო Colorless green ideas sleep furiously „უფერო მწვანე იდეებს მძინვარედ სძინავთ“ გრამატიკულად სწორია (Н. Хомский 1962, 418), ასეთი ტიპის წინადადებებს

ნ.ხომსკი ამართლებს იმით, რომ მათ „ხშირად განმარტავენ როგორც მეტაფორულს“– (Н.Хомский, 2010:137).

მათემატიკური წინადადება ორპლანიანია: რა სიდიდის რიცხვები არ უნდა იყოს მასში წარმოდგენილი, იგი ყოველთვის შეიცავს სასრული სიმრავლის ელემენტებს. მარტივად ციფრების გამოყენებით ეს შეიძლება გამოვსახოთ ასე:

მათემატიკური წინადადება

ზედაპირული პლანი: 123+456=579; 85+15=100

სიღრმული პლანი: 1,2,3,4,5,6,7,9; 0,1,5,8

აღნიშნულზე დაყრდნობით ნ. ხომსკი ახდენს ზედაპირული და სიღრმული სტრუქტურების პოსტულირებას ბუნებრივი ენის წინადადებაშიც: „ენის გრამატიკა უნდა შეიცავდეს წესთა სისტემას, რომელიც ახასიათებს სიღრმულ და ზედაპირულ სტრუქტურებს და მათ შორის ტრანსფორმაციულ მიმართებებს“ (Н.Хомский, 1972:28). ამ სასრულ წესთა სისტემის მეშვეობით ადამიანი წარმოქმნის სიღრმული და ზედაპირული სტრუქტურების უსასრულობას. ცხოველთა კომუნიკაციისგან განსხვავებით ადამიანთა მეტყველებას ახასიათებს შემოქმედება – უნარი ენის სასრულ ერთეულთა მეშვეობით წარმოქმნას ყველა სიტუაციისათვის შესაფერისი ახალი წინადადება. (Н.Хомский, 2005: 31). ამგვარი შემოქმედება საჭიროებს სინტაქსს. ამიტომ ზღვარიც ცხოველსა და ადამიანს შორის ნ. ხომსკისთან გადის სინტაქსზე. ილაპარაკო არ ნიშნავს გამოსცე ბგერები ან ცალკე სიტყვები, არამედ – – დამახსოვრებული სიტყვებითა და წესებით შეადგინო სიტუაციებთან მისადაგებული წინადადებები. დავემოწმებით ნ. ხომსკის შემდეგი მოსაზრებით: უაზროა არა მხოლოდ თუთიყუშის მიერ გამოცემული „დურაქ“, რადგან იგი არ არის სიტუაციის გამომხატველი წინადადება.

უაზრო არის აგრეთვე ადამიანთა სიტყვებისაგან შემდგარი თუთიყუშის: „გენა დურაქ“ ან „შენ დურაქი ხარ“,რადგან თუთიყუშის მიერ გამოცემული ეს ფსევდოწინადადებები მოკლებული არიან შემოქმედებას, თუთიყუში გამოსცემს მათ ყველა სიტუაციის მიმართ განურჩევლად.

„ენის გამოყენების შემოქმედებითმა ასპექტმა“ და „სიღრმულმა სტრუქტურამ“ განსაზღვრა ლინგვისტურ ტრადიციასთან ხომსკის დამოკიდებულება. მისთვის მისაღებია მხოლოდ იმ ავტორების თეორიები, რომლებშიც ამა თუ იმ ფორმით წარმოდგენილია დასახელებული იდეები. ასე, მაგალითად, ენის გამოყენების შემოქმედებითი ასპექტის ახსნა ანალოგიით და გრამატიკული მოდელებით, როგორც ამას აკეთებენ ლ. ბლუმფილდი, ჩ. ჰოკეტი, ჰ. პაული, ო. ესპერსენი, ნ. ხომსკის შეფასებით, უშინაარსოა (Н.Хомский, 2005:38). ფ.დე სოსიურის ენის კონცეფციას ნ. ხომსკი უწოდებს „უბადრუკსა და სრულიად არაადეკვატურს“ (Н.Хомский, 1972:32), რადგან ტაქსონომიური ანალიზი, რომელიც სეგმენტაციისა და კლასიფიკაციის გამოყენებით იძლევა სინტაგმატურ და პარადიგმატულ მოდელებს და, სოსიურის აზრით, ამოწურავს ენობრივ სტრუქტურას, ვერ აღწევს სიღრმულ სტრუქტურამდე. სოსიურის მეთოდი (სეგმენტაცია, კლასიფიკაცია) გამოიყენება მხოლოდ ზედაპირული სტრუქტურის გასაანალიზებლად, იგი ვერ გვიხსნის მექანიზმს, რომელიც საფუძვლად უდევს ენის გამოყენების შემოქმედებით ასპექტს. ენის გამოყენების შემოქმედებითი ასპექტი მთავარია ვ. ჰუმბოლდტის თეორიაში, რომელიც განმარტავს ენას, როგორც სულის მოღვაწეობას (energeia). ცნობილია, რომ ვ. ჰუმბოლდტთან ენის ხილულ ნაწილს: ბგერებს, სიტყვებს, მეტყველების ინდივიდუალურ აქტებს (გარეფორმას) მოლიანობად აქცევს ენის უხილავი ნაწილი (შინაფორმა) (В. Гумбольдт, 1984:71). სწორედ ეს უკანასკნე-

ლი, ნ. ხომსკის აზრით, განსაზღვრავს მეტყველების ინდივიდუალური აქტების შემოქმედებით ხასიათს. ვ. ჰუმბოლდტის ხომსკისეული ინტერპრეტაციით ენის ფორმა (=შინაფორმა) შეიცავს „სინტაქსის, სიტყვათწარმოების და ცნებათა განსაზღვრის წესებს, აგრეთვე ბგერათა სისტემას“ (Н.Хомсский, 2005: 62). მაგრამ ვ. ჰუმბოლდტმა არ გვაჩვენა, რას წარმოადგენს ენის ფორმა სინამდვილეში, მას არ დაუსახავს მიზნად ჩამოეყალიბებინა კონკრეტულ ენათა წარმოქმნის (გენერაციული) გრამატიკები (Н.Хомский, 2005:62). ამ მხრივ უფრო შორს წავიდნენ, ნ. ხომსკის შეფასებით, ფილოსოფიური (კარტეზიანული) გრამატიკები, განსაკუთრებით პორ-როიალის საყოველთაო რაციონალური გრამატიკა (1660 წ.),რომლის ავტორებმა ა. არნომ და კ. ლანსლომ სინტაქსური ტრანსფორმაციის გზით პრაქტიკულად გამოყვეს წინადადებაში უშუალო შემადგენლები და, რაც მთავარია, ერთმანეთისაგან განასხვავეს წინადადების ფიზიკური ფონეტიკური ფორმა და აბსტრაქტული სემანტიკური სტრუქტურა, ხომსკისეული ტერმინოლოგიით, „ზედაპირული“ და „სიღრმული“ სტრუქტურები (Н.Хомский, 2005:73, 89). პორ-როიალის გრამატიკის თანახმად, აზროვნების ძირითადი ფორმა მსჯელობა, რომელიც შედგება სუბიექტისა და პრედიკატისაგან, გამოიხატება წინადადებით. გრამატიკის ავტორები აქცევენ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ შესატყვისობა მსჯელობასა და წინადადებას შორის: „ერთი წინადადება – ერთი მსჯელობა“ არ არის დაცული ყოველთვის. ერთი წინადადება შეიძლება გამოხატავდეს რამდენიმე მსჯელობას. ასე, მაგალითად, წინადადება Dieu invisible a cree le monde visible „უხილავმა ღმერთმა შექმნა ხილული სამყარო” შედგება სამი მსჯელობისაგან: 1. ღმერთი არის უხილავი; 2. ღმერთმა შექმნა; 3.სამყარო არის ხილული; თითოეული მათგანი გამოიხატება მარტივი წინადადებით. ა.

არნო და კ. ლანსლო შენიშნავენ, რომ ეს „წინადადებები ხშირად მოცემული არიან მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში, მაგრამ არ არიან გამოხატული სიტყვებით (А. Арно, К. Лансло, 1990; 130). ნ. ხომსკის განმარტებით, ის სტრუქტურა, რომელიც წინადადების გამოყენების დროს ვერ პოულობს თავის გამოხატვას და რჩება ჩვენს ცნობიერებაში, სიღრმულია (Н.Хомский, 2005:75).

ზედაპირული სტრუქტურა	უხილავმა ღმერთმა შექმნა ხილული სამყარო
	მეტყველება
სიღრმული სტრუქტურა	1. ღმერთი არის უხილავი 2. ღმერთმა შექმნა 3. სამყარო არის ხილული
	ცნობიერება

მოყვანილ შემთხვევაში სიღემული სტრუქტურა წარმოადგენს აბსტრაქტულ წინადაებათა სისტემას, რეალურ წინადადებად იგი იქცევა გრამატიკული ტრანსფორმაციის (წესების გამოყენების) მეშვეობით:

სიღრმული სტრუქტურა	ზედაპირული სტრუქტურა
1. ღმერთი არის უხილავი 2. ღმერთმა შექმნა 3. სამყარო არის ხილული	1. ღმერთი, რომელიც უხილავია, შექმნა სამყარო, რომელიც ხილულია. 2. უხილავმა ღმერთმა შექმნა ხილული სამყარო

ნ. ხომსკი თელის, რომ სიღრმული სტრუქტურა აზრის უშუალო მარტივი ასახვაა, ამიტომ იგი საერთოა ყველა ენისთვის, ხოლო ტრანსფორმაციული წესები

(სიტყვათა რიგის შეცვლა, სუბსტიტუცია, გამოტოვება, ჩამატება...) განსხვავებულია ენათა მისედვით (Н.Хомский, 2005:78). სიღრმული სტრუქტურა რეალური გამონათქვამის სემანტიკური საფუძველია, რომელიც წარმოადგენს სუბიექტისა და პრედიკატისაგან შემდგარ ელემენტარულ მსჯელობას, წინადადების „ლოგიკურ ფორმას“ (Н.Хомский, 2005:94).

ნ. ხომსკის მოჰყავს სიღრმული სტრუქტურის მაგალითები სხვა კარტეზიანული გრამატიკებიდანაც, რომელთა ავტორები იმპერატიულ და კითხვით წინადადებებს განიხილავენ სიღრმული სტრუქტურის ტრანსფორმებად:

ზედაპირული სტრუქტურა	სიღრმული სტრუქტურა
მობრძანდით ჩვენთან სტუმრად	◄მე გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენთან სტუმრად
შეასრულეთ	◄——— მე გიბრძანებ შესრულებას
ვინ იპოვა იგი?	◄——მე, გეკითხები, ვინ იპოვა იგი

„ყოველ წინადადებას აქვს აბსტრაქტული სიღრმული სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს მის სემანტიკურ შინაარსს და აქვს ზედაპირული სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს მის ფონეტიკურ ფორმას“ (Н.Хомский, 2005: 108). ამგვარი დასკვნა გაანალიზებული მაგალითების ფონზე უღერს ზედმეტად კატეგორიულად, მაგრამ განზოგადება აძლევს მკვლევარს ხელს დაუკავშიროს „სიღრმული კონსტრუქცია“ კომუნიკაციის გაგების პრობლემას. ავტორის შეხედულებით, პირველი, რასაც აკეთებს მსმენელი – ტრანსფორმაციის გზით დაჰყავს გამონათქვამი მარტივ (სიღრმულ) კონსტრუქციამდე, რადგან მნიშვნელობის დადგენა საჭიროებს სიღრმული სტრუქტურის გაანალიზებას. კომუნიკაცია შესაძლებელია იმიტომ, რომ კომუნიკანტებს საერთო აქვთ სიღრმული სისტემები,

რაც განპირობებულია ადამიანური ბუნების ერთიანობით (Н.Хомский, 2005:100, 140). ასეთ შემთხვევაში გრამატიკული ტრანსფორმაციაც გონის ბუნებრივი ოპერაციაა და არა ლინგვისტური ანალიზის დამხმარე ხერხი. როგორც გონის უნარი გრამატიკული ტრანსფორმაციები მოქმედებენ მათემატიკური ობიექტურობით, ამიტომ ზ. ჰერისის კვალდაკვალ ნ. ხომსკიც ლაპარაკობს „ტრანსფორმაციათა ალგებრაზე“ (Н. Хомский, 1962: 451).

ნ. ხომსკის ლინგვისტური თეორიის მთავარი მიზანია ნათელი მოჰფინოს ტრადიციული ლინგვისტიკის ერთ–ერთ ყველაზე საიდუმლოებით მოცულ მიღწევას ვ. ჰუმბოლდტის ენის შინაფორმას. ენის ეს სულიერი საფუძველი თავად ჰუმბოლდტს გასაგები მიზეზით არ უცდია ბოლომდე გაეხადა ნათელი, მოგვიანებით პოზიტივისტურმა მეცნიერებამ უარი თქვა ამ ცნებაზე. ნ. ხომსკი ცდილობს შეავსოს იგი ახალი კონცეპტუალური შინაარსით, შედეგად ვიღებთ პრობლემის თავისუფალ თარგმანს ვ. ჰუმბოლდტის ენიდან ნ. ხომსკის ენაზე:

ვ. ჰუმბოლდტი:		**ნ. ხომსკი:**
შინა-ფორმა	⟶	ენობრივი კომპეტენცია
energeia	⟶	გენერაცია
არტიკულაცია	⟶	რეკურენტულობა
ქმნადობა	⟶	შემოქმედებითი ასპექტი
ენის თანდაყოლილი ინსტინქტი	⟶	თანდაყოლილი ორგანიზაცია

მეორე ხედვა ვერ გამორიცხავს პირველს, მაგრამ საკითხავია, რამდენად ითავსებს პირველი მეორეს? ენის შინაფორმის მსგავსად ენობრივი კომპეტენციაც ფართო ცნებაა, მისი აღწერა შეუძლებელია არსებული მეთოდების ტერმინებით, ამიტომ ენობრივი კომპეტენციის ცნებას

ნ. ხომსკი აყალიბებს თავად შემდეგი პრედიკატებით: „ენის ცოდნა“, „აბსტრაქტული სისტემა“, „თანდაყოლილი ორგანიზაცია“, „გენერაციული გრამატიკა“, „წესთა სისტემა“, „რეკურსიულად წარმოქმნილი სისტემა“. აღნიშნული იძლევა საშუალებას განვიხილოთ ენობრივი კომპეტენცია სხვადასხვა ასპექტით, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ასპექტები არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი.

ნ. ხომსკისთან ენობრივი კომპეტენცია, ერთი მხრივ, არის ენის ცოდნა, წესთა სისტემა, რომელსაც ბავშვი აყალიბებს გონის თანდაყოლილი უნივერსალური მექანიზმების მეშვეობით (Н.Хомский, 1972:34). ამერიკელი მეცნიერი ამ შემთხვევაში მიჰყვება ვ. ჰუმბოლდტს, რომელიც გამორიცხავდა ბავშვის მიერ ენის შესწავლას ენის თანდაყოლილი ინსტინქტის გარეშე (В.Гумбольдть, 1984:314). სხვა შემთხვევაში ნ. ხომსკი მიდის უფრო შორს და აცხადებს, რომ თვით „კომპეტენცია თანდაყოლი ორგანიზაციაა, რომელიც ახასიათებს ადამიანის ინტელექტუალური უნარების ბუნებას“ (Н. Хомский, 1972: 39) და ამით გონში თანდაყოლილად დაუშვებს „წესთა სისტემას“, „უნივერსალურ გრამატიკას“. ამ თანდაყოლილი ლინგვისტური ცოდნის გარეშე, ავტორის აზრით, ბავშვი ვერ დაეუფლება ენას სამეტყველო გარემოდან, რადგან ეს უკანასკნელი ფრაგმენტულია, გაუმართავი, არაიშვიათად არ შეესაბამება ნორმას (Н. Хомский, 1972:76). კანონზომიერია ის ფაქტი, რომ გ. ნებიერიძე თავისი მშობლიური ენის ლინგვისტური პროგრამის ჰიპოთეზას დაუკავშირებს ნ. ხომსკის იდეას და არა ჰუმბოლდტისას. კონკრეტული ენის თანდაყოლილი პროგრამა არის გენეტიკური ცოდნა და არა გონის ინსტინქტი. გონის თანდაყოლილ იდეებს იმდენი ხნის ისტორია აქვთ, რამდენიც დაახლოებით არსებობს კონცეპტუალურად ჩამოყალიბებული ფილოსო-

ფია. მაგალითისთვის საკმარისია გავიხსენოთ პლატონის ეიდოსები. ამ თემაზე ფილოსოფიური სპეკულაცია შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ. იმისათვის, რომ მეცნიერული გაეხადოთ მსჯელობა, აღნიშნულ პრობლემას უნდა მოეუძებნოთ გადაწყვეტის უტყუარი კრიტერიუმი. ასეთად ჩვენ გვეჩვენება ორი ფაქტი: 1. ბავშვებს, რომლებიც ადამიანებისგან მოწყვეტით იზრდებოდნენ გარეულ ცხოველებთან, არც ერთ ცნობილ შემთხვევაში არ აღმოაჩნდათ ენა და აზროვნება; 2. ადამიანებთან მყოფ ცხოველებსაც არ გააჩნიათ ენა და აზროვნება. თეორიამ, რომელიც ეძღვნება აღნიშნულ პრობლემას, არ უნდა უარყოს ეს ორი ფაქტი. ხატოვნად რომ ვთქვათ, „არგოს“ მსგავსად უნდა შეძლოს გაცუროს სიმპლეგადები (შავი ზღვის შესასვლელთან ორი მოძრავი მითიური კლდე). პირველი ფაქტი გამორიცხავს ადამიანის გონში თანდაყოლილი იდეების (ცოდნის) არსებობას, მაგრამ დაუშვებს ბუნებრივ ინსტინქტს, რომელიც არ არის ცოდნა, ხოლო იქცევა ასეთად გარკვეული გარეთა პირობების დაცვით. მეორე ფაქტი გვაიძულებს ვაღიაროთ გონში ის თანდაყოლილი ინსტინქტი, რომელიც უვითარებს მას ენასა და აზროვნებას ცხოველებისაგან განსხვავებით. ვ. ჰუმბოლდტის კონცეფცია ერთადერთია, რომელიც აკმაყოფილებს ამ ორ მოთხოვნას. მხოლოდ სხვა ადამიანებთან თანაცხოვრების პირობებში ინდივიდის გონის ბუნებრივი ინსტინქტი არტიკულაციის მეშვეობით იწყებს კომუნიკაციისა და აზროვნებისათვის საჭირო ცნებების წარმოქმნას, რაც ხდის ადამიანის მიმართებას სამყაროსთან ცნობიერს.

ჩ. პირსის თანახმად, წესი ლეგისიგნუმია (კონვენციური ნიშანი). ამიტომ ნ. ხომსკის უნივერსალური გენერაციული გრამატიკა, როგორც ინდივიდის გონში მოცემული წესთა სისტემა, საჭიროებს კონვენციას. წინააღმდეგ

შემთხვევაში გაუგებარია, რატომ აქვს ყველა ინდივიდს თანდაყოლილი წესთა სისტემა ერთი და იგივე. ვ. ჰუმბოლდტთან თანდაყოლილია არა ცოდნა, არამედ ინსტინქტი, ხოლო მისი მეშვეობით ერთნაირ ენობრივ ცოდნას ადამიანები იძენენ გარემოდან თანაცხოვრებით.

ნ. ხომსკის გენერაციული გრამატიკა როგორც წინადადებათა რეკურსიულად წარმომქმნელი თანდაყოლილი სისტემა ზღუდავს ადამიანის უნარს გაითავისოს სხვადასხვა სემიოტიკური სისტემა, სხვაგვარად, ადამიანისთვის ასათვისებლად იგი ითვალისწინებს მხოლოდ რეკურსიულად მოქმედი სისტემის მქონე ენებს. „დაბადებისას ბავშვმა არ შეიძლება იცოდეს, რომელი ენა ექნება მას დასაუფლებელი, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ მის გრამატიკას უნდა ჰქონდეს წინასწარ განსაზღვრული ფორმა, რომელიც გამორიცხავს მრავალ წარმოსახვაში დაშვებულ ენას," – წერს ნ. ხომსკი (Н.Хомский, 1972:107). პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ადამიანები სწავლობენ ცხოველების საკომუნიკაციო სისტემებსაც, რომელთაც არ აქვთ გრამატიკა ანუ ადამიანის ენობრივი უნარი არ არის შეზღუდული რეკურსიული სისტემით.

თანდაყოლილი უნივერსალური გრამატიკის პოსტულირება ნ. ხომსკისთან ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ბავშვი ახერხებს აღქმული მეტყველების ქაოსიდან შექმნას თავისთვის კონკრეტული ენის გრამატიკა ისე, რომ არ მიმართოს ენის მთლიან ლექსიკურ და გრამატიკული რესურსების მარაგს. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება დე სოსიური, რომლის თანახმად, მეტყველების უკან ყოველთვის დგას ენა— ინვარიანტული ერთეულების სისტემა. მეტყველების დროს სინტაქსურ მიმართებაში ერთმანეთთან არიან არა სიტყვები ინდივიდუალური ფორმით, არამედ სიტყვათა გრამატიკული კლასები. სრულმნიშვნელოვან სიტყვათა ასიათასობით რაოდენობა დაიყვანება ათზე ნაკ-

ლებ გრამატიკულ კლასამდე, რომელთა შორის სინტაქსური მიმართებების დამყარებით ვიღებთ წინადადების ხუთ წევრს — სინტაქსური მიმართებების (შეთანხმება, მართვა, მირთვა) გამომხატველ გრამატიკულ ტიპს. ასე რომ, კონკრეტული ენის გრამატიკული მექანიზმის ძირითადი ნაწილის ჩამოყალიბება შეიძლება მცირე ენობრივი გამოცდილების საფუძველზე გრამატიკულ კლასთა შორის სინტაქსური მიმართებების შეცნობით.

ნ. ხომსკი იძულებულია კონკრეტული ენის გენერაციული გრამატიკა განასხვაოს თანდაყოლილი გენერაციული გრამატიკისაგან, რომელიც უნივერსალურია. აღნიშნული დაუშვებს კონკრეტული გენერაციული გრამატიკების შესწავლას ორი გზით: 1. ინდუქციურად – მათი აღწერით და 2. დედუქციურად – კონკრეტული ენებისადმი მიუმართავად, უნივერსალური გრამატიკის პოზიციიდან, რასაც უნდა აკეთებდეს მათემატიკური ლინგვისტიკა (Н. Хомский, 1972:89). პრაქტიკაში ლინგვისტი ყოველთვის დაკავებულია ორივე ტიპის გრამატიკის შესწავლით. კონკრეტული გრამატიკის აღწერისას იგი ხელმძღვანელობს უნივერსალური პრინციპით, ხოლო უნივერსალური გრამატიკის პრინციპების დადგენისას, ეფუძნება კონკრეტული გრამატიკების მონაცემებს.

მართალია, ნ. ხომსკი წერს, რომ გრამატიკა უნდა შედგებოდეს სინტაქსური, სემანტიკური და ფონოლოგიური კომპონენტებისაგან (Н. Хомский, 2005:117), მაგრამ სინტაქსი მის თეორიაში იკავებს თითქმის მთელი გრამატიკის ადგილს. აღნიშნული არ არის შემთხვევითი, ნ. ხომსკისთვის „ენობრივი კომპეტენციის ყველაზე გასაოცარი ასპექტი ენის შემოქმედებითი ბუნებაა, ანუ მთქმელის უნარი წარმოქმნას ახალ–ახალი წინადადებები, რომლებიც გასაგებია სხვებისთვის, თუმცა ისინი არაფრით ჰგვანან უკვე ნაცნობ წინადადებებს“ (Н. Хомский, 2005:103).

არის ეს ენობრივი შემოქმედება წმინდა სინტაქსური? ავტორი, რა თქმა უნდა, გამორიცხავს მთქმელის ენობრივი შემოქმედებიდან წარმოქმნას ახალ–ახალი წინადადებები, ბირთვული წინადადებები (კონსტრუქციები) და თავისი მასწავლებლის, ზ. ჰარისის კვალად, ენობრივ შემოქმედებაში გულისხმობს მხოლოდ ტრანსფორმაციებს. „ენის უსაზღვრო შესაძლებლობა მდგომარეობს ტრანსფორმირებაში“ (З. Харрис, 1962:632). ნ. ხომსკისთვის კონკრეტული ენის წარმომქმნელი წყაროა და მიზეზი თანდაყოლილი უნივერსალური გრამატიკა (წინადადებათა ერთმანეთში გადასვლის წესები), რომლებიც ასეთ შემთხვევაში უნდა უზრუნველყოფდნენ კომუნიკაციასაც. ამიტომ ნ. ხომსკისთვის ის, რაც გრამატიკულად სწორია, არის წინადადება, მათ შორის აზრს მოკლებული Colorless green ideas sleep furiously “უფერო მწვანე იდეებს მძვინვარედ სძინავთ“ (Н. Хомский, 1962:418). მაგრამ ნ. ხომსკის მაგალითი, პირიქით, გვარწმუნებს იმაში, რომ კომუნიკაციას ვერ განსაზღვრავს მხოლოდ გრამატიკა. გრამატიკულად სწორი და ლოგიკურად არასწორი (უაზრო) კომუნიკაციურად მიუღებელია. მაგრამ გრამატიკულად მცდარი, თუ შეცდომა არ გვიშლის ხელს გავიგოთ აზრი, ხოლო ლოგიკურად სწორი, კომუნიკაციურად რელევანტურია, მგალითად **„ბავშვები ტკბილი სძინავს“**. კომუნიკაციური თვალსაზრისით ის, რაც აზრს მოკლებულია, არ შეიძლება ჩაითვალოს წინადადებად. გამოდის, რომ რეკურსიულად მოქმედი გენერაციული გრამატიკა წინადადებებთან ერთად წარმოქმნის არაწინადადებებსაც. კონცეფციის გადასარჩენად ნ. ხომსკი ხელოვნურ წინადადებას **„უფერო მწვანე აზრებს მძვინვარედ სძინავთ“** სხვებზე მითითებით უწოდებს მეტაფორულს და ამით დაუშვებს მეტაფორულ წინადადებად სიტყვათა ყოველგვარ შეხამებას. მაგრამ მეტაფორული მნიშვნელობის მქონე წინადადებას აქვს აზ-

რი (გადატანითი აზრი), ნ. ხომსკის მაგალითი უაზროა, რადგან გაუმართავია ლოგიკურად. მეტაფორა, მართლაც, წარმოადგენს ცნებათა ახალ, უჩვეულო შეხამებას, მათ შორის არალოგიკურსაც. მაგრამ მეტაფორა, როგორც ინდივიდის ენობრივი შემოქმედება ,შეზღუდულია ერთი აუცილებელი პირობით – იგი უნდა იყოს გამართლებული რეფერენციულად აღსანიშნი სიტუაციით. მხოლოდ რეფერენციული გამართლება (მსგავსების ფიქსაცია ლოგიკურად და სემანტიკურად შეუხამებელ ცნებებს შორის) აქცევს მეტაფორას კომუნიკაციის ნიშნად.

ნ. ხომსკისთან ენის შემოქმედება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გამოხატავს აზროვნების და წარმოსახვის უსაზღვრო შესაძლებლობას, ანუ ენა ქმნადია მხოლოდ როგორც გამომხატველი. თუ ენის, როგორც გამომხატველის, ქმნადობა მთლიანად განსაზღვრულია აზროვნების შესაძლებლობით, ხოლო აზროვნება არაფრით არის განპირობებული ენით, ამგვარი ენის ქმნადობა მოჩვენებითია, სინამდვილეში ქმნადია აზროვნება. ვ. ჰუმბოლდტთან ქმნადია ენა. ესაა ზღვარი ენის ანტიკურ გაგებასა და ჰუმბოლდტისეულს შორის. ანტიკური ხანის უკლებლივ ყველა ფილოსოფოსი წარმომშობ ძალად (energeia) მიიჩნევდა აზროვნებას, ენას ამ პარადიგმაში ეთმობოდა მხოლოდ გამომხატველის როლი. კაცობრიობის ისტორიაში ვჰუმბოლდტი იყო ერთადერთი მოაზროვნე, რომელმაც ქმნადობის ძალად (energeia) აღიარა ენა, და ამით მოახდინა ნამდვილი რევოლუცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აზროვნებაში. ვ. ჰუმბოლდტის თანახმად, ენა არტიკულაციის გზით ქმნის ცნობიერების პირველელემენტებს – ცნებებს და სინამდვილეს გადააქცევს ცნობიერებად. წარმოქმნის რა აზრს ენა სინამდვილისაგან ქმნის ადამიანურ სამყაროს. ცნებების (სიმბოლოების) მეშვეობით გონი იმანენტური ლოგიკური კანონებით განახორციელებს აზროვ-

ნებას. ხოლო ნ. ხომსკისთან ენის შემოქმედება ნიშნავს გრამატიკის რეკურსიული პრინციპით მოქმედებას.

თავის ლინგვისტურ თეორიას ნ. ხომსკი ისტორიულად უკავშირებს პორ–როიალის გრამატიკას, ვინაიდან ამ უკანასკნელის დამსახურებას ხედავს იმის აღმოჩენაში, რომ ყველა წინადადებას აქვს სიღრმული სტრუქტურა (Н.Хомский 2005, 86). მაგრამ ა. არნო და კ. ლანსლო თავად არაფერს ამბობენ წინადადების სიღრმულ სტრუქტურაზე, უფრო მეტიც, მათი კვლევის მეთოდოლოგიით მათ არ შეეძლოთ თეორიულად მსგავსი რამის დაშვება. რ. დეკარტის მერსენისადმი წერილში გამოთქმულ მოსაზრებაში „ენა უნდა დავალაგოთ მათემატიკური წესით, რათა აზრები გავხადოთ ნათელი და მარტივი“. ა. არნომ და კ. ლანსლომ დაინახეს თავისთვის სახელმძღვანელო პრინციპი ახალი ტიპის გრამატიკის შესაქმნელად. მათ გრამატიკას არ უნდა აეწერა ენა ყველა მისი ფორმით, როგორც ეს იყო მიღებული ლინგვისტურ პრაქტიკაში. ახალ გრამატიკას უნდა განესხვავებინა ენის ნათელი, მარტივი (ლოგიკური) ფორმები არალოგიკურისაგან. ამისათვის იგი უნდა ყოფილიყო განმარტებითი, ანუ „უანრობრივად“ განსხვავებული აღწერითი გრამატიკისაგან. აღწერა წმინდა სახით არის არსებულის ფიქსაცია, რომელიც გამორიცხავს ახსნას. ეს უკანასკნელი კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გაქვს ამოსავალი იდეა და მის საფუძველზე შექმნილი სქემა. ჟურნალისტი, მაგალითად, რეპორტაჟის გაკეთების დროს აღწერს მიმდინარე მოვლენებს, მისი მონათხრობი დესკრიფციულია, ხოლო ფილოსოფოსი გვიხსნის მოვლენებს ზოგადი კონცეფციიდან გამომდინარე. ლინგვისტიკის ისტორიაში პორ–როიალის გრამატიკა იყო პირველი ნაშრომი, რომელშიც ენა ნაჩვენებია არა აღწერით, არამედ ახსნით. ამის გაკეთება შეიძლებოდა უფრო ზოგადი ცოდნის – ლოგიკის პოზიციი-

დან. ტრადიციულად ლოგიკა ფილოსოფიის ნაწილია, ამიტომ ეწოდა ამგვარი „უანრის“ ლინგვისტურ ნაშრომებს ფილოსოფიური გრამატიკის სახელი. ტერმინები „ფილოსოფიური გრამატიკა“, „რაციონალური გრამატიკა“, „საყოველთაო გრამატიკა“, „უნივერსალური გრამატიკა“ გულისხმობენ ავტორთა ერთსა და იმავე მიზანს: ლოგიკის უნივერსალური კანონების მეშვეობით ერთმანეთისაგან განასხვავონ ენის რაციონალური (ლოგიკურად სწორი) და არარაციონალური (ლოგიკურად არასწორი) ფორმები. პირველნი წარმოადგენენ ენის საფუძვლებს და საერთო არიან ყველა ენისათვის; მეორენი ეფუძნებიან მოხმარების ჩვეულებას და განსხვავებული არიან ენათა მიხედვით.

წინადადების სიღრმული სტრუქტურა რომ ყოფილიყო რაციონალური გრამატიკის მიზანი, მაშინ მასში ადგილი არ დარჩებოდა მოავარი ამოსავალი ცნებისათვის – აზრისათვის (მსჯელობისთვის) ისე, როგორც ეს მოხდა ნ. ხომსკის თეორიაში. აზრს აქ ჩაენაცვლა წინადადების სიღრმული სტრუქტურა. ა. არნოს და კ. ლანსლოს, რომც ეცნოთ დაუსახელებლად წინადადების სიღრმული სტრუქტურა არსებულად, აუცილებლად უნდა გაეცათ პასუხი კითხვას, რა სხვაობაა აზრსა და სიღრმულ სტრუქტურას შორის. ეს უკანასკნელი, ნ. ხომსკის თანახმად, წარმოადგენს სემანტიკურ კომპონენტს, შინაარსს, რომელიც შედგება სუბიექტისა და პრედიკატისაგან (Н. Хомский, 2005: 86). წინადადების სემანტიკა ნ. ხომსკის ესმის ლოგიცისტურად როგორც არისტოტელესეული აზრი, რომელიც სიღრმული სტრუქტურის შემთხვევაში მოცემულია მარტივი ფორმით. “აზრისა და ელემენტარული აზრის” დაპირისპირება უცნობია არისტოტელეს ლოგიკისათვის. სიღრმული სტრუქტურის აღიარება შეიძლება მხოლოდ „აზრთან“ (მსჯელობასთან)

მისი მიმართების გამორკვევის შემდეგ. წინადადების სიღრმული სტრუქტურა, როგორც აზრის კონკურენტი, მიუღებელია პორ–როიალის გრამატიკისთვის.

ბოლოს მოვიყვანთ მოცულობით ყველაზე მცირეს, მაგრამ განხილული თეორიის პერსპექტივის შესაფასებლად, ალბათ, ყველაზე მთავარ შენიშვნას: მათემატიკური პრინციპით მოქმედი გენერაციული გრამატიკა გამორიცხავდა რაიმე სუბიექტურს, მოლაპარაკე ადამიანი გამოდიოდა ამ ენობრივი მექანიზმის მხოლოდ ნაწილად, რასაც ადასტურებს ნ. ხომსკის აღიარებაც: „ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ მოლაპარაკე ადამიანი არსებითად როგორც მანქანა“ (Н. Хомский, 1962: 424), ნ. ხომსკის ლინგვისტურ თეორიაში მოლაპარაკე ადამიანი რჩება ენის მოქმედების გარეთ.

მეოცე საუკუნის შუა წლებში რევოლუციის აჩრდილმა გადაუქროლა ლინგვისტიკას და დაუტოვა მას წინადადების სიღრმული სტრუქტურის ცნება.

ძირითადი ცნებები

წინადადება; აზრი; მტკიცება; ლოგიციზმი; ფსიქოლოგიზმი; იმანენტიზმი; სუბორდინაცია; კოორდინაცია; ბირთვი და თანამგზავრი; ელემენტარული წინადადება; სინტაქსური ტრანსფორმაცია; წარმომქმნელი გრამატიკა.

საჭირო ტერმინები

იმანენტური – საგნის შინაგანი, საკუთრივ მისეული ბუნების გამომხატველი;

პოზიტივიზმი – ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც უარყოფს მეტაფიზიკას;

კორელატი – შესატყვისი;

კოორდინაცია – არნ. ჩიქობავასთან ნიშნავს ურთიერთდაქვემდებარებას;

სუბორდინაცია – დაქვემდებარება;

დესკრიფციული – აღწერითი;

რეკურენტული – იგივე რეკურსიული, სისტემის ფუნქციონირების პრინციპი, როდესაც სასრული ელემენტების შეხამებით მიიღება უფრო მსხვილ ერთეულთა უსასრულო რაოდენობა.

საკონტროლო კითხვები

1. რა სემანტიკური დატვირთვით იყენებდა არისტოტელე ტერმინს „წინადადება“?
2. რატომ იქცა დიონისესეული წინადადების განმარტება გორდიუსის კვანძად სინტაქსში?
3. რატომ არის დიონისესეული წინადადების განმარტება ლოგიზირებული?
4. არის წინადადების ფსიქოლოგისტური განმარტება ლოგიზირებულზე უფრო მეცნიერული?
5. წინადადების რამდენ წევრს დაუშვებენ ლოგიცისტური და ფსიქოლოგისტური კონცეფციები?
6. რატომ არის არნ. ჩიქობავას წინადადების კონცეფცია იმანენტური?
7. დაუშვებს თუ არა წინადადების იმანენტური კონცეფცია ერთსიტყვიან წინადადებას?
8. რით იყო განპირობებული წინადადების დესკრიფციული ანალიზი?
9. რაში მდგომარეობს წინადადების დესკრიფციული ანალიზის მიზანი?
10. რას წარმოადგენს ბირთვისა და თანამგზავრის გარჩევის პრინციპი?
11. წინადადების რომელი კომპონენტი დესკრიფციული ანალიზის მიხედვით არის ყველაზე საჭირო წინადადების ასაგებად?
12. რა კომპონენტებისაგან შედგება ელემენტარული წინადადება?
13. რა განსხვავებაა ელემენტარულ წინადადებასა და ბირთვულ წინადადებას შორის?

14. რა უდევს საფუძვლად ზ. ჰერისის წარმომქმნელ გრამატიკას?
15. შეიძლება თუ არა ბუნებრივი ენა იყოს მეცნიერული მსჯელობის ზუსტი გამომხატველი ?
16. რას გულისხმობს რეკურენტულობის პრინციპი ზუსტ მეცნიერებაში?
17. რაზე დაყრდნობით ნ. ხომსკი ახდენს სიღრმული სტრუქტურის პოსტულირებას ბუნებრივი ენის წინადადებებში?
18. რატომ არის შეუძლებელი თანდაყოლილი გრამატიკა?
19. შეზღუდულია თუ არა ადამიანის ენის ათვისების უნარი რეკურსიული პრინციპით?
20. დაუშვებს თუ არა ნ. ხომსკის გენერაციული გრამატიკა უაზრო წინადადებების წარმოქმნას?
21. შეიძლება თუ არა მეტაფორას არ ჰქონდეს აზრი?
22. არის თუ არა ენის ქმნადობა ნამდვილი, თუ იგი შემოიფარგლება მხოლოდ აზროვნების შესაძლებლობის გამოხატვით?
23. რატომ არ შეეძლოთ პორ-როიალის გრამატიკის ავტორებს სიღრმული სტრუქტურის თეორიულად დაშვება?
24. განიხილავს თუ არა ნ. ხომსკი გენერაციული გრამატიკის მოქმედების ფაქტორად მოლაპარაკე სუბიექტს?

თავიVI. წინადადება როგორც ნომინატიური ერთეული

§ 1. წინადადების სემანტიკური სტრუქტურა ლუსიენ ტენიერი (1893-1954)

წინადადებაზე ლოგიცისტური, ფსიქოლოგისტური, იმანენტური და დესკრიფციული თვალსაზრისები გამორიცხავდნენ საკუთრივ წინადადების სემანტიკას, დასახელებულ სინტაქსურ მიმდინარეობათა წარმომადგენლები არ განიხილავდნენ წინადადებას როგორც რეფერენტის მქონე ნიშანს. ტექსტის თეორიის უქონლობის პირობებში წინადადება მიიჩნეოდა კომუნიკაციის იმ ერთა-დერთ გამაერთიანებელ ფორმად, რომელშიც რეალიზდება დანარჩენი ენობრივი ერ-თეულები (ფონემები, მორფემები, სიტყვები). ითვლებოდა, რომ წინადადების სემან-ტიკა შედგება მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობებისაგან. წინადადების შემადგენლობაში სიტყვა გვევლინება წინადადების ამა თუ იმ წევრის სახით. ტრადიციული კონცეფციით წინადადების წევრები გაყოფილია მთავარ (ქვემდებარე, შემასმენელი) და მეორეხარისხოვან (დამატება, განსაზღვრება, გარემოება) წევრებად, რადგან ქვემდებარე და შემასმენელი არსებითად გამოხატავენ აზრის წარმომქმნელ სუბიექტსა და პრედიკატს. ამ შეხედულების თანახმად, ქვემდებარე აღნიშნავს საგანს (ფაროო გაგებით) , რომლის ამა თუ იმ ნიშანს გადმოსცემს შემასმენელი (Г.Р. Я.1954:370). საგანი, რომელსაც აღნიშნავს ქვემდებარე, არ გულისხმობს მხოლოდ სინამდვილის კონკრეტულ ნივთებს (ხე, სახლი, ვაშლი), ან გრამატიკული განზოგადებით-ცოცხალ არსებებსაც (ადამიანი, ძაღლი მერცხალი). „საგანი“ქვემდებარის ლინგვისტურ განმარტებაში არის ყველაფერი, რასაც განსაზღვრავს შემასმენელი, მა-

გალითად: **„ვარჯიში სასარგებლოა“, „მოძრაობა აუცილებელია,“ „სიყვარული აგვამაღლებს.“** მოყვანილ წინადადებებში „ვარჯიში“, **„მოძრაობა“, „სიყვარული“** პროცესებია, საგნად მათ ენის მეშვეობით აქცევს გონი, როდესაც წარმოაჩენს აზრის სუბიექტად. შემდგომ ენა იძლევა საშუალებას ლოგიკური საგანი გამოვიყენოთ წინადადებაში ობიექტადაც: **„მე მიყვარს დილის ვარჯიში“, „ გივიმ გააკეთა სწრაფი მოძრაობა“. „პოეტი უმღეროდა სიყვარულს.“** იგივე სიტყვები გამოიყენება შემასმენლადაც; **„ჯანმრთელობის საშუალება ვარჯიშია“, „მატერიის მთავარი თვისება მოძრაობაა,“ „ქველმოქმედება მოყვასის სიყვარულია“.** ამრიგად, ტრადიციული ქვემდებარის საგნობრიობა (რუს. **предметность**) ლოგიკური წარმომავლობისაა. ქვემდებარე საგნად წარმოაჩენს ყველაფერს, შეადარეთ **„ ყველაფერი გაქრა“** და არაფერსაც კი: **„არაფერი მოხდება“.** წარმოდგენებზე დაფუძნებული ფსიქოლოგისტური ანალიზი გამოყოფს წინადადების მხოლოდ ორ წევრს: ქვემდებარეს, რომლის შესაბამისი წარმოდგენა წინ უსწრებს სხვა წარმოდგენას, და შემასმენელს, რომლის წარმოდგენა ერთეის პირველ წარმოდგენას. წინადადებებში კომუნიკაციური გაყოფით:“მიდის გივი“, „მოვიდა ზურაბი“ ზმნები“მიდის“, „მოვიდა“ ფსიქოლოგიური ქვემდებარეა (Г. Пауль, 1960:339).

იმანენტური მიდგომით სინტაქსურ მიმართებებზე დამყარებით მიღებული წინადადების ხუთი წევრი (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება, გარემოება) პრინციპულად ვერ ქმნიან წინადადების სემანტიკის სურათს. იმანენტური კონცეფციით სინამდვილეს ასახავს არა წინადადება, არამედ წინადადებაში შემავალი სიტყვები. დესკრიფციული მეთოდი იმთავითვე იყო ჩაფიქრებული,როგორც სემანტიკისათვის მაქსიმალურად გეერდის

აელით ჩასატარებელი მეტყველების ანალიზი (Л.Блумфилд, 1968:142) .

ლ. ბლუმფილდის სკოლის მთავარ აღმოჩენას – ენობრივი სტრუქტურისკენ მიმავალი გზა იწყება მეტყველების დაშლით უშუალო შემადგენელთა მიხედვით და არ გადის სემანტიკაზე – ფრანგი ენათმეცნიერი ლუსიენ ტენიერი გაიზიარებს არა ბოლომდე. ნაშრომში საგულისხმო სახელწოდებით "სტრუქტურული სინტაქსის საფუძვლები"(1959წ.) იგი ამერიკელი ლინგვისტების კვალად ახორციელებს ფრანგული ენის დესკრიფციულ შესწავლას, გვაჩვენებს ამ ახალი მეთოდის ეფექტურობას სხვა ენებიდანაც მოხმობილ მასალაზე. ანალიზის დესკრიფციულობას ლ. ტენიერთან ათვალსაჩინოებს წინადადებათა სტრუქტურის მრავალი სტემა -წინადადების ხის ანალოგი ამერიკულ ლინგვისტიკაში. ისე, როგორც ლ.ბლუმფილდთან ენის სტრუქტურული ანალიზი იწყება წინადადებით (Л.Блумфилд, 1968:168), ლ. ტენიერისთვისაც თავდაპირველად იყო წინადადება და შემდეგ სიტყვა, მისი თქმით: „წინადადება ბუნებრივი გარემოა, რომელშიც ცოცხლობენ სიტყვები" (Л.Теньер, 1988:22). სინტაქსი ბადებს მორფოლოგიას, ამიტომ ენის დესკრიფციული აღწერის ტრადიციისამებრ «სიტყვათა კლასებს" (მეტყველების ნაწილებს) ფრანგი მკვლევარიც განიხილავს სინტაქსში (Л.Теньер, 1988:62); დესკრიფციული კვლევის პრინციპების თანახმად, ლ. ტენიერი წინადადების სტრუქტურას მიიჩნევს კვანძების ერთობლიობად, რომელთა შორის მთავარია ზმნური კვანძი. მაგრამ განიხილავს რა წინადადებას **„le signal vert indique la voie libre" (მწვანე ნიშანი გვაჩვენებს, რომ გზა თავისუფალია)** იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სემანტიკური თვალსაზრისით მასში მთავარი სიტყვები ზედსართავი სახელებია **„vert" (მწვანე)** და **„libre" (თავისუფალი).** ლ.ტენიერი აყალიბებს პრინციპს, რომე-


ლიც უცხოა წინადადების დესკრიფციული კელევისათვის: „სინტაქსური კავშირი არ არსებობს სემანტიკური კავშირის გარეშე“(Л. Теньер, 1988:54 ,56). სემანტიკური ფაქტორის შემოღება სინტაქსურ ანალიზში სხვა პერსპექტივით დაანახვებს მკვლევარს წინადადებაში შემავალ ყველა სიტყვას და პირველ რიგში ზმნას; თუ ფორმალური თვალსაზრისით ზმნა იყო აღიარებული წინადადების ცენტრად, როგორც წინადადების ასაგებად ყველაზე საჭირო სტრუქტურული კვანძი, ზმნის სემანტიკურ უპირატესობას ლ. ტენიერი ხედავს იმაში, რომ სხვა სიტყვებისაგან განსხვავებით, იგი, ერთი მხრივ, შეიცავს თავის თავში მითითებას წინადადების სხვა კომპონენტებზე და, მეორე მხრივ, დაირთაულ ადვერბიალურ სიტყვებს. ამის საფუძველზე ფრანგი ლინგვისტი წინადადებას უდარებს პატარა დრამას: წინადადებაშიც ხომ აუცილებლად მოცემულია მოქმედება (ზმნა), მოქმედი პირები (არსებითი სახელები ან მათი შემცვლელი სიტყვები) და ვითარების გამომხატველი გარემოებები (ზმნიზედები) (Л.Теньер, 1988:117). ზმნის ირგვლივ შემოკრებილ სახელებს ლ. ტენიერი უწოდებს საერთო ტერმინს „აქტანტები“,რადგან ისინი თანაბრად არიან განპირობებული ზმნის სემანტიკით. ზმნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოქმედების მონაწილეებზე მითითების უნარით ანუ ვალენტობით. „ზმნებს მოეპოვებათ აქტანტების სხვადასხვა რაოდენობა, უფრო მეტიც, სხვადასხვა ზმნას აქტანტების რაოდენობა ყოველთვის არ აქვს ერთი და იგივე, არის ზმნები აქტანტების გარეშე და ზმნები ერთი, ორი და სამი აქტანტით“ (Л.Теньер, 1988:121). ყოველგვარი მოქმედება წარიმართება დროში, სივრცეში გარკვეული ხერხით, რაც შეადგენს მის გარემოებით მახასიათებლებს. აქტანტებისაგან განსხვავებით გარემოების გამომხატველი სიტყვები – „სირკონსტანტები“— არ არიან განპირობებული ზმნის ვალენ-

ტობით, მაგალითად, წინადადებაში **„Alfred fourre toujours son nez partout“** (ალფრედი ყოფს ყოველთვის თავის-ცხვირს ყველგან) სირკონსტანტებს „ყოველთვის“ „ყველგან“ შეიძლება დაემატოს სხვაც : **„ალფრედი ისევ ჯიუტად ყოფს ყოველთვის თავის ცხვირს ყველგან და ყველაფერში.“**

აქტანტები თანაბარი სიდიდეებია ზმნასთან და არა ერთმანეთთან მიმართებაში, ამიტომ ლ. ტენიერი აღნიშნავს მათ ნომრებით: პირველი, მეორე, მესამე და განასხვავებს სემანტიკურად: პირველი აქტანტი სუბიექტია, მეორე – პირდაპირი ობიექტი, მესამე– – ირიბი ობიექტი (ადრესატი) (Л.Теньер, 1988: 123,124). წინადადებაში **„Alfred donne le livre a Charles“** (ალფრედი აძლევს წიგნს შარლს) წარმოდგენილია სამივე აქტანტი. ტრადიციულ სინტაქსში „სუბიექტი“ და „ობიექტი“ განიხილებოდნენ ერთ რიგში წინადადების წევრებთან: „პირდაპირი ობიექტი“, „ირიბი ობიექტი“ როგორც სინონიმები „პირდაპირი დამატების“ და „ირიბი დამატების,“ ხოლო ტერმინი „სუბიექტი“ გაიგებოდა როგორც „ქვემდებარე“. ლ. ტენიერმა წინადადების სემანტიკური სტრუქტურა (სუბიექტი – პირდაპირი ობიექტი – ირიბი ობიექტი) დაუპირისპირა სინტაქსურს (ქვემდებარე – პირდაპირი დამატება – ირიბი დამატება), რის შედეგადაც მიიღო დიათეზის ცნება. აქტანტები, როგორც ზმნის სემანტიკით განპირობებული სიტუაციის მონაწილე სახელები, წინადადებაში ასრულებენ სემანტიკურ და სინტაქსურ როლებს. აქტანტების ზმნურმა წარმომავლობამ მისცა ფრანგ მკვლევარს საშუალება გამოეყენებინა ისინი ზმნების დასახასიათებლად, კერძოდ, ჩამოეყალიბებინა ტრადიციულ გრამატიკაში ცნობილი მორფოლოგიური კატეგორიების სინტაქსური („აქტანტური“) ინტერპრეტაცია: ზმნები, რომელთაც არ მოეპოვებათ აქტანტები, უპიროა **(il pleut, წვიმს);** ერთი აქტანტის მქონე

ზმნები გარდაუვალია (**Alfred dort , ალფრედს სძინავს**); ორი ან სამი აქტანტის მქონე ზმნა გარდამავალია(**Alfred frappe Bernard, ალფრედი სცემს ბერნანდს**) (Л. Теньер, 1988:251). მოყვანილი სწორია ენათა უმრავლესობისთვის, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას ქართულისთვის, სადაც გარდაუვალ ზმნებს შეიძლება ჰქონდეს ორი – სუბიექტისა და ირიბი ობიექტის – აქტანტი, შეადარეთ: შენდება (ის) – უშენდება (ის მას); იკითხება(ის) – ეკითხება (ის მას); სწუხს(ის) – უწუხს(ის, მას). ლ. ტენიერის თანახმად, ზმნის გარდაქმნა გვარის მიხედვით ნიშნავს ორ აქტანტს შორის მოქმედების მიმართულების შეცვლას, რაც გულისხმობს სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთჩანაცვლებას სინტაქსური როლების შეცვლით. ამრიგად, ლ. ტენიერის დიათეზა ზმნის გვარის მიხედვით გარდაქმნის სინტაქსური (აქტანტური) ინტერპრეტაციაა. ასე, მაგალითად, წინადადებაში **Alfred frappe Bernard „ალფრედი სცემს ბერნარდს“** ზმნა ფრაპპე „სცემს” მოქმედებითი გვარისაა, რადგან გამოყენებულია აქტიურ დიათეზაში, რომელშიც მოქმედებას ასრულებს პირველი აქტანტი და იგი (მოქმედება) გადადის მეორე აქტანტზე. იგივე ზმნა „ფრაპპერ“ წინადადებაში **„Bernard est frappe par Alfred” „ბერნარდი იცემება ალფრედის მიერ“** ვნებითი გვარისაა, რადგან გამოყენებულია პასიურ დიათეზაში, რომლის პირველი აქტანტი მხოლოდ განიცდის მოქმედებას ანუ არის ობიექტი. აქტივი და პასივი გარდამავალი ზმნის ძირითადი დიათეზებია, მათი კომბინირებით შეიძლება მივიღოთ კიდევ ორი: თუ მოქმედება უბრუნდება მოქმედ პირს, ასეთი მოქმედი პირი ერთდროულად აქტიურიცაა და პასიურიც,სხვაგვარად, პირველი აქტანტიც არის და მეორეც, მაგალითად, **Alfred se tue „ალფრედი იკლავს თავს“**. გასაგებია, თუ რატომ უწოდებს ამ დიათეზას ლ. ტენიერი უკუქცევითს. ერთდროულად აქტიური და პასიური წინა-

დადებაში შეიძლება იყოს ორი აქტანტიც, რომლებიც, ერთი მხრივ, ასრულებენ პარალელურ მოქმედებას ერთმანეთის მიმართ და ამიტომ, მეორე მხრივ, განიცდიან ამ მოქმედებებს ერთმანეთისგან: **Alfred et Bernard s'entretuent „ალფრედი და ბერნარი კლავენ ერთმანეთს".** საურთიერთო მოქმედების მქონე დიათეზას ლ. ტენიერმა უწოდა ტერმინი „რეციპროკი"მოყვანილი ოთხი დიათეზა ავტორმა განასხვავა დიაგრამულად:



(Л. Теньер, 1988: 255)

ამას გარდა მრავალ ენაში არსებობს აქტანტთა რაოდენობის გაზრდის და შემცირების მექანიზმი, რომელიც გამოიხატება საგანგებო მორფოლოგიური მარკერით. აქტანტთა რაოდენობის გაზრდის შედეგად, ლ. ტენიერის თანახმად, მიიღება კაუზატიური დიათეზა. ქართულ ენაში მისი ზმნის მორფოლოგიური მარკერებია: -ინ, -ევ, -ევინ. შევადაროთ: **ლევანი კითხულობს წიგნს** და **გივი ლევანს აკითხვინებს წიგნს.** ახალი აქტანტი „გივი" არ არის ზმნით აღნიშნული მოქმედების უშუალო შემსრულებელი, მისი მოქმედება პროცესზე გაშუამავლებულია სხვა აქტანტით(„ლევანი"). კაუზატიური, დიათეზის ახალ აქტანტს ლ. ტენიერმა უწოდა „ინიციატორი". აქტანტთა შემცირებით მიღებული დიათეზა რეცესიულია, შეადარეთ: Я делаю ошибку-я ошибаюсь. შეადარეთ ანალოგიური:

Он говорит по-русски– говорится по-русски.

ესპ. : El habla el espanol-se habla espanol;

ფრანგ.: Il parle francais– se parle francais;

იტალ.; Egli parla italiano-si parla italiano

ქართული ანალოგი მოყვანილი მაგალითებისა იქნება **„ის ლაპარაკობს ქართულად – ითქმება ქართულად.“**

§ 2. დიათეზები

ლინგვისტიკაში ტერმინი „დიათეზა“ ცნობილია ორი მნიშვნელობით. თუ მორფოლოგიის დონეზე „დიათეზა“ ემთხვევა გვარს: ორივე ტერმინი გულისხმობს ზმნის სემანტიკის აქტანტურ სტრუქტურას, სინტაქსურ დონეზე „დიათეზა“ ნიშნავს კონსტრუქციას, რადგან მხოლოდ ამ უკანასკნელის სახით შეიძლება ზმნის აქტანტური სემანტიკის ექსპლიკაცია. უკვე ლ. ტენიერთან „დიათეზამ“ შეიძინა სინტაქსური მნიშვნელობა და ამით განსხვავდა გვარისაგან, მაგრამ მაინც რჩებოდა დაკავშირებული ამ უკანასკნელთან. ფრანგი ლინგვისტის ყველა დიათეზა წარმოადგენს ზმნის გვარის სინტაქსურ ინტერპრეტაციას ანუ დიათეზა ყველა შემთხვევაში მარკირებულია მორფოლოგიურად ზმნის გვარის შესაბამისი ფორმით. დამოუკიდებელ სინტაქსურ კატეგორიად დიათეზა ჩამოყალიბდა მას შემდეგ, როცა, ერთი მხრივ, ტიპოლოგიური კვლევით (ა. ხოლოდოვიჩი, ი. მელჩუკი, ე. პადუჩევა, ვ. ხრაკოვსკი) დადგინდა მისი არსებობა იმ ენებშიც, რომელთაც არ მოეპოვებათ მორფოლოგიური გვარი. ასე, მაგალითად, თუ რუსულ და ქართულ ენებში აქტიური და პასიური დიათეზები განსხვავდებიან გვარის მორფოლოგიური ფორმებით, ჩინურ ენაში ზმნა ორივე კონსტრუქციაში გამოდის ერთი და იმავე ფორმით:

აქტიური	პასიური
რუს. Ян убил Пана	**Пан убит Яном**
ქართ. იანმა მოკლა პანი	**პანი მოკლულია იანის მიერ**
ჩინურ. Yan sha Pan	**Pan sha yuy Yan**

(В.Храковский, 2008:880)

მეორე მხრივ, ზმნის ერთი ფორმით სხვადასხვა დიათეზა შეიძლება გამოიხატოს იმ ენებშიც, სადაც ზმნას მოეპოვება გვარი, შეადარეთ:

ტრანზიტული (აქტიური) დიათეზა პირდაპირი დამატებით:		ინტრაზიტული დიათეზა, პირდაპირი დამატების პოზიცია არ არის დაკავებული:
1. გივი კითხულობს წიგნს	⇨	გივი ბევრს კითხულობს (გატაცებულია კითხვით).
2. იგი სვამს წყალს	⇨	იგი სვამს (= თვრება).
3. იგი ჭამს ვაშლს	⇨	იგი ცოტას ჭამს.
4. ანა ხატავს ზღვას	⇨	ანა ხატავს (=ეხერხება ხატვა).
5. ძმა სწავლობს ინგლისურს	⇨	ძმა სწავლობს უნივერსიტეტში.

დონატიური (მიცემითი) დიათეზა: (ქონება – პირდაპირი დამატება, ადრესატი-ირიბი):		დეკორატიული (დაჯილდოებითი) დიათეზა (ქონება-ირიბი დამატება, ადრესატი – პირდაპირი):
Царь пожаловал Ермака шубой	⇨	**Царь пожаловал Ермаку шубу**

აქტიური დიათეზა: დიათეზა პერიფერიული პაციენსით (პირდაპირი სემანტიკური ობიექტი არ არის პირდაპირი დამატება):

Витя швырял камни в пруд ⇨ Витя швырял камнями в пруд

Transitive		Intransitive
ინგლ. The boy opened the door	⟹	The door opened

მოყვანილ მაგალითებში დიათეზა გამოიხატება არა გვარის ფორმებით, არამედ ზმნის მართვით, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი გულისხმობს შესაბამისობას სახელების სემანტიკურ და სინტაქსურ როლებს შორის წინადადებაში. ლ. ტენიერთან ეს შესაბამისობა გამოიხატება მხოლოდ გვარის ფორმათა მეშვეობით, მოხსენიებულ ავტორებთან გვარი განიხილება როგორც დიათეზის კერძო შემთხვევა: „გვარი არის ზმნაში გრამატიკულად მარკირებული დიათეზა“ (В. Храковский, 2008:879). რადგან დიათეზის ცნება უნივერსალურია, ყველა ენაში, ყოველ ზმნურ ლექსემას აქვს სულ ცოტა ერთი დიათეზა“(ЛЭС, 1990: 135), თანამედროვე ლინგვისტიკაში დიათეზების ტიპოლოგია ეფუძნება პრედიკატების ძირითად სემანტიკურ-სინტაქსურ კლასებს. პრედიკატები იყოფა ორად: ბაზისურ და მათგან წარმოქმნილ პრედიკატებად, შესაბამისად, განარჩევენ პირდაპირ (ამოსავალ) და ირიბ (წარმოქმნილ) დიათეზებსაც. აღნიშნულის გათვალისწინებით ენებში გამოყოფენ გაცილებით უფრო მეტ დიათეზას, ვიდრე გვაქვს ლ. ტენიერთან. განვიხილოთ მათგან ძირითადი:

I. ტრანზიტული (გარდამავალი) დიათეზები: აქვთ პირდაპირი დამატება.

1. აკუზატიური დიათეზა გარდამავალი ზმნით (პირდაპირია):

ცხენი სვამს წყალს.
ბავშვი წერს დავალებას.
მუშები აშენებენ სახლს.

2. აკუზატიური დიათეზა გარდაუვალი ზმნით (ირიბია): გარდაუვალი ზმნა გამოიყენება როგორც გარდამავალი :

მან „დაამთქნარა“ ეს ამბავი.

Его "ушли" (იგი დაითხოვეს).

3.დიათეზები არანამდვილი ობიექტით, pirdapiri დამატების პოზიციას იკავებს არაობიექტი:

a. ანტისუბიექტური დიათეზა:

il est არრივე un train – სიტყვასიტყვით: **„მოყვანილ იქნა მატარებელი.“**

b. პერდურატიული დიათეზა:

გაიარა მანძილი.

იძინა ღამე.

იმუშავა დღე.

c. დიათეზა ტავტოლოგიური დამატებით:

ვითამაშოთ

თამაში.

ვიმღეროთ სიმღერა,

Прожить жизнь.

Шутить шутки.

4. ერგატიული დიათეზა; გარდამავალი მოქმედების სუბიექტი (აგენსი) იკავებს ქვემდებარის პოზიციას.

ა. ერგატიული დიათეზა გარდამავალ ზმნებთან (პირდაპირია):

მან გააკეთა ის.

მან დახატა ის.

მან დაწერა ის.

ბ. ერგატიული დიათეზა გარდაუვალ ზმნებთან (ირიბია):

მან გაიღვიძა.

მან გაიარა.

მან გადაირბინა.

მან იტირა.

მან იძინა.

მან გაიხუმრა.

მან გაიცინა.

5. დიათეზა პერიფერიული აგენტივით (ირიბია): კარი გაღებული იყო მის მიერ.

Дверь была открыта им.

თჰე დოორ წას ოპენედ ბყ ჰე.

ა პორტე ესტ ოუვრე პარ Ილ.

6. დიათეზა პერიფერიული პაციენსით: მიიღება პირდაპირი ობიექტის აკუზატივის ნაცვლად სხვა ბრუნვაში დაყენებით (ირიბია):

Витя швырял камнями в пруд.

7. დიათეზა არანამდვილი სუბიექტით: ქვემდებარის პოზიციას იკავებს მიზეზი:

სეტყვამ გაანადგურა ნათესი.

ტალღამ გაანადგურა ნავი.

Сарай зажгла молния.

რუსულ ენაში მიზეზი ქვემდებარის პოზიციაში შეიძლება იყოს უპირო კონსტრუქციაშიც:

Градом побило поля.

Волной перевернуло лодку.

Сарай зажгло молнией.

II. ინტრაზიტული (გარდაუვალი) დიათეზები; არ არის დაკავებული პირდაპირი დამატების პოზიცია

1. დიათეზა ერთადგილიანი პრედიკატით (პირდაპირია):

გიორგი ზის.

ლაშა დგას.

ბაბუა წევს ლოგინში.

2. მედიალური (საშუალი) დიათეზა აქვს აბსოლუტური პრედიკატი. ქართულში გადმოიცემა დეპონენსური ზმნებით:

ძაღლი იკბინება.

პეტრე ილანძღება.

უფროსი იბღვირება.

რუსულ ენაში ეს დიათეზა შეიცავს უკუქცევით ზმნას:

Собака кусается.

Он ругается.

Они толкаются.

3. დიათეზა ორადგილიანი პრედიკატით:

დედა ამაყობს შვილით.

მაყურებელი ტრაბახობს გამარჯვებით.

ძმა ფლობს უცხო ენას.

Олег увлекается спортом.

Президент управляет страной.

Слушатели наслаждаются музыкой.

4. ინტრაზიტული დიათეზა გარდამავალი პრედიკატით:

ლაშა ბევრს კითხულობს.

ანა კარგად სწავლობს.

ნინო სწავლობს ამერიკაში.

გენო ბევრს სვამს.

III. უსუბიექტო დიათეზები: ქვემდებარის პოზიცია არ არის დაკავებული ან დაკავებულია „ცარიელი" სიტყვით, სინტაქსური ნულით.

1. უსუბიექტო დიათეზა „ცარიელი", ნულოვანი ქვემდებარით:

ინგლ. **it rains; it snows; it is could; it is hot.**

ფრანგ. **il pleut; il neige.**

2. უსუბიექტო დიათეზები; ქვემდებარის გარეშე

a. დიათეზა უპირო პრედიკატით (პირდაპირია):

წვიმს; თოვს; ყინავს; გათენდა; მოსაღამოვდა; დაღამდა.

Морозит; светает; вечереет; сквозит.

Его тошнит. Меня залихорадило.

b. უპირო დიათეზა პირიანი პრედიკატით (ირიბია):

Его толкнуло („მას ებიძგა“).

Его ударило в плечо („მას მხარზე დაერტყა“).

Его тряхнуло („იგი შეარყია“).

IV. დიათეზები აგენტივის გარეშე (ირიბია), ქვემდებარის პოზიციას იკავებს ობიექტი

1. დიათეზა აგენტივის გარეშე პასიური პრედიკატით:

სახლი აშენებულია.

კართაგენი დანგრეულია.

დავალება შესრულებულია.

2. დიათეზა აგენტივის გარეშე ფსევდოპასიური პრედიკატით:

იგი შეცბა	**Она смутилась**
იგი შეცბუნებულია	**Она смущена**
ეზო დაიფარა თოვლით	**Дворпокрылся снегом**
ეზო დაფარულია თოვლით	**Двор покрыт снегом.**

V. აფექტური დიათეზა, ფსიქიკური მდგომარეობის, აღქმის, ემოციის ან შეხედულების სუბიექტი შეიძლება იდგეს ქვემდებარის ბრუნვაში ან სხვა ბრუნვაში, ხოლო დიათეზა შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი:

პირდაპირი	პირდაპირი	ირიბი
მე მინდა	**Я хочу**	**Мне хочется**
მე მესმის	**Я слышу**	**Мне слышится**
მე წარმოვიდგენ	**Я представляю**	**Мне представляется**
მას ეჩვენება	**Ему кажется**	————
მას ეზმანება	**Ему чудится**	————
მას ელანდება	**Ему мерещится**	————
ჩვენ მოგვბეზრდა	**Нам надоело**	————

ჩვენ გვჭირდება	**Нам надо**	————
მე გული მერევა	**Мне тошно**	————
მე მტკივა	**Мне больно**	————

VI. მფლობელობის დიათეზა

1. კონტენტიური დიათეზა

კონტეინერის (ადგილისა ან მფლობელის) აღმნიშვნელი სიტყვა ქვემდებარეა: **ზაზა ატარებს ქუდს; დოქი სავსეა ღვინით; სტადიონი სავსეა მაყურებლებით; ქარხანამ მიიღო აღჭურვილობა; გუნდმა შეიძინა ახალი მოთამაშე; ადმინისტრაციამ შემოიღო წესები;**

Владимир имеет собаку. Река изобилует рыбой.

2. ესიური დიათეზები

მფლობელობის სუბიექტი დგას ირიბ ბრუნვაში, ხოლო ქონების აღმნიშვნელი სიტყვა იკავებს ქვემდებარის პოზიციას:

a. ადესიური დიათეზა

მფლობელობის ობიექტი წარმოადგენს სივრცობრივ ლოკალიზაციას და გამოიხატება ბრუნვის წინდებულიანი ფორმით:

У Владимира есть сабака. В реке есть рыба.

В тексте допущены ошибки. В воздухе запах гари. У него болит зуб.На поле выросла трава.

в. აპარტენატიული დიათეზა

მფლობელობის სუბიექტი გვევლინება ადრესატის ფორმით: **გლადიმერს ჰყავს ძაღლი; გუნდს ჰყავს ახალი მოთამაშე; მას სტკივა კბილი; მას ამოუღეს კბილი; კარს აქვს სახელური; მას აქვს გამოცდა.**

c. გენეტიურ-პოსესიური დიათეზა

მფლობელობის სუბიექტი დგას გენეტივში ან კუთვნილებითი ნაცვალსახელია:

ეს ძაღლი ვლადიმერისაა. Это собака Владимира.

ეზოში დგას ზურაბის. Во дворе стоит.

ავტომანქანა. автомобиль Зураба.

ეს მძღოლის ადგილია. Это место водителя.

Onun kopegi var. მას ჰყავს ძაღლი.

Alinin disi agriyor. ალის სტკივა კბილი.

Evin kapisi var. სახლს აქვს კარი.

Onlarin sinavi var. მათ აქვთ გამოცდა.

ეს წიგნი შენია.

ქუდი მისია.

ძაღლი ჩვენია.

Всё моё.

Я твой.

Ты моя.

d. ფსევდოგენეტიური დიათეზა რუსულში:

Он высокого роста.

Он хорошего воспитания.

Он благородного происхождения.

Молоко кислого вкуса.

Автомобиль красного цвета.

3.კომიტატიური დიათეზა

მფლობელობის სუბიექტი ქვემდებარეა, ქონების აღმნიშვნელი დამატება ჩართულია პრედიკატის სემანტიკაში:

ძროხა რქიანია.

ნიანგი კუდიანია.

იგი უსახლკაროა.

он женат (бездетен, бездомен, зубаст, клыкаст, рогат).

VII. დიათეზები ლოკატიური მნიშვნელობით

1. დიათეზა, რომელშიც ლოკატივი გვევლინება ფსევდოობიექტად:

მოხუცმა აიარა აღმართი;

ტრაქტორმა გადაკვეთა ყანა;

ჩვენ გავიარეთ პარკი.

2. ვესტიტიური დიათეზა

ლოკატივი პირდაპირი ობიექტია:

თამადამ შეავსო ჭიქა.

მშენებლებმა დატვირთეს მანქანა აგურით.

მათ გაჩხრიკეს ოთახი.

3. ორნატიული დიათეზა

გადასაადგილებელი საგანი არ არის ცალკე გამოხატული, მისი აღმნიშვნელი ჩართულია პრედიკატის სემანტიკურ სტრუქტურაში:

მესანგრეებმა დანაღმეს გზა.

მეთევზეებმა დაამარილეს თევზი.

მოხელემ დაზეთა ბოქლომი.

Гусар оседлал лошадь.

Повар поперчил суп.

VIII. დიათეზები სამადგილიანი პრედიკატით

1. დონატიური (მიცემითი) დიათეზა

მიცემის სუბიექტი ქვემდებარეა, მისაცემი – პირდაპირი დამატება, მიმღები ადრესატი – ირიბი დამატება:

ბებიამ მისცა ბიჭს ვაშლი.

იგი გვასწავლიდა ჩვენ მათემატიკას.

Царь пожаловал Ермаку свою шубу.

Give a book to him.

2. დეკორატიული (დაჯილდოებითი) დიათეზა

მიცემის სუბიექტი ქვემდებარეა, მისაცემი –უბრალო დამატება. მიმღები ადრესატი – პირდაპირი დამატება:

ორგანიზატორებმა დააჯილდოვეს გამარჯვებული პრიზით.

მასპინძელმა დაათრო სტუმარი ღვინით.

ბებიამ გააძღო შვილიშვილი ხაჭაპურით.

Царь пожаловал Ермака шубой.

3. წართმევითი დიათეზა

აღების სუბიექტი ქვემდებარეა, ასაღები– პირდაპირი დამატება,

წართმევის ობიექტი-ირიბი დამატება:

დამცველმა წაართვა ბურთი თავდამსხმელს

მან მოჰპარა მას ფული.

4. კლებითი დიათეზა

კლების ობიექტი პირდაპირი დამატებაა, მოსაკლები საგანი– ირიბი დამატება ან არ არის:

ყაჩაღებმა გაძარცვეს ქარავანი.

მძარცველებმა გატეხეს ბანკი.

მეანაბრეებმა გამოიტანეს ფული ბანკიდან.

Он лишил его покоя.

IX სუპერსიტუაციური დიათეზები

სიტუაციას ემატება კიდევ ერთი მონაწილე – კაუზატორი ან მიმომხილველი, შესაბამისად განასხვავებენ კაუზატიურ და ობსერვატიულ დიათეზებს:

1. კაუზატიური დიათეზა

კაუზატორი (მოქმედების მიზეზი, მოთავე, ხელმძღვანელი) ქვემდებარეა, ხოლო მოქმედების უშუალო შემსრულებელი ირიბი ობიექტია:

მამა შვილს აკეთებინებს დავალებას.

დამცველმა დაატოვებინა თავდამსხმელს ბურთი.

მან ასადილა იგი.

Командир приказал солдатам стрелять.

Врач заставил его принять лекарство.

Бабушка накормила внука кашей, напоила молоком.

2. პერმისიული (ნებადართვითი) დიათეზა კაუზატიური დიათეზის ქვესახეა:

დედამ გაუშვა ბავშვი პურის მოსატანად.

Преподаватель разрешил студентам закончить работу.

3. ასისტური (დახმარებითი) დიათეზა:

მამა დაეხმარა შვილს დავალების გაკეთებაში.

მან შეუწყო მას ხელი ავტომანქანის შეძენაში.

4. პროჰიბიტული (აკრძალვითი) დიათეზა

მამამ აუკრძალა შვილს უსაქმურად ჯდომა.

დამცველმა არ მისცა საშუალება თავდამსხმელს დაერტყა კარში.

Врачи не разрешали ему много работать.

ობსერვატიული დიათეზები: სიტუაცია გადმოიცემა სუბიექტურად მიმომხილველის (პერცეპტორის, კონცეპტორის) აღქმის თანახმად

1. პერცეპტული დიათეზა, ქვემდებარე დაკვირვების სუბიექტია (პერცეპტორი), პირდაპირი დამატება – სიტუაციის სუბიექტი:

გიორგიმ დაინახა სტუმრისკენ გაქცეული ძაღლი

Андрей видел, как она подходила к саду.

2. პროპოზიტური დიათეზა (გრძნობის, აზრის, თქმის პრედიკატებით) ქვემდებარე გრძნობის, აზრის ან

თქმის კონცეპტორია, პირდაპირი დამატება – სიტუაციის სუბიექტი:

მას მიაჩნია ეს ფილმი მოსაწყენად.

ავტორი განმარტავს ფონემას როგორც აბსტრაქტულ ერთეულს ჰუმბოლდტი განიხილავს ენას არტიკულაციის საშუალებად.

3. ობიექტური (დიქტალური) დიათეზა:

თუ აზრის სუბიექტზე (კონცეპტორზე) არ კეთდება ლოგიკური აქცენტი, კონცეპტორის აზრი(გრძნობა) გამოიტოვება და დიათეზა ხდება ობიექტური. პასუხისმგებლობა გამოთქმულ აზრზე ეკისრება მთქმელს:

ეს ფილმი მოსაწყენია.

ფონემა არის აბსტრაქტული ერთეული.

ენა არტიკულაციის საშუალებაა.

X. კონტრაქტული დიათეზა სიტუაციის ორი მონაწილე გამოიხატება ერთი სინტაქსური აქტანტით:

მხატვარმა დახატა მეგობარი (ადამიანი, სურათი).

მოხელემ გამოცვალა ონკანი (ძველი ონკანი, ახალი ონკანი).

მასწავლებელმა თარგმნა ტექსტი (ორიგინალი, თარგმანი).

მომღერალმა შეასრულა სიმღერა (ორიგინალი, შესრულება).

XI. დისპოსესიური დიათეზა; პოსესიური ჯგუფი, რომელიც გამოხატავს კუთვნილებას პირდაპირ დიათეზაში, დისპოსესიურ დიათეზაში კარგავს ერთიანობას:

გიორგის თხოვნამ გააოცა ყველა. ⇒ **გიორგიმ გააოცა ყველა თავისი თხოვნით.**

ნინოს ჩანთა დარჩა მანქანაში. ⇒ **ნინოს დარჩა ჩანთა მანქანაში.**

Он посмотрел в лицо Сергея. ⟹ **Он посмотрел Сергею в лицо.**

Она трогает руку Никиты. ⟹ **Она трогает Никиту за руку.**

სხვადასხვა ტიპის დიათეზების არსებობა კონკრეტულ ენაში განპირობებულია ამ უკანასკნელის სინტაქსური წყობით. სწორედ სიტუაციის მონაწილეთა ანუ აქტანტების: სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ბაზისური მიმართების სინტაქსური გაფორმებით განარჩევენ აკუზატიურ და ერგატიულ ენებს.

ძირითადი ცნებები

წინადადების სემანტიკა; აქტანტები; სირკონსტანტები; ვალენტობა; სუბიექტი; პირდაპირი ობიექტი; ირიბი ობიექტი; წინადადების სემანტიკური სტრუქტურა; წინადადების სინტაქსური სტრუქტურა; დიათეზა ;აქტანტური სტრუქტურა;

საჭირო ტერმინები

სტემა – წინადადების ხის ანალოგი ლ. ტენიერთან;

რეფლექსივი – უკუქცევითი დიათეზა;

რეციპროკი – საურთიერთო დიათეზა;

ტრანზიტული – გარდამავალი;

ინტრანზიტული – გარდაუვალი;

პერიფერიული აგენტივი – აგენსი, რომელიც დგას ირიბი დამატების პოზიციაში;

პერიფერიული პაციენსი – პაციენსი, რომელიც არ დგას პირდაპირი დამატების პოზიციაში;

კონტენტიური – შემცველობის გამომხატველი;
ესიური – მფლობელობის გამომხატველი.

საკონტროლო კითხვები

1. დაუშვებდნენ თუ არა წინადადების ლოგიცისტური, ფსიქოლოგისტური, იმანენტური და დესკრიფციული თვალსაზრისები საკუთრივ წინადადების სემანტიკას?
2. მისდევს თუ არა ლ. ტენიერი ამერიკულ სტრუქტურალიზმს?
3. რატომ აღნიშნა ლ. ტენიერმა აქტანტები ნომრებით?
4. როგორ მიიდა ლ. ტენიერი დიათეზის აღმოჩენამდე?
5. რის ინტერპრეტაციას წარმოადგენს დიათეზა ლ. ტენიერთან ?
6. რამ განაპირობა დიათეზა ტერმინის ლინგვისტიკაში ორი მნიშვნელობით გამოყენება?
7. რატომ არ შეიძლება დიათეზის გაიგივება ზმნის გვარის კატეგორიასთან?
8. რატომ არის დიათეზა უნივერსალური?
9. რას ეფუძნება დიათეზების ტიპოლოგია?
10. რის მიხედვით ყოფენ დიათეზებს პირდაპირ (ამოსავალ) და ირიბ (წარმოქმნილ) დიათეზებად?

დავალება

დაადგინეთ დიათეზის ტიპი

1. სოფელში გლეხები იღებენ მოსავალს.
2. მათ იცეკვეს უცხოური ცეკვა.
3. თამადამ ბოლომდე დაცალა სასმისი.
4. სანდრო ოპერაში მღერის.

5. ეს ყველაფერი იყო მოწყობილი იაგოს მიერ.
6. სახლი სწრაფად შენდება.
7. ძმა „დინამოში“ თამაშობს.
8. ბათუმში მაგრად წვიმს.
9. მინდვრები დაიფარა თოვლით.
10. ბინაში ძაღლია.
11. მას ჰყავს ცხენი.
12. ეს ყველაფერი შენია.
13. მამამ წაართვა ბავშვს ჯოხი.
14. თენგომ გამოაყვანინა ძმას ამოცანა.
15. თენგო დაეხმარა ძმას ამოცანის გამოყვანაში.
16. ძმას ამოცანა მოეჩვენა რთულად.
17. ამოცანა იყო რთული.
18. ანდრო ხედავდა, როგორ შემოვიდა ეზოში მანქანა.
19. ქარმა გააღო კარი.
20. ცა იღრუბლება.
21. ნანამ დაწერა დავალება.
22. მაყურებლებმა დაიკავეს ადგილები.
23. ვანომ მიუტანა ბებიას წყალი.
24. ამასობაში გათენდა.
25. It rains.
26. საქმე გაკეთებულია.
27. აჭარისწყალში კალმახი არ არის.
28. მას ჰყავს ძლიერი მოწინააღმდეგე.
29. მე გული მწყდება იმის გამო, რომ ვერ გავიმარჯვეთ.
30. ანსამბლმა იცეკვა ხორუმი.

§ 3. წინადადების სემანტიკური ბრუნვები ჩარლზ ფილმორი 1929 წ.

ლ. ტენიერის წინადადების სემანტიკურ-სინტაქსური კონცეფცია იყო ორიგინალური და შეთანხმებული ენობრივ ფაქტებთან, ამიტომ მოსალოდნელი იყო მისი გამოყენების მცდელობა სხვა ლინგვისტურ თეორიათა დასასაბუთებლად. ნაშრომში „The case," 1968 წ. (რუსულ თარგმნაში „Дело о падеже") ამერიკელი ენათმეცნიერი ჩ. ფილმორი სინტაქსურ მიმართებათა სემანტიკური წარმომავლობის ფაქტს გამოიყენებს გენერაციულ გრამატიკაში ნ. ხომსკის მიერ პოსტულირებული წინადადების სიღრმული სტრუქტურის არსებობის დასამოწმებლად (НЗЛ, 1981: 394). თუ ლ. ტენიერის აქტანტები (სახელები) ითავსებენ სემანტიკურ და სინტაქსურ როლებს, ჩ. ფილმორთან აღნიშნული მახასიათებლები დაშორებულია ერთმანეთისაგან წინადადების სხვადასხვა განზომილებით. სემანტიკურ როლებს სახელწოდებით „სემანტიკური ბრუნვები" ამერიკელი მკლევარი მიაკუთვნებს წინადადების სიღრმულ სტრუქტურას, ხოლო სინტაქსურს ტოვებს ზედაპირულ ნაწილში. ამით იგი შორდება არა მხოლოდ ლ. ტენიერის თეორიას, არამედ ნ. ხომსკის პოზიციასაც, რომელიც დაუშვებს სინტაქსურ მიმართებებს სიღრმულ სტრუქტურაშიც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩ. ფილმორი ლაპარაკობს სემანტიკურ-სინტაქტიკურ ანუ ბრუნვათა მიმართებებზე (НЗЛ, 1981:400). ნ. ხომსკის „სიღრმულ წინადადებას" იგი განმარტავს ლ. ტენიერის მთავარი აღმოჩენის გათვალისწინებით „როგორც შემდგარი ზმნისა (V) და მასთან გარკვეული ბრუნვის მიმართებით დაკავშირებული სახელთა ჯგუფებისაგან (NP)" (НЗЛ, 1981: 400). ზმნებსა და სახელებს შორის სემანტიკურ-სინტაქტიკურ მიმართებებს ანუ სემანტიკურ ბრუნვებს დროის, კილოს,

ასპექტის გარეშე ჩ. ფილმორი მიიჩნევს სიღრმული წინადადების პროპოზიციად (НЗЛ, 1981:403). პროპოზიციის ბრუნვებს შორის დასახელებულია: 1. აგენტივი (აგენსი, A) – მოქმედების სულიერი ინიციატორის ბრუნვა; 2. ინსტრუმენტალისი (I) – უსულო ძალის ან საგნის ბრუნვა, რომელიც ჩართულია მოქმედებაში ან მდგომარეობაში როგორც მათი მიზეზი; 3. დატივი (D) – ბრუნვა სულიერი არსების, რომელსაც ეხება ზმნით აღნიშნული მოქმედება ან მდგომარეობა; 4. ფაქტიტივი (F) – იმ საგნის ან არსების ბრუნვა, რომელიც წარმოიქმნება ზმნით აღნიშნული მოქმედების ან მდგომარეობის შედეგად; 5. ლოკატივი (L) – ბრუნვა, რომლითაც ხასიათდება ზმნით აღნიშნული მოქმედების ან მდგომარეობის ადგილმდებარეობა ან მიმართულება სივრცეში; 6. ობიექტივი (O) – სემანტიკურად ყველაზე ნეიტრალური ბრუნვა, იმ არსებითი სახელის აღმნიშვნელი, რომლის როლი მოქმედებასა ან მდგომარეობაში განისაზღვრება ზმნის სემანტიკური ინტერპრეტაციით. ეს ბრუნვა აქვს მხოლოდ იმ საგნების სახელებს, რომელთაც შეეხება ზმნით აღნიშნული მოქმედება ან მდგომარეობა (НЗЛ, 1981:405). სხვა ადგილას ავტორი ასახელებს კიდევ ერთს – ბენეფაქტივს (B) – ბრუნვას, რომელიც აღნიშნავს პირს, ვისთვისაც განკუთვნილია ზმნით აღნიშნული მოქმედება, და შენიშნავს, რომ შესაძლებელია სხვა ბრუნვებიც(НЗЛ, 1981:417). სიღრმული ბრუნვები უნივერსალურია ყველა ენისათვის, მაგრამ გამოიხატება ისინი ენის მიერ ამორჩეული ხერხით: აფიქსაციით, სუპლეტივზმით, ნაწილაკებით, წინდებულებით, თანდებულებით,სიტყვათა რიგით. რადგან „სიღრმული ბრუნვების უნივერსალობის ღირებულება მათ სინტაქსურ და არა მორფოლოგიურ ბუნებაშია“ (НЗЛ, 1981:400), ჩ. ფილმორი მართებულად მიიჩნევს მორფოლოგიის ნაცვლად გრამა-

ტიკის ცენტრალურ ნაწილად ვაღიაროთ სინტაქსი, ხოლო შემთხვევებში, სადაც სემანტიკა განაპირობებს სინტაქსს, დაეუშვათ „ფარული“ გრამატიკული კატეგორიების არსებობა, მაგალითად, ერთი და იგივე სიტყვა table (მაგიდა) ერთსა და იმავე სინტაქსურ როლში, მაგრამ სხვადასხვა ზმნასთან გამოყენებული, შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა სიღრმულ (სემანტიკურ) ბრუნვას, შევადაროთ: **John ruined the table „ჯონმა გატეხა მაგიდა“** და **John built the table „ჯონმა გააკეთა მაგიდა“**. პირველ წინადადებაში [illegible] (მაგიდა) ობიექტივია, მეორეში – ფაქტიტივი, ამიტომ პირველი წინადადება დაუშვებს კითხვას „რა უყო ჯონმა მაგიდას?“ , ხოლო მეორე – არა (НЗЛ, 1981:374). ასევე ნომინატივის გრამატიკული ფორმა შეიძლება იფარავდეს სხვადასხვა სიღრმულ ბრუნვას: აგენსს, პაციენსს, ბენეფიციანტს, დაინტერესებულ პირს, მფლობელობის პირს, მაგალითად:

He hits the ball	**Он бьёт мяч**
He received a blow	**Он получил удар**
He received a gift	**Он получил подарок**
He loves her	**Он любит её**
He has black hair	**Он имеет чёрные волосы**

მოყვანილი წინადადებები ქართულად რომ ვთარგმნოთ, აღნიშნული ბრუნვები მიიღებენ სამი გრამატიკული ბრუნვის ფორმას, შეადარეთ!

ის ურტყამს ბურთს	– ქვემდებარე აგენსია
მან მიიღო დარტყმა	– ქვემდებარე პაციენსია
მან მიიღო საჩუქარი	– ქვემდებარე ბენეფიციანტია
მას უყვარს იგი	– ქვემდებარე დაინტერესებული პირია
მას აქვს შავი თმა	– ქვემდებარე მფლობელობის პირია

ამრიგად, სახელებს შორის სიღრმული მიმართებები (ბრუნვები) არ წარმოადგენენ ზედაპირული სინტაქსური მიმართებების (ქვემდებარე – პირდაპირი დამატება – ირიბი დამატება) პირდაპირ შესატყვისს, კერძოდ, ქვემდებარის ცნებასთან არ ასოცირდება რომელიმე კონკრეტული სიღრმული ბრუნვა. სწორედ ამიტომ ნ. ხომსკისაგან განსხვავებით ჩ. ფილმორს არ შეეძლო ქვემდებარის ან ლოგიკური სუბიექტის დაშვება წინადადების სიღრმულ ნაწილში.

სემანტიკური ბრუნვების მქონე სიღრმული წინადადება უცნობი იყო როგორც ტრადიციული, ისე გენერაციული გრამატიკისათვისაც. ახალი თეორიის პრინციპებს ჩ. ფილმორი გვთავაზობს „ბრუნვათა გრამატიკაში“: წინადადების სემანტიკა შედგება მოდალობისა და პროპოზიციისაგან (S-M-P);პროპოზიცია უნდა შეიცავდეს ერთ სემანტიკურ ბრუნვას მაინც და არც ერთი ბრუნვა არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი პროპოზიციაში ორჯერ. პროპოზიციები შეიძლება გამოვხატოთ შესაბამისი ფორმულებით: V+A; V+O+A; V+D; V+O+I+A და ა. შ. სემანტიკურ ბრუნვათა შეხამება, ერთი მხრივ, განსაზღვრავს წინადადების ტიპს, ხოლო, მეორე მხრივ,ზმნების კლასიფიკაციის საფუძველია. ტრადიციული სინტაქსის თვალსაზრისით, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ სინტაქსური (ზედაპირული) ანალიზით, წინადადებები: **Iohn broke the window „ჯონმა გატეხა ფანჯარა“** და **A hammer broke the window „ჩაქუჩმა გატეხა ფანჯარა“** ერთი ტიპისაა, სემანტიკურ– სინტაქტიკური (სიღრმული) თვალსაზრისით მოცემულ წინადადებათა ქვემდებარეები (Iohn a hummer) შეიცავენ სხვადასხვა სემანტიკურ ბრუნვას (პირველი აგენსია, მეორე – ინსტრუმენტალისი), ამიტომ ისინი უნდა მიეკუთვნოთ სხვადასხვა ტიპს. შეიძლება ითქვას **„ჯონმა გატეხა ფანჯარა ქვით“**, მაგრამ შეუძლებელია: **„ჩაქუჩმა**

გატეხა ფანჯარა ქვით“ (НЗЛ, 1981: 400).

ზმნას შესაბამის ბრუნვათა გარემოცვით ჩ. ფილმორი უწოდებს ბრუნვათა ჩარჩოს (НЗЛ. 1981:408), მაგრამ გრაფიკულად ბრუნვათა ჩარჩოებს გამოსახავს ზმნების გარეშე, იგი წერს: „ ზმნა რან შეიძლება ჩაისვას ჩარჩოში [— A]; sad (სევდიანად ყოფნა) – [—D]; open – [—O+A]; murder (მოკვლა) – [— D+A]; give – [— O+D+A]“ (НЗЛ 1981, 409). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ერთსა და იმავე ბრუნვათა ჩარჩოში შეიძლება ჩაისვას მრავალი ზმნა, მაშინ გასაგები იქნება ავტორის მცდელობა მიანიჭოს ბრუნვათა ჩარჩოს ავტონომიურობა. ჩ. ფილმორი დაუშვებს განსახილველი ცნების უფრო ვიწრო (ზნმის გარეშე) განმარტებასაც: „ბრუნვათა ჩარჩო არის ბრუნვათა შეხამება“ (НЗЛ, 1981:408). ისე , როგორც იუპიტერის თავიდან შობილი ქალღმერთი მინერვას წარმოშობა განსაზღვრავს მის დამოკიდებულ მიმართებას იუპიტერთან, ლ. ტენიერის აქტანტებიც განუყოფლად დაკავშირებული არიან მათ „აღმომცენებელ“ ზმნასთან. მაგრამ ჩ. ფილმორის სიღრმული ბრუნვები აქტანტების მხოლოდ უნივერსალური როლებია და მათი წარმომშობი გონი აყალიბებს ზმნების სემანტიკასაც. ამიტომ აძლევს ამერიკელი ენათმეცნიერი თავს უფლებას განაცხადოს: „თუ listen (მოსმენა) ზმნის შემთხვევაში იგარაუდება პირის აქტიური მონაწილეობა მოქმედებაში, ეს ფაქტი შედეგია A (აგენსის) არსებობის და არა ზმნის განსაკუთრებული მნიშვნელობის“ (НЗЛ, 1981:415). ბრუნვათა გრამატიკაში ზმნები განსხვავდება ერთმანეთისაგან სემანტიკური ბრუნვებით, მაგრამ არაფერია ნათქვამი სემანტიკური ბრუნვების ზმნურ წარმომავლობაზე, რაც ნაკარნახევი უნდა იყოს უფრო ავტორის პოზიციით, ვიდრე რეალური ვითარებით. თუ ლ. ტენიერთან ყურადღების ცენტრშია მის მიერ აღმოჩენილი აქტანტები, ჩ. ფილმორის კონცეფციის მთავა-

რი ცნება სემანტიკური ბრუნვებია. ნაშრომის მეორე ნაწილში, რომელიც გამოვიდა რამდენიმე წლის შემდეგ სათაურით „საქმე ბრუნვის შესახებ იხსნება ისევ", წინადადების სემანტიკური ნაწილის განხილვა მიიყვანს ჩ. ფილმორს ლოგიკურ აუცილებლობამდე მიმართოს სინამდვილეს, რადგან იგი გაიზიარებს იმ ჭეშმარიტებას, რომ „მნიშვნელობები განპირობებულია სიტუაციებით" (НЗЛ, 1981:497). ამჯერად სინტაქსური ანალიზის დროს ჩ. ფილმორი ითვალისწინებს რეალურ მოვლენებსაც. „ჩვენოვის არსებობენ სცენები ანუ სიტუაციები მათი მონაწილეთა ფუნქციებით", – გვამცნობს იგი (НЗЛ, 1981:529). ასე, მაგალითად, რეალური სინამდვილის გამო ყველა ენაში ფიზიკური ტკივილის გამომხატველი ფორმა ერთნაირად გულისხმობს ტკივილის მიზეზს, ტკივილის ადგილს, ტკივილის განმცდელ არსებას (НЗЛ, 1981:504). სინამდვილის ენაში ასახვის პრობლემა გაჩნდა ლინგვისტიკამდე, ყველაზე ახლოს მის გადაწყვეტილებამდე მივიდნენ ჩ. პირსი და ფ. სოსიური. ჩ. ფილმორსაც სურს, წილი შეიტანოს ენობრივი რეფერენციის ახსნაში, მით უმეტეს, რომ მის მხარეზეა სიღრმული ბრუნვების კონცეფცია. მისი მეშვეობით მან უნდა გვაჩვენოს სინამდვილის წინადადებაში ასახვის პროცესი, ხოლო შედეგმა თავის მხრივ მეცნიერულად უნდა გაამართლოს სიღრმული ბრუნვების იდეა. მაგალითად ჩ. ფილმორი გვთავაზობს ყიდვა-გაყიდვის სიტუაციას, რომელიც საჭიროებს შემდეგ ელემენტებს: მყიდველს, გამყიდველს და საქონელს. ამ სიტუაციის შესახებ წინადადების შედგენა გვაიძულებს ავირჩიოთ მასზე კონკრეტული თვალსაზრისი (პერსპექტივა). ამას, ავტორის თანახმად, ჩვენ ვაკეთებთ ზმნის გამოყენებით, რომელიც გამოყოფს ყიდვა-გაყიდვის სიტუაციის კონკრეტულ ასპექტს და რთავს პერსპექტივაში სიტუაციის ელემენტებს – სიღრმულ ბრუნვაში მდგომ

სახელებს, პირველ რიგში აგენსს და პაციენსს. „თუ მე მსურს შევჩერდე გამყიდველისა და საქონლის პერსპექტივაზე, მე ვიყენებ ზმნას **sell** „გაყიდვა“, თუ მე მჭირდება მყიდველისა და ფულის პერსპექტივა, მე ვიყენებ ზმნას **spend** „ხარჯვა“, თუ მსურს ჩავრთო პერსპექტივაში ან მყიდველი და ფული ან მყიდველი და გამყიდველი, მე ვიყენებ ზმნას **pay** „გადახდა“, თუ მესაჭიროება ავირჩიო საქონლისა და ფულის პერსპექტივა, მე ვიყენებ ზმნას **cost** „ღირებულება“ (НЗЛ, 1981:518).

ამრიგად, სინამდვილის გადმოსაცემად მთქმელი ირჩევს ზმნას, რომელიც განსაზღვრავს წინადადების სიღრმული სტრუქტურის სახელთა რაოდენობას და მათ შორის მიმართებებს. სინამდვილე აისახება სიღრმულ სტრუქტურაში სემანტიკურ-სინტაქტიკური მიმართების (ბრუნვათა ჩარჩოს) სახით. ჩ. ფილმორის თქმით, ბრუნვათა ჩარჩო ხიდია წინადადებასა და რეალურ სიტუაციას შორის, იგი „ანიჭებს სემანტიკურ-სინტაქტიკურ როლებს რეალური ან წარმოსახული სიტუაციის კონკრეტულ მონაწილეებს“ (НЗЛ, 1981:499), რის შედეგადაც წარმოიქმნება წინადადებათა სემანტიკა – „კოგნიტური სცენები“ (НЗЛ, 1981:519). არც ერთი „კოგნიტური სცენა“ არ წარმოადგენს სიტუაციას მთლიანად. წინადადებები: გამყიდველი ყიდის საქონელს; მყიდველი იხდის ფულს; მყიდველი უხდის ფულს გამყიდველს; საქონელი ღირს ფული; საქონელი გაიყიდა და ა. შ. გადმოსცემენ ყიდვა-გაყიდვის ვითარებას განსხვავებული პერსპექტივით, თითოეული პერსპექტივა (კოგნიტური სცენა) რეალური ვითარების ნაწილობრივი, მაგრამ სემანტიკურ-სინტაქტიკური თვალსაზრისით გარკვეული სურათია. სიტყვა „გარკვეული“ ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან კოგნიტური სცენისაგან განსხვავებით ყიდვა-გაყიდვის რეალური ვითარება ცნობიერებისთვის გაურკვევე-

ლია, მის მონაწილეთა როლები წინადადების გამოყენებამდე უცნობია: აგენსი შეიძლება იყოს როგორც მყიდველი, ისე გამყიდველიც, პაციენსი – საქონელიცა და ფულიც. ბრუნვათა ჩარჩოს მეშვეობით მთქმელი აკუთვნებს სემანტიკურ როლებს რეალური სიტუაციის ელემენტებს და ამით ენას შეაქვს გარკვეულობა რეალურ ვითარებაში. სემანტიკურ ბრუნვებში მდგომი სახელები (აგენსი, პაციენსი, ობიექტივი, დატივი, ინსტრუმენტალისი, ფაქტიტივი, ლოკატივი და ა. შ.), ერთი მხრივ, ასახავენ რეალური სიტუაციის ელემენტებს, ხოლო, მეორე მხრივ, ზედაპირულ სტრუქტურაში ისინი გამოდიან როგორც წინადადების წევრები (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება) და ამით რეალიზდება „წინადადების ბირთვული გრამატიკული მიმართებები“ (НЗЛ, 1981:498). ასე რომ სიღრმულ ბრუნვათა იერარქია განაპირობებს, მაგრამ არ უდრის ზედაპირული სტრუქტურის სინტაქსურ მიმართებებს. ძნელია არ დაეთანხმო ჩ. ფილმორს იმაში, რომ ბრუნვათა გრამატიკა ეხება წინადადების როგორც სემანტიკურ, ისე სინტაქსურ ორგანიზაციას.

უდავოა ის ფაქტი, რომ ლ. ტენიერის სინტაქსურმა სწავლებამ ერთგვარი ბიძგი მისცა ჩ. ფილმორს სიღრმული ბრუნვების შესახებ თეორიის შესაქმნელად, ცნობილია ისიც, რომ ამ თეორიაში წარმოდგენილი წინადადებაში მოდალობისა და პროპოზიციის გაყოფა სათავეს იღებს სხვა ფრანგ ენათმეცნიერთან შ. ბალისთან.

ძირითადი ცნებები

სემანტიკური როლი; სინტაქსური როლი; სემანტიკური ბრუნვები; სიღრმული სტრუქტურა; ფარული გრამატიკული კატეგორია; ზედაპირული სტრუქტურა; ბრუნვათა

გრამატიკა; ბრუნვათა ჩარჩო; სიღრმულ ბრუნვათა იერარქია.

საჭირო ტერმინები

სიღრმული ბრუნვები – იგივეა, რაც სემანტიკური ბრუნვები ან სემანტიკური როლები;

ბენეფიციანტი – იგივეა, რაც ბენეფაქტივი;

პროპოზიცია – სემანტიკური ბრუნვების შემცველი წინადადების კომპონენტი;

სიღრმული – ჩ. ფილმორთან: წინადადების სემანტიკურ-სინტაქტიკური კომპონენტი;

პერსპექტივა – წინადადების სემანტიკაში ასახული რეალური სიტუაციის ასპექტი;

კოგნიტური სცენა – წინადადების სემანტიკაში ასახული რეალური სიტუაციის პერსპექტივა; სინამდვილის სემანტიკურ – სინტაქტიკური სურათი.

საკონტროლო კითხვები

1. რა განსხვავებაა ლ. ტენიერის აქტანტებსა და ჩ. ფილმორის სემანტიკურ ბრუნვებს შორის?
2. რა განსხვავებაა სიღრმული სტრუქტურის ხედვაში ნ. ხომსკისა და ჩ. ფილმორის კონცეფციებში?
3. რისგან შედგება სიღრმული წინადადების პროპოზიცია ჩ. ფილმორთან?
4. რას გამოხატავენ სემანტიკური ბრუნვები?
5. რით არის განპირობებული სემნატიკური ბრუნვების უნივერსალური ხასიათი?

6. რატომ მიიჩნევს ჩ. ფილმორი მართებულად გრამატიკის მთავარ ნაწილად ვალიაროთ სინტაქსი?
7. შეიძლება თუ არა ერთი და იგივე წიდადების წევრი ასრულებდეს სხვადასხვა სემანტიკურ როლს?
8. რა სახის მიმართებებს, სიღრმულს თუ ზედაპირულს, გამოხატავენ სემანტიკური ბრუნვები?
9. არსებობს თუ არა ცალმხრივი ფიქსირებული შესატყვისობა წინადადების წევრებსა და სემანტიკურ ბრუნვებს შორის?
10. რატომ ვერ დაუშვა ჩ. ფილმორმა ქვემდებარე წინადადების სიღრმულ ნაწილში?
11. რას გულისხმობს ჩ. ფილმორთან მისი თეორიის დასახელება „ბრუნვათა გრამატიკა“?
12. რას განსაზღვრავს სიღრმულ ბრუნვათა შეხამება?
13. რას უწოდებს ჩ. ფილმორი „ბრუნვათა ჩარჩოს“?
14. რატომ გამოსახავს ჩ. ფილმორი ბრუნვათა ჩარჩოს გრაფიკულად ზმნების გარეშე?
15. რის საფუძველზე ანიჭებს ჩ. ფილმორი ბრუნვათა ჩარჩოს ავტონომიურობას?
16. რომელი ჭეშმარიტების აღმოჩენა დააწერინებს ჩ. ფილმორს თავისი თეორიის მეორე ნაწილს „“საქმე ბრუნვის შესახებ იხსნება ისევ“ ?
17. რა დაისახა მიზნად ჩ. ფილმორმა თავისი თეორიის მეორე ნაწილში?
18. შეუძლია თუ არა ადამიანს, ჩ. ფილმორის თეორიის თანახმად, წინადადების მეშვეობით სემანტიკურად ამოწუროს რეალური სიტუაცია?
19. რის გამოყენებით ირჩევს მთქმელი პერსპექტივას წინადადების შექმნის დროს?
20. რა ფორმით აისახება სინამდვილე წინადადებაში?

დავალება

გამოყავით სემანტიკური ბრუნვები

1. სესილიმ გამოაცხო ნამცხვარი.
2. ნიკო ავიდა ხეზე.
3. გლეხმა ცელით მოთიბა კორდი.
4. ჩვენ სიხარულით შევხვდით ქალაქიდან ამოსულ სტუმრებს.
5. ვანომ ტელეფონით მიულოცა მეგობარს გამარჯვება.
6. მამამ ქალიშვილს აჩუქა წიგნი.
7. არჩილმა კონიაკი გადაჰკრა.
8. მარიამმა ბებიას მოუკრიფა მსხალი საკრეფელათი.
9. ეს ლექსი ქობულეთში დავწერე.
10. იგი მადებდა ცივ საფენებს გასივებულ ცხვირზე.
11. მეზობლის ბიჭმა წერილი გადმომცა.
12. სარკეში მე დაეინახე ორი თვალი, საოცრად შავი, თბილი და ლამაზი .

§ 4. წინადადების სუბიექტური და ობიექტური სემანტიკა

დიონისეს განმარტებაში „წინადადება არის სიტყვათა შეხამება, რომელიც გამოხატავს დასრულებულ აზრს," არისტოტელესეული „აზრი" არ ეხება შინაარსს, იგი ნიშნავს მხოლოდ მტკიცებას, ე.ი.ობიექტურ ლოგიკურ სტრუქტურას, მსჯელობას. ამიტომ „დიონისეს წინადადებაში" არ რჩება ადგილი სუბიექტურისთვის. ფრანგი ენათმეცნიერი შარლ ბალი (1865-1947) ნაშრომში „Linguistique generale et linguistiqne française" (1950წ.) გვთავაზობს აზრის უფრო ფართო გაგებას, ვიდრე არისტოტელესთან: „იაზროვნო ნიშნავს, გამოიტანო მსჯელობა საგნის ყოფნა– არყოფნის შესახებ, ან განსაზღვრო, სასურველია იგი თუ არა, ან გამოხატო მისი ყოფნა– არყოფნის სურვილი... პირველ შემთხვევაში გამოხატავენ მსჯელობას ფაქტის შესახებ, მეორეში – მსჯელობას ფაქტის ღირებულების შესახებ, მესამეში – ნებისყოფის გამოვლენას" (Ш.Балли, 1955:43). აზრი დაშვებული როგორც სამმხრივი (მტკიცების, გრძნობა-შეფასების, ნებისყოფის) აქტი მიიყვანს ფრანგ ენათმეცნიერს იმ დასკვნამდე, რომ აზრი არ დაიყვანება უბრალო წარმოდგენამდე, რომელიც გამორიცხავს მოაზროვნე სუბიექტის რაიმე აქტიურ მონაწილეობას (Ш.Балли, 1955:44). პირიქით, სუბიექტის მონაწილეობა აზრის ჩამოყალიბებაში იმდენად აქტიურია, რომ არ შეიძლება არ აისახოს წინადადების სემანტიკაშიც. ამიტომ ყოველი წინადადება შედგება ორი ნაწილისაგან: ერთი გამოხატავს სინამდვილის ობიექტურ წარმოდგენას (მაგალითად, წვიმს), მას შ. ბალი უწოდებს ლოგიკიდან ნასესხებ ტერმინს **დიქტუმი**, ხოლო მეორე ნაწილი – **მოდუსი** შესაბამისი ზმნებით (მაგალითად, ვფიქრობ, მიხარია, მსურს...) გამოხატავს მოლაპარაკე სუბიექტის მოდა-

ლობას. შეადარეთ: **მე ვფიქრობ, რომ წვიმს; მე მიხარია, რომ წვიმს; მე არ მსურს, რომ გაწვიმდეს** და ა.შ. წინადადებების სუბიექტი, როგორც წესი, პირველი პირი (მსურს, მიმაჩნია, დარწმუნებული ვარ) შეიძლება იდგს მრავლობით რიცხვშიც (მაგალითად, **ჩვენ არ გვჯერა, რომ ხვალ იქნება წვიმა**) ან იყოს განუსაზღვრელი (**მიიჩნევენ, რომ მეფე მოკვდა**), მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი მოდალურია. ეს ასპრი შ. ბალისთან გამოხატულია მეტაფორულად: „მოდალობა წინადადების სულია“ (Ш. Балли, 1955:44).

წინადადების მოდუსად და დიქტუმად გაყოფის აუცილებლობა დასტურდება ფრანგი მეცნიერის დაკვირვებით კითხვით წინადადებებზე: არც ერთი კითხვა არ დაესმის მოდუსს და დიქტუმს ერთდროულად. კითხვა შეიძლება ეხებოდეს:

1. დიქტუმის ნაწილს (ვინ გავიდა?) .
2. მთლიანად დიქტუმს (რა მოხდა?).
3. მოდუსის ნაწილს (პაველ სკოლაში წავიდა?).
4. მთლიანად მოდუსს (პაველ აქ არის?).

რეალური კითხვა შეიძლება იყოს დიქტალური (ეხება დიქტუმს) ან მოდალური (ეხება მოდუსს) (Ш. Балли, 1955: 47). განხილული შ. ბალის კონცეფცია შეიცავს იმ აღმოჩენას, რომ წინადადების სემანტიკა არ არის განპირობებული მხოლოდ ობიექტური სინამდვილით, რეფერენციულ მნიშვნელობას თან ერთვის სუბიექტის მიერ ჩამოყალიბებული საზრისებიც, ყველა მათგანს ჯერ დაერქვა შ. ბალის ტერმინი (მოდალობა), ხოლო შემდგომში წინადადების სუბიექტური საზრისების უფრო დაწვრილებით შესწავლის შედეგად მათი ნაწილი მიიღებს სხვა კვალიფიკაციას, შესაბამისად შ. ბალის მოდალობაც – უფრო

სპეციფიკურ, ვიწრო გაგებას. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

1. ჩვენი გუნდი კარგად თამაშობს.
2. ჩვენმა გუნდმა კარგად უნდა ითამაშოს!
3. საღამოს ქალაქში ტარდება კარნავალი.
4. ავტობუსი მოვიდა გვიან?
5. ავტობუსი მოვიდა გვიან.
6. ჩვენი გუნდი კარგად ითამაშებდეს!
7. მგონი, საღამოს ქალაქში ტარდება კარნავალი.
8. ავტობუსმა რომ დაიგვიანოს?
9. საღამოს ქალაქში ნამდვილად ტარდება კარნავალი.
10. სამწუხაროდ, ავტობუსი მოვიდა გვიან.

მოყვანილ ათ წინადადებაში ასახულია ობიექტური სინამდვილის სამი სურათი (დიქტუმი), მეორე მხრივ, ერთი და იგივე დიქტუმი გამოხატულია სხვადასხვა მოდალური შეფერილობით. დიქტუმი არ ეკუთვნის ერთ რომელიმე წინადადებას, მაგლითად, მტკიცებას, არამედ გადმოიცემა მრავალი წინადადებით:

1. ძმა მიდის უნივერსიტეტში. (მტკიცება)
2. ძმა არ მიდის უნივერსიტეტში. (მტკიცება უარყოფით)
3. ძმა მიდის უნივერსიტეტში? (კითხვა)
4. ძმაო, წადი უნივერსიტეტში! (იმპერატივი)
5. ძმა წავიდოდეს უნივერსიტეტში. (ნატვრა)
6. ძმა უნდა წავიდეს უნივერსიტეტში. (ჯერარსობა)
7. მგონი, ძმა მიდის უნივერსიტეტში. (ეჭვი)
8. დარწმუნებული ვარ, ძმა მიდის უნივერსიტეტში. (დარწმუნება)

9. **რა კარგია, ძმა რომ მიდის უნივერსიტეტში.** (შეფასება)
10. **ძმას შეუძლია მივიდეს უნივერსიტეტში.** (საშეძლებლობა)
11. **ვიმედოვნებ, ძმა წავა უნივერსიტეტში.** (მენტალური მდგომარეობა)

ერთი და იმავე დიქტუმის მქონე წინადადებები ქმნიან ერთ მოდალურ-კომუნიკაციურ პარადიგმას. თანამედროვე ლინგვისტიკაში „დიქტუმის“ მნიშვნელობით გამოიყენება ლოგიკიდან ნასესხები ლათინური ტერმინი „პროპოზიცია“. დიქტუმი-პროპოზიცია ის ობიექტური შინაარსია (სემანტიკური ინვარიანტი), რომელიც საერთოა ერთ მოდალურ-კომუნიკაციურ პარადიგმაში შემავალი წინადადებებისათვის.

ინფორმაციის გადამცემი მოწყობილობა (რადიო, მაგნიტოფონი, კომპიუტერი) მასში შეყვანილ ინფორმაციას გადასცემს ისე, რომ არ შეუძლია გამოხატოს საკუთარი შეხედულება გადაცემული ინფორმაციის შესახებ. ადამიანს, პირიქით, ინფორმაციის გადაცემის დროს არ შეუძლია თან არ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება გადაცემული ინფორმაციის მიმართ. მთქმელის დამოკიდებულება წინადადების ობიექტური შინაარსის (პროპოზიციის) მიმართ და ამიტომ სინამდვილის მიმართაც შეადგენს წინადადების მოდალობას, ა. ვეუბიცკაიას ტერმინის გამოყენებით – „მოდალურ ჩარჩოს“ („ჩარჩო“ აქ გულისხმობს წინადადების არაპროპოზიციურს, მაგრამ აუცილებელ სემანტიკურ ნაწილს). დღეს ლინგვისტები აღარ მიიჩნევენ მოდალურად პროპოზიციის გარეთ დარჩენილ წინადადების ყველა სემანტიკურ კომპონენტს, მაგრამ რომელი მათგანი მიეკუთვნება მოდუსურს – ეს საკითხი საკამათოა სპეციალისტებს შორის. მოდალურია მთქმელის მიერ პროპოზიციის შეფასება რეალური/ირეალურის

თვალსაზრისით, გამოიხატება ზმნის კილოს მორფოლოგიური ფორმებით. კილოს გრამატიკულ კატეგორიას ძველ ბერძნულში და შემდეგ ლათინურშიც **modus** ეწოდებოდა. თხრობითი კილო (Indicative) წარმოადგენს პროპოზიციას, როგორც რეალურ ფაქტს, რომელიც ხდება ერთერთ დროში (ახლანდელში, წარსულში, მომავალში), მაგალითად: **წვიმს! წვიმდა. გაწვიმდება;** სხვა კილოში ზმნები ანიჭებენ პროპოზიციას ირეალურ მოდალურ მნიშვნელობას: **მინდა გაწვიმდეს! გაწვიმდებოდეს! რომ გაწვიმდეს.., იწვიმოს!** მათ შორის კითხვითი ფორმაც: **გაწვიმდა?** ტრადიციული გრამატიკა განასხვავებს ობიექტურ (გამოხატავს პროპოზიციის მიმართებას სინამდვილესთან) და სუბიექტურ (გამოხატავს მთქმელის მიმართებას პროპოზიციასთან) მოდალობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი გაყოფა პირობითია; ობიექტური მოდალობაც სინამდვილეში სუბიექტურია, რადგან ამ შემთხვევაშიც პროპოზიციის მიმართებას სინამდვილესთან წყვეტს სუბიექტი. ზმნის კილოს ფორმების გარდა მოდალობას მთქმელი გამოხატავს სიტყვებით, თქმებით, წინადადებებით, რომლებიც არ არიან სინტაქსურად დაკავშირებული წინადადების წევრებთან. მოდალობის გამომხატველი სიტყვები, წინადადებები ჩართულია (უკეთ რომ ვთქვათ, თანდართულია) წინადადებაში, რადგან მოდალური მნიშვნელობა, რომელსაც ისინი გამოხატავენ, ეხება პროპოზიციას, მაგრამ არ არის ამ უკანასკნელის შემადგენელი ნაწილი. ისე, როგორც ჩარჩო ფიზიკურად ეხება სურათს, მაგრამ არ არის გამოსახულის უშუალო ნაწილი. ამასთან ერთად, სურათის ჩარჩო სურათის შესაძლებელი კომპონენტია, მისგან განსხვავებით, მოდალური ჩარჩო წინადადების აუცილებელი ნაწილია. ჩართული სიტყვებით გადმოიცემა შემდეგი მნიშვნელობა: 1) მთქმელის დარწმუნება, უეჭველობა პროპოზიციის ნამდვილობაში: უეჭვე-

ლად; უეჭველი; უთუოდ; უსათუოდ; რა თქმა უნდა; რასაკვირველია; თავისთავად ცხადია; მართლა; მართლაც; უდაოა; ბუნებრივია; ნაღდი; ნაღდად. რუს.: несомненно; бесспорно; разумеется; действительно. ინგ. : necessarlly; realy; undoubtebly; of course; naturaly. 2) მთქმელის ეჭვი პროპოზიციის შესაძლებლობის თაობაზე: მგონი; ალბათ; როგორც ჩანს; ეტყობა; ჩანს; თუ არ ვცდები; შეიძლება; საფიქრებელია; რამდენადაც ვიცი; შეიძლება დარჩეს. რუს. Наверное; по-видимому; скорее всего; может быть; ინგ. maybe; surely; presumably; if not mistaken. 3) პროპოზიციის ჩვეულებრივობა: ჩვეულებრივ; ჩვეულებისამებრ; როგორც სდება (ხოლმე); როგორც მიღებულია (ამ დროს, ამ შემთხვევაში), როგორც ყოველთვის. რუს. Как обычно; как водится; как принято, как всегда. ინგ. უსუალლყ; ნორმალლყ; ას ადოპტედ; ას ალწაყს. 4) პროპოზიციის ემოციური შეფასება: საბედნიეროდ (ჩემთვის, ჩემდა, ჩვენდა); სასიხარულოდ; სამწუხაროდ; საუბედუროდ; ჩემდა გასაკვირად; ჩვენდა სასირცხოდ; ბედზე; ჯიბრზე; ჩვენდა გასაოცრად. რუს. к радости; на радость; к огорчению; к счастью; к удивлению; к досаде; к изумлению; как нарочно; чего доброго; неровён час; странное дело; удивительное дело. ინგ. fortunately unfortunately; to the delight; to the surprised; In sprite. 5) მთქმელი ამცნობს ინფორმაციის წყაროს: ჩემი აზრით; მისი თქმით; როგორც ამბობენ; გაზეთების ცნობით; როგორც მახსოვს; როგორც მახსენდება; ჩემი შეხედულებით. რუს. по слухам; по его мнению; по её словам; согласно Платону. ინგ. In my opinion; as the saying; how to notity; as we recoll. 6) მთქმელი აფასებს პროპოზიციის გამოხატვის ფორმას, სტილს: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ; სხვაგვარად; მოკლედ რომ ვთქვათ; უკეთ რომ ვთქვათ; უბრალოდ რომ ვთქვათ; უხეშად რომ ვთქვათ;

მძიმედ“რომ ვთქვათ; ასე ვთქვათ; უფრო სწორად; თუ შეიძლება ასე ითქვას. რუს. одним словом; другими словами; коротко говоря; мягко говаря; так сказать; точнее говоря; проще говоря; прямо говоря. ინგლ. In a word; in other wards; in short; frankly; more precisely; in our `own word; sumply put; rougly; so to speak; to put it mildly. 7) მთქმელის განწყობა, ექსპრესია: გამოგიტყდებით; მოდით პირდაპირ ვთქვათ; ჩვენ შორის რომ ვთქვათ; მე თქვენ გეტყვით; გარწმუნებთ; სერიოზულად; ხუმრობის გარეშე; სასაცილოა ითქვას; სამართლიანად რომ ვთქვათ. რუს. признаться сказать; не буду скрывать; хочу вам сказать; позволю себе заметить; смею полагать; смею надеяться; по секрету скажу.

ინგლ. I assure; confess; tunny to say; seriously. 8) მთქმელის დამოკიდებულება აზრების თანმიმდევრობასთან, თქმულის ნაწილების ურთიერთმიმართებასთან: ჯერ ერთი ; მეორეც; ამრიგად; მაშასადამე; მერმე კიდევ; თანაც; ამასთან ერთად; უფრო მეტიც; მაგალითად; პირიქით; სხვათა შორის; ეიმეორებ; როგორც აღვნიშნეთ; და ბოლოს; კერძოდ. რუს. таким образом;более того; следовательно; между прочим; как я отметил. ინგლ. We can say; conversely; among other things; repeat; canceled; to gether with the; further more; remind; . 9) მიმართვა გარკვეული რეაქციის გამოწვევის მიზნით: წარმოიდგინეთ; მომისმინეთ; მერწმუნეთ, დამეთანხმებით, მიმიხვდით , როგორც თავადაც მოხვდებოდით, ნუ დაიეიწყებთ; ნუ გაგიკვირდებათ; იცით; თავად განსაჯეთ; არ დაიჯერებთ და; დამიჯერეთ; თუ გნებავთ; გესმით თუ არა. რუს. знаете ли; видите ли; понимаете ли; представьте себе; помилуйте; скажи на милость; заметьте; если хочешь знать. ინგლ. you see; in a word.

10) ალერსი, ფიცილი: შენი ჭირიმე; გენაცვალე; თქვენმა მზემ; ღმერთმანი; შენ ნუ მომიკვდები; შენს გაზრდას. რუს.голубчик; милый мой; дорогая моя . 11) არანამდვილობა: ვითომდა; თითქოსდა. რუს.будто бы; якобы. ინგლ. allegedly...

მოდალური მნიშვნელობები შეიძლება გამოიხატოს როგორც სიტყვებით, (ნამდვილად; ალბათ; სამწუხაროდ), ისე წინადადებებითაც (მე მგონია;მე ღრმად ვარ დარწმუნებული; თქვენ თავად მოგეხსენებათ). მოქმელმა დამატებითი ინფორმაცია შეიძლება დაურთოს უშუალოდ პროპოზიციას (ძირითად შინაარსს). ქართული გრამატიკული ტრადიცია ამგვარ ჩანართებს უწოდებს ისევ „ჩართულს“, რუსული ამჯობინებს გამოიყენოს განსხვავებული ტერმინები:“ вводные слова и предложения“ (შემყვანი სიტყვები და წინადადებები) მოდალური მნიშვნელობებისთვის და „вставные конструкции“ (ჩასმული კონსტრუკციები) პროპოზიციული შინაარსისთვის: **როცა ლექცია დამთავრდა (იგი გრძელდებოდა ერთ საათს) ჩვენ დავტოვეთ აუდიტორია; ლექცია (მე ეს შემდეგ გავიგე) ძალიან საინტერესო იყო.**

§ 5. კომუნიკაციის ლოგიკური მოდალობის ფაქტორი


ენობრივ მოდალობასთან ერთად წინადადებას მოეპოვება ლოგიკური მოდალობაც. ლოგიკის მთავარი ამოცანაა დაადგინოს წესები, რომლებიც იძლევა საშუალებას მიღებული მტკიცებებიდან გამოვიყვანოთ ახალი. ამიტომ ლოგიკის ობიექტი მტკიცების შემცველი გამონათქვამია (მსჯელობა), რომელიც წარმოადგენს სუბიექტისა და პრედიკატის შეხამებას. გრამატიკის მსგავსად ლოგიკაშიც მოდალობა ნიშნავს მსჯელობის დამატებით ინფორმაციას, რომელიც შეიცავს ძირითადი ინფორმაციის – სუბიექტთან პრედიკატის დაკავშირების – სხვადასხვა მახასიათებელს, კერძოდ, იმას, როგორია პრედიკატული კავშირი: აუცილებელი, შემთხვევითი, შესაძლებელი, შეუძლებელი, სავალდებულო, ნამდვილი თუ პრობლემატური. დასახელებული მოდალური ცნებები აკონკრეტებენ გამონათქვამის ლოგიკურ კავშირს (პრედიკაციას), აფასებენ მას სხვადასხვა კუთხით: მოდალური მნიშვნელობები, „აუცილებელი," „შემთხვევითი", „შესაძლებელი", „შეუძლებელი" ჭეშმარიტების მხრიდან. ძველ ბერძნულ ენაში ჭეშმარიტებას ერქვა ალეთეა, ამიტომ ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ ალეთეურ მოდალობაზე. ლოგიკური კავშირი „აუცილებელია", თუ კი ის წარმოადგენს ლოგიკის ან მეცნიერების კანონს, პირველ შემთხვევაში იგი აპოდიქტურია, მაგალითად, **„ნაწილი მთელზე ნაკლებია"**, მეორეში – ასერტორიულია (განპირობებულია რეალური ფაქტებით), მაგალითად, **„ ხიდან ჩამოვარდნილი ვაშლი დაეცა მიწას."** ასერტორიული მტკიცება შეიძლება იყოს შემთხვევითი **(„მე დავიბადე ბათუმში")**, შესაძლებელი **(„ჩვენი გუნდი ხვალ გაიმარჯვებს")**, ან შეუძლებელი **(„მსოფლიო პირველობა ფეხბურთში ტარდება არქტიკაში")**.

ამასთან ერთად, გამონათქვამით გამოხატული მტკიცება წარმოაჩენს მოქმელის ცოდნას სინამდვილის შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს ნამდვილი ან პრობლემატური. ნამდვილი მტკიცება წარმოადგენს საკმაოდ დასაბუთებულ ცოდნას, მაგალითად **„გივი მოვიდა“**, პრობლემატური – არასაკმაოდ დასაბუთებულს: **„გივი უკვე უნდა მოსულიყო“; „შეიძლება გივი მოვიდა“**. პრედიკაციის ამ მოდალურ მახასიათებელს ჰქვია ეპისტემური: ძველ საბერძნეთში Episteme ნამდვილ ცოდნას ნიშნავდა. ზნეობრივი, სამართლებრივი და სხვა ნორმათა თვალსაზრისით გამონათქვამი შეიძლება იყოს ნორმატიული (პრესკრიფციული) და გამოხატავდეს „მოვალეობას“, „ნებართვას“, „აკრძალვას.“ აღნიშნული მნიშვნელობები შეადგენენ დეონტურ მოდალობას (deon-ბერძ:“მოვალეობა“). დეონტური გამონათქვამები განსაზღვრავენ ქცევას გარკვეულ ნორმებთან მიმართებაში: **„უნდა ისწავლო კარგად“, „შეგიძლიათ დაიწყოთ“, „საჭიროა დავიცვათ სიზუსტე“, „შესვლა აკრძალულია,“ „ტაძარში ყვირილი არ შეიძლება“, „თეატრში მზესუმზირას არ ჭამენ“.**

„პრაქტიკული გონის კრიტიკაში“ ი. კანტმა ზნეობა მიიჩნია გონის აპრიორულ თვისებად. ამ კონცეფციის თანახმად, გონი იმპერატიულად მოითხოვს ადამიანისგან ზნეობრივი ნორმების დაცვას. ამიტომ ყოველი ზნეობრივი წესი ადამიანისთვის იმპერატივია. სხვა გერმანელი ფილოსოფოსი ფრ. ნიცშე მოვალეობას (deon) ადამიანის დასაბამიერ თვისებად თვლიდა: „ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ლაპარაკობს „შენ უნდა...“ (Фр. Ницше,1998:391). უდავოა, რომ ლინგვისტურ და ლოგიკურ მოდალობას აქვს მენტალური საფუძველი. ადამიანი განუწყვეტლივ იმყოფება ამა თუ იმ ფსიქიკურ მდგომარეობაში, რომელიც განსაზღვრავს მის მიმართებას კონკრეტულ ფაქტებთან, ხოლო თავად იმართება ქვეცნობიერე-

ბით. შინაგანი სულიერი მდგომარეობა გამოიხატება სიტყვით. ცნობილი ფსიქოთერაპევტი, ფსიქოანალიზის დამაარსებელი ზ. ფროიდი სულიერი მდგომარეობის ანალიზით ადგენდა დაავადების სიმპტომებს და ათავისუფლებდა პაციენტს აფექტებისაგან. ზ. ფროიდი არ იყენებდა ჰიპნოზს, პაციენტთაგან იგი მოითხოვდა მხოლოდ მოდუნებას და მასთან საუბრის დროს თავისი სულიერი მდგომარეობის გახმოვანებას. თუ ლოგიკაში არისტოტელემ აღწერა აზროვნების იმანენტური სტრუქტურები, რომლებიც არ ემორჩილება სუბიექტის ნებას, მოდალობა, პირიქით, მენტალური სივრცის სუბიექტური ნაწილია. გონის ამ სუბიექტურ მდგომარეობაზე, ნაწილობრივ წარმოდგენას იძლევა დ. უზნაძის „განწყობის“ თეორია. ქართველი ფსიქოლოგის თქმით: „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ფსიქიკური შინაარსებისა და აქტების მიმართება სინამდვილისადმი უშუალო ხასიათის არაა და რომ ის სუბიექტის განწყობითაა გაშუალებული“(დ. უზნაძე, 2004: 50). დედა, რომელიც თავის პატარას უყვება ზღაპარს ბაჭიებზე და ვაჭარი, რომელსაც ტომარაში ჩაყრილი ბაჭიები გასაყიდად მიჰყავს, გონის არა მხოლოდ ორი განსხვავებული მდგომარეობაა და, შესაბამისად, სამყაროსადმი მიმართება, არამედ ორი განსხვავებული სამყაროცაა. ისე, როგორც არ არსებობს დროში თავის თავთან აბსოლუტურად იდენტური ადამიანი. სხვადასხვა პერიოდში სინამდვილესთან მიმართებაში ადამიანი გვეელინება სხვადასხვა მენტალური მოდუსით, რომელიც განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას გამოთქმული აზრის მიმართ. რაიმეს შესახებ მტკიცების დროს ადამიანი იმყოფება გარკვეულ მენტალურ მდგომარეობაში, ამიტომ ეჭვობს, ვარაუდობს, ირწმუნება, გვავალებს, მოითხოვს, მოგვიწოდებს, აზუსტებს, მიიჩნევს შესაძლებლად ან შეუძლებლად და ა. შ. ანტიკური ფილოსოფია ჭეშმარიტებას ეძებდა იდეათა

სამყაროში და ყოველივე სუბიექტურს როგორც ობიექტური ცოდნისთვის ხელის შემშლელს ტოვებდა მეცნიერული ანალიზის გარეთ. კლასიკური ლოგიკა არ განიხილავდა მსჯელობის მოდალობას. ანტიკური მოაზროვნეების „აზრი“ მხოლოდ ამტკიცებდა საგანთა ამა თუ იმ მიმართებას , მაგრამ ყოველი აზრი თავად ქმნის სამყაროს.სუბიექტის მრავალი მენტალური მდგომარეობით განპირობებული აზრი ქმნის მრავალ სამყაროს. მოცემული სამყარო ერთ-ერთი შესაძლებელია მრავალთაგან. ამ ჭეშმარიტების აღმოჩენამ აიძულა ლოგიკოსები ეფიქრათ მოდალური ლოგიკის ჩამოყალიბებაზე, ხოლო ლინგვისტები – სინტაქსური ანალიზის საგნად გაეხადათ სუბიექტის მოდალობა. მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტური მოდალობა გარკვეულ ნაწილში ემთხვევა ლოგიკურს, ასე, მაგალითად, ლოგიკური მოდალობის ყველა სახე – ალეთეური, ეპისტემური და დეონტური სხვასთან ერთად ახასიათებს გამონათქვამს ნამდვილობის თვალსაზრისით, ხოლო ლინგვისტური მოდალობისთვისაც ნამდვილობის სემანტიკური ნიშანი ერთ-ერთი აქტუალურია, საჭიროა აღინიშნოს, რომ აზრის მოდალობა და წინადადების მოდალობა უფრო ავსებენ ერთმანეთს, ვიდრე ფარავენ. ლოგიკამ არ იცის აზრის ისეთი მოდუსები, როგორიცაა გრძნობა, სტილი, ექსპრესია, ალერსი, ფიცილი, ინფორმაციის წყაროზე მითითება, აზრთა თანმიმდევრობაზე ზრუნვა და ა. შ. თავის მხრივ, არც სინტაქსური ანალიზი არკვევს წინადადებით გამოხატული აზრის აპოდიქტურ, ასერტორიულ, შემთხვევით, შესაძლებელ თუ შეუძლებელ ხასიათს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად ლოგიკური მოდუსები გამოიხატება სიტყვებით, რომელთა გათვალისწინება გამონათქვამის პრაგმატული სემანტიკის დასადგენად ისევე საჭიროა, როგორც სინტაქსური მოდალობა.



რადგან არისტოტელეს მოძღვრების თანახმად ჭეშმარიტი ან არაჭეშმარიტი შეიძლება იყოს მხოლოდ მტკიცება ანუ კავშირი სუბიექტსა და პრედიკატს შორის, ლოგიკის მამამთავარმა თავად დაასახელა ამგვარი კავშირის სამი მახასიათებელი:

1. „აუცილებელი“(მტკიცება ემყარება ლოგიკურ ან მეცნიერულ კანონს),

2. „შემთხვევითი“ (მტკიცება დასტურდება საგანთა რეალური კავშირით).

3. “შესაძლებელი” (მტკიცება გულისხმობს საგანთა პრინციპულ შეთავსებლობას).

მათგან ცნებები: „აუცილებელი“ და „შესაძლებელი“ გვხვდება სამივე მოდალობის (ალეთეური, ეპისტემური, დეონტური) გამონათქვამში, ამიტომ მოდალურ ლოგიკაში განასხვავებენ: ალეთეურ, ეპისტემურ, დეონტურ აუცილებლობას და ალეთეურ, ეპისტემურ, დეონტურ შესაძლებლობას. გამონათქვამის საერთო სემანტიკის დადგენის თვალსაზრისით საჭიროა მათი ერთმანეთისაგან განსხვავება, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ლოგიკური ცნებები არაიშვიათად სხვადასხვა მოდალობაში გამოიხატება ერთნაირი სიტყვებით. განვიხილოთ შემთხვევები, რო-

დესაც ენობრივი ნიღბავს ლოგიკურს, რადგან განსხვაებული სემანტიკური დატვირთვით გამოყენებული გამონათქვამები გარეგნულად ემსგავსებიან ერთმანეთს. ასე, მაგალითად, აუცილებლობა თანაბრად ახასიათებს შემდეგი გამონათქვამების პრედიკაციას:

1. **„ავტომანქანას უნდა ჰქონდეს საჭე“;**
2. **„ავტომანქანა უნდა გაჰყვეს ჯგუფს;“**
3. **„ავტომანქანა უკვე უნდა იყოს ადგილზე“...**

მაგრამ სხვადასხვა ლოგიკური მოდუსით. პირველი გამონათქვამი ალეთეურია, რადგან შეიცავს ლოგიკურ აუცილებლობას: საჭის გარეშე ავტომანქანა შეუძლებელია.

მეორე გამონათქვამი დეონტურია: ლოგიკურად არ არის აუცილებელი,რომ ავტომანქანა გაჰყვეს ჯგუფს. პრედიკაცია აქ აუცილებელია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს ვიღაცის განკარგულებას. გამონათქვამისთვის „ავტომანქანა უკვე უნდა იყოს იქ“ აუცილებლობის მინიჭებით მოქმედი გამოხატავს ალბათობის (ეპისტემური მოდუსის) მაღალ ხარისხს. „მანქანა უკვე უნდა იყოს იქ“ ვარაუდია და არა ბრძანება ან მომხდარი ფაქტი. ლოგიკური მოდალობა დაკავშრებულია გამოყენების ვითარებასთან. სიტუაციაში, სადაც მამა ეხმარება სკოლამდელ შვილს სახლის დახატვაში, რეპლიკა **„სახლს უნდა ჰქონდეს კარი“** ალეთეურია, ვინაიდან მიუთითებს აუცილებელ კავშირზე სახლსა და კარს შორის. თუ ამ სიტყვებს ამბობენ სხვის სახლში ფანჯრიდან შემძვრალი მძარცველები, ეს ნიშნავს : **„გავიქცეთ კარიდან!“** ანუ მოდალობა ამ შემთხვევაში დეონტურია. აუცილებლობის მნიშვნელობა ლექსიკურად გამოიხატება შესაბამისი სიტყვით „აუცილებელი“, რომელიც ფუნქციურად განსხვავებულია სხვადასხვა მოდალობის მქონე გამონათქვამში. იგი არ სახელდება ალეთეური აუცილებლობის გამომხატველ სიტყვებს

შორის (უნდა, საჭიროა), რადგან ზედმეტია აპოდიქტურ გამონათქვამში: **„ორს მივუმატოთ ორი აუცილებლად იქნება ოთხი“, „მთელი აუცილებლად მეტია ნაწილზე“, „ერთი აუცილებლად უკეთესია მეორეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მეორე უპრესია პირველზე“.** ამგვარი გამონათქვამები მეტყველებაში შეიძლება მხოლოდ პრაგმატული დატვირთვით, როგორც აშკარა ჭეშმარიტების შეხსენება. **„აუცილებლად“** გამოხატავს მთქმელის დარწმუნებას, რომელიც აპოდიქტურ გამონათქვამში უადგილოა, მაგრამ სავსებით მისაღებია დეონტური წინადადებისთვის, სადაც სუბიექტსა და პრედიკატს შორის კავშირის აუცილებლობას ადგენს ადამიანი. გამონათქვამებში: **„მან აუცილებლად უნდა წაიკითხოს რომანი,“ „თქვენ აუცილებლად უნდა მობრძანდეთ ჩვენთან“** სიტყვით „აუცილებლად“ გამოხატული ენობრივი მოდალობა (დარწმუნება) აძლიერებს დეონტურ აუცილებლობას. დეონტური აუცილებლობა ნორმატიულია: აგენსს ევალება შეასრულოს მოქმედება ადამიანისა (ან ინსტიტუციის), რომელიც წარმოადგენს მისთვის ავტორიტეტს. ამიტომ დეონტური აუცილებლობის გამომხატველ სიტყვებს შორის: **„უნდა,“ „ევალება,“ „საჭიროა“, „უკანონოა“, „ამორალურია“.** გეხვდება სიტყვა „აუცილებელიც“, მაგრამ მხოლოდ შემასმენლის პოზიციაში, მგალითად: **„თქვენი მოსვლა აუცილებელია“, „ნებართვის აღება აუცილებელია“**; წინადადებებში **„თქვენ აუცილებლად უნდა მოხვიდეთ“, „შენ აუცილებლად უნდა აიღო ნებართვა“** სიტყვა „აუცილებლად“ გამოხატავს სუბიექტურ და არა ლოგიკურ მოდალობას. ეპისტემურ გამონათქვამში სიტყვით „აუცილებლად“ მთქმელი უფრო სარწმუნოს ხდის ოავის ვარაუდს, შეადარეთ: **„ფილმი უნდა მოგეწონოს შენ“** და**“ფილმი აუცილებლად უნდა მოგეწონოს შენ“.** სიტყვით „აუცილებელი“ პრედიკატის როლში გამოყენებით მიეიღებთ გამო-

ნათქვამს დეონტური აუცილებლობით: **„ამ ფილმის ნახვა შენთვის აუცილებელია“.**

„შეიძლება“ ცნების მთავარი ლექსიკური მარკერები (ქართ.: შეუძლია, შეიძლება; რუს. **мочь, можно**; ინგლ. **can, may**) წარმოდგელია სამივე სახის ლოგიკურ მოდალობაში. ალეთეური შესაძლებლობა გულისხმობს სუბიექტის უნარს შეასრულოს რაიმე მოქმედება: **„მას შეუძლია ცურვა“, „ნანას არ შეუძლია მოსვლა“, „მე არ შემიძლია დაგეხმარო“,** ან ობიექტის მიმართ მოქმედების შესაძლებლობას: **„მანქანა შეიძლება გაიყიდოს“, „შარვალი შეიძლება შეიღებოს“, „მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს.“** დეონტური შესაძლებლობა ესაა ნებართვა ან აკრძალვა ავტორიტეტისაგან: **„მოწვევა არ შეიძლება“, „დახმარება შეიძლება“, „შეიძლება გავიარო?“** ეპისტემური შესაძლებლობა გამოხატავს მთქმელის არასრულ ცოდნას ამბის შესახებ: **„შეიძლება ის წავიდა“, „ხვალ შესაძლებელია გაწვიმდეს“.** შეადარეთ რუს. **„он мог уехать“, „возможно завтра будет дождь“.**

ალეთეური შესაძლებლობა	მნიშვნელობა
გააკეთეთ ეს, თუ შეგიძლიათ.	თუ გაქვთ შესაძლებლობა;
იშოვეთ ფული, თუ შეგიძლიათ.	(შეთავაზება)
დაწერეთ წიგნი, ———	
მოძებნეთ მეგობარი, ———	

დეონტური	შესაძლებლობა
გააკეთეთ ეს, თუ შეიძლება.	თუ არ ეწინააღმდეგება ნორმას;
იშოვეთ ფული,თუ შეიძლება.	(თხოვნა)
დაწერეთ წიგნი, ———	
მოძებნეთ მეგობარი, ———	

ეპისტემური		
შეიძლება გააკეთოთ ეს.	}	ეგებ
შეიძლება იშოვოთ ფული.		(ვარაუდი)
შეიძლება . . .		
შეიძლება . . .		

თუ შესაძლებლობის მოდალობა მარკირებულია სიტყვების „შეუძლია“, „შეიძლება“ სინონიმებით (უნარი შესწევს, საშუალება აქვს, შესაძლებლობა აქვს, ნებადართულია, აკრძალულია, იკრძალება, გიბრძანებ; ეგებ, არ არის გამორიცხული, დასაშვებია, ჩემი ვარაუდით, და სხვა) გამონათქვამს აქვს მხოლოდ ერთი-ალეთეური, დეონტური ან ეპისტემური გაგება, მაგალითად: **„მას უნარი შესწევს გააკეთოს ეს“, „თქვენ გაქვთ დუმილის უფლება“„იარაღის ტარება აკრძალულია“, „ნებადართულია საკუთარი აზრის გამოხატვა“.** რუს. **„Разрешаю идти“, „Запрещаю выражаться“, „Опаздывать запрещено“, „Вероятно, вы правы“, „Возможно так оно и есть“.**

მარკერები „შეუძლია“ (რუს. Мочь, ინგლ. Can) და „შეიძლება“ (რუს. Можно, ინგლ. May) დაკავშირებულია ერთმანეთთან სემანტიკურად, ქართულსა და რუსულში – ეტიმოლოგიურადაც, ამიტომ ზოგიერთ კონტექსტში მოხდა მათი ურთიერთჩანაცვლებით გამოყენება, რამაც გამოიწვია „შეუძლია“ და „შეიძლება“ მნიშვნელობათა აღრევა, მათ შორის ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებშიც. ასე, მაგალითად, შეკითხვა **„შემიძლია ვნახო?“** გულისხმობს შემკითხველის მხრიდან სხვა პირისთვის მიმართულ შესაძლელობის შექმნის თხოვნას კონკრეტული მოქმედების შესასრულებლად, რაც ნებართვის აღების ტოლფასია. ამ გზით ალეთეური გამონათქვამი იქცა დეონტურად:

შემიძლია ვნახო? = შეიძლება ვნახო?

შემიძლია წავიდე? = შეიძლება წავიდე?

შემიძლია დავესწრო? = შეიძლება დავესწრო?

კითხვა **„ხომ არ შეგიძლიათ მითხრათ?“** სიტყვასიტყვით ნიშნავს: **„თუ გაქვთ პასუხის გაცემის შესაძლებლობა, მითხარით“**, ამ შინაარსით იგი არის თხოვნა პირობით და წარმოადგენს ნებართვის აღების აქტს:

ხომ არ შეგიძლიათ მითხრათ? = ხომ არ შეიძლება მითხრათ?

ხომ არ შეგიძლია დარჩე? = ხომ არ შეიძლება დარჩე?

ხომ არ შეგიძლია მაჩვენო? = ხომ არ შეიძლება მაჩვენო?

ანალოგიურად:

შეგიძლია დამელოდო? = შეიძლება დამელოდო?

შეგიძლია დააზუსტო? = შეიძლება დააზუსტო?

შეგიძლია ამიხსნა? = შეიძლება, რომ ამიხსნა?

რუსულში მოდალიზებული კითხვა **„Могу я прийти позже?“** არ ნიშნავს „მექნება თუ არა სიარულის უნარი მოგვიანებით?“ არამედ: „შემიქმნით თუ არა უფრო გვიან თქვენთან მოსვლის შესაძლებლობას?“ და ამიტომ თხოვნასთან ერთად იგი არის ნებართვის აღებაც:

Могу я прийти позже? = Можно мне прийти позже?

Можем мы рассчитывать на вас? = Можно нам рассчитывать на вас?

Могу я попросить вас о чём-то? = Можно попросить вас о чём-то?

Могу я позвонить вам вечером? = Можно вам позвонить вечером?

მაგალითების ყველა ჯგუფში მარცხენა სვეტში მოყვანილი ფორმით ალეთეური, ხოლო მნიშვნელობით

დეონტური კითხვების შემდეგ არ უნდა იყოს მოულოდნელი „შეუძლია“ სიტყვით მარკირებული ნებართვის გამომხატველი (დეონტური) პასუხებიც:

შეგიძლია ნახო! = შეიძლება ნახო!

შეგიძლია დარჩე! = შეიძლება დარჩე!

შეგიძლია დაიწყო! = შეიძლება დაიწყო!

Можете прийти позже = Вам можно прийти позже.

Можете рассчитывать на меня =Вам можно рассчитывать на меня.

Можешь позвонить мне вечером = Тебе можно позвонить мне вечером.

ინგლისური გამონათქვამის **Can I have my bill? „შემიძლია ვიქონიო ჩემი ანგარიში?“** გამოყენებით მთქმელი მსმენელს სთხოვს, მიანიჭოს მას გარკვეული მდგომარეობის (სხვა შემთხვევაში მოქმედების შესრულების) შესაძლებლობა და ამით სხვას (მსმენელს) აღიარებს თავისთვის ავტორიტეტად. ამგვარი დახვეწილი თხოვნა შეიცავს ნებართვის აღებას. მოყვანილისაგან განსხვავებით წინადადება

Can you give me the bill? „ შეგიძლიათ მომცეთ ჩემი ანგარიში?“ მოკლებულია დეონტურ დახვეწილობას, მაგრამ არა თავაზიანობას. გამონათქვამის ალეთური ფორმა უტოვებს მსმენელს არშესრულების ალტერნატივას: იგულისხმება, რომ მთქმელი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის თანახმა მიიღოს ანგარიში, თუ მისი მოტანა შეუძლია მსმენელს. ამიტომ თხოვნის გამომხატველი ალეთურად მარკირებული გამონათქვამები დეონტურია:

can I speak English with you? „შემიძლია, გელაპარაკოთ ინგლისურად?“

can I have a room at your hotel? „შემიძლია, ვიქონიო ოთახი თქვენს ოტელში?“

can I have aire line reservations? „ შემიძლია, ვიქონიო

ჯავშანი თვითმფრინავზე?“

დეონტური გამონათქვამის **Give my bill „მომიტანეთ ჩემი ანგარიში“** გამოყენებისას ნებართვის დამრთველ ავტორიტეტად იგულისხმება თავად მთქმელი, რადგან იგი ბრძანების ინიციატორია, რომელიც ითხოვს უპირობოდ მოქმედების შესრულებას. ფორმით ალეთეური გამონათქვამი **„შეგიძლიათ მოიტანოთ ჩემი ანგარიში“** კიდევ უფრო უეჭველს ხდის იმას, რომ სწორედ მთქმელი მართავს სიტუაციას, იგი აძლევს მსმენელს შესაძლებლობის გამოყენების უფლებას. ამიტომ შესაძლებლობის მნიშვნელობით მოყვანილი გამონათქვამი დეონტურია. ინგლისურ ენაში ამგვარ გამონათქვამებში გამოიყენება დეონტური მარკერი may და ისინი ფორმითაც და შინაარსითაც დეონტურია:

You may use my book-თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ჩემი წიგნით.

You may trouble me every day - თქვენ შეგიძლიათ შემაწუხოთ ყოველ დღე.

You may have this newspaper - თქვენ შეგიძლიათ იქონიოთ ეს გაზეთები.

ნებართვის დამრთველი გამონათქვამი **„გიორგის თვის ღვინის დალევა შეიძლება“** არ გულისხმობს იმას, რომ გიორგი აუცილებლად დალევს ღვინოს. უკვე ამგვარ გამონათქვამებში მოდალური სიტყვა „შეიძლება“ დეონტურ მნიშვნელობასთან ერთად არ გამორიცხავს ალბათობასაც. განსახილველ გამონათქვამთან სემანტიკურად ახლო მდგომი გამონათქვამი **„გიორგიმ შეიძლება დალიოს ღვინო“** ეპისტემურია. ინგლისურ ენაშიც მოდალური ზმნა may ნებართვასთან ერთად გამოხატავს ვარაუდსაც:

ნებართვა

May I come in? -შეიძლება შემოვიდე?

May I ask you one question?-შეიძლება ერთი კითხვა

დაგისვათ?

You may leave -თქვენთვის შეიძლება, რომ დამტოვოთ.

ვარაუდი

Peter may come to day - პიტერი შეიძლება მოვიდეს დღეს.

You may be right -შეიძლება შენ სწორი ხარ.

It may be very good for us - შეიძლება ეს იყოს ძალიან კარგი ჩვენთვის.

მეორე მხრივ, კონსტატაციაც ვისიმე შესაძლებლობის შესახებ ყოველთვის არის მხოლოდ მთქმელის შეხედულება და ამიტომ არ გამორიცხავს ალტერნატივას, რომელიც ალეთეურ წინადადებას გადააქცევს ეპისტემურად:

მას შეუძლია იყოს იქ = ის შეიძლება იყოს იქ.

მას შეუძლია დაგვირეკოს იქიდან = მან შეიძლება დაგვირეკოს იქიდან.

მას შეუძლია იყიდოს მანქანა = მან შეიძლება იყიდოს მანქანა.

მარჯვენა სვეტში გამონათქვამებს აქვთ მხოლოდ ერთი – ეპისტემური მნიშვნელობა. მარცხენა სვეტის ფორმით ალეთეური წინადადებები დაუშვებენ სამივე მოდალობის გაგებას.

მას შეუძლია იყოს იქ:

1. **მას აქვს შესაძლებლობა იყოს იქ.**
2. **მას აქვს უფლება იყოს იქ.**
3. **ის შეიძლება (ეგებ) იყოს იქ.**

ერთზე მეტი მოდალური მნიშვნელობა აქვს რუსულ გამონათქვამებს:

Я не могу играть в шахматы.

Он не может публично выступать.

Мы не можем здесь тренироваться.

Вы не можете заниматься любимым делом.

Я не могу к вам приехать.

დეონტური მარკერები **можно, нельзя** გამოიყენება ალეთეური მოდალობის მნიშვნელობით.

დეონტურია:

Здесь нельзя переходить улицу – აქ ქუჩაზე გადასვლა აკრძალულია.

Здесь можно переходить улицу – აქ ქუჩაზე გადასვლა ნებადართულია.

Ему нельзя помогать – მისთვის დახმარების გაწევა აკრძალულია.

Его нельзя утомлять – მისი დაღლა აკრძალულია.

ალეთეურია:

Здесь нельзя перейти улицу – აქ შეუძლებელია ქუჩაზე გადასვლა.

Здесь можно перейти улицу – აქ შესაძლებელია ქუჩაზე გადასვლა.

Ему нельзя помочь – არ გვაქვს შესაძლებლობა დავეხმაროთ მას.

Его нельзя утомить – მისი დაღლა შეუძლებელია.

ზოგიერთ ენას, მაგალითად, ქართულს მოეპოვება შეძლება – შეუძლებლობის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოიხატება უკუთქმითი ნაწილაკებით „არ“ – „ვერ“:

მან არ იძინა მთელი ღამე (თავისი ნებით არ იძინა).

მან ვერ იძინა მთელი ღამე (რაღაც უშლიდა ხელს, არ მიეცა შესაძლებლობა).

მან არ შეასრულა დავალება (არ ინება).

მან ვერ შეასრულა დავალება (არ აღმოაჩნდა საჭირო შესაძლებლობა-უნარი).

თურქულ ენაში შეძლება -შეუძლებლობის მნიშვნელობა გამოიხატება ზმნის საგანგებო ფორმებით:

yazabilmek (წერის შეძლება) – **yazamamak** (წერის შეუძლებლობა).

gelebilmek (მოსვლის შეძლება) – **gelememek** (მოსვლის შეუძლებლობა).

başlayabilmek (დაწყების შეძლება) – **başlayamamak** (დაწყების შეუძლებლობა).

Kabul edebilmek (მიღების შეძლება) – **kabul etmemek** (მიღების შეუძლებლობა).

ძირითადი ცნებები

წინადადების დიქტუმი; მოდალობა; რეფერენციული მნიშვნელობა; სუბიექტური საზრისები; მოდალურ– კომუნიკაციური პარადიგმა; პროპოზიცია;სემანტიკური ინვარიანტი; მოდალური ჩარჩო; ობიექტური მოდალობა; სუბიექტური მოდალობა; ენობრივი მოდალობა; ლოგიკური მოდალობა.

საჭირო ტერმინები

მოდუსი 1) გრამატიკული კილო; 2) წინადადების სემანტიკის სუბიექტური ნაწილი;

ალეთეური – ჭეშმარიტებასთან დაკავშირებული;

აპოდიქტური – ლოგიკურად გარდაუვალი;

ასერტორიული – რეალობასთან შესატყვისობით ჭეშმარიტი;

ეპისტემური – პრედიკაციის კრიტერიუმი ნამდვილობის თვალსაზრისით;

პრესკრიფცია – გამონათქვამი, რომელიც აწესებს ნორმას, ავალებს, კრძალავს, რთავს ნებას;

დეონტური – ჯერარსობითი; მოვალეობით აუცილებელი;

აპრიორული – არაცდისეული; ისეთი, რომელიც წინ უსწრებს ცდას;

კონსტატაცია – ნამდვილობის დადგენა, მტკიცება;

საკონტროლო კითხვები

1. ეხება თუ არა არისტოტელესეული აზრის ცნება წინადადების შინაარსს?
2. როგორ მივიდა შ. ბალი იმ დასკვნამდე, რომ მოაზროვნე ადამიანის აქტიურობა აისახება წინადადების სემანტიკაში?
3. რას გულისხმობს შ. ბალის მეტაფორა: „მოდალობა წინადადების სულია.“
4. შეიძლება თუ არა კითხვა ერთდროულად დაესვას წინადადების სუბიექტურ და ობიექტურ ნაწილებს?
5. რაში მდგომარეობს შ. ბალის მთავარი აღმოჩენა?
6. რა ქმნის წინადადებათა მოდალურ – კომუნიკაციურ პარადიგმას?
7. რა განსხვავებაა „დიქტუმი“ და „პროპოზიცია“ ტერმინებს შორის ლინგვისტიკაში?
8. რას აღნიშნავს პროპოზიცია?
9. რა განსხვავებაა შ. ბალის მოდალობასა და გრამატიკულ მოდალობას შორის?
10. რატომ არის მოდალობის გაყოფა სუბიექტურ და ობიექტურ სახეებად პირობითი?
11. რა ენობრივი საშუალებებით გამოიხატება მოდალობა?

12. რას ეწუძნება ა. ვეუბიცკაიას ტერმინი „მოდალური ჩარჩო“?
13. შეუძლია თუ არა მთქმელს კომუნიკაციის დროს არ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება პროპოზიციის მიმართ?
14. გამოიხატება თუ არა მოდალური მნიშვნელობა წინადადებით?
15. ემთხვევა თუ არა ენობრივი მოდალობა ლოგიკურ მოდალობას?
16. რა არის მოდალობის ფსიქოლოგიური საფუძველი?
17. რა საერთო აქვს მოდალობას დ. უზნაძის „განწყობასთან“?
18. რომელმა აღმოჩენამ აიძულა ლოგიკოსები ეფიქრათ მოდალური ლოგიკის შექმნაზე?
19. საჭირო არის თუ არა გამონათქვამის საერთო სემანტიკის დადგენისას გავითვალისწინოთ მისი ლოგიკური მოდალობაც?
20. გამოიხატება თუ არა შეძლება-შეუძლებლობის მნიშვნელობა გრამატიკულად?

დავალება

I

განსაზღვრეთ ენობრივი მოდალობის სახე

1. ყოველ დილით გიორგი სკოლაში მიდიოდა.
2. ეს ჩემი შენიშვნა, რასაკვირველია, არ ეხება ყველას.
3. თქვენ არ დაიჯერებთ და ამან ძალიან შემაფიქრიანა.
4. აღმოსავლეთისკენ ცა უკვე ცისფრად შეიღება.
5. როგორც მითხრეს, სახლს უკან მარანი ედგა.
6. მგონი, დეკემბერი იდგა, კარგად მახსოვს, თოვლს მოეფინა დედამიწა.

7. მე ვფიქრობ ჭეშმარიტ ხელოვნებაზე.
8. ეფიქრობ, ეს არის ჭეშმარიტი ხელოვნება.
9. დალიეთ ეს სადღეგრძელო ბოლომდე!
10. რა გქვია, ბიჭო, შენ?
11. მოკლედ რომ გითხრათ, ნელ-ნელა მივეჩვიე სამსახურს.
12. სხვას რას ინატრებ ამაზე უკეთესს?!
13. მართალი ბრძანდებით, ქალბატონო.
14. მართალი გითხრათ, არ ვიცი, ქალბატონო.
15. სხვათა შორის, ინგლისურს სკოლაში მეც მასწავლიდნენ.
16. პირდაპირ გეტყვით, თქვენს ადგილზე მეც თქვენსავით მოვიქცეოდი.
17. რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ხართ.
18. არისტოტელეს თანახმად, ყოველივე ფიზიკურს აქვს იდეალური არსი.

II

განსაზღვრეთ „ლოგიკური მოდალობის სახე“

1. ყოველივე აქედან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება.
2. მის მიმართ ასეთი უკმეხობის გამოჩენა არ შეიძლება.
3. შეიძლება თქვენი ბაღი შევათვალიერო?
4. იქ ასვლა თითქოსდა შეუძლებელია.
5. მისი დაპატიმრება არ შეგვიძლია, მას დანაშაული არ ჩაუდენია.
6. მისი დაპატიმრება არ შეგვიძლია, იგი შეიარაღებულია და გაგვიწევს წინააღმდეგობას.
7. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სიტუაცია საშიშია .
8. თუ მას შეუძლია დარჩეს იქ, დარჩეს.

9. დარჩეს იქ, ვიდრე ჩვენ შეგვეძლება მიეცეთ ნიშანი.
10. მათ შორის შეიძლება ფიცხელი დიალოგიც გაიმართა.
11. მომხდარის გაგება შეიძლება, ამას თავისი ლოგიკა აქვს.
12. რანაირად შეიძლება ეს დავუკავშიროთ იმას?
13. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს ასეა.
14. შეიძლება დაგვჭირდეს .
15. შეიძლება კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს .
16. არ შეიძლება ამის დავიწყება.
17. ჩვენ ყველაფერი ვთქვით და ახლა ფაქტების დაკავშირება შეიძლება.
18. ასეთ საქციელს შეეძლო აღეძრა შურისძიების გრძნობა.
19. შემიძლია ყველა წვრილმანი მოვისმინო.
20. თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვაზე!
21. შესაძლებელია იგი სხვა გზით მივიდა შინ.
22. გადაარჩინეთ იგი, თუ შეგიძლიათ.
23. მომიწერეთ აქ ხელი, თუ შეგიძლიათ.
24. მომიწერეთ აქ ხელი, თუ შეიძლება.
25. შემიძლია გენდო?
26. შეგიძლიათ მენდოთ.
27. ხომ არ შეგიძლიათ სიტყვით გამოხვიდეთ ხალხის წინაშე?
28. ხომ არ შეგიძლიათ გადმომაწოდოთ ჭიქა?
29. შემიძლია გნახოთ მოგვიანებით?
30. მე შემიძლია მისი ნახვა
31. თქვენ შეიძლება დაიღალეთ?
32. თქვენ შეგიძლიათ სცადოთ კიდევ ერთხელ.
33. შეიძლება გააკეთოთ, კიდევ ერთხელ რომ სცადოთ .
34. Я могу вам помочь.

35. Я не могу вам помочь.
36. Он может подождать?
37. Он может и подождать.
38. Может он ждёт?
39. Можете подождать здесь!
40. Могу я попросить вас подождать.
41. Он мог это сделать.
42. May I open the wIndow?
43. You may sit down.
44. It may be very good for you.
45. Can you read EnglIsh books?
46. Can we go home?
47. I can speak EnglIsh.
48. They could have gone.

§ 6. ჯ. ოსტინის პერფორმატივები და წინადადების პრაგმატული ჩარჩო

არისტოტელეს ნაშრომებში „წინადადება“ გაიგივებული იყო მტკიცებასთან. წინადადების „გალინგვისტურება“ დაიწყო დიონისეს განმარტებით (წინადადება არის სიტყვათა შეხამება, რომელიც გადმოსცემს დასრულებულ აზრს), რომელშიც წინადადება და აზრი– მტკიცება დაუპირისპირდნენ ერთმანეთს როგორც გამომხატველი და გამოსახატავი. მიუხედავად ამისა „დიონისეს წინადადება,“ როგორც აზრის გამომხატველი, თეორიულად იფარგლებოდა მხოლოდ მტკიცებით.

დროთა განმავლობაში „წინადადება“ ტერმინის მნიშვნელობა ლინგვისტიკაში განზოგადდა და ოხრობითთან ერთად მოიცვა ბრძანებითი, ჯერარსობითი, ნატერითი ტიპებიც, რაც განპირობებული იყო ჩამოთვლილი წინადადებებისათვის ობიექტური შინაარსის (პროპოზიციის) ერთიანობით, მაგალითად: **1. ბავშვი ხატავს ხეს. 2. ბავშმა დახატოს ხე. 3.ბავშმა უნდა დახატოს ხე. 4. ბავშვი დახატავდეს ხეს.** ამგვარად, მეცნიერულ ტრადიციაში განსხვავდა „წინადადების“ორი გაგება: ლინგვისტური (წინადადება არის აზრის გამომხატველი) და უფრო სპეციფიკური - ლოგიკური (წინადადება არის მტკიცება). მალე ფილოსოფოსებმა აღმოაჩინეს, რომ მტკიცებათაგან ნაწილი არ გადმოსცემს ინფორმაციას ფაქტების შესახებ, ანუ არის ცრუმტკიცება. ბრიტანელი ფილოსოფოსის ჯონ ოსტინის (1911-1960) აზრით, ცრუმტკიცებების და ნამდვილი მტკიცებების აღრევამ შეუძლებელი გახადა ფილოსოფიური თეორია, ხოლო მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა მოახდენს გადატრიალებას ფილოსოფიაში (Дж. Остин, 1986:25). ჯ. ოსტინი არ გვთავაზობს გარეიხილოთ არავერიცირებადი „ეთიკური გამონათქვამები,“ ან „ნიღაბი ავ-

ხადით“ ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც შეიცავენ ჭეშმარიტების დასადგენად კარგად ცნობილ საპრობლემო სიტყვებს: „კარგი,“ „ყველა“, „უნდა“, „შეუძლია;“ ან ჰიპოთეტურის მსგავსი საეჭვო კონსტრუქციები. მას აინტერესებს ცრუმტკიცების უფრო შენიღბული შემთხვევები – ბანალური გამონათქვამები, რომლებიც გარეგნულად არაფრით განსხვავდებიან თხრობითი წინადადებებისაგან, მაგრამ არაფერს აღწერენ, მოგვითხრობენ, ამტკიცებენ და ამიტომ არ არიან ჭეშმარიტი ან მცდარი, მაგალითად:

1. **საქორწინო ცერემონიის დროს წარმოთქმული: I take this woman to be my lawful wedded wife „თანახმა ვარ შევირთო ეს ქალი ცოლად.“**
2. **ახალი გემის წყალში ჩაშვებისას : Iname this ship the “Queen Elizabeth“ „მე ვარქმევ ამ გემს „დედოფალი ელიზაბეტ“.**
3. **ანდერძით გადაცემისას: I give and bequeath my watch to my brother „ვუანდერძებ ჩემს საათს ძმას.“**
4. **სანაძლეოს დროს: I bet you six pence is will rain tomorrow „გენიძლავები ექვს პენსზე, რომ ხვალ იქნება წვიმა“.**

ამგვარი გამონათქვამის წარმოთქმა თავად არის სოციალურად მნიშვნელოვანი მოქმედების განხორციელება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობენ სოციალური ცხოვრების ფორმები, რომლებიც ხორციელდებიან მიღებული გამონათქვამების წარმოთქმით. დამატებით მაგალითებისთვის მივმართოთ ისევ ჯ.ოსტინის ნაშრომს „How to do Things with words“ (1962 წ.) : **გიწვევთ დუელში! მე ვაცხადებ პროტესტს! მწუხარების მონაწილე ვარ; მე ვუცხადებ ომს! სასამართლომ ცნო ეჭვმიტანილი დამნაშავედ; ბოდიშს გიხდით; გილოცავთ! ნება გვიბოძეთ მოგართვათ ეს**

საჩუქარი! მე გპატიობ და სხვა. ჯ.ოსტინი არ უარყოფს იმას, რომ მოყვანილი გამონათქვამები გადმოსცემენ ინფორმაციას, მაგრამ „როცა მე სახელმწიფო მოხელის თანდასწრებით საკურთხეველის წინ ვამბობ: „თანახმა ვარ!“, მე არ ვატყობინებ ქორწინების შესახებ, არამედ ვმონაწილეობ მის განხორციელებაში“, – წერს ავტორი (Дж.Остин,1986:27). მართლაც, ქორწინების დროს მისი მონაწილე ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას სიტყვებით „თანახმა ვარ!“ ქორწინება ვერ შედგება ამის გარეშე, მაგრამ ეს გამონათქვამი არაფერს ამტკიცებს სამყაროს შესახებ, რადგან არ წარმოადგენს აღწერას. ჯ. ოსტინის არათხრობისთვის განკუთვნილი გამონათქვამები სემიოტიკური თვალსაზრისით ავტორეფერენტულია: თითოეული წარმოადგენს თავისი თავის რეფერენტს. განვიხილოთ გამონათქვამები:

1. **მე გატყობინებ, რომ იგი მოვა.**
2. **მე ყოველთვის ვიტყობინებო, რომ იგი მოვა.**
3. **მე გატყობინებდი, რომ იგი მოვა.**
4. **მე შეგატყობინებ, იგი რომ მოვა.**
5. **მე მინდა შეგატყობინო, რომ იგი მოვა.**

ყველა მათგანი მთავარ ნაწილში შეიცავს ზმნას „გატყობინებ“ სხვადასხვა ფორმით, მაგრამ პირველ გამონათქვამში მთქმელი რასაც ამბობს, ემთხვევა იმას, რასაც იგი აკეთებს, ანუ გამონათქვამი გამოხატავს სამეტყველო აქტში სუბიექტის მოქმედებას, ამიტომ ზმნა „გატყობინებ“ აქ ავტორეფენტულია, შეუძლებელია *„მე გატყობინებ, რომ მე გატყობინებ, რომ იგი მოვა“. მე– 2, 3, 4, 5, გამონათქვამში ზმნა „გატყობინებ“ გამოხატავს პროპოზიციის სუბიექტის მოქმედებას, ხოლო სამეტყველო აქტის სუბიექტის მოქმედება მხოლოდ იგულისხმება, ამიტომ შეიძლება მისი ექსპლიკაცია (გახმოვანებით აღდგენა):

მე გატყობინებ, რომ

1. მე გატყობინებ, რომ იგი მოვა.
2. მე ყოველთვის ვიტყობინები, რომ იგი მოვა.
3. მე გატყობინებდი, რომ იგი მოვა.
4. მე შეგატყობინებ, იგი რომ მოვა.
5. მე მინდა შეგატყობინო, რომ იგი მოვა.

ავტორეფენტული გამონათქვამები გამოხატავენ სამეტყველო აქტის მოქმედებას, რომელსაც აქვს სოციალური დანიშნულება: ისინი გარკვეული რიტუალის სამეტყველო ნაწილია, ამიტომაც უწოდა ჯ.ოსტინმა მათ ტერმინი „პერფორმატიული“, ინგლ. Perform ხომ „შესრულებას, განხორციელებას“ ნიშნავს. (Дж.Остин,1986:27). პერფორმატივის სახით ენა გვევლინება პრაქტიკული ცხოვრების უშუალო ინსტრუმენტად, ამიტომ არის იგი მიჩნეული პრაგმატიკის ცენტრალურ ცნებად. პერფორმატივის სოციალური მოქმედების ინსტრუმენტის როლი განაპირობებს ზმნის განსაკუთრებულ ადგილს მის სტრუქტურაში. პერფორმატიულ გამონათქვამში გამოსაყენებელი ზმნა უნდა პასუხობდეს ორ პირობას : 1. სემანტიკურს – უნდა წარმოადგენდეს სამეტყველო მოქმედების ამსახველ ერთ-ერთ ფორმას, მაგალითად: **ვიუწყები, გატყობინებ, ვაცხადებ, ვამტკიცებ, ვვარაუდობ, გაფრთხილებ, გპირდები, გენიძლავები, ვფიცავ, გილოცავ, გიბრძანებ, მოგესალმები, გემშვიდობები, გევედრები, გთხოვ, გეკითხები, ვითხოვ, გირჩევ, ვწინასწარმეტყველებ** და სხვა. 2. სოციალურს– უნდა გამოიყენებოდეს ამა თუ იმ რიტუალიზებულ ქმედებაში. ზმნები: ვხატავ, ვიბრძვი, ვმუშაობ, ვუყურებ, ვყიდულობ, ვეხმარები, მოვდივარ, ვჩხუბობ და სხვა მსგავს სამეტყველო მოქმედებასთან სემანტიკური შეუფერებლობის გამო ვერ ქმნიან პერფორმატივს, თუმც შეიძლება იყონ გამოყე-

ნებული პერფორმატივში. აუქციონის დროს თქმა: **„გაყიდულია!“** პერფორმატივია, მაგრამ პერფორმატივს ამ შემთხვევაში ქმნის ზმნა „გატყობინებთ“: **„გატყობინებთ, რომ გაყიდულია!“** და არა ზმნა „ყიდვა“. მათგან განსხვავებით ზმნები: ვლაპარაკობ, ვამბობ, ვყვები, ვყვირი, სიტყვას ვაწყვეტინებ, ვჩურჩულებ, ვჩუმდები, ვიმეორებ,ვმსჯელობ, ვასკვნი, ვწერ დაკავშირებული არიან სამეტყველო ქმედებასთან, მაგრამ არ წარმოადგენენ რიტუალიზებულ სამეტყველო ქცევას. შევადაროთ ორი გამონათქვამი:

1. ახლა მე ვწერ დავალებას; 2. რაზედაც ხელს ვაწერ.

პირველი გამონათქვამი მტკიცებაა (ჯ.ოსტინის ტერმინოლოგიით, კონსტატივი), ასახელებს (აგვიწერს) მეტყველი სუბიექტის მოქმედებას, მაგრამ თავად არ არის მოქმედება, უფრო ზუსტად, იგი აგვიწერს ინდივიდუალურ მოქმედებას და არ არის სოციალურად ტიპიზირებული მოქმედების აუცილებელი სამეტყველო ნაწილი. ამ შემთხვევაში სუბიექტი ასრულებს მოქმედებას მხოლოდ კალმით. მეორე გამონათქვამის გრაფიკული გამოსახვით (დაწერასთან ერთად მას ხშირად წარმოთქვამენ) სუბიექტი თავზე იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას, რის შესახებ აუწყებს სხვებს. ამ შემთხვევაში გამონათქვამი რიტუალიზებული ენობრივი თამაშის ნაწილია ანუ პერფორმატივია. მოქმედება სრულდება კალმითაც და გამონათქვამითაც, თითოეულის გარეშე იგი შეუძლებელია. განსხვავებას კონსტატივებსა და პერფორმატივებს შორის ჯ.ოსტინი ხედავს იმაშიც, რომ პირველი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, ხოლო მეორე – წარმატებული და წარუმატებელი(Дж.Остин,1986:66).

პრაქტიკულ ცხოვრებაში პერფორმატივს ინსტრუმენტად იყენებს სამეტყველო აქტის სუბიექტი, ამიტომ იგი შესაძლებელია მხოლოდ აწმყოში და გამოიხატება

თხრობითი კილოს აწმყო დროის მხოლობითი რიცხვის I პირის ზმნის ფორმით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პერფორმატიული გამონათქვამი მოცემულია კოორდინატებში „მე – შენ – ახლა – აქ“. ზმნის სხვა ფორმით გამოხატული იგი ჩვეულებრივ კარგავს ინსტრუმენტალობის თვისებას და მხოლოდ აღწერს მოქმედებას.

პერფორმატივი:

მე { გატყობინებ / ვამტკიცებ / ვვარაუდობ, / გაფრთხილებ / გპირდები / ვფიცავ } რომ იგი მოვა.

აღწერა:

მე { გატყობინებდი / ვამტკიცებდი / ვვარაუდობდი, / გაფრთხილებდი / გპირდებოდი / გეფიცებოდი } რომ იგი მოვა.

ის { იტყობინება / ამტკიცებს / ვარაუდობს, / აფრთხილებს / ჰპირდება / იფიცება } რომ იგი მოვა.

პერფორმატივის როლში ჯ. ოსტინს მოჰყავს სხვა ფორმებიც: თქვენ ინიშნებით თანამდებობაზე! მგზავრების საყურადღებოდ! გადასვლა მეორე მხარეს შეიძლება მხოლოდ ხიდით; შენს ადგილზე მე მოვუხვევდი მარჯვნივ; მოუხვიე მარჯვნივ! შეგიძლია წახვიდე! შენ თამაშს გარეთ ხარ! მოვიდა! (თანხმობის ნიშნად); დამნაშავეა! მინდვრიდან! (Дж. Остин,1986:60). ადვილი შესამჩნევია, რომ მთქმელის აღმნიშვნელი ზმნის I პირის ფორმა ანრდილივით ახლავს თითოეულ მაგალითს:

I		II
თქვენ ინიშნებით თანამდებობაზე!	=	მე გნიშნავთ თქვენ თანამდებობაზე.
მგზავრების საყურადღებოდ!...	=	მე ვაფრთხილებ მგზავრებს....
შენს ადგილზე მე მოვუხვევდი	=	მე გირჩევ, მოუხვიო მარჯვნივ.
მარჯვნივ მოუხვიე მარჯვნივ!	=	მე გიბრძანებ, მოუხვიო მარჯვნივ.
შეგიძლია, წახვიდე!	=	მე გაძლევ ნებართვას, წახვიდე.
შენ თამაშს გარეთ ხარ!	=	მე ვსაზღვრავ შენს მდგომარეობას როგორც თამაშგარეთ ყოფნას.
მოვიდა! (მოსულა!)	=	მე ვღებულობ სანაძლეოს.
დამნაშავეა!	=	მე მიმაჩნია და გატყობინებთ, რომ დამნაშავეა.
მინდვრიდან!	=	მე მინდა და გატყობინებთ, რომ გააძევონ მინდვრიდან.

ორივე სვეტში მოყვანილი გამონათქვამები პერფორმატიულია, მაგრამ მათ შორის არის სხვაობა ასეთად გამოც-

ნობის თვალსაზრისით. მარჯვენა სვეტის მაგალითები ამ მხრივ ნათელია, რადგან მარკირებული არიან ზმნის I პირის ფორმით. ჯ.ოსტინი მათ უწოდებს ექსპლიცირებულ (აშკარა) პერფორმატივებს, მარცხენა სვეტისას – იმპლიცირებულ (ფარულ) პერფორმატივებს, რადგან ეს უკანასკნელნი არ შეიცავენ შესაბამის მარკერს. აღნიშნული მიზეზის გამო ჯ.ოსტინი მოიხსენიებს მათ აგრეთვე ტერმინით „პრიმიტიული“ (Дж.Остин,1986:44). ავტორის თანახმად, ექსპლიცირებული პერფორმატივები მიღებულია პრიმიტიულებისაგან (Дж. Остин,1986:69,76). ჯ.ოსტინი სვამს კითხვას: მეტყველებით მოქმედების შესრულებისას ყოველთვის უნდა მივმართოთ პერფორმატიულ ზმნას? მაგალითად, მე შემიძლია სიტყვით მოგაყენოთ შეურაცხყოფა, მაგრამ არ არსებობს ფორმულა „მე გაყენებთ შეურაცხყოფას“ (Дж.Остин,1986,65). ყველა არამარკირებულ პერფორმატივს შეიძლება მართლაც ვერ მოეძებნოს შესაბამისი მარკირებული,მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, აქვს იმ ფაქტს,რომ პრიმიტიული პერფორმატივის გამოყენების ყველა შემთხვევაში იგულისხმება შესაფერისი პერფორმატიული ზმნა. **„სულელო!“, „უგუნურო!“, „უზრდელო!“** სიტყვების გაგონება გვწყინს იმის გამო, რომ ისინი ჩვენი შეურაცხყოფის გამომხატველია. ძალაშია ფორმულა „მე გაყენებ შეურაცხყოფას“. იგივე სიტყვები არ არის საწყენი,თუ მათი წარმომთქმელი არ გვაყენებს შეურაცხყოფას, მაგალითად, შეყვარებულთა ან ძალიან ახლობელთა დიალოგში. სიყვარული წყეელასაც კი აქცევს ლოცვად, გავიხსენოთ ბებიას სიტყვები ნ. დუმბაძის დაუვიწყარი რომანიდან: **„ნუ გეშინია, ბებია, როდესაც გწყევლი, ჩემი ძუძუები გლოცავენო“**. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა სიტყვას, არამედ მთქმელის შინაგან განწყობას, რომელიც გვეელინება პერფორმატიული ზმნის სახით, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება არც იყოს გამოხატული სიტყვიე-

რად.სიტყვები ვინმეს მიმართ შეიძლება საერთოდ არ იყოს გამოთქმული, მაგრამ შეურაცხყოფა მაინც იყოს მიყენებული ისე, როგორც ეს მოუვა ა.დიუმას განთქმულ გმირს დ'არტანიანს ქალაქ მენგში, სადაც უცნობმა ახნაურმა თავს უფლება მისცა ხუმრობით მოეხსენიებინა მომავალი მუშკეტერის ცხენი. ამ არაპირდაპირ შეურაცხყოფას გულფიცხი გასკონელი უპასუხებს არა შეურაცხმყოფელი სიტყვებით ცხენის დამცინაეის მიმართ, არამედ გამჭვირვალე მინიშნებით: **„ცხენს ის დასცინის, ვინც ვერ გაბედავს დასცინოს მის პატრონს"** (ა. დიუმა, 15). ეს იყო საკმარისი, რადგან ყველა სახის შეურაცხყოფაში, ტლანქი იქნება იგი, თუ დახვეწილი, იმპლიცირებულია პერფორმატივი „მე გაყენებ შეურაცხყოფას". მალე ლინგვისტურ პრაგმატიკაში ცნობილი გახდა ჰიპოთეზა. რომლის თანახმად ყოველი თხრობითი წინადადების სიღრმულ სტრუქტურაში მოცემულია პერფორმატივი ფორმულით „მე გატყობინებ, რომ".

მე გატყობინებ,	დღეს	კარგი ამინდია
	ეს	ძნელი საქმეა
	რომ	შენი მოთხრობა იყო საინტერესო
	მე	გაფრთხილებდი ამის შესახებ
	მას	ჰპირდებიან დახმარებას;
	.....	

შემდეგ პერფორმატივი ცნეს მოცემულად ყველა ტიპის წინადადებათა სიღრმულ ნაწილში და ამით იგი აღიარეს წინადადების პრაგმატულ ჩარჩოდ – აუცილებელ სემანტიკურ კომპონენტად, რომელიც გამოხატავს მთქმელის მიზანს, ინტენციას.

(მე გეკითხები) { ვინ ისროლა ქვა? / რა მოხდა? / რა ღირს? / სად არის წიგნი?

(მე გიბრძანებ) { შეატყობინეთ ყველას! / მაჩვენეთ პასპორტი! / გაჩერდით! / დაიწყეთ!

(მე გპირდები) { ყველაფერს შევასრულებ. / დაგეხმარებით. / დროზე მოვალ. / შევეცდები გავაკეთო.

(მე გაძლევ ნებას) { შეგიძლიათ წახვიდეთ! / ისარგებლეთ ჩემი მანქანით! / თავისუფალი ხართ! / მოწიეთ, თუ გინდათ!

იმპლიცირებული პერფორმატივის დაშვებამ შესაძლებელი გახადა ჯ.მურის ცნობილი პარადოქსის ამოხსნა. „მოდის წვიმა, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია“. მოყვანილი გამონათქვამი გამართულია ლოგიკურად და გრამატიკულად, მიუხედავად ამისა, მიუღებელია გამოსაყენებლად, შევადაროთ მსგავსად აგებული:

ანა ბათუმშია / მეცადინეობა იწყება 9 საათზე / შენ კარგი ხარ } , მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია

განსახილველი მაგალითები გაუმართავია პრაგმატულად. ამის ექსპლიკაცია პირველად მოგვცა ჯ.ოსტინმა: „ყოველი მტკიცება გულისხმობს დარწმუნებას... ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ „კატა ხალიჩაზეა, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ“ „ (Дж. Остин,1986:54). მართლაც, პრაგმატული ხასიათის წინააღმდეგობრიობა აშკარა გახდება, თუ აღვადგენთ პირველი წინადადების სიღრმულ ნაწილს:

„მე გატყობინებ, ე. ი. დარწმუნებული ვარ და სინამდვილედ მიმაჩნია ის, რომ მოდის წვიმა, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია.“

პრაგმატული (პერფორმატიული) ჩარჩოს არსებობა იძლევა საფუძველს ვთქვათ: პრიმიტიული (იმპლიცირებული) პერფორმატივები მიიღება ორი გზით:

1. პერფორმატიული ზმნის ჩანაცვლებით სხვა სიტყვიერი ფორმით:

მე აღვნიშნავ, რომ ეს რთული საკითხია ➡ მინდა აღვნიშნო / უნდა აღინიშნოს / აღსანიშნავია } რომ ეს რთული საკითხია

გეკითხებით, ვის სჭირდება ეს? ➡ იბადება კითხვა / ისმის კითხვა / საკითხავია / ვერ გაექცევით კითხვას } ვის სჭირდება ეს?

მე ვთხოვ მგზავრებს, გაიარონ რეგისტრაცია ➡ მგზავრებს სთხოვენ გაიარონ რეგისტრაცია

რუს. Я прошу вас выбирать выражения ➡ Я попрошу / Я попросилбы } вас выбирать выражения

მოგესალმებით ➡ სალამი; გამარჯობა; დილა მშვიდობისა; საღამო მშვიდობისა; რუს. Добрый день; привет

გემშვიდობები ➡ მშვიდობით; ნახვამდის; კარგად ბრძანდებოდეთ; კარგად; რუს. Пока.

2. პერფორმატიული ზმნის გამოტოვებით:

მე გიბრძანებ, მომიტანე ➡ მომიტანე!

მე გთხოვ, მოდი ➡ მოდი

მე გეკითხები, რა ღირს? ➡ რა ღირს?

Поздравляю с Новым годом ➡ с Новым годом!
Поздравляю с днём рождения ➡ с днём рождения!

Поздравляю со счастливым приездом ➡ с приездом!

Поздравляю с победой ➡ с победой!

ძირითადი ცნებები

მტკიცება; თხრობითი წინადადება; აღწერა; ავტორეფერენტული გამონათქვამი; პერფორმატივი; ექსპლიცირებული პერფორმატივი; იმპლიცირებული პერფორმატივი; პრაგმატული ჩარჩო; რიტუალიზებული მოქმედება.

საჭირო ტერმინები

ვერიცირებადი	– ისეთი, რომლის ჭეშმარიტების დადგენა შეიძლება ცდასთან მიმართებაში;
ექსპლიკაცია	– გახმოვანებით ჩვენება, განმარტება;
პერფორმატიული	– შესრულების, განხორციელების გამომხატველი;
კონსტატივი	– გამონათქვამი, რომელიც შეიცავს მტკიცებას;
მარკერი	– ნიშანი, მაჩვენებელი;
პრაგმატული	– სუბიექტის ინტერესის შემცველი;
ინტენცია	– განზრახვა.

საკონტროლო კითხვები

1. იყენებდა თუ არა არისტოტელე ტერმინს „წინადადება“ მხოლოდ ლინგვისტური გაგებით?
2. ვის კონცეფციაში ტერმინი „წინადადება“ იწყებს „გალინგვისტურებას“?
3. იფარგლება თუ არა დიონისესთან წინადადების განმარტება მხოლოდ მტკიცებით?
4. რით იყო განპირობებული „წინადადება“ ტერმინის შინაარსის გაფართოება?
5. რამდენი გაგება აქვს ტერმინს „წინადადება“ მეცნიერულ ტრადიციაში?
6. რამ გახადა შეუძლებელი ფილოსოფიური მსჯელობა ჯ.ოსტინის აზრით?
7. გამოხატავს თუ არა პერფორმატიული გამონათქვამი მსჯელობას?
8. რაში მდგომარეობს პერფორმატივის ინსტრუმენტალური ფუნქცია?
9. რატომ ეთმობა ზმნას განსაკუთრებული როლი პერფორმატივის სტრუქტურაში?
10. როგორი ზმნა შეიძლება იყოს გამოყენებული პერფორმატიულად?
11. რა მიმართებაშია პერფორმატივი ენობრივ თამაშთან?
12. შეიძლება თუ არა სოციალურად ღირებული მოქმედება სრულდებოდეს სიტყვით?
13. შეიძლება თუ არა პერფორმატივი იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი?
14. აქვს თუ არა პერფორმატივს თავისი კოორდინატები?
15. რომელ პერფორმატივებს ჯ.ოსტინი უწოდებს ტერმინს „პრიმიტიული“?
16. ჯ.ოსტინის მიხედვით, რომელი პერფორმატივებია პირველადი: ექსპლიცირებული თუ პრიმიტიული?

17. შეიძლება თუ არა პერფორმატივის გამოყენება პერფორმატიული ზმნის გარეშე?
18. რაში მდგომარეობს ჯ.მურის პარადოქსის არსი?
19. რა გზით მიიღება „პრიმიტიული“ (იმპლიცირებული) პერფორმატივები?

დავალება

გამოყავით ექსპლიცირებული პერფორმატივები

1. ხომ გეუბნებოდი, რომ იქნება წვიმა.
2. მან გამაფრთხილა, რომ იქნება წვიმა.
3. ჩვენ ვარქმევთ ამ ქუჩას პოეტის სახელს.
4. ამ ქუჩას დაარქმევენ პოეტის სახელს.
5. მე შეგატყობინებ შეხვედრის შესახებ.
6. გატყობინებთ, დღეს შედგება შეხვედრა...
7. გჩუქნი ამ წიგნს...
8. გპირდებით, გამოვსწორდები.
9. მწერალმა დაასრულა რომანზე მუშაობა.
10. მე დავწერე საგაზეთო წერილი.
11. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ დავალება არ იქნება მარტივი.
12. სინდისს ვფიცავ, არ ვიცოდი ეს ვერაგობა.
13. მე დავპირდი, რომ ისევ ჩავიდოდი მასთან.
14. ის დამენიძლავა დიდ თანხაზე.
15. გეკითხებით და გამეცით პასუხი.
16. ვაცხადებ შესვენებას.
17. სხდომაზე ჩვენ დავამტკიცეთ გეგმა.
18. მეგობრებმა მომილოცეს წარმატება.
19. გილოცავთ წარმატებას!
20. დამშვიდდი, გთხოვ.

§ 7. წინადადების კომუნიკაციური ჩარჩო ინფორმაციის „ჩაწყობა“ წინადადებაში უ. ჩეიფის მიხედვით

სამეტყველო კომუნიკაცია არის ინფორმაციის ჩამოყალიბების, გადაცემისა და გაგების პროცესი. თუ ინფორმაციის გადაადგილებაში მთქმელი და მსმენელი მონაწილეობენ თანაბრად, ინფორმაციის ჩამოყალიბება და მისი გაგება, პირიქით, ფუნქციურად განასხვაებენ სამეტყველო აქტის მონაწილეებს. მიუხედავად ამისა, საკომუნიკაციო აქტის ეს ორი მომენტი არ არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი. არსებობს პირდაპირი კავშირი ინფორმაციის კოდირებასა და მის დეკოდირებას შორის.მართალია, მთქმელი თავად არ ახორციელებს ინფორმაციის დეკოდირებას, მაგრამ ის ამაში ეხმარება მსმენელს ინფორმაციის ჩამოყალიბების დროს კომუნიკაციის გარკვეული წესების დაცვით. სამეტყველო აქტში წარმოქმნილი ინფორმაცია,რა მოცულობისა უნდა იყოს იგი(წინადადება თუ ტექსტი), კომუნიკაციური თვალსაზრისით ყოველთვის იყოფა ორად: ამოსავალ ინფორმაციად, რომელსაც ეყრდნობა მთქმელი მსმენელისათვის საკუთარი აზრის გადმოსაცემად და იმ ახლისაგან, რომელიც მთქმელის გადაწყვეტილებით ემატება მსმენელისათვის უკვე ცნობილს. არისტოტელემ, რომელიც „ორგანონში“ აზრს იკვლევდა მეტყველებაში, ინფორმაციის აღნიშნული კომუნიკაციური თვისებიდან გამოიყვანა აზრის არსებითი ნიშანი – მტკიცება. იმდროინდელი მეცნიერული აზროვნებისთვის მტკიცება იყო ერთადერთი უნივერსალური მაკავშირებელი აზრსა და რეალურ ფიზიკურ ვითარებას შორის. ანტიკურ პერიოდში კომუნიკაციის კანონზომიერება საფუძვლად დაედო აზრის რაობას და განსაზღვრა ამ უკანასკნელის ბინარული (სუბიექტი – პრედიკატი) სტრუქტურა.

მტკიცებას დაეფუძნება არისტოტელეს ლოგიკაში ჭეშმარიტების ცნება: ჭეშმარიტია ის მტკიცება (პრედიკაცია), რომელიც შეესაბამება სინამდვილეს. ინფორმაციის გადაცემის (კომუნიკაციის) კანონზომიერებამ განსაზღვრა აზრისა და ჭეშმარიტების ცნებები ლოგიკაში. მტკიცებას წარმოქმნის კომუნიკაციურად ორად გაყოფილი თხრობა. ანტიკური ლოგიკა იმიტომ ვერ გასცდა თხრობითი წინადადების ფარგლებს, რომ, ერთი მხრივ, სინამდვილის აღწერა (თხრობა) შეუძლებელია პრედიკაციის გარეშე, ხოლო, მეორე მხრივ, პრედიკაციაც შეუძლებელია თხრობის გარეშე. კომუნიკაციური გაყოფის შედეგად მიღებულ თხრობის ნაწილებს ლოგიკაში დაუმკვიდრდა სუბიექტისა და პრედიკატის სახელები. მაგრამ სამეტყველო აქტის დროს ინფორმაციის ორ ნაწილად გაყოფა კომუნიკაციის კანონზომიერებაა და არა აზრის, კომუნიკაციური სტრუქტურა აქვს ყველა ტიპის წინადადებას:

გივი / მიდის ხვალ სკოლაში	**გივი / მიდის ხვალ სკოლაში?**
გივი მიდის / ხვალ სკოლაში	**გივი მიდის / ხვალ სკოლაში?**
გივი მიდის ხვალ / სკოლაში	**გივი მიდის ხვალ / სკოლაში?**
ხვალ სკოლაში მიდის / გივი	**ხვალ სკოლაში მიდის / გივი?**
გივი / უნდა წავიდეს ხვალ სკოლაში	**გივი, წადი / ხვალ სკოლაში!**
გივი უნდა წავიდეს / ხვალ სკოლაში	**გივი, წადი ხვალ /სკოლაში!**
გივი უნდა წავიდეს ხვალ / სკოლაში	**გივი, წადი სკოლაში/ ხვალ!**
ხვალ სკოლაში უნდა წავიდეს / გივი	

განსახილველი მოვლენას თავისი ლინგვისტური სახელი დაერქვა მხოლოდ მეოცე საუკუნის შუა წლებში, როცა სტატიაში „წინადადების ეგრეთ წოდებული აქტუალური დანაწევრების შესახებ“ ჩეხმა ლინგვისტმა ვილემ

მათეზიუსმა (1882 – 1945) წინადადების კომუნიკაციური გაყოფა მიიჩნია „ერთ-ერთ ყველაზე ნიშანდობლივ მოვლენად ყველა ენისთვის“ (В. Матезиус, 1967:239). მისი აზრით, იგი გამოწვეულია კომუნიკაციის საგნით და წარმოადგენს ამ უკანასკნელთან წინადადების შინაარსის დაკავშირების ხერხს. იმისათვის რომ ჩაერთოთ წინადადება კომუნიკაციის საგნობრივ კონტექსტში, მასში უნდა გამოვყოთ (გავხადოთ აქტუალური) „ამოსავალი წერტილი“ („საფუძველი“) – მსმენელისთვის უკვე ცნობილი ინფორმაცია და „გამონათქვამის ბირთვი“ – ინფორმაციის ის ახალი ნაწილი, რომელსაც მთქმელი ატყობინებს მსმენელს. თანამედროვე ლინგვისტიკაში გამონათქვამის ეს ორი კომუნიკაციური ნაწილი აღინიშნება ტერმინებით „თემა“ და „რემა“, წინადადების თემარემატული სტრუქტურის უნივერსალური ხასიათი იძლევა საფუძველს ვილაპარაკოთ წინადადების კიდევ ერთ – კომუნიკაციის ჩარჩოზე.

ლ. ტენიერისა და ჩ. ფილმორის წყალობით კონცეპტუალურად დადგინდა ის, რომ სახელი წინადადებაში ასრულებს არაერთ როლს, მათგან ზოგი განისაზღვრება სიღრმული ბრუნვებით, სხვა განპირობებულია ზედაპირული სინტაქსური მიმართებებით. სიღრმული ბრუნვები გამოხატავენ წინადადების შინაარსს, იმას, თუ რას უკავშირებს მთქმელი წინადადებას სინამდვილეში. მთქმელის უპირველესი ამოცანაა იყოს გასაგები მსმენელისთვის. ამიტომ ამერიკელი ლინგვისტის უოლეს ჩეიფის (1927 წ.) თანახმად, კომუნიკაციის დროს ინფორმაციის წარმატებით გადაცემისათვის უნდა გავითვალისწინოთ მსმენელის მზადყოფნა გაერკვეს მოწოდებულ ინფორმაციაში და ამ მიზნით ვიზრუნოთ გადაცემის ხერხებზეც. უ. ჩეიფის კონცეფციას აქვს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მხარე: ადამიანის მეხსიერება ინახავს ცოდნის უზარმაზარ მარაგს,

მაგრამ დროის სხვადასხვა მონაკვეთში სამყაროს შესახებ ენციკლოპედიური ცოდნიდან ადამიანს მხედველობაში (ოპერატიულ მეხსიერებაში) აქვს მხოლოდ სხვადასხვა ფრაგმენტი, რომელზეც დამოკიდებულია კომუნიკაციის დროს მიღებული ინფორმაციის გათავისება-გაგება. ჰერაკლიტეს მსგავსად, რომელმაც აღმოაჩინა ფიზიკური სამყაროს მარადი დინება, უ. ჩეიფი ლაპარაკობს ცნობიერების მარად დინებაზე. მისი კონცეფციის თანახმად, შეტყობინება იქნება გაგებული შეუფერხებლად, თუ მთქმელმა მოარგო თავისი მეტყველება მსმენელის ცნობიერების მიმდინარე მდგომარეობას, ანუ იმას, რასაც მსმენელი ფიქრობს ურთიერთობისას და არა მის მთლიან ენციკლოპედიურ ცოდნას (У. Чейф. 1982; 278). ინფორმაციის მორგება გულისხმობს გადაცემის ფორმას, ამიტომ კომუნიკაციის ამ პირობის აღსანიშნავად უ. ჩეიფი იყენებს ტერმინს *packaging* (სიტყვასიტყვით „პაკეტად ქცევა“ ანუ ჩაწყობა, შეფუთვა, რუს. (упаковка). კბილის პასტა შეიძლება გაიყიდოს უფრო მუყაოს საფუთავის გამო, ვიდრე თავისი ხარისხის გამო, შენიშნავს ავტორი და გვთავაზობს ყურადღება მივაქციოთ კომუნიკაციის დროს სახელებთან დაკავშირებულ შეტყობინების „ჩაწყობის, შეფუთვის“ ზოგიერთ ხერხს: „a)სახელი შეიძლება იყოს მოცემული ან ახალი; b) იგი შეიძლება იყოს კონტრასტის ფოკუსი; c) შეიძლება იყოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი, d) შეიძლება იყოს წინადადების ქვემდებარე, e) შეიძლება იყოს ტოპიკი, f) შეიძლება წარმოადგენდეს ინდივიდს, რომლის თვალსაზრისს იზიარებს მთქმელი,“ (У. Чейф, 1982:279). ავტორი გვაფრთხილებს, რომ მხედველობაში აქვს არა იმდენად სახელები, რამდენადაც მათი რეფერენტები.

თუ მთქმელი მიმართავს მსმენელს ინფორმაციით ბოპის შესახებ, ხოლო ეს უკანასკნელი უცნობია მსმენელისთვის, კომუნიკაცია ვერ იქნება წარმატებული, სულერთია,

რაც უნდა თქვას მთქმელმა ბოპზე: ბოპი კარგი სპორტსმენია; ბოპი სვალ მიემგზავრება სოფელში და სხვა. ურთიერთობის დროს საგანი, რომელსაც ეძღვნება ინფორმაცია (გამონათქვამის თემა), მოცემული უნდა იყოს წარმოდგენის სახით მსმენელის ცნობიერებაში. თემა ის კარია, რომლითაც მსმენელში შეიძლება შევიდეს მისთვის ახალი ინფორმაცია (რემა). „მოცემულის“ დასადგენად მთქმელმა უნდა იქონიოს მხედველობაში ან ლინგვისტური კონტექსტი (ადრე ნათქვამი) ან ექსტრალინგვისტური ფაქტორი, მაგალითად, თუ მოსაუბრე ათვალიერებს სურათს, მთქმელს შეუძლია რაიმე შესავლის გარეშე თქვას : **I bought it last week „მე ვიყიდე ის გასულ კვირას“**. „მოცემულს“ ყველა შემთხვევაში ადგენს მთქმელი.

წინადადება იქნება „კონტრასტული“, თუ მისი ერთერთი ან ერთადერთი სახელი გამოთქმულია ყველაზე მაღალი ტონით. ასეთია, მაგალითად წინადადება **Ronald made the hamburgers**, რომელიც გვამცნობს იმას, რომ სწორედ რონალდმა დაამზადა სენდვიჩები. უ.ჩეიფის თანახმად, ამ აზრის შესაბამისად გაგებისათვის საჭიროა სამი წინაპირობა: 1. მსმენელმა უნდა იცოდეს, რომ სენდვიჩები ვიღაცის მიერ დამზადებულია (ამას ავტორი უწოდებს „ფონურ ცოდნას“); 2) უნდა არსებობდეს შესაძლო კანდიდატების არჩევანი, როცა მთქმელი წარმოთქვამს კონტრასტულ წინადადებას **რონალდ made the humburgers**, იგი დაუშვებს იმას, რომ მსმენელისათვის ცნობილია სხვა კანდიდატებიც ან მსმენელი მიიჩნევს, რომ სენდვიჩები დაამზადა ვიღაც სხვამ. 3) კონტრასტული წინადადება შეიცავს მთქმელის მტკიცებას და გულისხმობს ზოგად მოდელს: „მე დავუშვებ ,რომ შენ იცი, რომ ვიღაცამ დაამზადა სენდვიჩები, რომ შენ გყავს ამ როლზე შესაძლო კანდიდატების არჩევანი და მე ვამბობ, რომ ეს არის ვინმე რონალდი და არა სხვა.“და-

სამტკიცებელი ალტერნატივა (Ronald), უ. ჩეიფის ტერმინოლოგიით, კონტრასტის ფოკუსი არ წარმოადგენს ახალ ინფორმაციას.

კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია, იგი საჭიროებს ინფორმაციის როგორც გასაგებად გამოხატვას, ისე ზუსტად გაგებასაც. კომუნიკანტების რეფერენტების გაიგივებას ემსახურება „განსაზღვრულობის" ენობრივი კატეგორია. ინგლისურ ენაში იგი გამოიხატება განსაზღვრული არტიკლით. თუ მთქმელი მიიჩნევს, რომ მსმენელისთვის რეფერენტი ცნობილია (წეღულებრივ წინა კონტექსტიდან), იგი შესაბამისი არტიკლით ანიჭებს მას „განსაზღვრულობის" სტატუსს, მაგალითად.

I received a letter. The letter is odd „მე მივიღე წერილი . წერილი უცნაურია" (У. Чейф, 1982: 293) . „განსაზღვრებას" გამოხატავენ აგრეთვე ჩვენებითი ნაცვალსახელებიც, მაგალითად, ლათინურ და ჩინურ ენებში. განსაზღვრულია თავისი ბუნებით საკუთარი სახელებიც, რადგან აღნიშნავენ კონკრეტულ რაფერენტებს.

გაერცელებული შეხედულებით „ქვემდებარე" წმინდა სინტაქსური ცნებაა. უ.ჩეიფის დაკვირვებით ხშირ შემთხვევაში ინფორმაციას აყალიბებენ („ფუთავენ') ისე, რომ წინადადება ჩვეულებრივ გვატყობინებს ინფორმაციას „ქვემდებარის" შესახებ. ამაში მდგომარეობს წინადადების ამ წევრის სემანტიკური ფუნქცია: **john broke his arm yesterday "ჯონმა მოიტეხა ხელი გუშინ"** (У. Чейф, 1982: 300). მაგრამ ქვემდებარე გამოდის ყოველთვის როგორც „მოცემული" მსმენელის ცნობიერებაში, ასე მაგალითად, კითხვაზე **What happened? „რა მოხდა?"** შეიძლება გვიპასუხონ: **The dog knocked the lamp „ძაღლმა გადააბრუნა ლამპა,"** სიტყვა „ძაღლი" არ არის „მოცემული", რადგან მთლიან წარმოდგენასთან ერთად წარმოადგენს ახალ ინფორმაციას მსმენელისთვის. „მოცემულის" როლში შე-

იძლება გამოდიოდეს ნაცვალსახელი და არა მის გვერდით გამოყენებული ქვემდებარე, როგორც პასუხში კითხვაზე **What happened to the lamp? „რა მოუვიდა ლამპას?“– the dog knocked it over „იგი გადააბრუნა ძაღლმა“** (У. Чейф, 1982:305).

ქვემდებარე არ არის ყოველთვის ის, რის შესახებაც მოგვითხრობს წინადადება. არაიშვიათად ყველაფერი დამოკიდებულია კონტრასტის ფოკუსზე, ასე, მაგალითად, წინადადებაში **Tuesday I went to the dentist „ სამშაბათს მე მივედი კბილის ექიმთან“**

კონტრასტის ფოკუსში შეიძლება იყოს თითოეული წინადადების წევრი, შესაბამისად თითოეული მათგანის შესახებ შეიძლება მოგვითხრობდეს წინადადება. იმას, რის შესახებაც მოგვითხრობს წინადადება, ინგლისურ ენაში ეწოდება „**ტოპიკი**“. წინადადების დანარჩენი ნაწილი, რომელიც მოგვითხრობს ახალ ინფორმაციას ტოპიკის შესახებ, იქნება „**კომენტარი.**“ ტერმინების „ტოპიკი“, „კომენტარი“ ავტორია ჰორნბი.თუ სიტყვა იქცევა ტოპიკად წინადადების თავში გადატანით, ადგილი აქვს **ტოპიკალიზაციას**, მაგალითად: **The play, John saw yesterday „წარმოდგენა, ჯონმა ნახა იგი გუშინ“ As for the play, John saw it yesterday „რაც შეეხება წარმოდგენას, ჯონმა ნახა იგი გუშინ“** (У.Чейф, 1982:307).

სამყაროს შესახებ ინფორმაციის გადმოცემის დროს მთქმელი უყურებს სამყაროს ან თავისი, ან მსმენელის, ან მესამე (წინადადებაში ნახსენები რომელიმე პირის) პოზიციიდან, რაც ინფორმაციის „შეფუთვის“ კიდევ ერთი ხერხია. ამ ფაქტორის აღმომჩენმა კუნომ უწოდა მას ტერმინი „**ემპათია**“, ხოლო უ. ჩეიფმა – „**თვალსაზრისი**“. წინადადებაში **John loves his wife „ჯონს უყვარს თავისი ცოლი“** მთქმელი აღწერს სიტუაციას ჯონის მხრიდან, რაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი იზიარებს ჯონის გადაწყვეტი-

ლებას, ხოლო წინადადებაში **Mary's husband loves her „მერის ქმარს უყვარს იგი"** სიტუაცია აღწერილია მერის მხრიდან. წინადადებას აქვს ემპათიის მხოლოდ ერთი ფოკუსი, ამიტომ წინადადება **Mary's husband loves his wife „მერის ქმარს უყვარს თავისი ცოლი"** იქნება უცნაური. თუ მთქმელი ასრულებს რაიმე როლს წინადადებაში, ემპათიას იგი ისენს თავის მიმართ. არაიშვიათად ემპათიის ფოკუსში ექცევა ქვემდევარე.

ძირითადი ცნებები

ინფორმაციის ჩამოყალიბება; ინფორმაციის გაგება; კომუნიკაციის წესები; კომუნიკაციის ბინარული სტრუქტურა; წინადადების აქტუალური დანაწევრება.

საჭირო ტერმინები

კოდირება – შეტყობინების კოდად გადაქცევა კომუნიკაციის დროს;
დეკოდირება – კოდირებული ინფორმაციიდან შეტყობინების მიღება კომუნიკაციის დროს;
ბინარული – ორი ნაწილისაგან შემდგარი;
ემპათია – ინფორმაციის გადმოცემის პოზიცია.

საკონტროლო კითხვები

1. არის თუ არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კომუნიკაციის დროს ინფორმაციის ჩამოყალიბების და გაგების პროცესები?
2. რა უნდა გააკეთოს მთქმელმა, რომ დაეხმაროს მსმენელს ინფორმაციის გაგებაში?

3. რატომ იყოფა სამეტყველო აქტში წარმოქმნილი ინფორმაცია ორ კომუნიკაციურ ნაწილად?
4. საიდან გამოიყვანა არისტოტელემ აზრის არსებითი ნიშანი– მტკიცება?
5. რამ განსაზღვრა არისტოტელესთან აზრის ბინარული (სუბიექტი-პრედიკატი) სტრუქტურა?
6. რა კანონზომიერებას ეფუძნება ჭეშმარიტების ცნება ლოგიკაში?
7. საიდან ჩანს, რომ აზრის ორად გაყოფა ლინგვისტური კანონზომიერაბაა და არა ლოგიკური?
8. ვინ დაარქვა აზრის ორად გაყოფას თავისი ლინგვისტური სახელი?
9. რა გვაძლევს საფუძველს გამოვყოთ წინადადების კიდევ ერთი -კომუნიკაციური ჩარჩო?
10. რაში მდგომარეობს მთქმელის უპირველესი ამოცანა?
11. რა უნდა გავითვალისწინოთ, უ. ჩეიფის თანახმად, ინფორმაციის წარმატებით გადაცემისთვის?
12. რას ნიშნავს უ. ჩეიფთან „ინფორმაციის მორგება“?
13. რას ეხება უ. ჩეიფის ინფორმაციის მორგების ხერხები: სახელებს თუ ზმნებს?
14. რა არის ის „კარი“, რომლითაც მსმენელში შეიძლება შევიდეს ახალი ინფორმაცია?
15. რა შემთხვევაშია წინადადება „კონტრასტული“?
16. რას ემსახურება განსაზღვრულობის ენობრივი კატეგორია?
17. რაში მდგომარეობს ქვემდებარის სემანტიკური ფუნქცია?
18. რას ნიშნავს ტერმინი „მოცემული“ უ. ჩეიფის კონცეფციაში?

19. წინადადება ყოველთვის მოგვითხრობს ქვემდებარის შესახებ?
20. რა ფუნქცია აკისრია „კონტრასტის ფოკუსს“?
21. რას ნიშნავენ ტერმინები „ტოპიკი“ და „ტოპიკალიზაცია“?

დავალება

I

დაადგინეთ, რომელი სიტყვა უნდა დაუშვათ მოცემულად, რომ გამონათქვამი იყოს კომუნიკაციურად კორექტული.

1. თქვენი წიგნი გიორგისთანაა.
2. საღამოს თამაზი გამოგვიელის მანქანით.
3. გოლი არ ჩათვალეს, იმიტომ რომ თამაშგარე იყო.
4. ასე ნელ-ნელა დღეები დღეებს ცვლიდნენ.
5. სამი დღე მშვიდად გაიდა.
6. სკოლაში ძმა წამყვა.

II

რა ფუნქცია აკისრია გამონათქვამებში ჩართულ სიტყვებს?

1. ჟანგბადის გატანას სუნთქვის ორგანოებიდან უჯრედში ასრულებენ, მოგეხსენებათ, ერითროციტები.
2. გაგონილი გექნებათ, სალათა აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას.
3. სინათლე, შეგიძლიათ გაიხსენოთ, მყისიერად როდი ერცელდება.
4. ეანო დიდი ხანია სულეიმანიაში მუშაობს, იცით, ალბათ, ქალაქია ერაყში.
5. გახსოვთ , ალბათ, ეზოდან ვიღაცამ დაგვიძახა?
6. იცით კარგად, სტუმარი ღვთისაა!

III

გამოყავით ტოპიკალიზაციის შემთხვევები


1. ღამის გზაზე ცხენი მიაბიჯებდა ფრთხილად.
2. ცხენი კი ფრთხილად მიაბიჯებდა ღამის გზაზე.
3. სახლის უკან გადაშლილიყო ციტრუსების პლანტაცია.
4. რაც შეეხება ციტრუსების პლანტაციას ,იგი სახლის უკან იყო გადაშლილი.
5. სოსომ იყიდა დიდი ორსართულიანი სახლი შარშან.
6. სახლი, სოსომ იყიდა იგი შარშან, იყო დიდი და ორსართულიანი.

§ 8. პროპოზიციები

„მხოლოდ წინადადებას აქვს აზრი...“ (Л.Витгенштейн, 1994:13), ამიტომ მხოლოდ წინადადებაში ხდება სამყაროს გააზრიანება, მხოლოდ წინადადებაში გარე სინამდვილე იძენს აზრს და იქცევა ადამიანურ სამყაროდ. ანთროპომორფული სინამდვილე მოცემულია წინადადების პროპოზიციურ ნაწილში. პროპოზიცია იძლევა სამყაროს ობიექტურ სურათს. „წინადადება შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არის სინამდვილის სურათი”, ამ სიტყვების ავტორი, ლ. ვიტგენშტაინი (Л.Витгенштейн, 1994:22) წინადადების უნარს იყოს „სინამდვილის სურათი“ უკავშირებს წინადადების ლოგიკურ სტრუქტურას: „წინადადება შეიძლება იყოს სიტუაციის სურათი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ლოგიკურად სტრუქტურირებულია“ (Л.Витгенштейн, 1994; 21); „წინადადება ახდენს სამყაროს კონსტრუირებას ლოგიკური კარკასის მეშვეობით“ და ამიტომ „ლოგიკურ-ფილოსოფიურ ტრაქტატში“ „წინადადება წარმოადგენს სიტუაციის ლოგიკურ სურათს“ (Л.Витгенштейн, 1994:20). ლ. ვიტგენშტაინის უდავო დამსახურებად უნდა ვაღიაროთ იმის აღმოჩენა, რომ წინადადებაში აისახება სინამდვილის სიტუაციათა სტრუქტურა და ამ მხრივ პროპოზიცია წარმოადგენს სქემას, ვიდრე საკუთრივ სურათს. ხოლო იმის დადგენა, რომ პროპოზიციის სტრუქტურა (სქემა) ბუნებით სემანტიკურია (ენობრივი) და არა ლოგიკური წილად ხვდა ლინგვისტებს – ლ. ტენიერს და ჩ. ფილმორს.

პროპოზიცია როგორც წინადადების სემანტიკური სტრუქტურა განისაზღვრება აქტანტებისა და სირკონსტანტების რაოდენობით ანუ პრედიკატის ირგვლივ შემოკრებილი სახელების ურთიერთმიმართებით და მათი

ადვერბიალური გარემოცვით. ერთმანეთისაგან პროპოზიციები განსხვავდებიან პრედიკატების: 1. ვალენტობით 2. სიტუაციათა ტიპით 3. გამოყენების სფეროთი. პრედიკატის ვალენტობა განსაზღვრავს აქტანტების (არგუმენტების) რაოდენობას პროპოზიციაში.



აქტანტები (არგუმენტები, პარტიციპანტები, სიღრმული ბრუნვები, სემანტიკური ბრუნვები, სემანტიკური როლები, სემანტიკურ-სინტაქსური ფუნქციები), პროპოზიციის (სიტუაციის) აუცილებელი კომპონენტებია (მონაწილეები) , რომლებიც წინადადებაში იძენენ კონკრეტულ ლექსიკურ მნიშვნელობას.

აგენსი აქტანტთაგან ერთ-ერთის – სუბიექტის ქვესახეა. სემანტიკური სინტაქსი განასხვავებს სხვადასხვა სუბიექტს, მაგალითად:

1. ჩვენი ფეხბურთელი შეუძლოდაა (მდგომარეობის სუბიექტი).

2. ჩვენს ფეხბურთელს ორი გაფრთხილება აქვს (მფლობელობის სუბიექტი).

3. მატჩის რადიოკომენტარის დროს: არის! გაიტანეს! (განუსაზღვრელი სუბიექტი).

4. ჩვენი ფეხბურთელი გადის მინდვრიდან (გარდაუვალი მოქმედების სუბიექტი).

5. ჩვენმა ფეხბურთელმა გაიტანა ბურთი კარში (გარდამავალი მოქმედების სუბიექტი).

აგენსი გარდამავალი მოქმედების სუბიექტია. მისი თანმხლები ნიშნებია: გარდამავალი ზმნა და პირდაპირი ობიექტი.

ლათინურ ფორმანტს CO –(კო) აქვს თანაობის მნიშვნელობა. თუ აგენსი მოქმედებს ვინმესთან ერთად, იგი **კოაგენსია:** „ჩვენმა **მეკარემ თანაგუნდელებთან ერთად** მოიგერია მოწინააღმდეგის ყველა შეტევა“.

ექსპერიენცერი რისამე მიმართ განწყობის, ცოდნის გამომხატველი სუბიექტია: „**მაყურებელს** მოსწონს თამაში“, „ **ბიჭები** განიცდიან წაგებას,“ „**გიორგის** უყვარს ფეხბურთი“, „**გენომ** იცის თამაში“.

კაუზატორი აქტანტია, რომელიც პრედიკატით გამოხატული მოქმედების მიზეზია. სუბიექტი შეიძლება თავად არ ასრულებდეს სიტუაციით გაოვალისწინებულ მთავარ მოქმედებას, მაგრამ აიძულებდეს ამის გაკეთებას ერთერთ ობიექტს, პირდაპირს თუ ირიბს. წინადადებაში „ჩვენმა **ფეხბურთელმა** დაატოვებინა ბურთი მოწინააღმდეგეს“ მთავარი მოქმედების შემსრულებელია ირიბი ობიექტი „მოწინააღმდეგეს,“რომელიც ერთდროულად ითავსებს ჩართული სუბიექტის როლსაც, ხოლო სიტუაციის ინიციატორი აქტანტი „ფეხბურთელი“ -სუბიექტი-კაუზატორია.

წინადადებაში **„ფეხბურთელმა** გაგზავნა ბურთი წინ“ კაუზატიური აგენსი „ფეხბურთელი“ აიძულებს პირდაპირ ობიექტს „ბურთს“ შეასრულოს მოქმედება.სუბიექტი, რომელიც არ უშლის ობიექტს ხელს შეასრულოს მოქმედება, **პერმისიულია: „ფეხბურტელმა** გაატარა ბურთი“.

ნომინატივი ობიექტია, რომლისგანაც მომდინარეობს მოქმედება, რომელიც არც მიზანმიმართულია, არც ნებისმიერი, მაგალითად: **„ქალიშვილი** ყოყმანობდა,“ **„ქეთოს** სული შეეკრა“, „**ზაზა** დაიბნა,“ „**მაროს** ცრემლები ჩამოსდიოდა“.

ადრესატიცა და **ბენეფიციენტიც** აღნიშნავენ ირიბ ობიექტს, პირს, რომლისთვის სრულდება პრედიკატით გამოხატული მოქმედება. მაგრამ ბენეფიციენტი ეტიმოლოგიურად ბენეფისის (ფრანგ. სპექტაკლისაგან შემოსავალი) მიმღებია. ბენეფიციენტს შეიცავენ პრედიკატები: „დასაჩუქრება,“ „დაჯილდოება,“ „მირთმევა,“ „მიცემა“ და ა. შ., ხოლო წინადადებებში: „პეტრემ ქვა ესროლა **ივანეს**“, „ლაშამ ბურთი გადააწოდა **ზაზას**“ უპრიანია ვილაპარაკოთ ადრესატზე და არა ბენეფიციენტზე.

დატივი პირია, რომელსაც ეხება მოქმედება ან მდგომარეობა: „ბურთი შეეხო **დამცველს**.“ **რეციპროკანტი (კონტრაგენტი)** სიმეტრიული მიმართების მონაწილეა: **„გიორგი** მეგობრობს **ზაზასთან“, „ივანე** ჰგავს **პეტრეს“, „მაგთული** გადაება **ტოტს“.**

პაციენსი პირდაპირი ობიექტია, შეიძლება იყოს სულიერი (მხატვარმა დახატა **ქალი**) და უსულო (ოსტატმა შექმნა **შედევრი**).**ფაქტიტივი** –საგანი ან არსება, რომელიც ჩნდება მოქმედების შედეგად: „მწერალმა დაწერა **მოთხრობა“, „**ქათამმა გამოჩეკა **წიწილები“. ობიექტივი** -— საგანი, რომელსაც ეხება მოქმედება ან მდგომარეობა: „მანქანა დაეჯახა **ღობეს“, „**პეტრე შეეხო **სახელურს“. ინსტრუმენტალისი** — საგანი, რომელიც გამოიყენება ინ-

სტრუმენტად ამა თუ იმ მოქმედების დროს: „პეტრემ **გასაღებით** გააღო კარი“.

მედიატივი მოქმედების ნიეთიერი საშუალებაა: „ნახაზი გაკეთებულია **მელნით**“, „სიტყვა დაწერილია **ცარცით**“, „კედელი გათეთრებულია **კირით**“, სახლი აშენებულია **აგურით**“, „**ვაზელინი** არბილებს კანს“, „**წამალი** კურნავს“, „**კირი** ათეთრებს“, „**პური** ასუქებს“.

ლოკატივი მოქმედების შესრულების ან მდგომარეობის ადგილია, რომელიც შეიძლება იყოს როგორც აქტანტი, ისე სირკონსტანტიც.

ლოკატივი

აქტანტი:	სირკონსტანტი
პეტრემ ჩაირა **ქუჩა** (ფინიტივი)	პეტრე ცხოვრობს **სოფელში** (ინესივი)
ეანომ გაიარა **ბაღით** (ტრანზიტივი)	სახლი დგას **ტყესთან** (ადესივი)
ხატია გაემგზავრა **ქალაქს** (ილატივი)	წიგნი დევს **მაგიდაზე** (სუპერსივი)
Он отошёл **от стола** (აბლატივი)	გოჩა წავიდა **სახლისკენ** (ალატივი)
Он вынул **из стола** (ელატივი)	ნონა გამოვიდა **სახლიდან** (ელატივი)
Он вошел **в дом** (ილატივი)	**სახლიდან** ტყემდე შორს არის (აბლატივი)

ტემპორატივი დროის გამომხატველი სხვადასხვა ფორმაა.


პროპოზიციის სახით წინადადება გადმოსცემს ფაქტს, ხდომილობას -„ობიექტების კონფიგურაციას“ (Л.Витгенштейн, 1994:7), ანუ პროპოზიცია წარმოადგენს ამბავს ფაქტის (ხდომილობის) შესახებ. ტერმინების „ამბავი“, „ხდომილობა“ ამგვარი გამოყენებით პირველი -„ამბავი“ უნდა დაეუშვათ წინადადებაში, ხოლო „ფაქტი“ და „ხდომილობა“ მივაკუთვნოთ მატერიალურ სინამდვილეს. მაგრამ

იმის გამო, რომ სინამდვილის გაცნობიერება ენობრივი პროცესია, საზღვარი ამბავსა და ფაქტს (ხდომილობას) შორის არის შეუძლებელი. მხოლოდ პირობითად თუ ვილაპარაკებთ არაენობრივ ფაქტსა და ხდომილობაზე. სინამდვილეში ფაქტი სუბიექტისთვის ყოველთვის ამბავია ანუ სემანტიკური ცვლადებით დაკონკრეტებული პრედიკატის, აქტანტებისა და სირკონსტანტებისაგან შემდგარი პროპოზიცია. ამ გაგებით ენა „აპორტრეტებს" სინამდვილეს და თავად არის სინამდვილე. ენობრივად გამოსახული სინამდვილის ფაქტები შეიძლება მივაკუთვნოთ ოთხთაგან ერთ-ერთ სფეროს: ბუნებას, სოციუმს, გონს, ფსიქიკას და შესაბამისად გამოვყოთ ფიზიკური, სოციალური, მენტალური და ფსიქიკური პროპოზიციები. თითოეული სფერო გადმოიცემა მრავალი პრედიკატით, მაგალითად, სოციალურ სფეროს გამოხატავენ პრედიკატები: არის, შრომობს, ცხოვრობს, სწავლობს, უსმენს, მიემგზავრება, თამაშობს, მარხულობს, ბრაზობს, აფუძნებს, აკვირდება, მიფრინავს, მსახურობს, ვითარდება, არსებობს, ისვენებს, ჩადის, დაიბნა, წერს, აფასებს და ა. შ. მოყვანილი პრედიკატები სემანტიკური თვალსაზრისით შეიძლება გავყოთ ჯგუფებად:


1. არსებობის პრედიკატები:	2. მდგომარეობის პრედიკატები:	3. გადაადგილების პრედიკატები:	4. მოქმედების პრედიკატები:
არის	ისვენებს	მიემგზავრება	აკეთებს
არსებობს	ბრაზობს	მიფრინავს	შრომობს
ცხოვრობს	დაიბნა	ჩადის	წერს

5. აღქმის პრედიკატები:
აკვირდება
აფასებს
უსმენს

პრედიკატთა აქტანტური სტრუქტურის, სემანტიკური ტიპის და გამოყენების სფეროს გათვალისწინებით ტ. შმელიოვა აყალიბებს ხდომილობრივ (ამბის გადმომცემ) პროპოზიციათა ტიპოლოგიას (Т. Шмелёва, 1994:12):



ყოფის პროპოზიცია გამოხატავს საგნის არსებობის მნიშვნელობას, სტრუქტურით იგი მარტივია, შედგება ეგზისტენციური პრედიკატისა და ერთი აქტანტისაგან ლოკატივით ან ულოკატივოდ: **„სადამოა“, „სიცივეა“, „წვიმა იყო“, „ქალაქში წვიმა იყო“, „ნატო ცხოვრობს სოფლად“, „ციტრუსები იზრდება თბილ სუბტროპიკებში“**. აქტანტთა რაოდენობა იზრდება მფლობელობის სუბიექტის გამოყენებით: **„გიორგის აქვს არჩევანი“, „ძაღლს ჰყავდა ლეკვები“; У него проблема; Унас радость;** არსებობის პროპოზიცია იგულისხმება ყველა სხვა პროპოზიციის გამოყენების დროს.



აზრები ლოგიკურად მოწეს-	აცივებულია.
რიგებულია.	წვიმა.
ივანე უცოლოა.	სიბნელე.
ქვეყანაში რევოლუციაა.	თოვლი.
სტუმარი მთვრალია.	

მდგომარეობის პროპოზიციები წარმოადგენენ საგანს თავის შესაძლებელ თვისებაში ყოფნით. უაქტანტო პროპოზიციები გამოხატავენ „გარემოს მდგომარეობას“ (Н. Д. Арутюнова, 1976:229).

III გადაადგილების პროპოზიციები

ერთი აქტანტით და ჩვეულებრივ ლოკატივით, რადგან მოძრაობა სივრცეში გულისხმობს გამოსვლის, გავლის და მისვლის პუნქტებს:

ვანო მიდის სკოლაში ➡ ვანო მიდის.
ფოთლები ხიდან ძირს ცვივა ➡ ფოთლები ცვივა.
გივი სახლისკენ მორბის ➡ გივი მორბის.
ჩვენ გადავკვეთეთ ქუჩა.
გემმა გადასერა ზღვა.
ავტობუსმა ჩაუარა სპორტის სასახლეს.

IV მოქმედების პროპოზიციები

ერთი აქტანტით	ორი აქტანტით	ორზე მეტი აქტანტით
პეტრე იცინის.	პეტრე დასცინის ივანეს.	სანდრომ ქვა ესროლა ძაღლს.
ახალგაზრდები მხიარულობენ.	თამადამ გაამხიარულა ახალგაზრდები.	ილომ კარი გაუღო მამას გასაღებით.
საათი მუშაობს.	მოახლემ აამუშავა საათი .	სოსომ ცელით მოუთიბა მეზობელს მინდორი.

თუ მდგომარეობა ეუფლება სუბიექტს („პეტრე მხიარულია“, „ ნინო დამწუხრებულია“), მოქმედებას სუბიექტი ასრულებს („პეტრე მხიარულობს“, „ნინო სწუხს“). მოქმედება ხშირ შემთხვევაში მიზანმიმართულია, იგი გამოხატავს სუბიექტის მიმართებას სინამდვილესთან, შესაბამისად, მოქმედების პროპოზიცია შეიძლება იყოს:

ა) ზემოქმედება – გულისხმობს არსებული გარემოს შეცვლას:

ილომ დაარწმუნა მეგობარი.
მასწავლებელმა გაასწორა ნაწერი.
მწვრთნელმა შეცვალა მოთამაშე.
მეზობელმა შეღება სახლი.

ბ) კრეაციული – გულისხმობს ახალი ობიექტის შექმნას:

მწერალმა დაწერა წიგნი.
მეცნიერმა შექმნა თეორია.
მეზობელმა ააშენა სახლი.
რეჟისორმა დადგა სპექტაკლი.
დედამ გამოაცხო ხაჭაპური.
ნათესავმა გააშენა ბაღი.
ქარხანამ გამოუშვა პროდუქცია.

გ) დესტრუქციული –გულისხმობს ობიექტის დაშლას, გაუქმებას:

სამინისტრომ გააუქმა სასწავლებელი.
პოლიციამ ჩაშალა მიტინგი.
სეტყვამ გაანადგურა მოსავალი.
ნ. გოგოლმა დაწვა თავისი რომანი.
პრეზიდენტმა დაითხოვა პარლამენტი.
მოხელემ დაშალა მანქანა.

დ) საურთიერთო – გულისხმობს რამდენიე სუბიექტის ერთდროულ მოქმედებას ერთმანეთზე :

მათ აქვთ ერთმანეთთან მიმოწერა.
ფეხბურთელებმა გაცვალეს მაისურები.
ისინი ამარაგებენ ერთმანეთს საჭირო მასალით.
ისინი აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას.
პარლამენტარები ჩხუბობენ.

V აღქმის პროპოზიციები

ორი აქტანტით	სამი აქტანტით
მან დაინახა სანაპირო.	მან დურბინდში დაინახა სანაპირო.
ავადმყოფმა მიიღო წამალი (ფიზიკური)	მეცნიერებმა აღმოაჩინეს უჯრედი მიკროსკოპში.
ხალხმა გაიზიარა ეს იდეა	ექიმი ფონენდოსკოპში უსმენს
კომისიამ მოიწონა პროექტი (სოციალური).	გულის ცემას. (მენტალური).

აღქმის პროპოზიცია ორაქტანტიანია, რადგან საჭიროებს აღქმის სუბიექტსა და ობიექტს, აღქმის ინსტრუმენტი (დურბინდი, მიკროსკოპი, ფონენდოსკოპი...) ფაკულტატურია.

ძირითადიცნებები

სინამდვილის ლოგიკური სტრუქტურა; სინამდვილის სემანტიკური სტრუქტურა; სიტუაციათა ტიპები; პროპოზიციის პრედიკატული სტრუქტურა.

საჭირო ტერმინები

ადვერბიალური – ენობრივი ფორმა გარემოების მნიშვნელობით;

არგუმენტი – აქტანტი, სახელი;

პარტიციპანტი – სიტუაციის აუცილებელი მონაწილე, აქტანტი;

ინიციატორი – სახელი, მოქმედების ინიციატივის გამომჩენი სუბიექტი;

ეგზისტენციური – არსებობის დამადასტურებელი.

საკონტროლო კითხვები

1. რატომ არის სინამდვილე ადამიანისთვის ანთროპომორფული?
2. წინადადების რომელ ნაწილში აისახება სინამდვილე?
3. რას უკავშირებს წინადადების უნარს იყოს სინამდვილის სურათი ლ. ვიტგენშტაინი?
4. როგორ ხსნიან წინადადების უნარს აისახოს სინამვილე ლ. ტენიერი და ჩ. ფილმორი?
5. რისგან შედგება პროპოზიციის სემანტიკური სტრუქტურა?
6. აქვს თუ არა აქტანტს (პარტიციპანტს) კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობა?
7. რისი ქვესახეა აგენსი?
8. რა ნიშნებით ხასიათდება აგენსი როგორც სუბიექტი?
9. რა განსხვავებაა ბენიფიციენტსა და ადრესატს შორის?
10. რით განსხვავდებიან დატივი და ობიექტივი?
11. რატომ არის შეუძლებელი ზღვარი ამბავსა და ფაქტს (ხდომილობას) შორის?

დავალება

I

დაადგინეთ სუბიექტის სახე

1. დილით, სწავლის დაწყებამდე, დავწერე დავალება.
2. გათენდა თუ არა, გავვარდი გარეთ.
3. სკოლის შენობა ლამაზად შეუკეთებიათ.
4. მეგობარს აქვს კარგი ბიბლიოთეკა.
5. მთელი დღე მციოდა.
6. ბავშვებს უყვართ ტკბილეულობა.
7. ბებიამ შემაყვარა ტკბილეულობა.
8. მაშინ მე მამასთან ერთად ოთახში შევუძახი სტუმარს.

II

დაადგინეთ აქტანტების სახე

1. ნინო ამხანაგობს ნანასთან.
2. სტუმარს მიართვეს ძვირფასი საჩუქარი.
3. სანდრომ დაიბანა ხელები საპნით.
4. მე ურუანტელმა დამიარა.
5. მხედარმა ცხენს ქუსლი ჰკრა.
6. დავითმა ქართული მიწები ისევ საქართველოს სამანებში მოაქცია.
7. იგი ფერხთიო დაემხო მას.
8. მონადირემ ხოხობს მიმინო დაადევნა.
9. სასამართლომ შეწყვიტა საქმე მის მიმართ.
10. მის მიმართ საქმე შეწყდა.
11. მოძღვარმა ბნელს ნათელი მოჰფინა.
12. უცნაური ამბავი გადამხდა.

13. კარგი განწყობა გონში წარმოქმნის ნათელ შინაარსს.
14. აზრი ებადება რეფლექსიაში მყოფ ადამიანებს.
15. წარმატება მოგვცემს ჩვენ ბენეფისს.
16. ადამიანი თვითონ ირჩევს თავის გზას.
17. მე სულ ოპტიმისტური განწყობა მქონდა.
18. მას ჩაეძინა.

III

განსაზღვრეთ პროპოზიციის ტიპი

1. ავტობუსი დილით ჩავიდა ქალაქში.
2. პოლიტიკურ ცხოვრებაში სიწყნარეა.
3. მომხმარებელი უკმაყოფილოა.
4. მასწავლებელი უკვე შემოვიდა.
5. ძაღლმა აიღო გეში.
6. ბოროტ ადამიანებს ბოროტი ძაღლები ჰყავთ.
7. მოხუცმა ჩიბუხი გატენა.
8. იარაღი ხელში შეაცივდა.

თავი VII. პრაგმატული სინტაქსი

§ 1. იმპლიციტური პროპოზიციები

ტერმინი „იმპლიციტური“ კომუნიკაციის შემთხვევაში არ ნიშნავს გამოუვლენელს, არამედ – არაექსპლიცირებულს ანუ ისეთ შინაარსს, რომელიც ვლინდება უშუალო გამოხატვის გარეშე. ექსპლიცირებული შინაარსი კომუნიკაციის დროს გამოიხატება ბგერით ან ჟესტიმიკით, იმპლიციტური – გამოხატული შინაარსის „ხარჯზე“, იმ პირობით, რომ ორი შინაარსი დაკავშირებულია ერთმანეთთან აუცილებელი კავშირით. ამგვარ კავშირს ლოგიკაში ეწოდება იმპლიკაციური, იგი გამოიხატება ფორმულით A⊃B (თუ A, მაშინ B(ც). ლოგიკური იმპლიკაცია ორწევრიანია, იგი შედგება ანტეცენდენტისა (A) და კონსეკვენტისაგან (B). იმპლიკაციური გამონათქვამი შეიძლება იყოს გამოყენებული გაშლილად (შეიცავდეს ანტეცენდენტსა და კონსეკვენტს), მაგალითად, შეთავაზება-პასუხებში:

1. წამოხვალ სასეირნოდ? – დავიღალე, ამიტომ ვერ წამოვალ სასეირნოდ.
2. გეპატიჟებით კონცერტზე! – მალე გამოცდა მაქვს, უნდა ვიმეცადინო, ამიტომ ვერ წამოვალ.
3. მიირთვი ნაყინი! – გაციებული ვარ, ამიტომ ნაყინს ვერ ვჭამ.
4. დაუსხით ამ კაცს ღვინო! – მანქანით ვარ, ამიტომ ვერ დავლევ ღვინოს.

რადგან ანტეცენდენტი შეიცავს მიზეზს, ხოლო კონსეკვენტი – შედეგს, რომელიც შინაარსობრივად იმეორებს შეთავაზებას, ეს უკანასკნელი მოყვანილ და მსგავს

მაგალითებში კომუნიკაციის დროს ზედმეტია და ჩვეულებრივ გამოიტოვება:

1. **წამოხვალ სასეირნოდ? – დავიღალე!**
2. **გეპატიჟებით კონცერტზე! – ხვალ გამოცდა მაქვს.**
3. **მიირთვი ნაყინი! – გაციებული ვარ.**
4. **დაუსხით ამ კაცს ღვინო! – მანქანით ვარ.**

კონსეკვენტი ამ შემთხვევაში არ ხმოვანდება, მაგრამ აუცილებლად იგულისხმება, ე.ი. გვაქვს იმპლიციტური შინაარსი. იმპლიციტური შინაარსის ფორმებია: იმპლიკაცია, პრესუპოზიცია, ელიფსი, ქვეტექსტი, ალუზია, მეტაფორა, ანტონომაზია „მესიჯი.“ მათგან ყველაზე მარტივ შემთხვევას წარმოადგენს ელიფსი (ბერძნ. Elleipsis)— ისეთი ელემენტების გამოტოვება მეტყველებაში, რომელთა აღდგენა ადვილად შეიძლება კონტექსტიდან: **რა გქვია შენ? – ლევანი; კაცი , რომელმაც შემოიტანა განცხადება სამინისტროში, აქ ცხოვრობს? – აქ; შეიძლება?(შემოვიდე, წავიდე, ავიღო, გავიარო, დაგეხმარო...);** – იმპერატივის გრამატიკული ფორმები: წადი, გააკეთე, მომიტანე... ყოველთვის გულისხმობენ შესაბამის იმპერატიულ ინტენციას (მე გიბრძანებ, გთხოვ, გეხვეწები, გემუდარები, გაფრთხილებ, გთავაზობ...), რომელიც გამოიხატება ინტონაციით ან გასაგები ხდება სიტუაციიდან და ამიტომ ჩვეულებრივ გამოიტოვება. უფრო რთულია სემანტიკური სტრუქტურით მეტაფორა: **„იგი ქალიშვილივით მორიდებულია“** გულისხმობს: **„ქალიშვილები მორიდებული არიან.“** ვიღაცის მიმართ ნათქვამი **„ ლომივით მამაცია“** პირველ რიგში ლომს მიაწერს სიმამაცეს. მეტაფორა ეფუძნება შედარებას და გამოხატავს სახეს. სახეებით მეტყველების დროს ენობრივი ფორმა ვერ იტევს მთლიან შინაარსს, საჭირო ხდება მისი ნაწილის წარმოსახვაში აღდგენა. პო-

ეტისთვის სახისმეტყველება ღვთით მომადლებული ნიჭია, არაპოეტებისთვის – საშუალება გამოკვეთილად დაამახსოვრონ მსმენელს ინფორმაცია, რადგან მხატვრულ სახეს ცნობიერებაში უჩნდება მრავალი ფესვი – ასოციაცია. 480 წ. ჩ.წ . აღ-მდე ფერმოპილის ხეობაში ათენისკენ წამოსულ სპარსელების უსარმაზარ ჯარს დახვდა ბერძნების მცირე ლაშქარი მეფე ლეონიდეს მეთაურობით. პირისპირ შეხვედრის დროს სპარსელები მხატვრულად დაემუქრნენ ბერძნებს: „მოემზადეთ სიკვდილისთვის, რადგან ხვალ ჩვენი ისრები დაჩრდილავენ მზეს“-„ესე იგი ჩვენ ვიბრძოლებთ ჩრდილში,“ – უპასუხა სპარტანელმა მეომარმა.

„შენ ჩემს სიყვარულს ვერ მოერევი,“— დაემუქრა ფერიდე ავთო ჯაყელს ნ. დუმბაძის რომანში „ნუ გეშინია,დედა“(205). ეს ერთი ფრაზა იტევს კონცეფციას: სიყვარული ორთა დაპირისპირებაა. ქალის სიყვარული რომ დაიმსახურო, საკუთარ თავში იმაზე მეტი სიყვარული უნდა აღმოაჩინო, ვიდრე ქალში გინდა იპოვო. ილიას მეტაფორაც, „კაცია— ადამიანიდან?!“ „ შიგ თითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული“(ი.ჭავჭავაძე, 1984:119) იწვევს წარმოსახვაში ასოციაციათა ფართო ნაკადს.

რუსული სიტყვა царь მეფეს ნიშნავს, მისგან მიღებული კნინობითი ფორმა царёк (მეფუკა) პირდაპირი გაგებით «პატარა მეფეა,“ მაგრამ, ამასთან, იგი გამოხატავს მხატვრულ სახეს პროეინციელი მმართველის, რომელიც ტკბება ხელში ჩაგდებული ძალაუფლებით, ცდილობს დაემსგავსოს მეფეს. მაგრამ არ იცის, რომ მეფურად ყოფნა შეუძლია მხოლოდ ნამდვილ მეფეს. ასოციაციათა გამომწვევია რუსული ენის მხატვრული ფორმები: глубинка, звёздный час, хлебное место,знаковая фигура, теневой бизнес, демонизировать образ, информационная пена,

перезагрузка отношений, раскручивать тему, раскачивать ситуацию, вползать в ситуацию.

მხატერულობის საფუძველი შეიძლება იყოს მინიშნება ცნობილ ლიტერატურულ ან ისტორიულ–კულტურულ ფაქტზე. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ალუზიასთან; მაგალითები ქართული პრესიდან: **„არმაგედონი ქართულად“, „ილიამ მხრებით ზიდა ეს მძიმე ჯვარი“, „საქართველოს სულიერი ფერისცვალება“, „ისინი შეულლდნენ რომეო და ჯულიეტას ასაკში“**. ორპლანიან შინაარსთან გვაქვს საქმე ანტონომაზიის შემთხვევაშიც, როცა საზოგადო სახელების მაგივრად ვიყენებთ საკუთარს ან, პირიქით: ძლიერი-ჰერკულესი; მჭევმეტყველი-ციცერონი; ბრძენი– სოლომონ-ბრძენი; რაინდი – დათა თუთაშხია; კარგი ფეხბურთელი– პელე, მარადონა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჯერ ლოგიკოსები და შემდეგ ლინგვისტებიც იმპლიციტური შინაარსის კვლევას უკავშირებდნენ იმპლიკაციას და პრესუპოზიციას. იმპლიციტური შინაარსის ორი აღნიშნული ფორმა ძირითადი (გახმოვანებული) პროპოზიციის თანამდევია. პრესუპოზიცია წინ უსწრებს გამონათქვამს, რადგან განსაზღვრავს მისი მიზანშეწონილობის პირობას, იმპლიკაცია კი მოჰყვება გამონათქვამს, რადგან გამოიყვანება მისი მნიშვნელობიდან.

პრესუპოზიცია ⟶ გამონათქვამი ⟶ იმპლიკაცია (სემანტიკური დანართი)

შეაპირობებს გამომდინარეობს

იმპლიკაცია შინაარსია, რომელიც არ არის გამოხატული სამეტყველო აქტში, მაგრამ გამომდინარეობს ექსპლიცირებული შინაარსიდან, ასე, მაგალითად, გამონათქვამი, **„გივი მამაა“** გულისხმობს იმას, რომ 1. გივის ჰყავს შვილი; 2. გივის ჰყავს ან ჰყავდა ცოლი; მსგავსად:

ინდირა სტუდენტია –	1. ინდირა სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში; 2.ინდირა სრულწლოვანია;
პეტრემ იყიდა შაქარი –	1. პეტრე იყო მაღაზიაში; 2.პეტრეს ჰქონდა ფული; 3.პეტრეს დასჭირდა შაქარი.
ნინომ ჩააბარა გამოცდა –	1. ნინო სწავლობს; 2 .ნინო იყო გამოცდაზე; 3.ნინო მოემზადა გამოცდის ჩასაბარებლად; 4. ნინო უნდა იყოს კმაყოფილი.
ნათიაც მოვიდა –	1. ნათიას გარდა კიდევ ვიღაც მოვიდა.
ძმა ფეხბურთელია –	1. ძმა საფეხბურთო გუნდის წევრია; 2.ძმა ვარჯიშობს და თამაშობს ; 3. ძმას უყვარს ფეხბურთი.

ადვილი შესამჩნევია, რომ იმპლიკაციის უარყოფით შეუძლებელი ხდება ძირითადი პროპოზიციაც, ამიტომ ცნობილია იმპლიკაციის შემდეგი განმარტებაც: „იმპლიკაცია ეწოდება ისეთ იმპლიციტურ პროპოზიციას,რომლის უარყოფა იწვევს ძირითადი პროპოზიციის უარყოფას“ (М.Кронгауз, 2005:206).

კომუნიკაციის დროს გახმოვანებულ პროპოზიციასთან ერთად აქტუალიზდება და გადაიცემა მასთან სემანტიკურ კავშირში მყოფიც პროპოზიცია ან პროპოზიციები, რომლებიც რჩება გაუხმოვანებელი, ამ შემთხვევაში აქტუალიზაცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გახმოვანება. პროპოზიცია შეიძლება აქტუალიზდებოდეს როგორც გახ-

მოვანებით, ისე გახმოვანების გარეშეც, აქედან კომუნიკაციის დროს გახმოვანებულ პროპოზიციათა რაოდენობა არ უდრის აქტუალიზებულ პროპოზიციათა რაოდენობას. გამონათქვამი **„დღეს ჩვენ კარგად ვიმუშავეთ“** შეიცავს ორ პროპოზიციას : 1. გახმოვანებულს (დღეს ჩვენ კარგად ვიმუშავეთ); 2. გაუხმოვანებელს (ჩვენ ყოველთვის ასე კარგად არ ვმუშაობთ). შეკითხვით **„ქალაქის ცენტრში როგორ უნდა მივიდე?“** შემკითხველი იმასაც გვამცნობს: **„თქვენს ქალაქში მე ჩამოსული ვარ“**. ხშირ შემთხვევაში მთქმელი ვერ აცნობიერებს ყველა იმ პროპოზიციას, რომელიც სემანტიკური დანართივით მოჰყვება მთავარ გამოთქმულ პროპოზიციას. მაგალითად განვიხილოთ გამონათქვამები, რომლებიც ეკუთვნის რუსთაველის თეატრის ცნობილ მსახიობს ჟანრი ლოლაშვილს:

გამონათქვამი	იმპლიკაცია
1. „თბილისში მოწონებული სპექტაკლი უცხოეთში ყოველთვის ბისზე მიდის.“	– თბილისი თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ცენტრია.
2. „თეატრში ლუარსაბ თათქარიძეს ვთანაშობ. ყველა ადამინში არის ლუარსაბი“.	– ი. ჭავჭავაძე მსოფლიო მასშტაბის კლასიკოსი მწერალია, რადგან მისი გმირი არა მხოლოდ ყველა ქართველშია, ყველა ადამიანშია.
3. „ათი მცნების დარღვევა კრიმინალია“	– კოდექსი სახარების საფუძველზე უნდა იყოს შედგენილი.

(ასავალ-დასავალი, 2009, №49, გვ. 31).

ამგვარი იმპლიკაციები იძლევიან საშუალებას ამოვიკითხოთ ტექსტში იმაზე მეტი, ვიდრე ტექსტის ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული. საინტერესოა ამ მხრივ ისტორიუ-

ლად ცნობილი Thesei da Physei კონცეფციათა იმპლიკაციები:

გამონათქვამი	იმპლიკაცია
4„ სახელები გამოხატავენ საგნის ბუნებას“	-1. არსებობს მსგავსება საგნებსა და სახელებს შორის. 2. სახელები იკონური ნიშნებია .
5. „სახელები დადგენით, ე. ი. აღნიშნავენ საგნებს“.	პირობითად – 1.არ არსებობს მსგავსება საგნებსა და სახელებს შორის. 2. სახელები სიმბოლური ნიშნებია.

ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: **„აჭარა ჩემი მეორე სამშობლოა“.** ამ სათაურით ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზეთებში და გამოიწვია აჭარის მცხოვრებთა აღშფოთება. გამონათქვამი **„აჭარა ჩემი მეორე სამშობლოა“** შეიცავს იმპლიკაციას „მე მაქვს პირველი სამშობლო საქართველო,“მაშინ რაღა არის აჭარა? ფრაზა არ იქნებოდა ორაზროვანი, სიტყვა „აჭარის“ მაგივრად ავტორს რომ გამოეყენებინა სხვა რომელიმე ქვეყნის სახელი.

ძირითად პროპოზიციასთან იმპლიკაციას აქვს ის უპირატესობა, რომ იგი არ ხმოვანდება აქტუალიზაციის დროს. ამიტომ იმპლიკაციას ხშირად მიმართავენ მაშინ, როცა საკომუნიკაციო სიტუაცია ვერ იძლევა საშუალებას გავახმოვანოთ საჭირო შინაარსი. იმპლიკაცია რიტორიკული ხელოვნების ყველაზე დახვეწილი ხერხია, მას იყენებენ პოლიტიკოსები და დიპლომატები. ძნელია მოსთხოვო პასუხი იმპლიკაციის გამომყენებელს, რადგან მას ყოველთვის რჩება ნათქვამზე პასუხისმგებლობის აცილების საშუალება – „მე ეს არ მიგულისხმია,“ ანუ შეუძლია „ამოეფაროს“ გახმოვანებულ პროპოზიციას. იმპლიკაცია რემატულია და დაუშვებს ვარიანტებს. საქართველოში

ცნობილმა პოლიტიკოსმა თავისი ერთერთი პოლიტიკური ოპონენტის გამოჩენა საზოგადოებრივ ასპარეზზე შეაფასა სიტყვებით: **„მ. ნ. არის პოლიტიკოსი, რომელიც პოლიტიკაში მოვიდა როგორც ქალი“**. ეს გამონათქვამი სხვა შინაარსთან ერთად შეიცავს იმპლიკაციას, რომელიც შეუძლებელს ხდის მ. ნ. -ის როგორც ხალხის ინტერესთა დამცველის ღირებულებას.

რუსეთის მეფემ ალექსანდრემ გაგზავნა გენერალი ბალაშოვი ნაპოლეონთან ვილნოში საპროტესტო წერილით იმის თაობაზე, რომ ფრანგულმა ჯარმა უკანონოდ გადმოლახა მდინარე ნემანი. წერილის წაკითხვის შემდეგ ნაპოლეონი შეეკითხა გენერალ ბალაშოვს: „ვილნოდან მოსკოვზე პირდაპირ მიმავალ გზაზე რა ქალაქები მდებარეობს?“ გენერალმა ბალაშოვმა უპასუხა: „ვილნოდან მოსკოვზე მრავალი გზა მიდის, ერთ-ერთი მათგანი კარლოს XII აირჩია და იგი პოლტავაზე გადის.“ ამ დიალოგის საზრისების ამოსაკითხად საჭიროა ექსტრალინგვისტური კონტექსტის გათვალისწინება და ფონური ცოდნის მოშველიება. ნაპოლეონის შეკითხვა იმპლიკაციად შეიცავს სრულ იგნორირებას რუსეთის პროტესტისა. რუსი გენერლის პასუხში კი ჩამალულია გაფრთხილება ფრანგი იმპერატორისათვის. მოყვანილი მაგალითი წარმოადგენს ტექსტურ იმპლიკაციას, რადგან იფარგლება მიკრო-კონტექსტით, რაც კომპოზიციურად შეესაბამება ეპიზოდს. მისგან განსხვავებით ქვეტექსტი რეალიზდება მთლიანი ნაწარმოების მაკროკონტექსტში სიუჟეტის საფუძველზე. ამრიგად, იმპლიკაცია და ქვეტექსტი განსხვავდებიან მთლიანი შინაარსის, სიუჟეტის მომცველობით, ორივე შეადგენს ტექსტის სიღრმულ ნაწილს, მაგრამ სხვადასხვა მასშტაბით. საჭიროა აღინიშნოს, რომ ტერმინით „ქვეტექსტი“ აღნიშნავენ ყოველგვარ იმპლიციტურ შინაარსსაც.

ქვეტექსტის გარეშე წარმოუდგენელია იგავ-არაკი. ლიტერატურის ეს ჟანრი ამზეურებს ადამიანთა და სოციალური ცხოვრების მანკიერ მხარეებს, მისი მთავარი პერსონაჟები – მხეცები პირობითი გმირებია, ხოლო სიუჟეტი ქარაგმულია. არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ სიტყვები „იგავური“ და „ქარაგმული“ ქართულ ენაში სინონიმებია, ხოლო იგავ-არაკის გარჩევის ქრესტომატიული კითხვა: რის თქმა სურს მწერალს იგავში? მოითხოვს დეკორაციული სიუჟეტის მიღმა მდებარე საზრისების, იგავ-არაკის ქვეტექსტის ექსპლიცირებას. იგავს „კუ და მორიელი“ სულხან-საბა უძღვნის არა მთავარ გმირებს, არამედ იმ ჭეშმარიტების ჩვენებას, რომ უმადურობა და ღალატი ისჯება. იგავ-არაკში პერსონაჟები და სიუჟეტი ცვლადებია, შესაძლებელია მათი ჩანაცვლება შესაბამისი ელემენტებით ქვეტექსტში მოცემული მთავარი აზრის შეუცვლელად. ქვეტექსტში მოცემული მთავარი იდეა, დედააზრი არ არის იგავ-არაკის სპეციფიკური ნიშანი, იგი გვხვდება იგავ-არაკზე მოცულობით უფრო დიდ და უფრო მცირე ჟანრებშიც. ასე, მაგალითად, კულტურის ისტორიაში სერვანტესის რომანი სამართლიანად აღიარებულია შედევრად, მაგრამ მისი სიუჟეტი არაფრით არის გამორჩეული, იგი მოგვითხრობს წიგნების კითხვით გონებაარეულ ადამიანზე, რომელმაც გადაწყვიტა გამხდარიყო კეთილშობილი რაინდი და სინამდვილეში არარსებული საყვარელი მანდილოსნის გამო სჩადის უცნაურ და სასაცილო საქმეებს, მაგალითად, ებრძვის ქარის წისქვილს. რომანის მთავარი ღირებულება – ავტორის მიერ აღმოჩენილი ჭეშმარიტება მოცემულია ქვეტექსტში: ბრბოსთვის არ არსებობს ცა, ბრბოს ცა არ სჭირდება. სანჩო პანსას მსგავსად ბრბო შეზრდილია მიწასთან და ამის გამო დასცინის ცისკენ არა ამაღლებულს, არამედ მხოლოდ წაგრძელებულ დონ-კიხოტს. დონ-კიხოტი ხელოვნური რა-

ინდია, მისი გმირობა, ვნება განცდა ღიმილისმომგვრელი ფარსია, მაგრამ სერვანტესის აღმოჩენა (ბრბოს არ სჭირდება კეთილშობილი რაინდები) მძიმეა თავისი უიმედობით. ფილოსოფოსთაგან ეს ჭეშმარიტება ყველაზე ღრმად გაიცადა ფრ. ნიცშემ. ყველაზე ნაღვლიან წიგნად მიიჩნევს სერვანტესის რომანს ფ. დოსტოევსკი.

მხატვრული ნაწარმოების ანალიზი არ შეიძლება არ იყოს ლინგვისტური თუნდაც იმიტომ, რომ ნაწარმოების შინაარსი წარმოადგენს რთულ მრავალდონეებრივ სტრუქტურას, რომლის ადეკვატური გაგება ტექსტის ლინგვისტიკისსფეროა.

იგავზე მოცულობით უფრო მცირე ჟანრია ანდაზა, მას არ აქვს სიუჟეტი, ამიტომ პერსონაჟები და საგნები მოკლებული არიან დინამიკას. ანდაზაში დრო გაჩერებულია, რათა მოქმედებამ ადგილი დაუთმოს დაკვირვების შედეგს და რჩევას. თუ იგავ-არაკში დარიგება თან ახლავს წარმართულ მოქმედებას, ანდაზაში დაკვირვება ან სენტენცია იკავებენ სემანტიკის სრულ მოცულობას, შესაბამისად ანდაზებიც შეიძლება გავყოთ ორად:

დაკვირვების გამომხატველი	სენტენციის გამომხატველი
„არმინდამ“ ქვეყანა დააქცია.	დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.
ბედი მომეცი და სანაგვეზე გადამაგდე.	დღევანდელ საქმეს ხვალისთვის ნუ გადადებ.
გაბეჟილს გატეხილი სჯობია.	გაღმა შეედავე, რომ გამოღმა შეგრჩეს.
გული გულს იცნობს.	დილას თუ წვიმს, ყანაში წადი, შუადღეზე
ყველას თავისი ჭკუა მოსწონს.	თუ წვიმს – სახლში. ვინც მოითმენს, ის მოიგებს.
ხათრი ძალდატანებაზე ძლიერია.	

წარმოდგენილი ანდაზების სემანტიკა კონკრეტულია, იგი გამოხატულია გამონათქვამით და არ დაუშვებს სიტყვათა ჩანაცვლებას, მაგრამ ანდაზების ნაწილს ახა-

სიათებს სახისმეტყველება, ზოგადი მნიშვნელობა მათში გადმოიცემა კონკრეტული პერსონაჟებითა და საგნებით, რომლებიც მხოლოდ სახეებია, ამიტომ დასაშვებია ამათი სხვა სიტყვებით ჩანაცვლება. ანდაზა **„მექოთნე ქოთანს ტარს იქ შეაბამს, სადაც სურს“** , მართალია, შეიცავს ინფორმაციას მექოთნეზე და ქოთანზე, მაგრამ გულისხმობს სხვას: „სიტუაციას წარმართავს ის, ვის ხელშიც არის უფლებამოსილება“. ამ ზოგადი შინაარსის გადმოცემა შეიძლება სხვა სიტყვებითაც, მაგალითად: „მკერავი საიდანაც უნდა, იქიდან მიაკერებს კაბას ჯიბეს,“ „მწყემსს საითაც უნდა, იქით წაიყვანს ფარას“, „პატრონს რომელ ფერშიც უნდა,იმ ფერში შელებავს ეზოს ჭიშკარს“ და ა. შ. მოყვანილი გამონათქვამები განსხვავდებიან ექსპლიცირებული კონკრეტული მნიშვნელობით, ამავე დროს მათ საერთო აქვთ ზოგადი იმპლიციტური მნიშვნელობა.იმპლიციტური მნიშვნელობა აქვს ყველა იმ ანდაზას, სადაც ზოგადი მნიშვნელობა გვეელინება კონკრეტული პროპოზიციის სახით. აღნიშნული განსაზღვრავს ამგვარი ანდაზების მხატვრულობას.

ზოგადი მნიშვნელობა	**კონკრეტული მნიშვნელობა**
„თავის თავზე სუსტი, ადვილად	➡ დაბალი ღობე ნახა; დასაძლევი დაჩაგრა“
„მოხერხებული იპოვის გამოსავალს“	➡ კატა ზურგით არ დაეცემა;
„შეუძლებელია კაცს ყოველთვის უმართლებდეს“	➡ კოკა მუდამ წყალს არ მოიტანს;
„ბოროტი თავისას არ მოიშლის“	➡ მელა კუდებოდა და თავი საქათმისკენ

მიჰქონდა;

„ძალიან შეუძლოდ არის“ ➡ სული კბილით უჭირავს;

„თავში ყველა კარგად ➡ ახალი ცოცხი კარგად გვის.
ასრულებს მოვალეობას“

ერთი და იგივე ზოგადი მნიშვნელობა სხვადასხვა ენის ანდაზაში, როგორც წესი, რეალიზდება განსხვავებული პროპოზიციით:

ქართული	რუსული
არც ღვინოა, არც წყალი	– **Ни рыба, ни мясо;**
ადრე ადგომა მეტი სიცოც-ხლე არის	– **Много спать– мало жить;**
არც მწყადი დასწვა, არც შამფური	– **И волки сыты, и овцы цель**
არ გათეთრდება ყორანი, რა-გინდ რომ ხეხო ქვიშით	– **Черного кобеля не отмоешь добела ;**
ვაის გაგეყარე , ვუის შეეყარე	– **Из огня да в полымя.**

ყოველდღიური ენის გამონათქვამთა მსგავსად არამხატვრული ანდაზების კონკრეტული მნიშვნელობაც წარმოადგენს პროპოზიციას. მხატვრულ ანდაზებში პროპოზიცია (კონკრეტული რეფერენციული მნიშვნელობა) გამოხატავს ზოგად იმპლიციტურ აზრს. მათგან განსხვავებით ლოგიკის გამონათქვამებს აქვთ მხოლოდ ზოგადი არარეფერენციული მნიშვნელობა. მაგალითად მოვიყვანთ რამდენიმე გამონათქვამს მოდალური ლოგიკიდან:

1. **„ მცდარია, რომ მოხდება ლოგიკურად შეუძლებელი ფაქტი;“**
2. **„არცერთ ფაქტს არ აქვს ადგილი თავის თავზე უადრესად“;**

3. „თუ იყო ისე, რომ ყოველთვის იყო რაღაც, ეს რაღაც იქნება ყოველთვის;“
4. „შეუძლებელია რაიმე იყოს ერთდროულად მთლიანად კარგი და მთლიანად ცუდი“;
5. „პირველი უკეთესია მეორეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე უარესია პირველზე.“

არ არის ძნელი შესამჩნევი, რომ ლოგიკის გამონათქვამები შედგება ზოგადი სემანტიკის მქონე სიტყვებისაგან, რომლებიც არაფერს აღნიშნავენ სინამდვილეში. ლ.ვიტგენშტაინის თანახმად, ლოგიკური მხოლოდ არსებულის დაშვებაა და არა სინამდვილის სურათი (Л.Витгенштейн, 1994:18,34). კონკრეტული სიტყვებით (პროპოზიციით) გამოხატული ლოგიკური (ჭეშმარიტება-მცდარობის)მნიშვნელობა იქცევა არგუმენტად:

1. მცდარია, რომ მდინარეები მიედინება აღმა;
2. ახალი წელი ვერ დადგება ახალ წელზე ადრე;
3. ღმერთი იყო ყოველთვის, ამიტომ იგი იქნება ყოველთვის;
4. შეუძლებელია შეჭამო ვაშლი და დატოვო იგი მთელი;
5. თბილისი ბათუმზე დიდია, იმიტომ რომ ბათუმი თბილისზე პატარაა.

არგუმენტი ლოგიკურად გამართული პროპოზიციის მქონე გამონათქვამია. ლოგიკური არგუმენტი ყოველთვის გულისხმობს ლოგიკის რომელიმე კანონს.

იმპლიკაციის საფუძველი შეიძლება იყოს ცნებათა დაპირისპირება, მაგალითად: ქალი-კაცი; გოგო-ბიჭი; შორს -ახლოს; მაღალი-დაბალი; გამარჯვებული– დამარცხებული და ა. შ. ერთი შეხედვით ყოველმხრივ გამართლებული პედაგოგიური დარიგება **„Девочки должны быть чистыми и должны вовремя возвращаться домои“**(გოგონები უნდა იყვნენ სუფთად და დროზე უნდა

ბრუნდებოდნენ შინ) გულისხმობს იმას, რომ „ბიჭები შეიძლება იყვნენ ბინძურად და დროზე არ დაბრუნდნენ შინ“. ორი საგნის ან მოვლენის დაპირისპირების შემთხვევაში ის, რაც ახასიათებს ერთ მათგანს, დაუშვებს უკუნიშანს მეორისთვის, გამარჯვებულს იმიტომ არ სჯიან, რომ სჯიან დამარცხებულს. კითხვები: „მაქვს მე ავტორიტეტი?“ „ვარ მე მასწავლებელი?“ „აქვს მას ფული?“ „პეტრე შინაა?“ მოითხოვენ ცალმხრივ პასუხს, ან დასტურს, ან უარყოფას. პასუხი „მერე რაა აქედან?!“ შეიცავს იმპლიციტურ დასტურს.

კითხვა:	პასუხი:	მნიშვნელობა:
1. მაქვს მე ავტორიტეტი?	მერე რაა აქედან?	1. მე მაქვს ავტორიტეტი.
2. ვარ მე მასწავლებელი?		2. მე ვარ მასწავლებელი.
3. აქვს მას ფული?		3. მას აქვს ფული.
4. პეტრე შინაა?		4. პეტრე შინაა.

შეადარეთ ფრ.ნიცშეს მსგავსი კითხვა პასუხით: **„ვარ მე ფილოსოფოსი?– რა ხეირია აქედან!..“** დიდი ფილოსოფოსი თავის თავს ირიბად ცნობს ფილოსოფოსად (Ф. Ницше, 1998:6).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციის დროს აქტუალიზებულ პროპოზიციათა რაოდენობა აღემატება გამოთქმულს. აქტუალიზებულ პროპოზიციათა შორის ყველა არ წარმოადგენს იმპლიკაციას. განვიხილოთ შემდეგი საკომუნიკაციო სიტუაცია: ოფისის უფროსი სთხოვს მდივანს აჩვენოს საბუთი ბატონ დავითს. მდივანი იჩეჩავს მხრებს და ეკითხება უფროსს: „ბატონი დავითი ვინ არის?“ „როგორ, თქვენ არ იცნობთ ჩვენ ახალ თანამშრომელს?!“ – უკვირს უფროსს. კომუნიკაციური გაუგებრობის (წარუმატებლობის) მიზეზია არასწორად გაკეთებული დაშვება: უფროსს ეგონა, რომ მდივანი იცნობდა ახალ

თანამშრომელს. კომუნიკაციის დროს არაიშვიათად გამოსათქმელი პროპოზიცია (**ასერცია**) პირობად საჭიროებს მთქმელის მხრიდან სხვა (საერთო) პროპოზიციის დაშვებას მსმენელში. ამგვარ დაშვებულ პროპოზიციას **პრესუპოზიცია** ჰქვია. კოგნიტურად პრესუპოზიცია წინ უსწრებს ასერციას, გამონათქვამს. პრესუპოზიცია ისეთი შინაარსია, რომელიც საერთოა მთქმელისა და მსმენელისათვის, ამიტომ არის იგი კომუნიკაციის საფუძველი. პრესუპოზია მიეკუთვნება მოსაუბრეთა საერთო ცოდნის ფონდს, როგორც მათი „წინასწარი მოლაპარაკება“ (Н.Арутюнова, 1973:85). ჩვენ მიერ ადრე განხილულ მაგალითებში: „გივი მამაა;“ „ინდირა სტუდენტია“; „პეტრემ იყიდა შაქარი“; „ნინომ ჩააბარა გამოცდა;“ „ნათიაც მოვიდა;“ „ძმა ფეხბურთელია“ გამოთქმული (ასერტული) პროპოზიციებისა და იმპლიკაციების გარდა პრეზუმციის (დაშვების) სახით „ჩამალულია“ ეგზისტენციური (არსებობის) პროპოზიციებიც. გივი მამა შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი არსებობს. ეგზისტენციური პროპოზიცია არ ხმოვანდება, მაგრამ განაპირობებს გახმოვანებულ პროპოზიციას:

გივი არსებობს ⟶ გივი მამაა.

ინდირა არსებობს ⟶ ინდირა სტუდენტია.

1. არსებობდა პეტრე 2. იყო შაქარი ⟶ პეტრემ იყიდა შაქარი.

1. იყო ნინო 2. იყო გამოცდა ⟶ ნინომ ჩააბარა გამოცდა .

1.იყვნენ სხვები 2. იყო ნათია ⟶ ნათიაც მოვიდა.

1. არის ძმა 2. არსებობს ფეხბურთი ⟶ ძმა ფეხბურთელია.

პრესუპოზიცია ძალაში რჩება მაშინ, როცა გამოთქმული პროპოზიცია ჭეშმარიტია და მაშინაც, თუკი ის მცდარია:


1. გიი არსებობს (ჭეშმარიტია) ⟶ გიი არის მამა (ჭეშმარიტია).
2. გიი არსებობს (ჭეშმარიტია) ⟶ გიი არის მამა (მცდარია).

ამგვარ განმაპირობებელ ეგზისტენციურ პროპოზიციებს პირველად მიაქცია ყურადღება გ. ფრეგემ, რომელმაც ლოგიკაში განასხვავა მსჯელობა და მისი პირობა. გერმანელი მეცნიერის თანახმად, მტკიცება „კეპლერი გარდაიცვალა სიღარიბეში“ ემყარება წინაპირობას, რომ სახელი კეპლერი აღნიშნავს გარკვეულ დენოტატს (Ф. Кифер, 1978:338), ასეთ შემთხვევაში, თუ მცდარია პრესუპოზიცია, მცდარი უნდა იყოს გამონათქვამიც: თუ „ გიი არსებობს“ (მცდარია) — „გიი არის მამაც“ (მცდარია). ეს ერთი შეხედვით სწორი დასკვნა სინამდვილეში არ არის სწორი. ინგლისელი ფილოსოფოსის ბერტრან რასელის შენიშვნით, ამა თუ იმ გამონათქვამის ჭეშმარიტება – მცდარობაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ჭეშმარიტი პრესუპოზიციის შემთხვევაში. ჭეშმარიტი პრესუპოზიცია დაუშვებს გამოთქმულ პროპოზიციას როგორც დასტურის, ისე უარყოფის მოდუსით:

პრესუპოზიცია ⟶ გამონათქვამი
ჭეშმარიტია ⟶ ჭეშმარიტია ან მცდარი
გიი არსებობს ⟶ გიი მამაა | გიი არ არის მამა
არსებობს საფრანგეთის მეფე ⟶ საფრანგეთის მეფე ბრძენია | საფრანგეთის მეფე არ არის ბრძენი
არსებობს ყავა ⟶ ყავა სურნელოვანია | ყავა არ არის სურნელოვანი

გამონათქვამები „გიი მამაა“ და „გიი არ არის მამა“ გამორიცხავენ და ამიტომ ჩაენაცვლებიან ერთმანეთს:

თუ „გიეი არის მამა“ ჭეშმარიტია, მაშინ „გიეი არ არის მამა „ მცდარია, ხოლო თუ „გიეი არის მამა“ მცდარია, მაშინ „გიეი არ არის მამა“ ჭეშმარიტია. ასეთ ლოგიკურ მიმართებას ეწოდება დიზიუნქცია. მაგრამ თუ პრესუპოზიცია მცდარია, მაშინ გამონათქვამი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. თუ „გიეი არ არსებობს“, მაშინ გამონათქვამები „გიეი მამაა“ და „გიეი არ არის მამა“ ერთნაირად უსაზრისოა. უსაზრისო გამონათქვამი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. რუსული ანდაზა „ На нет и суда нет“ „რაც არ არსებობს , არ შეიძლება იყოს მსჯელობის საგანი“ კარგად გამოხატავს ამ ლოგიკურ ჭეშმარიტებას. წინაპირობის მცდარობა უაზროს, შეუძლებელს ხდის შესაბამისი მსჯელობის როგორც დასტურს, ისე უარყოფასაც. მცდარი პრესუპოზიციის მქონე გამონათქვამს ბ. რასელმა უწოდა **ანომალური.**



პრესუპოზიცია არ იცვლება გამონათქვამის სხვადასხვა ოპერატორებით (კითხვა, მოდალობა, რთულ წინადადებად გადაქცევა) გარდაქმნის შემთხვევაშიც:





საფრანგეთს ჰყავს მეფე ⟶

საფრანგეთის მეფე ბრძენია.

საფრანგეთის მეფე ბრძენია?

საფრანგეთის მეფე უნდა იყოს ბრძენი.

საფრანგეთის მეფე, მგონი, ბრძენია.

მე ვიცი, რომ საფრანგეთის მეფე ბრძენია.

არარსებულის შესახებ, დასმული კითხვა ისეთივე ანომალიაა, როგორიცაა არარსებულის მტკიცება.

ზოგიერთი კითხვითი გამონათქვამიც გულისხმობს პრესუპოზიციას:

ვინ დააგვიანა? ⟵ ვიღაცამ დააგვიანა;

სად დალიეთ ღვინო? ⟵ თქვენ დალიეთ ღვინო;

სად მიიღეთ განათლება? ⟵ თქვენ მიღებული გაქვთ განათლება;

ვინ მოგცათ იარაღი? ⟵ თქვენ ვიღაცამ მოგცათ იარაღი;

რატომ არ იცით ეს საკითხი? ⟵ თქვენ არ იცით ეს საკითხი.

ეგზისტენციური პროპოზიციის გამო, რომელიც ადასტურებს ან საგნის შეუფერებელ ადგილას ყოფნას, ან მთქმელისთვის არასასურველ მოქმედებას, გაკვირვების გამომხატველი კითხვითი გამონათქვამი იძენს იმპერატიულის მნიშვნელობას:

გამონათქვამი ⟵ პრესუპოზიცია ⟵ მნიშვნელობა:

1. რა უნდა აქ ⟵ აქ მაკრატელია მაკრატელს? — წაიღეთ აქედან მაკრატელი!

2. რა უნდა ამას აქ? ⟵ ეს აქ არის. — წაიღეთ ეს აქედან!

3. რა უნდა ბავშვს იქ? ⟵ ბავშვი იქაა. — გამოიყვანეთ ბავშვი იქიდან!

4. რა უნდა ძაღლს ოთახში? ⟵ ძაღლი ოთახშია. — გაიყვანეთ ძაღლი!

5. რა გინდა ახლა იქ? ⟵ შენ ხარ იქ. — მოდი აქ!
6. როგორ ბედავ? ⟵ შენ ბედავ. — ნუ ბედავ!
7. რას გადამეკიდეთ ⟵ შენ გადამეკიდე. — ნუ გადამეკიდებით!
8. როგორ არ გრცხვენია? ⟵ შენ არა გრცხვენია. — შეგრცხვეს!
9. რას მერჩი? ⟵ შენ მერჩი. 1. ამიხსენი, რა გინდა? 2. დამანებე თავი.
10. რას ლაპარაკობ? ⟵ შენ ლაპარაკობ. — ნუ ილაპარაკებ!
11. როგორ გეკადრებათ? თქვენ კადრულობთ. — ნუ იკადრებთ!
12. რას მიბრძანებთ ? (გაკვირვებით) ⟵ თქვენ ბრძანეთ. — ნუ მიბრძანებთ!

ლიფტში წარწერა „ნუ მოშარდავთ!“ ნიშნავს იმას, რომ ლიფტში შარდავენ.

კითხვითი წინადადება შეიძლება შეიცავდეს ჯერარსობით პრესუპოზიციას:

გამონათქვამი პრესუპოზიცია

წიგნი თუ მოიტანე? ← შენ უნდა მოგეტანა წიგნი;

დავალება თუ გააკეთე? ← შენ უნდა გაგეკეთებინა დავალება;

ოთახი თუ დაალაგე? ← შენ უნდა დაგელაგებინა ოთახი;

თბილად თუ ჩაიცვი? ← შენ უნდა ჩაგეცვა თბილად;

ხელფასი თუ აიღე? ← შენ უნდა აგეღო ხელფასი;

სტუდენტები თუ მოვიდნენ? ←სტუდენტები უნდა მოსულიყვნენ.

რუსულ ენაში პრესუპოზიცია ჩნდება, როდესაც ლოგიკური მახვილი მოდის პრედიკატზე, შეადარეთ:

გამონათქვამი	გამონათქვამი	პრესუპოზიცია
Ты принёс <u>книгу</u>?	Ты <u>принёс</u> книгу.	შენ უნდა მოგეტანა წიგნი.
Ты выполнил <u>задание?</u>	Ты <u>выполнил</u> задание.	შენ უნდა შეგესრულებინა დავალება.
Ты убрал <u>комнату</u>?	Ты <u>убрал</u> комнату.	შენ უნდა დაგელაგებინა ოთახი.
Ты взял <u>зарплату?</u>	Ты <u>взял</u> зарплату.	შენ უნდა აგეღო ხელფასი.
Пришли <u>студенты</u>?	<u>Пришли</u> студенты.	სტუდენტები უნდა მოსულიყვნენ.

ექიმის კითხვა „წნევა თუ გაისინჯეთ?“ გულისხმობს: „თქვენ უნდა გაგესინჯათ წნევა“, ხოლო კითხვა „წნევას თუ ისინჯავთ“? გამოხატავს მხოლოდ დაინტერესებას. მაგრამ თუ მეორე კითხვას ექიმი უსვამს პაციენტს, როცა უსინჯავს მას წნევას , და თან უკმაყოფილოდ იქნევს თავს, ეს ნიშნავს: „თქვენ არ გაქვთ ნორმალური წნევა, თქვენ რეგულარულად უნდა ისინჯოთ წნევა.“

შეთავაზება გულისხმობს შესათავაზებელს:

გამონათქვამი		პრესუპოზიცია
მოწევ?	←	მე მაქვს მოსაწევი.
დალევ?	←	მე მაქვს დასალევი.
მიირთმევ?	←	მე მაქვს მისართმევი.
გასინჯავ?	←	მე მაქვს გასასინჯი.
წამოიხურავ?	←	მე მაქვს რაც შეიძლება წამოიხურო.
გაიკეთებ?	←	მე მაქვს რაც შეიძლება გაიკეთო.

გ. დანელიას ფილმში „არ დაიდარდო“ ციხეში მომხდარ მთავარ გმირს ბენჯამენ ღლონტს უცნობი პატიმარი (განასახიერებს ფრ. მკრტჩანი) რუსულად ეკითხება: „Конфетку хочешь дам? ბენჯამენი სიხარულით ეთანხმება: „ Конечно!“, მაშინ უცნობი პატიმარი ნაღვლიანად უარყოფს გამონათქვამის პრესუპოზიციას: „Нету!“. გამონათქვამი „Конфетку хочешь дам?“ უადგილოა და არა ანომალური, რადგან კანფეტი პატიმარს არ აქვს, მაგრამ სინამდვილეში იგი არსებობს. პრესუპოზიციას, რომლის მცდარობის შემთხვევაში გამონათქვამი უადგილოა (მიზანშეუწონელი), ეწოდება **პრაგმატული**. ამ ტიპის პრესუპოზიცია კონტექსტისა და საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით შეიძლება იყოს წარმატებული (მიზანშეწონილი) ან წარუმატებელი (მიზანშეუწონელი, უადგილო). რეკლამის გამონათქვამს **„მიირთვით ცივი კოკა-კოლა!“** პრესუპოზიციად აქვს პროპოზოცია „თქვენ გცხელათ“, ალიასკაზე იგი იქნება უადგილო, რადგან ესკიმოსებს არ სცხელათ. ამერიკის ჩრდილოეთში პრესუპოზიცია „თქვენ გცხელათ“ მცდარია, ხოლო გამონათქვამი „მიირთვით ცივი კოკა-კოლა!“ უადგილოა და წარუმატებელი.

იმპერატივებს: **დამირეკე! მომიკითხე შენი ძმა!** აქვს შემდეგი პრესუპოზიციები:

დამირეკე! ⟵ მსმენელმა იცის მთქმელის ტელეფონის ნომერი.

გამომიარე! ⟵ მსმენელმა იცის მთქმელის მისამართი.

მომიკითხე შენი ძმა! ⟵ 1. მსმენელს ჰყავს ძმა 2. მთქმელი იცნობს მას. ამიტომ არის უადგილო ამ იმპერატივების გამოყენება ყველას მიმართ.

მათხოვრის „დამეხმარე!“ ეფუძნება პრესუპოზიციას „შენ გაქვს ფული“. დასახმარებლად არ მიმართავენ იმას, ვისაც არ შეუძლია დახმარების გაწევა, ისე, როგორც მაღაზიებში, ბაზრობებზე, კულტურისა და დასვენების ცენტრებში, კაფე-ბარებში არ პატიუებენ ყველას. სარეკლამო გამონათქვამები: იყიდეთ! შეიძინეთ! ისარგებლეთ! გამოცადეთ! და ა.შ. გულისხმობენ ერთს: „შენ გაქვს ფული“.

პრესუპოზიცია განსაზღვრავს როგორც გამონათქვამს, ისე მის იმპლიკაციასაც. გ.თარგამაძის „აჭარა ჩემი მეორე სამშობლოა“ ფრაზასთან დაკავშირებული გაუგებრობა პრესუპოზიციულია. გამონათქვამს „აჭარა ჩემი მეორე სამშობლოა!“ მოჰყვება სხვადასხვა იმპლიკაცია იმის მიხედვით, თუ რას მივიჩნევთ გამონათქვამის პრესუპოზიციად:

I

პრესუპოზიცია	გამონათქვამი	იმპლიკაცია
1. სიტყვა „სამშობლო“	⟵ აჭარა ჩემი მეორე სამშობლოა	⟵ აჭარა არ არის საქართველო

შეიძლება ეწოდოს

2. გ. თარგამაძე დაიბადა საქართველოში.

II

1."სამშობლო" შეიძლება ეწოდოს
როგორც ქვეყანას, ისე → აჭარა ჩემი მეორე → აჭარა
ქვეყნის კუთხესაც. სამშობლოა საქართველოა

2. გ.თარგამაძე დაიბადა საქართველოში.

თუ იმპლიციტური შინაარსი წარმოადგენს მოკლე გზავნილს ვინმესთვის, საქმე გვაქვს მესიჯთან ამ სიტყვის ტერმინოლოგიური გაგებით. ამბობენ ქალის გამომეტყველება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მისი სიტყვა. **მესიჯი** არის ინფორმაცია ან მოქმედება, რომელიც საჭიროებს ამოკითხვას. როცა ჰიტლერისთვის გასაგები გახდა, რომ პაულუსის არმია სტალინგრადთან განწირულია, მან მიიღო ერთი შეხედვით უცნაური გადაწყვეტილება – მიანიჭა დამარცხებულ პაულუსს ფელდმარშლის წოდება. ეს დაჯილდოება იყო ფარული იმპერატივი. გერმანელი ფელდმარშლები არ ბარდებოდნენ ტყვედ. პაულუსს ამ მესიჯის პასუხად უნდა მოეკლა თავი. მესიჯი შეყვარებულთა ურთიერთობის საყვარელი ფორმაა. როდესაც რ. საბატინის ცნობილი რომანის გმირი მამაცი პიტერ ბლადი ბრძოლით ჩაიგდებს ხელში ესპანურ გემს, იგი დაარქმევს მას უიმედოდ დაკარგული საყვარელი ქალის სახელს „არაბელა,"ეს ამბავი ჰპოვებს გამოძახილს მშვენიერი არაბელა ბიშოპის გულში. ინფორმაცია, რომელზედაც მიანიშნებს მესიჯი, შეიძლება იყოს გადმოცემული არავერბალურად. ნ. დუმბაძის „კუკარაჩაში" მურტალო თავის გრძნობას შორიდან „დაუმესიჯებს" ინგას სამას სამოცდახუთი კალათა დარჩეული წითელი ვარდით

და იმით, რომ ჩამოაცილებს ქალიშვილს უბნის ყველა ვაჟს. კონვენციით შემაგრებული მესიჯი(მესიჯი-ლეგისიგნუმი) იქცევა ადამიანთა ურთიერთმიმართების მარეგულირებელ ნორმად. ასე, მაგალითად, ადამიანი,რომელიც თავს სცემს პატივს, არ მეგობრობს საეჭვო რეპუტაციის მქონე კაცთან, არ ესალმება უსამართლობის ჩამდენს, სტუმრად არ დადის ავისმთქმელთან ოჯახში. თუ ვინმემ მოულოდნელად დაგიბრუნა შენი ნაჩუქარი ნივთი,ეს ურთიერთობის გაწყვეტის მესიჯია და,პირიქით, როდესაც რომელიმე ქვეყნის მთავრობა უკან გამოითხოვს თავის ელჩებს სხვა ქვეყნიდან, ეს საომარი ვითარების მესიჯია.

ძირითადი ცნებები

იმპლიციტური შინაარსი; ექსპლიციტური შინაარსი; გახმოვანება; იმპლიკაცია; პრესუპოზიცია; ქვეტექსტი; მნიშვნელობის წინაპირობა; სემანტიკური დანართი; იმპლიკაციური პროპოზიცია; პროპოზიციის გახმოვანება; პროპოზიციის აქტუალიზაცია; უსაზრისო გამონათქვამი; უადგილო გამონათქვამი; პრაგმატული პრესუპოზიცია.

საჭირო ტერმინები

იმპლიკაცია – ლოგიკაში აუცილებელი კავშირი ორ საგანს ან მოვლენას შორის;

ანტეცენდენტი – იმპლიკაციის წევრი, რომელიც შეიცავს მიზეზს;

კონსეკვენტი – იმპლიკაციის წევრი, რომელიც შეიცავს შედეგს;

ფონური ცოდნა – კომუნიკანტების მთლიანი ცოდნის გაუხმოვანებელი ნაწილი აუცილებელი გამონათქვამის გაგებისათვის;

მიკროკონტექსტი – ენობრივი ერთეულის რეალიზაციის მინიმალური სემანტიკური გარემოცვა;
მაკროკონტექსტი – ენობრივი ერთეულის რეალიზაციის მაქსიმალური სემანტიკური გარემოცვა;
ასერცია – ძირითადი გამოთქმული საზრისი;
პრეზუმფცია – დაშვება;
დიზიუნქცია – ურთიერთგამორიცხვის მიმართება ლოგიკაში;
ანომალური – ისეთი, რომელიც არ შეესაბამება ნორმას, უჩვეულო.

საკონტროლო კითხვები

1. ნიშნავს თუ არა ტერმინი „იმპლიციტური“ კომუნიკაციის შემთხვევაში გამოუვლენელს?
2. რის მეშვეობით გამოიხატება კომუნიკაციის დროს ექსპლიცირებული შინაარსი?
3. რა ხერხით გამოიხატება კომუნიკაციის დროს იმპლიცირებული შინაარსი?
4. რატომ არის შესაძლებელი კომუნიკაციის დროს კონსეკვენტის გამოტოვება?
5. ნიშნავს კონსეკვენტის გამოტოვება მის გამორიცხვას კომუნიკაციიდან?
6. იმპლიციტური შინაარსის რომელი ფორმა არის ყველაზე მარტივი?
7. რას გულისხმობენ იმპერატივის გრამატიკული ფორმები?
8. რატომ აქვს მეტაფორას რთული სემანტიკური სტრუქტურა?
9. არის თუ არა ალუზია მხატერული ხერხი?

10. რატომ არის გამონათქვამთან მიმართებაში პრესუპოზიცია — პირობა, ხოლო იმპლიკაცია — დანართი?
11. რას იწვევს იმპლიკაციის უარყოფა?
12. ემთხვევა თუ არა ერთმანეთს კომუნიკაციის დროს გამონათქვამთა აქტუალიზაცია და გამონათქვამთა გახმოვანება?
13. რატომ არის იმპლიკაცია რიტორიკული ხელოვნების ყველაზე დახვეწილი ხერხი?
14. რა განსხვავებაა იმპლიკაციასა და ქვეტექსტს შორის?
15. რომელი მხატვრული ჟანრისთვის ქვეტექსტი არის აუცილებელი კომპონენტი?
16. რატომ არის ფილოსოფიური ნაშრომისაგან განსხვავებით რომანში მთავარი იდეა მოცემული ქვეტექსტში?
17. რატომ უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოების ანალიზი აუცილებელად ლინგვისტური?
18. რამდენი მნიშვნელობა აქვს ანდაზას?
19. რა განსხვავებაა ანდაზასა და ლოგიკურ გამონათქვამებს შორის?
20. რატომ არ სჯიან გამარჯვებულს?
21. შედგება თუ არა კომუნიკაცია მოსაუბრეთა პრესუპოზიციების გარეშე?
22. რომელი პრესუპოზიცია არის ყველაზე გავრცელებული?
23. რა შემთხვევაშია გამონათქვამი ანომალური (უსაზრისო)?
24. რას გულისხმობს შეთავაზება?
25. რა განსხვავებაა ანომალურ გამონათქვამებსა და უადგილო გამონათქვამებს შორის?
26. რას საჭიროებს მესიჯი?

დავალება

გამოყავით გამონათქვამები იმპლიციტური შინაარსით

1. მას შემდეგ ბარე ოთხმა წელიწადმა განელო.
2. ყავას ხომ არ მიირთმევ?
3. მისთვის შეუძლებელია მოინდომოს ღვეზელი და არ შეჭამოს იგი.
4. შეუძლებელია შეჭამო ღვეზელი და დატოვო იგი მთელი.
5. შენ გატეხე ფანჯარა?
6. დახურეთ კარი!
7. კოსტუმი მას მეზღვაურს ამგვანებდა.
8. სადილის დროა, განჯინაში კარგი ღვინო მაქვს.
9. ამ დილით მივიღე პატარა, მაგრამ საგულისხმო ცნობა.
10. პოლიცია!
11. კაცი თავხედი არ უნდა იყო!
12. ეს უაღრესად საყურადღებო ამბავია.
13. ერთი კაი ჩაი დამალევინა ახლა!
14. რით შემიძლია დაგეხმაროთ?
15. თუ ისურვებთ, შეგიძლიათ დაათვალიეროთ.
16. მიგულეთ თქვენ სამსახურში!
17. მანამდე არ გეტკინოს შენ რამე!
18. თუ გამიშვებთ, დღესვე წავალ.
19. ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ ასე.
20. ქალებს ბუნებით უყვართ იდუმალებით მოცული ამბები.
21. კვიცი გვარზე ხტის.
22. მოკითხვა გადაეცით დედათქვენს.

23. კაცი დროზე ადრე არ მოკვდება.
24. ბაბუა ზღვიდან დაბრუნდა დაჭერილი თევზით.
25. იმდენად ჩავეფალი ამ საქმეში, რომ ჭამა დამავიწყდა.
26. მე უნდა გამერკეია ყველაფერი ბოლომდე.
27. ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს.
28. აღებული ხელფასი რამდენიმე დღეში დამეხარჯა.
29. საქართველოს ნაკრები ჰოკეიში სუსტია.
30. საქართველოს ნაკრები ჰოკეიში არ არის სუსტი, მაგრამ გამოუცდელია.
31. სად ისწავლეთ ინგლისური?
32. Не в свои сани не садись.
33. საკითხები თუ გაიმეორეთ?
34. ეს გეგმა იძლია მისი მოხერხების წყალობით.
35. პალტოს საყელოზე კრაველი ჰქონდა მოვლებული.
36. შენი ხმალი – ჩემი კისერი.
37. Собака лает, ветер дует.
38. მათხოვე, თუ შეიძლება, ხვალამდე ლექსიკონი.
39. თბილი ზღვა იყო? – მე აბანოში ვიყავი.
40. რა ღირდა ვაშლი? – ეს ატამია.
41. ნუნუმ ფულის ნაწილი დახარჯა ბაზარში.
42. bon chat, bon rat "კარგ კატას კარგი ვირთხა."

§ 2. სამეტყველო აქტების თეორია პერფორმაციიდან ილოკუციისაკენ

წინადადებათა შესწავლის პრაქტიკაში ჯ. ოსტინის პერფორმაციულობის კონცეფცია ახალ მიმართულებას უსახავდა ლინგვისტურ კვლევას. თუმცა თავად ავტორს უფრო აინტერესებდა პერფორმაციულობის ფილოსოფიურ ლოგიკაში გამოყენების პერსპექტივა. შეაფასეთ მისი სიტყვები: „ნამდვილად საინტერესო ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ვიწყებთ ჩვენი თეორიის გამოყენებას ფილოსოფიაში“(Дж. Остин, 1986:129). პერფორმატივებისა და კონსტატივების (მტკიცებითი წინადადებების) დაპირისპირებით ავტორს სურდა გაერკვია ფილოსოფიისთვის ტრადიციულად მთავარი – ჭეშმარიტების პრობლემა. „ჩვენ არ შეგვიძლია, დავუშვათ, რომ მტკიცებათა ჭეშმარიტება დამოკიდებულია ფაქტებზე“ (Дж. Остин, 1986:115), – წერს ინგლისელი ფილოსოფოსი და ამ თამამი განცხადებით აშკარად ემიჯნება ლოგიკურ თეორიას, რადგან მიიჩნევს, რომ რეალურ ცხოვრებაში ყოველთვის არ არის ადვილი დავადგინოთ, შეიძლება თუ არა კონკრეტული გამონათქვამი იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ასე, მაგალითად, გამონათქვამი **„კატა ხალიჩაზეა“**, ერთი მხრივ, წარმოადგენს მტკიცებას (კონსტატივს) და ამიტომ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე გამონათქვამი შეიძლება ნიშნავდეს გაფრთხილებას, ანუ იყოს პერფორმატივი. ეს უკანასკნელი კი მტკიცებისაგან განსხვავებით არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ამგვარი „ორსახოვანი“ წინადადების მოყვანა ადვილად შეიძლება კიდევ, შეადარეთ: „კატა მაგიდაზეა,“ „ძაღლი ოთახშია,“ „ძაღლი ყეფს,“ „ქათმები ბოსტანშია“, „ძროხა ბაღშია“, „ტელეფონი რეკავს“, „ავტობუსი მოდის“, „მატარებელი უკვე გადის“ და ა. შ. იმისათვის, რომ გამოვი-

დეთ შექმნილი გაუგებრობიდან, ჯ. ოსტინის აზრით, პრობლემას უნდა შეეხედოთ ახლებურად, კერძოდ, გავარკვიოთ, რას წარმოადგენს გამონათქვამი რეალობაში – სამეტყველო სიტუაციაში. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა სავსებით შეეფერება პრაგმატიზმის კვლევის მეთოდოლოგიას. თუ რეალობისაგან მოწყვეტით გამონათქვამი განიხილებოდა მეტყველი ადამიანის გარეშე როგორც გარკვეული მოქმედების შედეგი, რეალობაში მას (გამონათქვამს) ყოველთვის ჰყავს გამომთქმელი და იგი წარმოადგენს მოქმედებას. ეს უკანასკნელი, ჯ. ოსტინის თანახმად, არ არის მარტივი. გამონათქვამი როგორც მოქმედება არის გარკვეულ აქტთა ერთობლიობა. გამონათქვამის წარმოსაქმნელად უნდა განვახორციელოთ: 1) „ფონეტიკური აქტი“ – წარმოვთქვათ გარკვეული ბგერები; 2) „ფატიკური აქტი“ – გრამატიკის თანახმად, საჭირო ინტონაციით წარმოვთქვათ გარკვეული სიტყვები კონსტრუქციების ფარგლებში; 3) „რეტიკული აქტი“ – გამოვიყენოთ ნათქვამი გარკვეული რეფერენციით (მნიშვნელობით). ფონეტიკური, ფათიკური და რეტიკული აქტები შეადგენენ თქმის, ავტორის ტერმინოლოგიით, **ლოკუციის აქტს,** მაგრამ ეს არ არის ყველაფერი, მთავარი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ ლოკუციას მთქმელი იყენებს გარკვეული მიზნით. გამონათქვამის ამ ასპექტს ჯ. ოსტინი უწოდებს **ილოკუციის აქტს,** სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველ გამონათქვამს მთქმელი ანიჭებს შესაბამის ილოკუციურ ძალას (კითხვა, დარწმუნება, გაფრთხილება, დანიშვნა, მოწოდება, განცხადება, აღწერა, რჩევა, დაპირება, შეთავაზება, ბრძანება, განაჩენის გამოტანა და ა. შ.). წინადადების ეს ასპექტი ყოველთვის რჩებოდა ჩრდილში, მთავარი ყურადღება ექცეოდა ლოკუციას, რაც, ჯ. ოსტინის მიხედვით, არ არის საკმარისი, ასე, მაგალითად, თუ ვიტყვით: „წადი, დაიჭირე ციდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავი,“ მსმენე-

ლისთვის გასაგები იქნება ამ წინადადების შინაარსი, მაგრამ მას დასადგენი დარჩება ჩვენი განზრახვა, ანუ ის, თუ რა გვაქვს მხედველობაში (Дж. Остин, 1986:90). ილოკუციური აქტი არ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად, თუ მას არ მოჰყვა შედეგი (effect): დარწმუნება, იძულება, დაშინება, გაკვირვება და თუნდაც შეცდომაში შეყვანაც. „მე მხოლოდ მაშინ მექნება უფლება ვთქვა, რომ გავაფრთხილე აუდიტორია, თუ აუდიტორიამ შესაბამისად გაიგო ჩემი სიტყვები“, – განგვიმარტავს ჯ. ოსტინი (Дж. Остин, 1986:96) და გამონათქვამის გამოყენებით მსმენელში გამოწვეულ ეფექტს უწოდებს **პერლოკუციურ აქტს.** ორივე ტიპის აქტი, ილოკუციურიც და პერლოკუციურიც, შეიძლება შესრულდეს არავერბალურად, პროტესტი, მაგალითად, შეიძლება გამოიხატოს „პამიდვრების სროლით ან ენის გამოყოფით“, ხოლო ამით მიღწეული შედეგი დადასტურდეს ადრესატების უსიტყვო გაქცევით ან უკმაყოფილოდ თავის ქნევით. მაგრამ ილოკუციური აქტი, ვერბალურიც და არავერბალურიც, კონვენციურია, ხოლო პერლოკუციური – არა.

ჯ. ოსტინის ნაშრომში წარმოდგენილი ენობრივი მასალის ანალიზი პირდაპირ თუ ირიბად ეძღვნება ჭეშმარიტების პრობლემას ფილოსოფიურ ლოგიკაში, მაგრამ მისი შედეგები გასათვალისწინებელია, პირველ რიგში, ლინგვისტიკაში. საქმე არ ეხება მხოლოდ პრაგმალინგვისტიკას, გამონათქვამში აქტების გამომყოფი კონცეფცია მნიშვნელოვანია ენის ფუნქციონირების შესწავლის და მისი ერთეულების ტაქსონომიის თვალსაზრისითაც. მართალია, ლოკუციური და ილოკუციური აქტების გამოყოფამ ვერ შეცვალა ლოგიკაში ჭეშმარიტების ის კლასიკური გაგება, რომელიც „სოფისტში“ ჩამოაყალიბა პლატონმა (ჭეშმარიტი ნათქვამი არსებულად წარმოაჩენს არსებულს, ხოლო მცდარი – არარსებულს), სამაგიეროდ ახლებურად

გადაწყვეტა თხრობითი (მტკიცებითი) და პერფორმაციული წინადადებების პრობლემა ენაში. ჯ. ოსტინი აღნიშნავს, რომ ტრადიციულად გრამატიკასა და ფილოსოფიაში ლაპარაკობდნენ მტკიცებით და არამტკიცებით გამონათქვამებზე, რადგან შესაბამის მაგალითებს (შეადარეთ: „კატა ხალიჩაზეა“ და „გიხდი ბოდიშს“) მეცნიერები განიხილავდნენ რეალობისაგან მოწყვეტით (Дж. Остин, 1986:116). მაგრამ მტკიცება არ არის ერთი რომელიმე ტიპის გამონათქვამთა თვისება, რეალობაში იგი ერთ-ერთი აქტია სხვა ილოკუციურ აქტთა შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მტკიცებითი და პერფორმაციული შეიძლება იყოს მხოლოდ ილოკუციური აქტი და არა ლოკუციური. აქედან კონკრეტული გამონათქვამი შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა ილოკუციური ძალით, მათ შორის როგორც მტკიცება, მაგალითად, „კატა ხალიჩაზეა“ (პასუხი კითხვაზე „სად არის კატა?“) და როგორც გაფრთხილებაც: „კატა ხალიჩაზეა!“ (არ დასვაროს ხალიჩა!). ყველაფერი დამოკიდებულია მთქმელის განზრახვაზე. თავისი კვლევის ერთ-ერთ ამოცანად ჯ. ოსტინი მიიჩნევდა პერფორმაციული ზმნების სრული სიის დადგენას. მასალის ანალიზი დაანახვებს მას, რომ პერფორმაციული ზმნები მხოლოდ ილოკუციური ძალის გამოხატვის აშკარა ფორმაა, რადგან ზოგიერთი ილოკუციური აქტი (გინება, მინიშნება, დამცირება, გაკვირვება, დაშინება) არ გამოიხატება პერფორმაციული ფორმულით (მე გაგინებ, მე გამცირებ, მე გაშინებ). ილოკუციური გამონათქვამი შეიძლება იყოს პერფორმაციული ზმნით გამოხატვის გარეშეც, მაგალითად, „კატა ხალიჩაზეა“, ან „გესერი!“; „ვერ გამექცევი!“; „სადმე ვერ წახვალ!“; „ვიღუპებით!“; „ვიძირებით!“ და მრავალი სხვა. ამგვარი მაგალითების პერფორმატიულად აღიარებამ აიძულა ჯ. ოსტინი გაეფართოვებინა პერფორმაციულ ზმნათა სია. პერფორმაცი-

ულობის შინაარსობრივ გაფართოებას ხელს უწყობს ის გარემობაც, რომ მკლევარმა გაჰყო გამონათქვამები ორ კლასად — კონსტატივებად და პერფორმატივებად და ამით იმთავითვე ჩართო პერფორმატივებში ყველა არამტკიცებითი გამონათქვამი. ჯ. ოსტინის მსჯელობაში შინაარსობრივად სულ უფრო და უფრო მზარდი პერფორმატია თანდათან კარგავს კონცეპტუალურ გამოკვეთილობას, მის ადგილს იჭერს მტკიცებისა და პერფორმატივის გამაერთიანებელი ილოკუცია. გამონათქვამის ახალი თეორიის შუქზე ინგლისელი ფილოსოფოსი ასახელებს ახალ ამოცანას: სინამდვილეში ჩვენ გვჭირდება გამონათქვამთა ილოკუციური ძალების სია, ხოლო პერფორმატიული ზმნები დაგვეხმარება ამის დადგენაში (Дж. Остин, 1986:118). ზმნა, მართლაც, გამოდის ილოკუციური ძალის ინდიკატორის როლში. ერთი ილოკუციური ძალა გამოიხატება მრავალი ზმნით, ამ მხრივ ილოკუციური ძალები ჰყოფენ ზმნებს შესაბამის სემანტიკურ კლასებად. უკანასკნელთა საფუძველზე ჯ. ოსტინი გამოჰყოფს ილოკუციური აქტების მთავარ ტიპებს:

1. **ვერდიქტივი.**
2. **ეგზერსიტივი.**
3. **კომისივი.**
4. **ბეჰაბიტივი.**
5. **ექსპოზიტივი.**

1. ტერმინი ვერდიქტივი მიღებულია სიტყვისაგან verdict (ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება). ვერდიქტივის გამოყენების სფერო სასამართლო აქტია, მაგრამ არა მხოლოდ. სასამართლო გადაწყვეტილებასთან, განაჩენთან ერთად ვერდიქტივი გულისხმობს აგრეთვე სხვა სახის შეფასებასაც, მოწონება – არმოწონებას, შეხედულებას.

Acquit, „ გამართლება, უდანაშაულოდ ცნობა“, convict „ მსჯავრის დადება”, დამნაშავედ ცნობა“, interpret as „ინტერპრეტირება“ , rule „დადგენილება”, understand, „გაგება, მიჩნევა“, calkulate „თელა გათელა“, estimate „შეფასება, სჯა”, reckon „თელა, ფიქრი, დაშვება” locate „ადგილსამყოფლის დადგენა“ place „ადგილმდებარეობის დადგენა“', measure „ შეფასება, განსაზღვრა”, grade „დახარისხება”, rate „შეფასება”, value „შეფასების მიცემა”, assess „ ზარალის, ჯარიმის დადგენა”, red It as „ განმარტება, როგორც”, put it at”ღირებულების დადგენა”, deseribe „აღწერა”, characterize „ დახასიათება”, diagnose „დიაგნოზის დასმა“, analyse „გაანალიზება“.

ოფიციალური აქტის სახით ვერდიქტივი წარმოადგენს კანონის აღსრულებას: ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება ადამიანს აქცევს მსჯავრდებულად, მატჩის მსაჯისა – თელის ან არ თელის გატანილ ბურთს, წყვეტს საჯარიმო დარტყმის ან მინდვრიდან მოთამაშის გაძევების საჭიროებას. ეს ასეა გადაწყვეტილების მიმღები პირების ოფიციალური სტატუსის გამო. „მიუხედავად ამისა, – აღნიშნავს ჯ. ოსტინი,--თავად გადაწყვეტილება რეალური ვითარების მიხედვით შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი, მართებული ან უმართებულო“ (Дж. Остин, 1986:121) და ამით ფილოსოფიური მსჯელობის საუკეთესო ტრადიციით (გავიხსენოთ სოკრატეს მსჯელობის მანერა) მკლევარი უპირისპირდება თავისი თეორიის მთავარ საფუძველს: „პერფორმატივი შეიძლება იყოს წარმატებული ან წარუმატებელი და არა ჭეშმარიტი ან მცდარი“ (Дж. Остин, 1986:167) ახალ დებულებას ჯ. ოსტინი ათვალსაჩინოებს კონკრეტული მაგალითებით: „ვერდიქტივები გარ-

კვეულ მიმართებაშია ჭეშმარიტება – მცდარობასთან, რადგან შეიძლება იყონ დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი, სამართლიანი ან უსამართლო, მაგალითად გამოგვადგება თუნდაც ფეხბურთში მსაჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები: „თამაშგარეთ“, „მინდვრიდან გაძევება“, „საჯარიმო დარტყმა“ (Дж. Остин, 1986:121).
2. ეგზერსიტივი გავლენის გამოხატვა ან ძალაუფლების განხორციელებაა. თუ ვერდიქტივი სასამართლო აქტია, ეგზერსიტივი წარმოდგენილია კანონმდებლურ აღმასრულებელ აქტებში. ეგზერსიტივებს იყენებენ მოსამართლეები და არბიტრები, რომლებსაც არსებულის შეფასების (ვერდიქტივი) გარდა უხდებათ აუცილებლის გამოცხადება. ეგზერსიტივების წარმოთქმის შედეგად ადამიანებს ევალებათ (ნება ეძლევათ ან ერთმევათ) გარკვეულ მოქმედებათა აღსრულება. ამ ილოკუციური აქტის ტიპური კონტექსტებია: თანამდებობაზე დანიშვნა, კანდიდატურის წამოყენება, არჩევნები, გადაყენება, დათხოვნა, დაშვება, რჩევა, ქადაგება, პეტიციით მიმართვა, უფლებამოსილება, განაჩენის გამოტანა, განაჩენის გაბათილება, ბრძანება, საქმის წარმოება, სხდომათა ჩატარება, ბრალდება, უფლებები და ა. შ.

ზმნები

appoint „დანიშვნა“, degrade „დაქვეითება“, demote „დაქვეითება, გადაყენება“, dismiss „დათხოვნა, გათავისუფლება“, excommunicate „განკვეთა“, name „დარქმევა“, order „ბრძანება“, command „ბრძანება“, direct „განკარგვა, მითითება“, sentence „განაჩენის გამოტანა“, fine „ დაჯარიმება“, grant „მიცემა, ჩუქება“, levy „აღება“, vote for „ხმის მიცემა“, nominate „წამოყენება“, choose „არჩევა“, claim „მოთხოვნების წამოყენება“, give „მიცემა“, bequeath „ანდერძი“, pardon

„პატიება“, warn „გაფრთხილება“, advise „რჩევა“ , plead „ევედრება“.

3. კომისივი წარმოადგენს ვალდებულების აღებას ან განზრახვის გამოხატვას. მართალია, არსებობს განსხვავება დაპირებასა და განზრახვას შორის, მაგრამ ორივე გულისხმობს მოქმედების შესრულებას მომავალში. კომისივების შემთხვევაში მთქმელი ივალებს გარკვეულ მოქმედებას.

ზმნები

Promise „დაპირება“, covenant „ხელშეკრულების დადება“, contract „კონტრაქტის დადება“, undertake „თავზე აღება“, give my word „სიტყვის მიცემა“, intend „განზრახვა“, declare my intention „განზრახვის გამოცხადება“, ervisage „მონიშვნა“, engage „ვალდებულების აღება“, swear „დაფიცება“, agree „თანხმობის მიცემა“, guarantee „გარანტიის მიცემა“, pledge myself „საზეიმო დაპირება“, bet „დანიძლავება“, consent „თანხმობა“, adopt „შეხედულების მიღება“, embrace, „რწმენის, მოძღვრების მიღება“ oppose „დაპირისპირება“, favour „მოწონება“.

4. ბეჰაბიტივი დამოკიდებულების გამოხატვაა როგორც რეაქცია ადამიანებზე, მათ ქცევებზე. ესაა ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთმიმართების სფერო, აღნიშნავს ავტორი, და ამიტომ მისივე აღიარებით ბეჰაბიტივთა კლასი ყველაზე ჭრელი და არაერთგვარია (Дж. Остин, 1986: 110,120);

1. ბოდიშის მოსახდელად ვიყენებთ ზმნას „ბოდიშს გიხდით“.

2. მადლიერებისთვის გვაქვს ზმნა „გმადლობთ“.

3. სიმპათიების გამოსახატავად მივმართავთ ზმნებს: „ვწუხვარ“, „თანაგიგრძნობთ“, „მოზიარე ვარ“, „გილოცავთ“, „გისურვებთ...“, „მესიმპათიურებით.“

4. ვისიმე ქცევათა მიმართ დამოკიდებულებას გამოვხატავთ ზმნებით: „ვაკრიტიკებ“, „ვჩივი“, „ტაშს ვუკრავ“, „არ ვაქცევ ყურადღებას“, „ვაქებ“, „მივაგებ კუთვნილს“, „აღშფოთებული ვარ“, „წინააღმდეგი ვარ“.

5. მისასალმებლად ვამბობთ: „მობრძანდით“, „გისურვებთ ბედნიერ გზას“.

6. სურვილს გამოვხატავთ ზმნებით: „გილოცავთ“, „გწყეველი“, „გადღეგრძელებ“, „გისურვებთ“.

7. დაპირისპირების დროს: „გიწვევთ“, „ვაპროტესტებ“, „გედავებით“.

ბეჰაბიტივის მრავალმხრივობამ განაპირობა მისი მჭიდრო კავშირი სხვა ილოკუციურ აქტებთან, მაგალითად, კომისივთან, „რადგან ვისიმე შექება ან მხარის დაჭერა მოვალეობის სახით მოითხოვს ჩვენგან შესაბამის ქცევასაც შექების ობიექტის მიმართ“. ბეჰაბიტივი დაკავშირებულია ეგზერსიტივთანაც იმით, რომ „მოწონება შეიძლება იყოს უფლების აღსრულება“ (Дж. Остин, 1986:126).

5. ექსპოზიტივი გამოიყენება ახსნისა და განმარტების აქტებში. იგი გვაჩვენებს (ექსპონირებას ახდენს) იმას, თუ როგორ ვიყენებთ ჩვენ ენას აზრის ჩამოყალიბების და საგანთა რეფერენციის დროს. ექსპოზიტივი ენის გამოყენების სფეროა, ამით არის იგი, ავტორის შეფასებით, უნიკალური და ძნელი გამოსარჩევი ილოკუციის სხვა აქტებისაგან. ყველა სახის ილოკუცია გამოიხატება ენით, მაგრამ, თუ ვერდიქტივი არსებულის შეფასებაა, ეგზერსიტივი – უფლების აღსრულება, კომისივი – ვალდებულების აღება და ბეჰაბიტივი – სოციალურ მიმართებათა გამო-

ხატვა', ექსპოზიტივები წარმოადგენენ (expotion) სიტუაციის ჩვენებულ ახსნას შემდეგი ზმნების მეშვეობით: offirm „დამოწმება“, deny „უარყოფა“, state „დამტკიცება“, discribe „აღწერა“, class „კვალიფიცირება“, identify „იდენტიფიცირება“, remark „შენიშვნა“, mention „გახსენება“, interpose „შეწყვეტა“, inform „ინფორმირება“, apprise „შეტყობინება“, tell „მოყოლა“, answer „პასუხის გაცემა“, rejoin „სიტყვის შებრუნება“, ask „შეკითხვა“, testify „დამოწმება“, report „მოხსენება“, swear „დაფიცება“, conjecture „ვარაუდობა, მარჩიელობა“, doubt „ეჭვის შეტანა“, know „ცოდნა“, believe „მიჩნევა, რწმენა“, consede „დაშვება“, agree „დათანხმება“, recognize „აღიარება“, correct “გასწორება”, revice „გადასინჯვა“, postulate „პოსტულირება“, deduce „გამოყვანა“, argue „დამტკიცება“, neglect „უგულებელყოფა“, emphasize „ხაზის გასმა“, turn to „გაანალიზება“, define „განსაზღვრა“, illustrate „ილუსტრირება“, explain „ახსნა“, formulate „ფორმულირება“, call „დასახელება“, understand „გაგება“.

განსხვავება განხილულ ილოკუციურ აქტებს შორის კარგად ჩანს შემდეგ მაგალითებში:

I

1. თქვენ ბოდიში გაქვთ მოსახდელი – ვერდიქტივი (შეიცავს შეფასებით გადაწყვეტილებას).
2. ბოდიში მოუხადეთ მას – ეგზერსიტივი (შეიცავს ბრძანებას).
3. თუ ასე იქნება, მე თქვენ ბოდიშს მოგიხდით – კომისივი (შეიცავს დაპირებას).
4. ბოდიშს გიხდით! – ბეჰაბიტივი (შეიცავს სოციალური მიმართების შეფასებას).

5. მე ვთვლი, რომ ბოდიში უნდა მოგიხადოთ – ექსპოზიტივი (წარმოაჩენს სიტუაციის ვერბალურ ვერსიას).

II

1. სასამართლომ ცნო იგი სამშობლოს მოღალატედ – ვერდიქტივი (შეიცავს განაჩენს).
2. სამშობლოს ღალატი დასჯადია–ეგზერსიტივი (გამოხატავს კანონს და შეიცავს გაფრთხილებას).
3. მე არ გიღალატებთ – კომისივი (შეიცავს დაპირებას).
4. თქვენი მხრიდან ეს ღალატია – ბეჰაბიტივი (გამოხატავს სოციალური მიმართების შეფასებას).
5. მე ვუწოდებდი ამას სამშობლოს ღალატს – ექსპოზიტივი (წარმოაჩენს სიტუაციის ვერბალურ ვერსიას).

III

1. ჩვენი წესდების თანახმად, უნივერსიტეტთან ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის თქვენ გენიჭებათ საპატიო დოქტორის წოდება – ვერდიქტივი (შეფასებითი გადაწყვეტილება).
2. უნივერსიტეტის საბჭო განიჭებთ საპატიო დოქტორის წოდებას – ეგზერსიტივი (შეიცავს უფლების აღსრულებას).
3. გილოცავთ საპატიო დოქტორის წოდებას – ბეჰაბიტივი (გამოხატავს სოციალურ შეფასებას).
4. შევეცდები გავამართლო თქვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მაღალი წოდება– კომისივი (შეიცავს დაპირებას).
5. ვეთანხმები ბატონი X-თვის საპატიო დოქტორის მინიჭების გადაწყვეტილებას -ექსპოზიტივი (წარმოაჩენს სიტუაციის ვერბალურ ვერსიას).

IV

1. გოლია! – ვერდიქტივი (შეიცავს მსაჯის ვერდიქტს– შეფასებით გადაწყვეტილებას).
2. გოლი უნდა ჩაითვალოს! – ეგზერსიტივი (შეიცავს უფლებამოსილი ინსტანციის უფლების აღსრულებას).
3. ამ გოლს ჩავთვლით – კომისივი (შეიცავს დაპირებას).
4. მან ბრწყინვალე გოლი გაიტანა – ბეჰაბიტივი (შეიცავს დამოკიდებულების გამომხატველ მოწონებას).
5. მე ვაღიარებ იმას, რომ გოლი იყო! – ექსპოზიტივი (წარმოაჩენს გამონათქვამს).

ჯ. ოსტინი თავად აღნიშნავდა წარმოდგენილი კლასიფიკაციის სუსტ მხარეებს, სახელდობრ იმას, რომ იგი არ არის სრული, საზღვრები კლასებს შორის არ არის გამოკვეთილი: ადგილი აქვს ილოკუციათა ურთიერთგადაკვეთას (Дж. Остин, 1986: 120). ნაკლოვანებათა სიას გააგრძელებენ სხვა მეცნიერებიც. მაგრამ ჯ. ოსტინის ყველა კრიტიკოსი ამავე დროს მისი მიმდევარიცაა, რადგან ილოკუციური აქტის სახით ინგლისელმა მკვლევარმა აღმოაჩინა ენობრივი ელემენტი, რომელიც კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ნათქვამის საბოლოო საზრისს განსაზღვრავს არა თავად გამონათქვამი, არამედ ილოკუცია. სხვადასხვა ილოკუციით გამოყენებულ ერთსა და იმავე გამონათქვამს (ლოკუციას) აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა:

1. მსოფლიო ჩემპიონატის დროს ფეხბურთში არბიტრის მოკლე ფრაზა „გერმანელები!“ (შემოაგდებენ ბურთს აუტიდან) არის ვერდიქტივი, 2. მეორე მსოფლიო ომის ბრძოლის ველზე გერმანელების დანახვაზე საბჭოთა ჯარისკაცის მიერ წარმოთქმული: „გერმანელები!“ იყო გაფრთხილების, ბრძოლისკენ მოწოდების ნიშანი – ეგზერსიტივი. 3. მზვერავები შორიდან დურბინდში ათვალიერებენ გზას, რომელზეც გამოჩნდა სამხედრო კოლონა, მზვერავ-

თაგან ერთ-ერთი დაკვირვების შემდეგ ამბობს: „გერმანელები“ . ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეალური სიტუაციის ვერბალურ ვერსიასთან ანუ ექსპოზიტივთან 4. მსოფლიო ფესტივალზე წამყვანის მისალმებითი გამოცხადება: „გერმანელები!“ (=შეხვდით! მიესალმეთ!) ბეჰაბიტივია. 5. „ გერმანელები!“ როგორც გერმანელების მიერ გაცემული პასუხი კითხვაზე „ვინ გაიმარჯვებს? იქნება კომისივი.

აღნიშნული შეადგენს ჯ. ოსტინის აღმოჩენის ლინგვისტურ ასპექტს. არანაკლებ საინტერესოა ფილოსოფიური მხარეც. არისტოტელეს ლოგიკის თანახმად, გამონათქვამი შეიძლება იყოს მტკიცებითი და არამტკიცებითი და მხოლოდ პირველი არის ჭეშმარიტი ან მცდარი. ჯ. ოსტინმა ამ ფეტიშის „განჯადოება“ მოახდინა იმით, რომ დაგვანახა: ის, რაც ტრადიციულად მიჩნეულია მტკიცებით წინადადებად, შეიძლება გამოდიოდეს პერფორმატივის ფუნქციითაც, მაგალითად, „კატა ხალიჩაზეა“. მეორე მხრივ, პერფორმატივებიც ვერდიქტივების სახით შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი. მართალია, ამის აღიარებით მკლევარი უპირისპირდება არა მხოლოდ არისტოტელეს, საკუთარ თავსაც, მაგრამ მას ურჩევნია თუნდაც წინააღმდეგობრიობის დაშვების ფასად იყოს აღეკვატური სინამდვილის ჩვენებაში, ვიდრე მთავარ მიზნად დაისახოს, შექმნას არაწინააღმდეგობრივი მეცნიერული თეორია.

„ფილოსოფია ყოველივეს უბრალოდ წინ დაგვიდებს და არაფერს განმარტავს ან ასკვნის...“

„... ფილოსოფიამ არანაირად არ უნდა ხელყოს ენის ფაქტობრივი გამოყენება, ფილოსოფიას საბოლოოდ მისი მხოლოდ აღწერა შეუძლია“ (ლ. ვიტგენშტაინი, 2003: 91). ლ. ვიტგენშტაინის ამ სიტყვების ჭეშმარიტებას, რა თქმა უნდა, იზიარებდა ჯ. ოსტინიც.

§ 3. ილოკუციური აქტების კლასიფიკაცია ჯ. სერლის მიხედვით

ჯ. ოსტინის თეორია კონცეპტუალურად გაამდიდრა ამერიკელმა ლოგიკოსმა ჯ. სერლიმ, რომლის კრიტიკული შეფასებით: წინამორბედის კონცეფციაში სათანადოდ არ არის განსხვავებული ზმნები და აქტები; ილოკუციურად დასახელებული ზმნების ნაწილი სინამდვილეში არ არის ასეთი; ხშირია გადაკვეთის შემთხვევები ილოკუციურ აქტებს შორის; თავად კლასები არაერთგვაროვანია; არც ზმნები არის ზუსტად დანაწილებული კლასებს შორის და, რაც მთავარია, ბოლომდე არ არის გატარებული კლასიფიკაციის ერთი რომელიმე პრინციპი (Дж. Серль, 1986:180). აღნიშნულის გათვალისწინებით ჯ. სერლი აყალიბებს ილოკუციური აქტების თეორიის ახალ ვერსიას, კვლევის მთავარ ამოცანად იგი ასახელებს ილოკუციური აქტების დასაბუთებული კლასიფიკაციის მიღებას და ამ მიზნით, პირველ რიგში, ადგენს ილოკუციური აქტების განმასხვავებელ ნიშნებს, რომ მათგან ყველაზე ზოგადი გამოიყენოს ილოკუციურ აქტთა ტაქსონომიის კრიტერიუმად. ამერიკელი მკვლევარი გვთავაზობს თორმეტ პარამეტრს, რომლებიც განსაზღვრავენ ილოკუციური აქტების ტიპებად ვარირებას:

1. მიზანი

ასე, მაგალითად, ბრძანების მიზანია, შეასრულებინოს მსმენელს რამე; აღწერისა— წარმოადგინოს (სწორად თუ არასწორად) საგანთა გარკვეული მდგომარეობა; დაპირების მიზანიაა, რაღაცის შესრულების ვალდებულების თავზე აღება.ჯ. სერლის ილოკუციური მიზანი არ გულისხმობს აუცილებლად შეფასების პერლოკუციურ ეფექტს. „ილოკუციურ აქტთაგან მრავალს და შეიძლება უმრავლესსაც არ აქვს არსებითი პერლოკუციური გან-

ზრახვა. ასე, მაგალითად, აღწერა და დაპირება არ ახდენენ პერლოკუციურ ზემოქმედებას მსმენელზე, აღნიშნავს ჯ. სერლი (Дж. Серль, 1986:172).

მიზანი მხოლოდ ნაწილია ილოკუციური ძალის, ამიტომ იგი შეიძლება იყოს საერთო რამდენიმე სამეტყველო აქტისთვის , ასე, მაგალითად, თხოვნისა და ბრძანების მიზანია შეასრულებინოს მსმენელს რამე.

ილოკუციური მიზნიდან გამომდინარეობს მეორე პარამეტრი:

2. სიტყვებსა და სამყაროს შორის ურთიერთშეწყობის მიმართულება

ილოკუციები იყოფა ორად. ნაწილის (კონსტატაცია, აღწერა, მტკიცება, ახსნა) ილოკუციური მიზანი მიისწრაფვის სიტყვები (პროპოზიცია) შეუსაბამოს სამყაროს; დაპირება , თხოვნა, ბრძანება, მოწოდება, გაფრთხილება, შეთავაზება, პირიქით, გულისხმობენ სამყაროს შესაბამისობაში მოყვანას სიტყვებთან (გამოთქმულ პროპოზიციასთან).

3. ფსიქოლოგიური მდგომარეობა

ილოკუციური აქტის შესრულებისას მთქმელი იმყოფება გარკვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. ჯ. ოსტინმა დაადგინა იმპლიკაციური (თუ A, მაშინ B -ც) კავშირი ილოკუციურ აქტებსა და შესაბამის ფსიქოლოგიურ მდგომარეობებს შორის: კონსტატაციის, მტკიცების, ახსნის, განცხადების, დეკლარაციის, არგუმენტაციის, ლოგიკური დედუქციის, შენიშვნის დროს მთქმელი გამოხატავს დარწმუნებას; დაპირების, ფიცის, დამუქრების, თავდებობის შემთხვევაში— განზრახვას; თხოვნით, ბრძანებით, განკარგულებით, მოწოდებით, ვედრებით, შუამდგომლობით გამოიხატება სურვილი ან საჭიროება; მისალმებისას, გამომშვიდობებისას, მილოცვისას მთქმელი გამო-

ხატავს სიამოვნებას, ხოლო ბოდიშის მოხდისას – სინანულს. „ამას აქვს ადგილი მაშინაც კი ,– აღნიშნავს ავტორი,-როცა მთქმელი არ არის გულწრფელი“ (Дж.Серль, 1986:174).

ჯ. სერლის ილოკუციურ აქტთა კლასიფიკაცია აგებულია ძირითადად სამ პარამეტრზე, სხვა პარამეტრების განხილვა საინტერესოა ილოკუციათა ზოგადი ბუნების გასაცნობად.

4. ილოკუციური მიზნის წარდგენის ენერგიულობა

ერთი და იგივე ილოკუცია შეიძლება გამოიხატოს განსხვავებული ენერგიულობით, შეადარეთ: „ მე გთავაზობთ კინოში წასვლას“ და „ მე მოვითხოვ კინოში წასვლას;“ „ მე საჯაროდ გეფიცებით, რომ ფული მოიპარა ბილმა“ და „მე ვფიქრობ, რომ ფული მოიპარა ბილმა.“

5. მთქმელისა და მსმენელის განსხვავება სტატუსში

თუ გენერალი სთხოვს რიგით ჯარისკაცს ოთახის დალაგებას, ეს არ არის თხოვნა, ეს ბრძანებაა, თუ, პირიქით, რიგითი ჯარისკაცი სთხოვს გენერალს ოთახის დალაგებას, ეს შეიძლება იყოს რჩევა, წინადადება, თხოვნა , მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ბრძანება; ამ მაგალითით ჯ. სერლი კიდევ ერთხელ ასაბუთებს ჯ. ოსტინის დებულებას ილოკუციების საკომუნიკაციო სიტუაციასთან კავშირის შესახებ.

6. მთქმელისა და მსმენელის განსხვავებული ინტერესი

ამ წმინდა პრაგმატული ფაქტორის კომუნიკაციაში მონიშვნით ჯ. სერლი, ჯერ ერთი, განასხვავებს „ილოკუციურ მიზანსა“ და „პრაგმატულ ინტერესს“ და, მეორეც, რამდენადმე ათანაბრებს მთქმელისა და მსმენელის პოზიციებს. თუ ილოკუციური მიზანი აქვს მხოლოდ მთქმელს, ინტერესი თანაბრად მოეპოვება კომუნიკაციის ორივე მონაწილეს. კომუნიკანტების ინტერესთა ურთიერთმიმართე-

ბა განსხვავებულია სხვადასხვა ილოკუციის დროს, მაგალითად, ქებისა და ჩივილის, ან მილოცვისა და თანაგრძნობის გამოხატვის დროს.

7. მიმართება დისკურსის დანარჩენ ნაწილთან

ილოკუციები, რომლებიც გამოიხატება პერფორმატიული ფორმულებით: „ მე გპასუხობთ“, „მე ვასკვნი,“ „გამომყავს,“ „ მე შეგეკამათებით“ გვაკავშირებენ დისკურსის დანარჩენ ნაწილთან, ამ დროს წარმოქმნილი გამონათქვამები ჩვეულებრივ მტკიცებითია. მსგავს ფუნქციას ასრულებენ გამოთქმები: „მიუხედავად ამისა,“ „ამაზე მეტიც,“ „ამგვარად,“ „ამრიგად,“ „ამდენად,“ „ მაშასადამე“.

8. პროპოზიციის ხასიათი

ჯ. სერლის აზრით, განსხვავება შეტყობინებასა და წინასწარმეტყველებას შორის პროპოზიციურია: წინასწარმეტყველება ეხება მომავალს, ესაა შეტყობინება მომავლის შესახებ, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უფლის პასუხი ჰეროდეს: „წადით და უთხარით იმ მელას: აჰა, ვდევნი ეშმაკებს და ვკურნავ დღესა და ხვალ, მესამე დღეს კი დავასრულებ. მაგრამ მე უნდა ვიარო დღეს, ხვალ და ზეგ, ვინაიდან არ იქნება, რომ წინასწარმეტყველი იერუსალიმის გარეთ დაიღუპოს“ (ახალი აღთქმა, ... 1991:147).საკუთრივ შეტყობინება კი მოგვითხრობს წარსულსა და აწმყოზე.

9. აქტის განხორციელების ვერბალური და არავერბალური საშუალებები

თუ ჯ. ოსტინმა პერფორმატივების სახით აღმოაჩინა სოციალური აქტები (შერქმევა, ანდერძი, ჩუქება, დანაძლევება, დაპირება, ფიცის დადება. დაქორწინება...), რომლებიც შეუძლებელი არიან მეტყველების გარეშე, ჯ. სერლი, აქცევს ყურადღებას ისეთ სოციალურად ღირებულ აქტებს, რომლებიც შეიძლება შესრულდეს მეტყველების გარეშეც. „მე შემიძლია შევაფასო რამე“, „ დაესვა დიაგ-

ნოზი“, „გაეაკეთო დასკვნა თქმით“: „მე ვაფასებ,“ „მე ვსვამ დიაგნოზს,“ „ მე ვაკეთებ დასკვნას,“ მაგრამ იმისათვის, რომ შეაფასო, დასვა დიაგნოზი ან გააკეთო დასკვნა, არ არის აუცილებელი თქმა. მე შემიძლია დავდგე შენობის წინ და შევაფასო მისი სიმაღლე, მდუმარედ დაგისვათ დიაგნოზი „შიზოფრენიის ბოლო ხარისხით“, ან გაეაკეთო დასკვნა, რომ ჩემს გვერდით მჯდომი ადამიანი მაგრად არის მთვრალი, ამ შემთხვევაში არ გეჭირდება სამეტყველო აქტები, თუნდაც შინაგანი სამეტყველო აქტები“(Дж. Серль, 1986:176). როგორც ვხედავთ, სამეტყველო აქტებს აეტორი არ მიიჩნევს აზროვნების აუცილებელ პირობად.

10. არაენობრივი სოციალური დაწესებულების აუცილებლობა

ჯ.ოსტინმა ილოკუციური აქტი იმთავითვე დაუკავშირა საკომუნიკაციო სიტუაციას. ჯ. სერლი არ მიიჩნევს ამას საკმარისად. ცალკე შემთხვევებისთვის იგი გამოყოფს კომუნიკაციის ექსტრალინგვისტურ ფაქტორსაც. მართალია, იმისათვის, რომ შევატყობინოთ წვიმის, ან ვინმესთან მისვლის შესახებ, საჭიროა მხოლოდ ენა. მაგრამ მრავალი ილოკუციური აქტი განსახორციელებლად მოითხოვს გარკვეულ არაენობრივ სოციალურ დაწესებულებას (ინსტიტუციას) და კომუნიკანტების სპეციალურ მდგომარეობას მასში. შეუძლებელია ნებისმიერმა მთქმელმა ნებისმიერი მსმენელი დალოცოს (ეკლესიის სახელით), განკვეთოს (ეკლესიისაგან), მონათლოს, იურიდიულად ცნოს დამნაშაეედ, გამოუცხადოს ომი მეორე სახელმწიფოს (Дж. Серль, 1986: 176). მართლაც , რამდენიც არ უნდა იყვიროს ათასობით გულშემატკივარმა „თამაშგარეთაა!“ ან „გოლია!,“ ამის გადაწყვეტა ხელეწიფება მხოლოდ მსაჯს, ისე როგორც წარმოუდგენელია თამადა სუფრის გარეშე.

11. გამოიყენება თუ არა ილოკუციური ზმნა პერფორმაციულად?

ეს პარამეტრი საინტერესოა ჯ. სერლის შემდეგი დაკვირვებით: „ყველა ილოკუციური ზმნა არ არის პერფორმაციული“(Дж.Серль, 1986:177). ილოკუციური ზმნების უმრავლესობა გამოიყენება პერფორმაციულად, მაგრამ არ ამბობენ:

„ამით მე თავს ვიქებ,“ „ამით მე გემუქრები.“ილოკუციურ აქტებზე, რომლებიც არ გამოიხატება შესაბამისი სიტყვიერი ფორმულით, მიუთითებდა ჯ. ოსტინიც: „მე შემიძლია გაგაკვირვოთ, გული დაგწყვიტოთ, დაგამციროთ შესაფერისი ლოკუციის გამოყენებით, მაგრამ არ არსებობს ილოკუციური ფორმულები: „მე გაკვირვებაში მომყავს შენი თავი“, „მე გულს გწყვეტ,“ „მე გამცირებ“ (Дж. Остин, 1986:97).

12.სტილი

ჯ. სერლის აზრით, ზოგიერთი ილოკუციური ზმნა ქმნის ილოკუციის სპეციალურ სტილს, ასე, მაგალითად, ერთი ილოკუციის განსხვავებული სტილებია:

საჯაროდ გაკეთებული შეტყობინება და საიდუმლო შეტყობინება.

ილოკუციათა უფრო მეტი პარამეტრის გათვალისწინებით ჯ. სერლი აყალიბებს მათ „ალტერნატიულ ტაქსონომიას“:

1. რეპრეზენტატივი
2. დირექტივი
3.კომისივი
4.ექსპრესივი
5. დეკლარაცია

1. რეპრეზენტატივი

მიზანი: შეტყობინება საქმეთა გარკვეული მდგომარეობის შესახებ.

შეწყობის მიმართულება: „სიტყვები“ ⟶ „რეალობა“.

ფსიქოლოგიური მდგომარეობა: დარწმუნება.

გამოხატავს მტკიცებას, ამიტომ დაუშვებს შეფასებას „ ჭეშმარიტი ან მცდარი“

ზმნები: გატყობინებ, ვადასტურებ, ვამტკიცებ, გიხსნი, ვაქებ, ვჩივი, გამომყავს დედუქციურად, ვასკვნი, ვთვლი, მიმაჩნია, ვფიქრობ, ვაძლევ ინტერპრეტაციას,ვაკეთებ კონსტატაციას, ვაკეთებ კომენტარს, ვაანალიზებ, აღვწერ, განემარტავ, ვსაზღვრავ, დავუშვებ.

2. დირექტივი

მიზანი: შეასრულებინოს მსმენელს რაიმე.

შეწყობის მიმართულება: „რეალობა ⟶სიტყვები“.

ფსიქოლოგიური მდგომარეობა: სურვილი ან მოთხოვნა.

ზმნები: გეკითხები, გიბრძანებ, მოვითხოვ, გთხოვ, გეხვეწები, გევედრები, გემუდარები, გაფიცებთ, გიკრძალავ, ნებას გრთავ, გიწევ, გირჩევ.

3.კომისივი

მიზანი: დააკისროს მთქმელს ვალდებულება შეასრულოს მომავალში რაიმე მოქმედება ან არ გადაუხვიოს გარკვეულ ქცევას.

შეწყობის მიმართულება: „რეალობა⟶სიტყვები“.

ფსიქოლოგიური მდგომარეობა: · · · განზრახვა.

ზმნები: ვპირდები, სიტყვას გაძლევ, ფიცს ვდებ,მხედველობაში მექნება, თანხმობას გაძლევ, გარანტიას გაძლევ.

4. ექსპრესივი

მიზანი: გამოხატოს ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია პროპოზიციაში ასახულ საგანთა მდგომარეობით.

შეწყობის მიმართულება: არ ახასიათებს.

ზმნები: მადლობას გიხდით, გილოცავთ, ბოდიშს გიხდით, თანაგიგრძნობთ, მოგესალმებით, მწუხარებას გამოვთქვამ, მწუხარების მონაწილე ვარ, მოხარული ვარ.

5.დეკლარაცია


მიზანი:საგანთა გარკვეული მდგომარეობის დადგენა.

შეწყობის მიმართულება: ორმხრივია (⟷), ერთდროულად: „სიტყვები ⟷ რეალობა".

ზმნები (ჯ. ოსტინის ის პერფორმატიული ზმნები, რომლებიც გამოიყენება ამა თუ იმ სოციალურად ღირებულ რიტუალიზებულ ქმედებაში): ვაცხადებ, ვამტკიცებ, გენიძლავები, ვარქმევ, ვუანდერძებ,ვასახელებ, ვნიშნავ, ვაწესებ, ვსაზღვრავ, ვუწოდებ, ღვნიშნავ.

თუ კონსტატივი განახორციელებს მტკიცებას ენაში, დეკლარაცია განახორციელებს სოციალურ ინსტიტუციას ცხოვრებაში, გამონაკლისია: „ვსაზღვრავ", „ვუწოდებ", „აღვნიშნავ", რომლებიც გულისხმობენ ენის გამოყენებას. დეკლარაცია ქმნის სინამდვილეს თვით დეკლარაციის ფაქტით. „თუ მე წარმატებით განვახორციელებ თქვენი თავმჯდომარედ დანიშვნის აქტს, თქვენ გახდებით თავმჯდომარე; თუ მე წარმატებით განვახორციელებ თქვენი კანდიდატად წამოყენების აქტს, თქვენ გახდებით კანდიდატი; თუ მე წარმატებით განვახორციელებ ომის გამოცხადების აქტს, დაიწყება ომი" (Дж.Серль, 1986:185).

ილოკუციათა ხელახალი გადანაწილება კლასებად დიაგრამულად გამოიყურება ასე:



ამის გამო კონკრეტული მაგალითები, კომისივების გარდა, ჯ. ოსტინთან და ჯ. სერლთან იღებენ განსხვავებულ კვალიფიკაციას.

		ჯ. ოსტინის მიხედვით:	ჯ. სერლის მიხედვით:
1.	ექიმის დასკვნა: „ნეერიზია!“	ვერდიქტივი	რეპრეზენტატივი
2.	გიბრძანებ სასწრაფოდ მოსვლას.	ეგზერსიტივი	დირექტივი
3.	გეპატიჟებით ჩვენთან!	ბეჰაბიტივი	ექსპრესივი
4.	მე უარვყოფ ადრინდელ ჩვენებას!	ექსპოზიტივი	რეპრეზენტატივი
5.	მასწავლებლის შეფასება: „40 ქულა!“	ვერდიქტივი	რეპრეზენტატივი / დეკლარაცია
6.	გაფრთხილებთ, ხვალ სწავლა არ არის.	ეგზერსიტივი	დირექტივი
7.	მკლევრის დასკვნა: „კონსტატივი გამოხატავს მტკიცებას.“	ვერდიქტივი	რეპრეზენტატივი / დეკლარაცია
8.	ჩვენ აგირჩიეთ შენ თამადად!	ეგზერსიტივი	დეკლარაცია
9.	ძალიან გამიხარდა შენი ნახვა!	ბეჰაბიტივი	ექსპრესივი
10.	მე გეკითხებით, სად იყავით ამდენ ხანს?	ექსპოზიტივი	დირექტივი
11.	ჩვენ ვიღებთ თავზე შესრულების პასუხისმგებლობას.	კომისივი	კომისივი
12.	თითო ჭიქა ხომ არ დაგველია?!	ბეჰაბიტივი	დირექტივი
13.	მე დავუშვებ, რომ მან არ იცოდა ეს.	ექსპოზიტივი	რეპრეზენტატივი

14.	მკლეარის დებულება: „პერფორმატივი არ არის კონსტატივი“.	ვერდიქტივი	რეპრეზენტატივი დეკლარაცია
15.	ამაში მონაწილეობის თანხმობას გაძლევთ.	კომისივი	კომისივი
16.	ჩვენ ვარქმევთ ამ ქუჩას ეროვნული გმირის სახელს.	ეგზერსიტივი	დეკლარაცია
17.	გემშვიდობებით, ხვალამდე.	ბეჰაბიტივი	ექსპრესივი
18.	ვალიარებ, რომ არ ვიყავი მართალი .	ექსპოზიტივი	რეპრეზენტატივი
19.	რეფერის შეფასება კრიეში: „ნოკაუტი!“	ვერდიქტივი	რეპრეზენტატივი
20.	ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს ინიციატივას.	კომისივი	კომისივი
21.	დიდი მადლობა მობრძანებისთვის!	ბეჰაბიტივი	ექსპრესივი
22.	გნიშნავ ჯგუფის უფროსად.	ეგზერსიტივი	დეკლარაცია
23.	გაძლევთ ამის გარანტიას.	კომისივი	კომისივი
24.	მე ვვარაუდობ, რომ მან იცის ეს.	ექსპოზიტივი	რეპრეზენტატივი
25.	ჩვენ მას ვაძლევთ ხმას!	ეგზერსიტივი	დეკლარაცია
26.	გილოცავთ წარმატებას!	ბეჰაბიტივი	ექსპრესივი
27.	ჩვენი მხრიდან შეფერხება...	კომისივი	კომისივი
28.	მოხელე მანქანის შესახებ: „ძრავის დგუშია გაფუჭებული“.	ვერდიქტივი	რეპრეზენტატივი

თანამედროვე ლინგვისტიკაში მოთხოვნილია ორივე კლასიფიკაცია, რადგან ისინი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ ერთიმეორეს. აღნიშნული აიხსნება რამდენიმე მიზეზით. ჯ. სერლის ილოკუციათა 12 პარამეტრიდან ყველა თანაბრად არ არის ასახული მის კლასიფიკაციაში. ძირითადად გამოყენებულია პირველი – ილოკუციური

მიზნის პარამეტრი, რომელიც ემთხვევა ჯ. ოსტინ
„ილოკუციური ძალის“ კრიტერიუმს. ამიტომ კლასიფი
ციებიც თანაგვარია. განსხვავებას მათ შორის განაპირ
ბებს ის მომენტი, თუ რა და რა მიზანს უდებენ საფუ
ძვლად კლასთა გამოყოფას მათი ავტორები. ჯ. ოსტინ
კლასიფიკაციიდან ჯ. სერლის თავის კლასიფიკაცია
უცვლელად გადმოაქვს მხოლოდ კომისივთა კლა
ახალკლასიფიკაციას ჯ. სერლი აყალიბებდა როგო
აკადემიურად „უფრო სერიოზულ ტაქსონომიას“ (
Серль, 1986:169), რომელიც უნდა ჩანაცვლებოდა არ
ბულს. მაგრამ განსახილველი კლასიფიკაციები სხვად
ხვა მხრიდან თანაბარი წარმატებით ახასიათებენ ილო
ციურ აქტებს.

ილოკუცია (მიზნის გამო
ხატვის ფორმა)

ჯ. ოსტინი

1. ვერდიქტივი (გადაწყვეტილებით ვაფასებ არსებულს)
2. ეგზერსიტივი (აღვასრულებ უფლებამოსილებას).
3. კომისივი (ვიღებ ვალდებულებას).
4. ბეჰაბიტივი (გამოვხატავ სოციალურ მიმართებას
ან პირად დამოკიდებულებას).
5. ექსპოზიტივი (წარმოვადგენ სიტუაციის ვერბალურ
ვერსიას).

ჯ. სერლი

1. რეპრეზენტატივი (წარმოვაჩენ საგანთა გარკვეულ
მდგომარეობას).
2. დირექტივი (მინდა შევასრულებინო მსმენელს რაი
3. კომისივი (ვიღებ ვალდებულებას).
4. ექსპრესივი (გამოვხატავ ემოციურ დამოკიდებულებ
განცდას).

5. დეკლარაცია (ვაწესებ საგანთა გარკვეულ მდგომარეობას).

შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ჯ. სერლის ილოკუციათა კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს იმავეს, რაც არის ჯ. ოსტინთან, მხოლოდ სხვა კუთხით, მაგრამ არა მეტი სიღრმით ან სისრულით. თუ ჯ. ოსტინის ექსპოზიტივთა კლასი სხვასთან ერთად გულისხმობს შეტყობინებასაც, ჯ. სერლის რეპრეზენტატივთა კლასი ვერ გვიხსნის, რა სხვაობა არის შემდეგ მაგალითებს შორის:

მე გატყობინებთ, რომ სოსო ბაღშია.
მე ვამტკიცებ, რომ სოსო ბაღშია.
მე ვაცხადებ, რომ სოსო ბაღშია და ა. შ.

ჯ. ოსტინთან ილოკუციური მოქმედება დახასიათებულია მთქმელის მიერ სიტუაციის ვერბალური წარმოდგენის მიხედვით, ამიტომ განსახილველ მაგალითებში გვაქვს ექსპოზიტივის სამი სახე. ჯ. სერლისთან იგივე ილოკუცია შეფასებულია უფრო პროპოზიციის მხრიდან, როგორც ინფორმაცია (სულერთია, თუ როგორ არის იგი წარმოდგენილი) საგანთა გარკვეული მდგომარეობის შესახებ. გაუგებარია ამერიკელი მკლევრის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ჯ. ოსტინი იძლევა ილოკუციური ზმნების კლასიფიკაციას და არა ილოკუციური აქტების (Дж. Серль, 1986:177).ილოკუციური ზმნების კლასიფიკაცია შეუძლებელია ილოკუციური აქტების გამოყოფის გარეშე. ისე როგორც შეუძლებელია ილაპარაკო ილოკუციებზე შესაფერისი ზმნების მოშველიების გარეშე, მეორე პირველის ინდექსებია. სხვა საკითხია, რომ ჯ. ოსტინმა ილოკუციური ზმნების გვერდით დაასახელა არაილოკუციურიც, რაზედაც მართებულად მიუთითებს ჯ. სერლი. ჰქონდა თუ არა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ილოკუციათა კლასიფიკაციისათვის? განვიხილოთ კომისიეთა კლასის შემდეგი გამონათქვამები:

I

1. სიტყვას გაძლევ , მოვალ.
2. გპირდებით, იქნება საინტერესო.
3. გაძლევთ გარანტიას, რომ ელექტროსაპარსი იმუშაებს გამართულად.

ამ ჯგუფის კომისივები წარმოდგენილია ბაზისური ფორმით: „ ილოკუციური ზმნა+ პროპოზიცია.“

II

1. მე მხედველობაში მექნება ეს.
2. მხედველობაში ვიქონიებ ამას.
3. მე გავითვალისწინებ ყველაფერს.

მეორე ჯგუფის გამონათქვამებში ზმნები გამოყენებულია მომავალი დროის ფორმით, მიუხედავად ამისა, აქაც საქმე გვაქვს კომისივებთან, რადგან თითოეული გამონათქვამი გულისხმობს ილოკუციურ ზმნას „ მე გპირდები“ აწმყო დროში.

III

1. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამისათვის.
2. თქვენ ყველაფერს მიიღებთ.
3. ჩვენი მხრიდან პრობლემა არ გექნებათ.
4. ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ.
5. ყველაფერს ვიღონებთ, რათა არ დაგუშვათ ეს.

ამაო საქმეა ამ ჯგუფის გამონათქვამებში ვეძებოთ ილოკუციური ზმნები. მაგრამ გამონათქვამთა ლექსიკური შევსებულობა განაპირობებს შესაბამისი ილოკუციური ზმნის („გპირდები“) გულისხმას. ამიტომ საქმე გვაქვს ისევ კომისივებთან.

ილოკუციური აქტი შეუძლებელია ილოკუციური ზმნის გარეშე, რომელიც, ან I პირის აწმყო დროის

თხრობითი კილოს ფორმით წარმოდგენილი გამონათქვამში. (ექსპლიციტიური ილოკუციური ზმნა; ჯ. ოსტინის ტერმინოლოგიით, „პერფორმატივის ფორმულა“), ან რჩება „კადრს მიღმა,“ ე. ი. საქმე გვაქვს იმპლიციტურ ილოკუციურ ზმნასთან. ჯ. ოსტინს მოჰყავს მაგალითები , სადაც პროპოზიციული შინაარსი არ მოითხოვს „გპირდები“ ილოკუციური ზმნის გულისხმას, მაგრამ არც გამორიცხავს მას: „მე იქ ვიქნები,“ „მე გავაკეთებ ამას“ (Дж. Остин, 1986:66). ამ შემთხვევაში ყველაფერს წყვეტს შესაბამისი ილოკუცია. შევადაროთ:

გპირდებით, რომ	კომისივი	რეპრეზენტატივი
	მე ვიქნები იქ.	მე ვიქნები იქ.
	მე გავაკეთებ ამას.	მე გავაკეთებ ამას.
	მე დავწერ დავალებას.	მე დავწერ დავალებას.
	მე მალე მოვალ.	მე მალე მოვალ.
	მე ვიყიდი პურს.	მე ვიყიდი პურს.

ილოკუციური კლასის გამოსაყოფად მნიშვნელოვანია დავადგინოთ ის ზმნები, რომლებითაც სიტყვიერად გამოიხატება ილოკუციური ძალა და არა ზმნები, რომლებიც მოცემულია ილოკუციური ძალის გამომხატველ გამონათქვამში. კომისივების შემთხვევაში ყველა ასეთი ზმნა უნდა იყოს „გპირდები“ ზმნის სინონიმი. აღნიშნული ეხება სხვა ილოკუციურ კლასებსაც. ამ პრინციპის დარღვევა, სახელდობრ, ილოკუციურ ზმნათა სიის გაფართოება არაილოკუციური ზმნებით, არ არის გადამწყვეტი ილოკუციათა ტაქსონომიისათვის. არსებითი მდგომარეობს იმაში, რომ ჯ. ოსტინი კონცეპტუალურად მივიდა გამონათქვამისა და ილოკუციური აქტის განსხვავებამდე, ხოლო ჯ. სერლმა ილოკუციური აქტი აღიარა ენობრივი

ურთიერთობის მინიმალურ ერთეულად (Дж. Серль ,1986; 152).

ძირითადი ცნებები

გამონათქვამი რეალობაში; გამონათქვამი როგორც მოქმედება; ფონეტიკური აქტი; ფატიკური აქტი; რეტიკული აქტი; ლოკუციის აქტი; ილოკუციური აქტი; ილოკუციური ძალა; პერლოკუციური აქტი; ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

საჭირო ტერმინები

კონვენციური – მოლაპარაკებით მიღწეული;
ტაქსონომია – დალაგება წესის მიხედვით, კლასიფიკაცია;
ვერდიქტივი < ინგლ. Verdict ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება;
ეგზერსიტივი< ფრანგ. exercice „სავარჯიშო" „აუცილებლის შესრულება";
კომისივი < ლათ. commissio „დავალება" ;
ბეჰაბიტივი < ინგლ. behaviour „ქცევა";
ექსპოზიტივი < ლათ. expositio „გადმოცემა";
რეპრეზენტატივი <ფრანგ. representation „წარმოდგენა, ჩვენება";
დირექტივი < ფრანგ. . directive „განკარგულება";
ექსპრესივი < ლათ. expressio „გამომსახველობა", გრძნობის , განცდის გამოხატვა;
დეკლარაცია < ლათ. declaration „განცხადება".

საკონტროლო კითხვები

1. რისი გარკვევა სურდა ჯ. ოსტინს კონსტატივების და პერფორმატივების დაპირისპირებით?
2. რა აეჭვებდა ჯ. ოსტინს ჭეშმარიტების ტრადიციულ გაგებაში?
3. რატომ არის გამონათქვამი „კატა ხალიჩაზეა“ ორსახოვანი?
4. რომელმა პრობლემამ, ლინგვისტურმა თუ ლოგიკურმა, მიიყვანა ჯ. ოსტინი სამეტყველო აქტთა თეორიის შექმნამდე?
5. რა მეთოდოლოგიურ სიახლეს იყენებს ჯ. ოსტინი გამონათქვამის შესწავლის დროს?
6. რას წარმოადგენს გამონათქვამი, როგორც გამომთქმელის მოქმედება?
7. რაში მდგომარეობს სემანტიკური მსგავსება „ლოკუცია“, „ილოკუცია“ ტერმინებს შორის?
8. რა ძალა აღმოაჩინა ჯ. ოსტინმა გამონათქვამში?
9. შეიძლება თუ არა ილოკუციის გამორიცხვით გამონათქვამის ადეკვატურად გაგება?
10. რა შემთხვევაში არის ილოკუციური აქტი წარმატებული?
11. შეიძლება თუ არა ილოკუციური და პერლოკუციური აქტები შესრულდნენ არავერბალურად?
12. რა სიახლე შეიტანა ჯ. ოსტინმა მტკიცებით და არამტკიცებით წინადადებათა მიმართების გააზრებაში არისტოტელეს შემდეგ?
13. არის თუ არა მტკიცება ერთი რომელიმე ტიპის გამონათქვამთა თვისება?
14. რა არის მტკიცება სინამდვილეში?

15. შეიძლება თუ არა ერთი გამონათქვამი გამოვიყენოთ სხვადასხვა ილოკუციით?
16. რატომ ცდილობდა ჯ. ოსტინი ილოკუციური ზმნების სრული სიის შედგენას?
17. ყოველთვის მონაწილეობს ილოკუციური ზმნა სამეტყველო აქტში?
18. ყოველთვის ხმოვანდება ილოკუციური ზმნა სამეტყველო აქტში?
19. რა ტერმინს უწოდებს ჯ. ოსტინი გახმოვანებულ ილოკუციურ ზმნას?
20. როგორ მოხვდა ჯ. ოსტინის ილოკუციურ ზმნათა სიაში არაილოკუციური ზმნებიც?
21. რით ემსგავსება ეგზერსიტივი ვერდიქტივს?
22. რაში მდგომარეობს ბეჰაბიტივის მრავალმხრივობა?
23. რატომ მიეკუთვნება ექსპოზიტივი ენის გამოყენების სფეროს?
24. თავისი კლასიფიკაციის რომელ ნაკლოვან მხარეებს აღნიშნავდა ჯ. ოსტინი?
25. რა აღმოაჩინა ჯ.ოსტინმა ლინგვისტიკისთვის?
26. რატომ დაისახავს ჯ. სერლი მიზნად სამეტყველო აქტების აკადემიურად უფრო „ სერიოზული ტაქსონომიის“ ჩამოყალიბებას?
27. შექმნის ჯ. სერლი თვისებრივად განსხვავებულ ილოკუციათა ტაქსონომიას?
28. ილოკუციათა რომელი კლასი ჯ.ოსტინის კლასიფიკაციიდან ჯ. სერლმა უცვლელად გადაიტანა თავის ტაქსონომიაში?
29. რა განსხვავებაა ჯ. ოსტინის ბეჰაბიტივებსა და ჯ. სერლის ექსპრესივებს შორის?

30. გამოყოფდა თუ ვერა ჯ.სერლი დეკლარაციათა კლასს, ჯ. ოსტინს რომ არ აღმოეჩინა პერფორმატიული გამონათქვამები?

დავალება

განსაზღვრეთ სამეტყველო აქტების კლასი ჯ. ოსტინისა და ჯ. სერლის მიხედვით

1. ვაცხადებ შესვენებას.
2. გპირდებით სრულ დასწრებას.
3. დიდი მადლობა დახმარებისთვის.
4. არ დამტოვოთ, გევედრებით.
5. მოვალ, რათა საზღაური მივუზღო.
6. რბილ მიწას აჩნდა ცხენის კვალი.
7. გილოცავთ ბედნიერებას.
8. სად იყავი ამდენხანს?
9. ხარჯებს ჩვენ ვკისრულობთ.
10. კიდევ უფრო მეტად დამავალებთ, თუ გაირჯებით და მობრძანდებით ჩვენთან.
11. ეს კაცის გამასხარავებაა და აბუჩად აგდება!
12. თუ თქვენ სიამოვნებას მოგგვრით , მზად ვარ შევასრულო.
13. ვინ მოგანიჭათ ამდენი უფლება?
14. მაპატიეთ, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით.
15. გეფიცებით, ამ საქმის ერთგული ვიქნებით.
16. გადღეგრძელებთ სუყველას სულითა და გულით!
17. თუ წამობრძანდებით, ბედნიერება მექნება გაგაცნოთ ჩემი მეგობარი.
18. თუ იტყვით, ძალიან დამავალებთ.

19. ძალიან გამახარეთ!
20. სახლს გარშემო აგურის ლავგარდანი ერტყა.
21. გონიერულად გარჯილხარ!
22. საქმე წინ წავიგდოთ!
23. ამ ხელოვნებას კარგად ხარ დაუფლებული.
24. ჩემზე იყოს, ძმა!
25. სამეცნიერო საბჭო განიჭებთ პროფესორის წოდებას.
26. დამიჯერებია მისთვის.
27. წიგნს ორ დღეში დაგიბრუნებ.
28. ხბო გადააბი.
29. მე შენ ცოლად შეგირთავ.
30. თანახმა ვარ ეს ქალი შევირთო ცოლად.
31. რამე რომ დაგჭირდეთ, დამიძახეთ.
32. განიშორეთ რისხვა.

§ 4. ირიბი სამეტყველო აქტები

ილოკუცია კომუნიკაციის ფაქტორია, რომლის რეალიზაცია ხდება ჩვეულებრივ გამონათქვამში. ჯ. ოსტინმა პირველმა გამოჯნა ილოკუცია და გამონათქვამი და მონიშნა მათი ურთიერთმიმართების სახე. მასთან ეროი და იგივე გამონათქვამი („კატა ხალიჩაზეა“) შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა ილოკუციით (მტკიცება, გაფრთხილება, ბრძანება) და ეროი გამონათქვამი შეიძლება გამოხატავდეს ერთზე მეტ ილოკუციას: გამონათქვამი „მე გაფრთხილებთ, რომ იგი აპირებს თავდასხმას“ ერთდროულად გაფრთხილებაც არის და მტკიცებაც“, – მიიჩნევს ჯ. ოსტინი (Дж.Остин, 1986:109). ეს მეორე დაშვება ჯ. სერლიმ გამოიყენა ვერდიქტების შეფასებისას. გამონათ-

ქვამებს: **„თქვენ თამაშგარეთ ხართ“, „თქვენ დამნაშავე ხართ“** მან უწოდა შედგენილი ტერმინი „რეპრეზენტატივი – დეკლარაცია“, რადგან ისინი, ერთი მხრივ, ისე, როგორც ყველა მტკიცება, არის სწორი ან არასწორი, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ყველა პერფორმატივი, ადგენენ საგანთა გარკვეულ მდგომარეობას. ორი ილოკუციური აქტის ერთდროულად გამოხატვის იდეას ამერიკელი მეცნიერი საფუძვლად დაუდებს თავის ირიბი სამეტყველო აქტების კონცეფციას.ჯ. სერლი გამონათქვამებს სემანტიკურად ყოფს სამად (Дж.Серль, 1986: 195):

გამონათქვამები

I	II	III
სემანტიკურად მარტივი	სემანტიკურად რთული	სემანტიკურად რთული
მთქმელს აქვს მხედველობაში ის, რასაც ამბობს: „დადგა ზამთარი“ „ვანო კითხულობს“ „მარია მიდის სკოლაში.“	მთქმელს მხედველობაში აქვს არა ის, რასაც ამბობს, მაგალითად, მინიშნების, ირონიის, მეტაფორის დროს.	გამონათქვამს აქვს ორი ილოკუციური ძალა, ამიტომ მთქმელს მხედველობაში აქვს ის, რასაც ამბობს და კიდევ რაღაც სხვა ერთდროულად

იმ შემთხვევაში, როდესაც გამონათქვამს ახასიათებს ორი ილოკუციური აქტი, ერთი ხორციელდება მეორის მეშვეობით, მაგალითად, გამონათქვამი **„მე მსურს, რომ თქვენ ეს გააკეთოთ“** გადმოსცემს თხოვნას (პირდაპირი ილოკუციური აქტი), რომელიც გამოიხატება მტკიცების (ირიბი ილოკუციური აქტი) მეშვეობით. გამონათქვამი **„შეგიძლიათ მარილი გადმომაწოდოთ?!“** შეიცავს პირდაპირი ილოკუციური ძალის (კითხვის) გამომხატველ ნიშნებს (შესაფერის ინტონაციას, ხოლო წერისას კითხვის ნიშანს), მაგრამ კითხვის ილოკუცია აქ ემსახურება სხვა (თხოვნის) ილოკუციის განსორციელებას, რომელიც ამ შემთხვევაში ირიბია. იმის გამო, რომ ირიბი სამეტყვე-

ლო აქტი წარმოადგენს გამონათქვამის მთავარ ილოკუციურ მიზანს, ჯ.სერლი უწოდებს მას პირველადს, ხოლო პირდაპირ ილოკუციურ აქტს — მეორადს . ირიბი სამეტყველო აქტების პრობლემა, ჯ. სერლის აზრით, მდგომარეობს იმის გამორკვევაში, როგორ ახერხებენ კომუნიკანტები ერთი ილოკუციური აქტის დროს გამოხატონ (მთქმელი) და გაიგონ (მსმენელი) სხვა ილოკუციური აქტიც . პრობლემაში გარკვევის მიზნით ავტორი აყალიბებს ირიბი ილოკუციური აქტის ყველაზე უფრო სტანდარტულად გამომხატველ გამონათქვამთა კლასიფიკაციას. კლასთა გამომყოფ კრიტერიუმად იგი იყენებს პირდაპირი ილოკუციების სახეებს(Дж.Серль,1986:201):

I ჯგუფი

წინადადებები, რომელთა პირდაპირი გაგება ეხება მსმენელის უნარს განახორციელოს გარკვეული მოქმედება:

Can you pass the salt? – შეგიძლიათ გადმომაწოდოთ მარილი?

Can you be a little more quiet? – შეგიძლიათ იყოთ ცოტა უფრო ჩუმად?

You could be a little more quiet – თქვენ შეგეძლოთ ყოფილიყავით ცოტა უფრო ჩუმად.

You can go now – თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ.

Have you got change for a dollar? – თუ გაქვთ დოლარის ხურდა?

II ჯგუფი

წინადადებები, რომელთა პირდაპირი გაგება შეიცავს მთქმელის სურვილს, განახორციელებინოს მსმენელს გარკვეული მოქმედება:

I would like you to go now – მე მინდოდა, რომ თქვენ ახლავე წასულიყავით.

Iwant you to do thIs for me, Henry – მე მინდა,რომ თქვენ გააკეთოთ ეს ჩემთვის, ჰენრი.

I should appreciate It If you could do it for me – ძალიან მადლიერი ვიქნებოდი თქვენი, რომ შეგეძლოთ ამის გაკეთება ჩემთვის.

I hope you' ll do it – ვიმედოვნებ, თქვენ გააკეთებთ ამას.

I wish you wouldn't doit – მე მსურს, რომ თქვენ არ გააკეთოთ ეს.

III ჯგუფი

წინადადებები, რომელთა პირდაპირი გაგება ეხება მსმენელის მიერ გარკვეული მოქმედების განხორციელებას:

Officers will henceforth wear ties at d!inner – ოფიცრები ამიერიდან გაიკეთებენ ჰალსტუხებს სადილის დროს.

Would you kindly get off my foot? – ხომ არ იქნებოდით კეთილი და გადამდგარიყავით ჩემი ფეხიდან.

Aren't you going to eat your cereal? – ხომ არ აპირებთ მიირთვათ თქვენი შერიის ფაფა?

IV ჯგუფი

წინადადებები, რომელთა პირდაპირი გაგება ეხება მსმენელის სურვილს ან მიდრეკილებას განახორციელოს გარკვეული მოქმედება:

Would you be willing to write a letter of recommendatIon for me? – იქნებოდით თანახმა დამიწეროთ სარეკომენდაციო წერილი?

dο you want to hand me that hammer over there on the table? - არ გინდათ მომაწოდოთ ის ჩაქუჩი იქ მაგიდაზე?

Would it be convenient for you to come on Wednesday? - თქვენთვის იქნება მოსახერხებელი, ოთხშაბათს რომ მოხვიდეთ?

V ჯგუფი

წინადადებები, რომელთა პირდაპირი გაგება ეხება გარკვეული მოქმედების განხორციელების მიზეზს:

You ought to be more polite to your mother – თქვენ უნდა იყოთ უფრო თავაზიანი დედათქვენთან.

You should leave immediately – თქვენ უნდა გაემგზავროთ დაუყოვნებლივ.

Must you continue hammering that way? – თქვენ უნდა გააგრძელოთ ასე კაკუნი?

Why don't you be quiet? – რატომ არ დაწყნარდით?

Why not stop here? – რატომ არ უნდა გავჩერდეთ აქ?

You are standing on my foot – თქვენ დგახართ ჩემს ფეხზე.

VI ჯგუფი

წინადადებები, რომლებშიც პირდაპირი ილოკუციის გამომხატველი ელემენტები დუბლირებულია:

Might I ask you to take off your hat? – შეიძლება გთხოვოთ, რომ ქუდი მოიხადოთ?

I hopeyou won't mind if ask you if – ვიმედოვნებ, თქვენ არ იქნებით წინააღმდეგი, მე
რომ გთხოვოთ...

I would appresiate it if you could – მე ვიქნებოდი თქვენი მადლიერი, თუ შეძლებდით
make lessnoise - ნაკლებად იხმაუროთ.

ჯ. სერლი არკვევს, რომ განსახილველი წინადადებები იქცნენ ირიბი თხოვნის გამოხატვის კონვენციურ საშუალებად, ისინი არ წარმოადგენენ იდიომებს, მაგრამ არიან იდიომატური . ამასთან ერთად, მათი გამოყენება შეიძლება პირდაპირი გაგებითაც, ასე, მაგალითად, **Can you reach the soit „შეგიძლიათ მისწვდეთ მარილს?"** როგორც ექიმის შეკითხვა პაციენტისთვის, გამოხატავს პირველის პირდაპირ სურვილს გაიგოს, დაიბრუნა თუ არა

პაციენტმა დაშავებული ხელის მოძრაობის უნარი. ხოლო ფრაზა **I want you to leave „მე მინდა, რომ თქვენ დამტოვოთ“** იყოს ნათქვამი, როგორც შეტყობინება სურვილზე ბრძანების გარეშე. მაგრამ, როდესაც კლასიფიცირებული წინადადებები გამოიყენება ირიბი ილოკუციით (თხოვნა, ბრძანება, შეთავაზება...), ერთდროულად ხორციელდება პირდაპირი ილოკუციური აქტიც (მტკიცება, კითხვა...). პრობლემას, როგორ უგებენ ამ შემთხვევაში კომუნიკანტები ერთმანეთს, ჯ. სერლიმ მოუძებნა ასეთი გადაწყვეტა: „ირიბი ილოკუციური აქტის გამოსახატავად წინადადება უნდა იყოს პირველ რიგში იდიომატური“ (Дж.Серль, 1986:215). იგულისხმება, რომ იდიომატურობის, სხვაგვარად, სტანდარტულობის წყალობით კლასიფიცირებული წინადადებების ირიბი ილოკუცია ადვილად გამოიცნობა მსმენელის მიერ. მაგრამ ეს არ არის პასუხი იმაზე, როგორ ადგენს მსმენელი, თუ რა გაგებით, პირდაპირი თუ ირიბი, იყენებს განსახილველ წინადადებებს მთქმელი. ჯ. სერლი იძულებული ხდება აღიაროს: „კითხვა იმის შესახებ, როგორ ვხვდები მე, რომ ვინმემ გამოთქვა თხოვნა, მაშინ როდესაც მან მხოლოდ დამისვა კითხვა, ემსგავსება იმას, თუ როგორ ვხვდები მე, რომ ჩამიარა ავტომანქანამ, მაშინ როდესაც მე აღვიქვი მხოლოდ შუქის განათება“ (Дж.Серль, 1986:222).

პრობლემა, რომელსაც გვთავაზობს ჯ. სერლი, არ არის ლოგიკური ან ფსიქოლოგიური, იგი ეხება კომუნიკაციას და ამიტომ პირველ რიგში სემიოტიკურია. ის, რაც მთქმელისთვის არის განზრახვა (მტკიცება, კითხვა, თხოვნა, ბრძანება, გაფრთხილება, დაპირება...), მსმენელისთვის ინფორმაციაა. ირიბი ილოკუციური აქტების პრობლემა არა იმაშია, რომ კომუნიკაციის დროს მსმენელი ვერ ასხვავებს ილოკუციებს, პირიქით – იგი იმაშია, რომ მსმენელი,


შეუცდომლად ასხვავებს მათ მაშინაც კი, როდესაც ისინი „შენიღბულია“. ჯ. სერლის აზრით, ერთი ილოკუცია (პირდაპირი) „ნიღბავს“ მეორეს (ირიბს). ამერიკელი ლოგიკოსი არსად ახსენებს სემიოტიკას, რომლის თანახმადაც, ინფორმაციის გადაცემა და ამოკითხვა შეიძლება მხოლოდ ნიშანთა საშუალებით. თუ მსმენელი შეუცდომლად უგებს მთქმელის ირიბ ილოკუციებს, ამ უკანასკნელთ უნდა ჰქონდეთ გამომრჩევი ნიშნები. პრობლემა მდგომარეობს ამ ნიშანთა დადგენაში. მივმართოთ ჯ. სერლის მაგალითებს:

Can you pass me the solt? – შეგიძლიათ გადმომაწოდოთ მარილი?

Can you be a little more quiete? – შეგიძლიათ იყოთ ცოტა უფრო ჩუმად?

მსმენელს ესმის, რომ მას მიმართავენ თხოვნით, მაგრამ ამის გამომხატველი ენობრივი ნიშანი (წინადადება) კითხვითია. ის ფაქტი, რომ კითხვითი წინადადების შინაარსი გაიგება როგორც თხოვნა, მოწმობს იმას, რომ არსებობს კომუნიკაციის საშუალება, რომელიც მიანიშნებს ამაზე ანუ არსებობს თხოვნის ნიშანი (მარკერი). როგორ ვხედებით იმას, რომ თხოვნასთან გვაქვს საქმე, როდესაც ერთი სუფრის წევრი მიმართავს მეორეს ფრაზით „შეგიძლიათ მომაწოდოთ მარილი?“, ხოლო, თუ ამავე ფრაზით ექიმი მიმართავს კაბინეტში პაციენტს, ესაა შეკითხვა, რომელიც ეხება ავადმყოფის უნარს იხმაროს დაშავებული ხელი? — ცხადია, არა ენობრივი ნიშნის მეშვეობით („შეგიძლიათ მომაწოდოთ მარილი?“), რომელიც გამოყენების ორივე შემთხვევაში იდენტურია, არამედ საკომუნიკაციო სიტუაციის საშუალებით. კომუნიკაცია პირველ რიგში სემიოტიკური პროცესია, არ არის შემთხვევითი, რომ მისი არსის ამოკითხვასთან ყველაზე ახლოს მივიდა სემიოტიკის ერთ-ერთი შემქმნელი ჩ. პირ-

სი, რომელმაც კომუნიკაციის აუცილებელ პირობად დაასახელა ინდექსების გამოყენება: „სიტყვათა არც ერთ კომბინაციას (საკუთარი სახელების გამოკლებით) არ შეუძლია მეტყველების ინდექსური ელემენტების გარეშე გადმოსცეს რაიმე ინფორმაცია“ (Ч.Пирс, 2009:91). კომუნიკაციის დროს ილოკუციებიც გადაიცემა ინდექსთა მეშვეობით.



ჩვენ უეჭველად გაგვიკვირდება, თუკი თხოვნაზე სუფრასთან „შეგიძლიათ მომაწოდოთ მარილი?“ სუფრის წევრი, რომელსაც მივმართეთ, გვიპასუხებს: „დღეს შედარებით უკეთესად შემიძლია, გუშინ უფრო გამიჭირდა.“ცოტა არ იყოს, გაუკვირდება იმ ექიმსაც, რომლის შეთავაზებაზე „შეგიძლიათ მომაწოდოთ მარილი?“ საგონებელში ჩაეარდნილი პაციენტი უპასუხებს: „რაზე გინდათ მოაყაროთ?“ მოყვანილი პასუხების ალბათობას უმცირესად აქცევს ილოკუციათა აღქმადი (ინდექსური) ნიშანი — საკომუნიკაციო სიტუაცია, რომელიც განსხვავებულია სუფრასთან თანამესუფრეებსა და კაბინეტში ექიმსა და პაციენტს შორის. განხილული გვარწმუნებს იმაში, რომ ჯ. სერლის მიერ გაანალიზებულ წინადადებებს მთქმელი არ იყენებს ერთდროულად ორი ილოკუციით. ამ

ხერხით მიიღება მინიშნება. ჯ. სერლის მაგალითები არ წარმოადგენენ მინიშნებას. შევადაროთ:

I	II
1. შეგიძლიათ მომაწოდოთ მარილი?	1. ამიერიდან რომ მივალ სადმე სუფრაზე, მარილი უნდა წამოვიღო ჯიბით.
2. შეგიძლიათ იყოთ ცოტა ჩუმად?	2. ზრდილობიანი ბავშვები არ ყვირიან უფროსების თანდასწრებით.
3. თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ.	3. ახლა მე გადაუდებელი სამუშაო მაქვს.
4. მე მსურს, რომ თქვენ არ გააკეთოთ ეს.	4. ჩვენ საერთო მეგობრებს არ გაუხარდებათ, თქვენ რომ მიიღოთ მონაწილეობა ამ საქმეში.
5. ერთად ხომ არ გვესადილა?	5. აქ, ახლოს, აკეთებენ კარგ ხინკალს, ღვინოც ნატურალურია.

[illegible] სწორედ მინიშნების დროს ერთი ილოკუცია „ნიღბავს“მეორეს, ამიტომ მთქმელის რელევანტური ილოკუციის ამოსაკითხად მსმენელმა უნდა გამოიტანოს ნათქვამიდან დასკვნა (მარჯვენა სვეტის მაგალითები), რასაც ვერ ვიტყვით ჯ. სერლის მაგალითებზე (მარცხენა სვეტი), ამ უკანასკნელ შემთხვევაში ილოკუცია ერთია, მაგრამ გამოიხატება იგი სხვა ილოკუციისთვის განკუთვნილი ფორმით. საინტერესოა, რომ ილოკუციურ მიზანთა თავის კლასიფიკაციას გვთავაზობს ყველაზე ობიექტური კლასიფიკატორი – ენა. მრავალ ენაში ცნობილი თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ნატვრითი, ჯერარსობითი წინადა-

დებები გულისხმობენ ადამიანთა მეტყველებაში ილოკუციათა ყველაზე გავრცელებულ ტიპებს:

წინადადებები	ილოკუციები
1. თხრობითი –	1. შეტყობინება (რეპრეზენტატივი)
2. კითხვითი –	2. შეკითხვა (დირექტივი)
3. ბრძანებითი –	3. ბრძანება (დირექტივი)
4. ნატვრითი –	4. სურვილი
5. ჯერარსობითი –	5. მოვალეობა (დეონტური ჯუცილებლობა).

ენათა მიხედვით არ არის სადმე ფიქსირებული გრამატიკულად გაფორმებული თხოვნის, სვეწნის, ვედრების, გაფრთხილების, რჩევის, შეთავაზების, დაპირების, დამუქრების, ფიცის დადების, მადლობის გადახდის, მისალმების, დაჯილდოების, მოტყუების, წინასწარმეტყველების და ა. შ. წინადადებები, შესაბამისი ილოკუციური მიზნები გამოიხატება ლექსიკურად, აგრეთვე ჟესტ-მიმიკით. როგორც ვხედავთ, ილოკუციათა უმრავლესობას არ აქვს გამოხატვის თავისი გრამატიკული ფორმა. ენა რომ ყოფილიყო ლოგიკური სისტემა, ყოველ ილოკუციას ექნებოდა გამოხატვის მხოლოდ ერთი ფორმა. ამგვარი სისტემის გამოყენება (ცუდი თუ კარგი) ვერ ცვლის თავადმას.

ლოგიკური სისტემა იდეალურია აზროვნებისთვის, მაგრამ შეზღუდულია კომუნიკაციისთვის. ასიმეტრიული მიმართება აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ხდის ბუნებრივ ენას ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე სრულყოფილ სემიოტიკურ საშუალებად. თუ კომუნიკაციის დროს თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ნატვრითი,ჯერარსობითი წინადადებები გამოყენებულია მიზნობრივად, ე. ი. შესაბამისი ილოკუციური მიზნების გამოსახატავად: თხრობითი წინადადება შესატყობინებლად, ბრძანებითი ბრძანების გასაცემად, კითხვითი კითხვის დასასმელად

და ა. შ, საქმე გვაქვს პირდაპირ სამეტყველო აქტთან. ამგვარი აქტებისაგან მეტყველება იქნებოდა შემდგარი იმ შემთხვევაში, ენა რომ ყოფილიყო მხოლოდ ლოგიკური პრინციპებით მომუშავე სისტემა. ილოკუციათა გამოხატვის მაგალითები გვიჩვენებს, რომ წინადადებათა მიზნობრივ გამოყენებასთან ერთად ადგილი აქვს მათ არამიზნობრივ გამოყენებასაც, როცა წინადადება გამოხატავს არა იმ ილოკუციურ მიზანს, რომელიც გრამატიკულად ასახულია მის სტრუქტურაში. ირიბი სამეტყველო აქტი, ამ მხრივ, ემსგავსება პოლისემიასა და ომონიმიას, რომლებიც თავისებურია (იდიომატური) თითოეული ენისთვის. შევადაროთ ერთმანეთს დირექტივის გამომხატველი წინადადებები ქართულ და რუსულ ენებში. ილოკუციათა უკეთ წარმოსაჩენად ყველა წინადადებაში შეუცვლელი დავტოვოთ პროპოზიცია:

სამეტყველო აქტის ტიპი ილოკუცია დირექტივი

1. მიიტანე წიგნი ბიბლიოთეკაში! კატეგორიული ბრძანება.
2. წიგნი უნდა მიიტანო ბიბლიოთეკაში! ბრძანება ეფუძნება მოვალეობას.
3. მე მსურს, რომ შენ წიგნი მიიტანო ბიბლიოთეკაში! ბრძანება ეფუძნება პირად სურვილს.
4. წიგნი არ უნდა მიიტანო ბიბლიოთეკაში? მოთხოვნა მოვალეობის შეხსენებით.
5. შენ გევალება წიგნი მიიტანო ბიბლიოთეკაში! კატეგორიული მითითება მოვალეობაზე.
6. კარგი იქნებოდა, წიგნი რომ მიგეტანა ბიბლიოთეკაში. რჩევა სურვილით.
7. რატომ არ გინდა მიიტანო წიგნი ბიბლიოთეკაში? მოვალეობის შეხსენება ყვედრებით.

8. წიგნი გაქვს მისატანი ბიბლიოთეკაში! მოთხოვნა მოვალეობის შეხსენებით.
9. წიგნს რომ უნდა მიტანა ბიბლიოთეკაში, თუ გახსოვს? მითითება მოვალე ობის შეხსენებით
10. შეგიძლია წიგნი მიიტანო ბიბლიოთეკაში. ბრძანება ნებართვით.
11. შეგიძლია წიგნი მიიტანო ბიბლიოთეკაში? თხოვნა.
12. არ იქნები წინააღმდეგი, წიგნი რომ მიიტანო ბიბლიოთეკაში? ხვეწნა.
13. უკეთესი იქნებოდა, წიგნი რომ მიგეტანა ბიბლიოთეკაში. თხოვნა ჩაგონებით .
14. წიგნს არ მიიტან ბიბლიოთეკაში? გაუბედავი თხოვნა.
15. წიგნს როდის მიიტან ბიბლიოთეკაში? შეხსენება მითითებით.
16. ბიბლიოთეკაში ითხოვენ წიგნს. მითითება მოვალეობის შეხსე ნებით.
17. წიგნი ხომ არ მიგეტანა ბიბლიოთეკაში! შეთავაზება.
18. არ გინდა წიგნი მიიტანო ბიბლიოთეკაში? შეთავაზება წაქეზებით.

რუსულში

1. Отнеси книгу в библиотеку. კატეგორიული ბრძანება.
2. Отнеси-ка книгу в библиотеку. ბრძანება ფამილარობით.
3. Я хочу, чтобы ты отнёс книгу в библиотеку. ბრძანება გამოკვეთილი პირადი სურვილით.

4. Мне бы хотелось чтобы ты отнёс книгу в библиотеку. ბრძანება სუსტი პირადი სურვილით.
5. Можешь отнести книгу в библиотеку. ბრძანება ნებართვით.
6. Отнесёшь книгу в библиотеку? ბრძანება მითითებით.
7. Тебе придётся отнести книгу в библиотеку. ბრძანება მოვალეობის შეხსენებით.
8. Тебе следует отнести книгу в библиотеку. მითითება მოვალეობაზე.
9. Книгу бы отнёс в библиотеку. შეთავაზება მოვალეობის შეხსენებით.
10. Ты лучше бы книгу отнёс в библиотеку. შეთავაზება მითითებით.
11. Мог бы и книгу отнести в библиотеку. შეთავაზება ყვედრებით.
12. Может лучше бы книгу отнёс в библиотеку. შეთავაზება ჩაგონებით.
13. Как насчёт того, чтобы отнести книгу в библиотеку? შეთავაზება ფამილარობით.
14. Будь добр, отнеси книгу в библиотеку. თხოვნა მოფერებით.
15. Я попросил бы отнести книгу в библиотеку. უმნიშვნელო თხოვნა.
16. Мог бы ты отнести книгу в библиотеку? თხოვნა დავალებით.
17. Отнесёшь книгу в библиотеку? თხოვნა.
18. Отнеси, пожалуйста, книгу в библиотеку. თავაზიანი თხოვნა.

19. Чтоб ты мне книгу отнёс в библиотеку . კატეგორიული მოთხოვნა.

20. Нет бы книгу отнёс в библиотеку. ბრძანება ყველრებით.

ბუნებრივ ენაში ილოკუციები გამოიხატება კატეგორიულობის სხვადასხვა ხარისხით და განსხვავებული ელფერით, რაც მიიღწევა გამომხატველთა (წინადადებათა) არამიზნობრივი გამოყენებით:

I. თხრობითი წინადადებები გამოხატავენ:

1. შეტყობინებას: წვიმა შეწყდა; მზემ ამოანათა.

2. გაფრთხილებას: სტუდენტები გელოდებიან; ყველა უკვე შეიკრიბა; ზარი იყო; დღეს შემოწმება იქნება; მატარებელი გადის; რეისი გადაიდო; ეზოში ავი ძაღლია; ფრთხილად, კარები იკეტება; 5 წუთი რჩება.

3. მითითებას, ყურადღების მიქცევას: ტელეფონი რეკავს; ჩაიდანი დუღს; კოკა გაივსო; კარები ღიაა; ბენზინი გაგვითავდა; ცეცხლი ქრება.

4. ბრძანებას: მე გიბრძანებ წასვლას! თქვენი ჯგუფი დარჩება აქ ახალი ბრძანების მიღებამდე! ყველა ცეკვავს! ვსვამთ ბოლომდე! ყველა რჩება თავის ადგილზე, საბუთების შემოწმებაა!

მარილი არ არის სუფრაზე! = მოიტანეთ მარილი!

მტვერია მაგიდაზე! = გადაწმინდეთ მაგიდა!

პური გაგვითავდა! = მოიტანეთ პური!

გარეშე პირებია სტუდიაში!= გაიყვანეთ გარეშე პირები სტუდიიდან!

უფროსი გიბარებთ! = მიბრძანდით უფროსთან!

5. სურვილს: მსურს ვიყო ბედნიერი; სახლი მენატრება.

თხრობითი წინადადების პოლიფუნქციურობა განპირობებულია იმით, რომ ყველა ილოკუციურმა მიზანმა,რა ენობრივი ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გადმოცემული, შეიძლება მიიღოს თავისი დასაბამიერი – ზმნის პირველი პირის აწმყო დროის ფორმა: „მე გატყობინებთ," „ მე გიბრძანებთ", „მე გთხოვთ," „მე გაფრთხილებთ," „მე მევალება," „მე გთავაზობ," „მე მსურს" და ა. შ. , მაგრამ თხრობითი ფორმით გამოხატული კითხვა („მე გეკითხები") მაინც საჭიროებს კითხვითი წინადადების ჩამოყალიბებას. აქ უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება: 1) ლექსიკურად გამოსახული ილოკუციათაგან ნაწილი რეალიზდება მარტივ წინადადებაში, სხვა – რთულში, ზოგი – ერთშიც და მეორეშიც.

ილოკუციები	მარტივი წინადადება	რთული წინადადება
ბრძანება	მე გიბრძანებ დარჩენას.	————
შეთავაზება	მე გთავაზობ დახმარებას.	----------
რჩევა	მე გირჩევ შერიგებას	მე გირჩევ, შერიგდით.
თხოვნა	მე გთხოვთ სიჩუმეს!	მე გთხოვთ, იყოს სიჩუმე.
დაპირება	მე გპირდებით გამარჯვებას.	მე გპირდებით, რომ გავიმარჯვებ.
გაფრთხილება	———	მე გაფრთხილებ, არ მიხვიდე იქ.
კითხვა	----------	მე გეკითხები, ვინ ჰქნა ეს?

2) ლექსიკურად გამოხატული ილოკუციების რთულ წინადადებაში რეალიზაციის დროს შეინიშნება გარკვეული სინტაგმატური მიმართებები რთული წინადადების ნა-

წილებს შორის: რჩევისა და თხოვნის ილოკუციები ვერ იწყობენ დაქვემდებარებულ ნაწილში ზმნის თხრობითი კილოს ფორმებს; დაპირება ეწყობა ზმნის მხოლოდ მომავალ ფორმებს; კითხვის ილოკუცია დაუშვებს მხოლოდ კითხვით დაქვემდებარებულ წინადადებას, რადგან ამ უკანასკნელის მარკერებია: კითხვის სპეციფიკური ინტონაცია (ტონი მაღლდება იმ სიტყვაზე, რომელთანაც დაკავშირბულია კითხვა) და კითხვითი ნაწილაკები (განა, ხომ, ნუთუ), კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ? რა? რომელი?) ან კითხვითი ზმნიზედები (სად? როდის? რატომ?). ლინგვისტიკაში დამკვიდრებული აზრის თანახმად გამონათქვამი, რომელიც მოკლებულია აღნიშნულ კითხვით „ატრიბუტიკას," ვერ გადმოსცემს კითხვას. მაგრამ რჩება ილოკუციის გამოხატვის კიდევ ერთი ინდექსალური საშუალება – საკომუნიკაციო სიტუაცია. განვიხილოთ მაგალითები:

„იესომ შეხედა მას და თქვა: . . . აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი ღვთის სასუფეველში შევა."

მსმენელებმა თქვეს: „ ვინღას შეუძლია გადარჩენა?"

მან თქვა: „კაცთათვის შეუძლებელი ღვთისთვის შესაძლებელია".

პეტრემ უთხრა მას: „აჰა, ჩვენ ყოველივე მივატოვეთ და გამოგყვეით შენ."

იესომ კი უთხრა მათ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: „არავინ არის, რომ ღვთის სასუფევლის გულისთვის დატოვოს სახლი, ან ცოლი, ან მშობლები, ან ძმები, ან შვილები და ახლავე არ მიიღოს მრავალგზის მეტი, ხოლო მომავალში-საუკუნო სიცოცხლე"(ახალი აღთქმა ... 1991:157).

უფლის სიტყვები: „არავინ არის, რომ ღვთის სასუფევლის გულისათვის დატოვოს სახლი ან ცოლი, ან

მშობლები, ან ძმები, ან შვილები და ახლავე არ მიიღოს მრავალგზის მეტი, ხოლო მომავალში – საუკუნო სიცოცხლე“ წარმოადგენენ პასუხს იმაზე, რომ ყველა ,ვინც მიატოვა ყოველივე და გამოჰყვა მას, მიიღებს მეტს წუთისოფელშიც და მარადისობაშიც. სად არის ამ პასუხის კითხვა?— იგი დასმულია პეტრეს მიერ თხრობითი წინადადების მეშვეობით „აჰა, ჩვენ ყოველივე მივატოვეთ და გამოგყვეით შენ“.

თხრობით დასმული კითხვა არ უტოვებს მსმენელს პასუხისა და არპასუხის ალტერნატივას, შევადაროთ მაგალითები სამძებრო პრაქტიკიდან:

1. ჩვენ ვეძებთ კაცს, სახელად X. კითხვა
– მეორე სადარბაზო, ბინა 20. პასუხი

2. თქვენთან მუშაობს კაცი ინგლისიდან. კითხვა
– მეხუთე კაბინეტი. პასუხი

3. აქ გაირბინა მაღალმა კაცმა. კითხვა
– პირდაპირ. პასუხი

4. პაციენტი: ხშუილი მაქვს ყურებში. კითხვა
ექიმი: – იცის ასე, წამლის ბრალია. პასუხი

5. A : ქუჩები სავსეა ხალხით. კითხვა
B : – საღამოს კარნავალია. პასუხი

6. მძღოლი: ავტომანქანა ხანდახან მიქრება. კითხვა
მოხელე: – კარბურატორია გასაწმენდი. პასუხი

7. გამომცდელი: ეს ისეთი საინტერესო საკითხია და თქვენ იგი არ იცით. კითხვა
გამოსაცდელი: – ვერ მოვასწარი წაკითხვა. პასუხი

8. მყიდველი: ეკრანი არ ინთება. კითხვა
გამყიდველი: – ცოტა აცალეთ, დრო უნდა. პასუხი

კითხვას შეიცავს გაკვირვება, ამ დროს მოქმელი უსვამს კითხვას თავის თავს არაიშვიათად თხრობითი წინადადების მეშვეობით:

1. არაფერი მესმის, ფული მე შევინახე სეიფში. = სად არის სეიფში შენახული ფული?

2. კი მაგრამ, მათ ასე უყვარდათ ერთმანეთი. = რატომ დაშორდნენ ისინი?

3. მან იმდენი გაუკეთა მას. = რატომ მოექცა ცუდად?

4. შენ სულ აქებდი მას. = როგორ გიღალატა?

II კითხვითი წინადადებები გამოხატავენ:

1. კითხვას: წვიმა შეწყდა? რომელი საათია?

2. შეტყობინებას მტკიცებით რიტორიკულ კითხვაში:

ვის აწყობს ეს? = ეს არავის აწყობს.

სხვა რა უნდა იყოს? = სხვა რამე არ უნდა იყოს.

ვიცი, რა უნდა? = არ ვიცი, რა უნდა.

რა ვიცი მე? = არ ვიცი მე.

ვინ დაუჯერა? = არავინ დაუჯერა.

გეკადრება? = არ გეკადრება.

შენ ვინ გეკითხება? = შენ არავინ გეკითხება.

Не слишком ли много на себе берешь? = Слишком много на себя берешь.

Стоит ли тебе об этом думать? = Тебе не стоит об этом думать.

3. იმპერატიულ ილოკუციებს (ბრძანებას, თხოვნას, შეთავაზებას, რჩევას...). კითხვა თავად წარმოადგენს იმპერატივის ერთ-ერთ სახეს, იმპერატივი მოითხოვს მსმენელისაგან რაღაცის, მათ შორის სამეტყველო მოქმედების, შესრულებას, კითხვა კი იფარგლება სამეტყველო მოქმედებით. ყოველი კითხვა თავისი სიღრმული სტრუქტურით იმპერატივია:

ზედაპირული სტრუქტურა? ⇦ სიღრმული სტრუქტურა.
სად იყავი გუშინ? ⇦ მიპასუხე, სად იყავი გუშინ.
ვანო როდის ნახე? ⇦ მიპასუხე, ვანო როდის ნახე.
გამოცდა ჩააბარე? ⇦ მიპასუხე, გამოცდა თუ ჩააბარე.

როგორ შეიძლება კითხვა, რომელიც მოითხოვს მსმენელისაგან მხოლოდ პასუხის გაცემას, გამოიყენებოდეს იმპერატივის სხვა ინტენციებით? როგორც აღვნიშნეთ, კითხვა მოითხოვს ინფორმაციას რაღაცის შესახებ, მათ შორის მსმენელის მიერ გარკვეული მოქმედების შესრულების შეძლების შესახებაც, რომელსაც შესაფერისი საკომუნიკაციო სიტუაცია აქცევს იმპერატივად. თუ სუფრაზე ყოფნის დროს ჩვენ მივმართავთ ვინმეს ფრაზით „შეგიძლიათ ზღვაში ცურვა?“, მსმენელს ისღა დარჩება შეასრულოს სამეტყველო მოქმედება: დადებითი ან უარყოფითი პასუხით დაადასტუროს ის, რომ ჩვენი ილოკუციური აქტი იყო კითხვა. თუ ამავე მსმენელს მივმართავთ ფრაზით „შეგიძლიათ მომაწოდოთ მარილი?“ იმ პირობით, რომ სამარილე დევს მასთან და არა ჩვენთან, საკომუნიკაციო სიტუაცია აიძულებს მას ჩვენ მიერ დასმული კითხვის შედეგად შეასრულოს გარკვეული არასამეტყველო მოქმედება. ამიტომ გამოხატავს მოდალიზებული კითხვა მრავალ ენაში თხოვნას. ამგვარი თხოვნის მოდალური ნაწილი ზედაპირულ სტრუქტურაში შეიძლება იყოს გამოტოვებული:

ზედაპირული ფორმა სიღრმული ფორმა

დამეხმარებით? ⇦ შეგიძლიათ დამესმაროთ?

შეგვიშვებთ? ⇦ შეგიძლიათ შეგვიშვათ?

წამომაწევინებ? ⇦ შეგიძლია წამომაწევინო?

მაჩვენებთ? ⇦ შეგიძლიათ მაჩვენოთ?

გააკეთებ? ⇦ შეგიძლია გააკეთო?

მოყვანილი წინადადებები ფორმით არიან კითხვითი, მაგრამ ილოკუციით ისინი წარმოადგენენ ორიდან ერთს: ან კითხვას, ან თხოვნას, ყველაფერს წყვეტს სიტუაცია. კითხვად მათ იყენებენ მაშინ, როდესაც აინტერესებთ, შეუძლია თუ არა მსმენელს საჭირო მოქმედების შესრულება. ცნობისმოყვარეობა გამორიცხავს თხოვნას. მოდალიზებულ კითხვებს თხოვნად არ იყენებენ მაშინ, თუ არიან დარწმუნებული, რომ მსმენელს არ შეუძლია თხოვნის შესრულება. თხოვნა „შეგიძლიათ მომაწოდოთ მარილი?“ იქნება უადგილო, თუ მარილი სადმე არ ჩანს, ან არის შორს მსმენელისაგან. მაგრამ ეს თხოვნა შეძლების მოკითხვის ფორმით უადგილოა მაშინაც, როდესაც სამარილე დევს მსმენელთან, თუ ჩვენ არ ვუტარებთ ამ უკანასკნელს ტესტირებას სიმთვრალეზე. ჩვეულებრივ ვითარებაში სამარილეს მიწოდება არ წარმოადგენს ისეთ მოქმედებას, რომელიც საჭიროებდეს მისი შესრულების უნარის მოკითხვას. „შეგიძლია მომაწოდო მარილი?“ ცოტა არ იყოს, შეურაცმყოფელიცაა. მაგრამ მოდალიზებული კითხვებისაგან დღემდე არ უგრძვნია ვინმეს უხერხულობა, რაც ცხადყოფს იმას, რომ მოდალიზებული კითხვა თხოვნის ილოკუციით სრულფასოვანი თხოვნაა, რომელიც არ ეხება მსმენელის სამოქმედოდ შეძლების მზადყოფნას. თხოვნა დეონტური კატეგორიაა, ამიტომ შეძლების ოპერატორს მოდალიზებული კითხვის თხოვნად გამოყენების შემთხვევაში აქვს არა ალეთეური, არამედ დე-

ონტური მნიშვნელობა ანუ იგი გამოხატავს ნებართვას და არა შეძლებას:

შეგიძლიათ მომაწოდოთ მარილი? = შეიძლება, მომაწოდოთ მარილი?

შეგიძლიათ დამეხმაროთ? = შეიძლება, დამეხმაროთ?

შეგიძლიათ შეგვიშვათ? = შეიძლება, შეგვიშვათ?

შეგიძლია წამომაწვინო? = შეიძლება, წამომაწვინო?

შეგიძლიათ მაჩვენოთ? = შეიძლება, მაჩვენოთ?

შეგიძლია გააკეთო? = შეიძლება, გააკეთო?

კითხვასა და თხოვნას არსებითად განასხვავებს არა ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს ერთი და იგივე, არამედ სამეტყველო მოქმედების მოტივი, იგივე ილოკუცია. მოდალური კითხვის დროს მთქმელს ამოძრავებს ცნობისმოყვარეობა („მაინტერესებს, შეგიძლია თუ არა გააკეთო ეს“). თხოვნა პრაგმატულია † „შეგიძლია თუ არა გააკეთო ეს ჩემთვის| ჩემს გამო?“, რაც სინამდვილეში ნიშნავს ნებართვას: „შეიძლება თუ არა გამიკეთო ეს?“ ამიტომ გამოიყენება თხოვნა მაშინაც, როდესაც მთქმელმა არ იცის, შეუძლია თუ არა მსმენელს სათხოვრის შესრულება, და მაშინაც, როდესაც მთხოვნელმა იცის, რომ მსმენელს ნამდვილად შეუძლია თხოვნის შესრულება. ორიგე შემთხვევაში დეონტური თხოვნა საჭიროებს ნებართვის აღებას. მოდალიზებული კითხვის შემთხვევაში კითხვა და თხოვნა განსხვავდებიან სიღრმული სტრუქტურებით:

კ ი თ ხ ვ ა:

შეგიძლია მთელი დღე მაინტერესებს, შეგიძლია გვიანობამდე ამიტომ { შეგიძლია ეს / შეგიძლია მანქანა } მითხარი { არ ჭამო? / იმუშაო? / დაიმახსოვრო? / გადმოსცალო? }

თხოვნა:

შეგიძლია მთელი დღე არ ჭაშო?
შეგიძლია გვიანობამდე იმუშაო?
შეგიძლია ეს დაიმახსოვრო?
შეგიძლია მანქანა გადმოსცალო?

} ჩემთვის ჩემს გამო

მოდალიზებული კითხვით გამოხატული თხოვნა ეხება ნებართვას და არა მსმენელის შეძლებას, ამიტომ ზედმეტი იქნება ამ შემთხვევაში ვილაპარაკოთ ალტერნატიულ თხოვნაზე (თუ შეგიძლია, გამიკეთე, თუ არა და, არ გამიკეთო). ალტერნატიულია აქ გამონათქვამი, რომელიც სიტუაციათა მიხედვით შეიძლება გამოხატავდეს ან თხოვნას. ან კითხვას.

კითხვის პირველადი მიზანია საჭირო ინფორმაციის მოპოვება. ამიტომ, როგორც წესი, იგი დაესმის უცნობსა და გაუგებარს. კითხვას, რომლის პასუხი კარგად არის ცნობილი ყველასათვის შემკითხველის ჩათვლით, არ შეიძლება ჰქონდეს კითხვის ფუნქცია:

ვალს დაბრუნება არ უნდა? = ვალი დამიბრუნე!
ფულს გადახდა არ უნდა? = ფული გადამიხადე!
ხურდა არ უნდა მაგას? = ხურდა მომეცი!
მისალმება არ უნდა, რომ შემოდიხარ? = მოგვესალმე!
კარს დახურვა არ უნდა?= კარი დახურე!
ლექციებზე მოსვლა არ უნდა? = ლექციებზე იარე!

„რუბენა წელგათრეულივით წავიდა და ნაკლული „საერო“ გამოიტანა – ჭიქა არ უნდა?-ვკითხე მე.
– ბოთლიდან დალიე, მერე ჭიქის რეცხვის თავი არა მაქვს! – თქვა რუბენამ“

(ნ.დუმბაძე, 2005:95).

მებუფეტე რუბენას პასუხი („ბოთლიდან დალიე, მერე ჭიქის რეცხვის თავი არა მაქვს!“) გვარწმუნებს იმაში, რომ კითხვითი წინადადება „ჭიქა არ უნდა?“ იმპერატივია (ჭიქა მოიტანე!).

იმპერატიულია გამწყვეტი კითხვა, რომელიც ხაზს უსვამს მსმენელის შეუფერებელ მოქმედებას მთქმელის მიმართ:

ვის ასწავლი შენ?= შეწყვიტე ჭკუის სწავლება!
ვის ემუქრები შენ? = შეწყვიტე დამუქრება!
ვის დასცინი შენ? = შეწყვიტე დაცინვა!
ვის ატყუებ შენ? = შეწყვიტე მოტყუება!
ვის აშაყირებ შენ? = შეწყვიტე შაყირი!

იმპერატიულია მოქმედების ამკრძალავი კითხვა:

რა კინო,რომელი კინო ახლა?
რა დროს თამაშია ამ სიცხეში?
რომელი წასვლა, სად წასვლა ამ წვიმაში?
რა სიმღერა მოგინდათ, ყველას რომ სძინავს?
რას მომდევ? = ნუ მომდევ!
რას ხმაურობ? = ნუ ხმაურობ!
რას მიედ– მოედები? = ნუ მიედ– მოედები!
რას ლაყბობ, თუ იცი? = ნუ ლაყბობ!
რას დგახარ? = ნუ დგახარ!

ბრძანების, თხოვნის, შეთავაზების, რჩევის, გაფრთხილების და კითხვის ილოკუციები მიეკუთვნება ერთი ტიპის-დირექტივის სამეტყველო აქტს, რომლის რეალიზაციის დროს მთქმელის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას წარმოადგენს სურვილი. აღნიშნული ფსიქოლოგიური მდგომარეობით განპირობებულია სხვადასხვა ენობრივი ფორმით გამოხატული იმპერეტივის ყველა ილოკუცია, შეადარეთ: მე გიბრძანებთ ცეცხლის შეწყვეტას! მე

გთხოვთ დახმარებას! მე გირჩევთ ბრძოლის გაგრძელებას! მე გთავაზობთ კარგ პირობებს.

გაუბედავი თხოვნა:

წიგნს მიიტან? = მიიტანე წიგნი!
პურს იყიდი? = იყიდე, რა , პური!
იჯდები აქ? = იჯექი, რა, აქ!
იქნები მანქანაში? = იყავი, რა მანქანაში!
არ მოხვალ? = მოდი რა!
არ გშია? = ვჭამოთ, რა!

მოთხოვნა (მოთხოვნის ობიექტის დასახელებით):

გასაღები! თქვენი საბუთი! საშვი! ფული, ოქრო, ბრილიანტები! იარაღი! ჭურვები! ვაზნები! ცეცხლი! შამპანური! პრიზი სტუდიაში!

გაფრთხილება (გაფრთხილების ობიექტის დასახელებით):

პოლიცია! მანქანა! ტანკები! ვერტმფრენი! დანა! კაცია უკან! ძაღლი! ორმო! მოსახვევი! მეორე ფანჯარა!

შეთავაზება:

რით შემიძლია დაგეხმაროთ? **Чем могу помочь?**
რით შემიძლია გემსახუროთ? **Чем могу служить?**
რით დაგეხმაროთ? **Чем помочь?**
მზად ვარ დაგეხმაროთ. **Я готов помочь.**
შემიძლია დაგეხმაროთ. **Могу помочь.**
ხომ არ გინდათ დაგეხმაროთ? **Помощи не хотите?**
ხომ არ დაგეხმაროთ? **Не помочь?**
მინდა დაგეხმაროთ. **Я хочу помочь.**
ხომ არ შემიძლია დაგეხმაროთ? **Я не могу помочь?**
რით შემიძლია დაგეხმაროთ? **В чём могу помочь?**

დახმარება ხომ არ გჭირდებათ? **Помощь не нужна?**

ძალიან მოხარული ვიქნები, თუ დაგეხმარებით. **Буду очень рад, если смогу помочь.**

იმპერატივის მოყვანილ მაგალითებში მთქმელს სურს შეასრულებინოს მსმენელს რაიმე. მაგრამ მთქმელის მიერ გამოთქმული სურვილი შეიძლება არ ისახავდეს მიზნად მსმენელის დასაქმებას:

„ო, როგორ მინდა, მეგობრებო, რომ თქვენთან ერთად

მივიღო ჩვენთა წინაპართა ელვარე თასი...“

(გალაკტიონი, 151).

„მსურს, რომ ერთხელ კიდევ ენახო გაზაფხულის მთები მწვანე“(გალაკტიონი, 42).

ზოგიერთ ენაში, მაგალითად, თურქულში სურვილის მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს ილოკუციის დაუსახელებლად ზმნის საგანგებო ნატერითი კილოს ფორმით:

Size bir soru sorayIm. – მინდა ერთი კითხვა დაგისვათ.

Bu isi seninle birlikte yapayim. – ეს საქმე შენთან ერთად მინდა გავაკეთო.

Dun ona geleydiniz . – ნეტა გუშინ მისულიყავით მასთან.

Þaha once bunu bileydim. – ნეტა უფრო ადრე მცოდნოდა ეს.

Evinize vaktinde gelesiniz. – ნეტა დროზე მოხვიდოდეთ შინ.

Aliye bu parayi veresin – ნეტა ალის მისცემდე ამ ფულს

ქართულ ენაში, როგორც ვხედავთ, სურვილის ილოკუცია გადმოიცემა შესაბამისი ზმნით (მსურს, მინდა, მენატრება) ან ნატვრითი ნაწილაკებით: ნეტავი, ნეტა, ნეტამც, მც(-მცა).

„ნეტავ მალე აღმობრწყინდეს მნათი

მალე სხივი მოგეფინოს ნეტავ“ (გალაკტიონი,12).

შევადაროთ ანალოგიური ფორმები რუსულში:

Я хочу есть. – Не мешало бы поесть.

Я желаю побольше времени. – Времени бы побольше.

Я хочу горячего чаю. — Хорошо бы горячего чаю.

Я хочу, чтобы ты занимался. — Неплохо было бы тебе заниматься.

Я мечтаю скорее домой. — Скорей бы домой.

Я хочу, чтобы ты ему помог. — Помог бы ты ему.

ნატვრითი წინადადება გამოხატავს მთქმელის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას— სურვილს, რომელიც მსმენელთან მიმართებაში ადვილად შეიძლება იქცეს იმპერატიულ ილოკუციად: თხოვნად, რჩევად, მითითებად, ბრძანებადაც. საბოლოოდ ამას განსაზღვრავს საკომუნიკაციო სიტუაცია. ზამთრის ტყეში თხილამურებით გასეირნების დროს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის მიერ წარმოთქმული ფრაზა: „ახლა **ერთი ჩაი ლიმონით!**“ იქნება ნატვრა, რომელსაც, ალბათ, დაეთანხმება ყველა, რადგან ნატვრა ხშირად, რაც უფრო განუხორციელებელია, მით უფრო არის მიმზიდველი. თუ ტყეში თხილამურებით გასეირნების შემდეგ იგივე ახალგაზრდა შინ მეულლის თანდასწრებით გააგრძელებს თავის ოცნებას ჩაისზე, ფრაზას „ახლა **ერთი ჩაი ლიმონით!**“ ყურადღებიანი მეორე ნახევარი აღიქვამს თხოვნად და მიართმევს მთხოვნელს ჩაის, შეიძლება ლიმონითაც. ახლა წარმოვიდგინოთ ჩვენი მთავარი გმირი ოფისში საქმიანი შეხვედრის დროს კომპანიონთან, მდივნის დანახვაზე იგი წარმოთქვამს ნაცნობ ფრაზას **„ახლა ერთი ჩაი ლიმონით!“** დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სიტყვებს დაუყოვნებლივ მოჰყვება ჩინელების საოცარი გამოგონება თანაც ლიმონით, რადგან უფროსების ნატვრა ხელქვეითებისთვის ყოველთვის ბრძანება არის. თუ ნატვრა ემსგავსება იმპერატივს იმით, რომ ეს უკანასკნელიც რეალიზაციისათვის საჭიროებს მთქმელის სურვილს, ჯერარსობა აუცილებლობის გაგებით წარმოდგენილია ბრძანებაში, რომელიც სრულდება შემდეგი პრესუპოზიციის დაცვით: „მთქმელს მოეპო-

ება ბრძანების უფლება," წინააღმდეგ შემთხვევაში მსმენელი არ დაემორჩილება მას (ბრძანებასა და, მაშასადამე, მოქმელსაც). მთქმელის უფლებამოსილება გასცეს ბრძანება ხდის ამ უკანასკნელს აუცილებელს მსმენელისათვის:

შეასრულეთ ბრძანება! = თქვენ უნდა შეასრულოთ ბრძანება.
ნაბიჯით იარ! = შენ უნდა იარო.
სდექ! = შენ უნდა გაჩერდე.
ხელები ზევით! = შენ უნდა ასწიო ხელები ზევით.
თქვენი პირადობის მოწმობა! = თქვენ უნდა მაჩვენოთ პირადობის მოწმობა.
ჩამაბარეთ ნამუშევრები = თქვენ უნდა ჩამაბაროთ ნამუშევრები.

ბრძანებისაგან განსხვავებით, რომელიც პერფორმატიულია და სრულდება კოორდინატებში „მე – შენ – ახლა – აქ" ჯერარსობა მიეკუთვნება მოდალობის სფეროს, იგი დეონტური – (მოვალეობითი) აუცილებლობით აკავშირებს არა მხოლოდ შემსრულებელსა და მოქმედებას, არამედ უფრო ფართოდ ქვემდებარესა და შემასმენელს და ამიტომ სამივე დროში წარმოდგენილია უღლების სრული პარადიგმით:

აწმყო	წარსული	მომავალი
მე უნდა ვაკეთო	მე უნდა მეკეთებინა	მე უნდა გავაკეთო
შენ უნდა აკეთო	შენ უნდა გეკეთებინა	შენ უნდა გააკეთო
მან უნდა აკეთოს	მას უნდა ეკეთებინა	მან უნდა გააკეთოს
ჩვენ უნდა ვაკეთოთ	ჩვენ უნდა გავაკეთოთ	ჩვენ უნდა გვეკეთებინა
თქვენ უნდა აკეთოთ	თქვენ უნდა გააკეთოთ	თქვენ უნდა გეკეთებინათ
მათ უნდა აკეთონ	მაო უნდა ეკეთებინათ	მათ უნდა გააკეთონ

ქართულში ჯერარსობა (მოვალეობითი აუცილებლობის გაგება) გამოიხატება ლექსიკურად შესაბამისი

მოდალური სიტყვების მეშვეობით: უნდა, მჭირდება, საჭიროა, მევალება, მიხდება, იძულებული ვარ.

ჯერარსობითი გამონათქვამი შეიძლება იქცეს იმპერატივად, თუ მას გამოვიყენებთ კოორდინატებში „მე – შენ – ახლა – აქ“, ამისათვის ჩვენ არ გამოგვადგება მოყვანილი პარადიგმის ყველა ფორმა. როგორც პერფორმატივი, ბრძანება არ არსებობს საკომუნიკაციო აქტის გარეთ, რამაც განსაზღვრა მისი ფორმა: ბრძანების სუბიექტი – I პირი, ბრძანების შემსრულებელი – II ან III პირი. მართალია, თავად ბრძანების გაცემის პროცესი რეალურად შესაძლებელია მხოლოდ აწმყოში, მისი შესრულება, ჩვეულებრივ, ხორციელდება მომავალში. აღნიშნულის გათვალისწინებით მივიღებთ იმპერატივად გამოსაყენებელი ჯერარსობითი მოდალობის ფორმათა შემდეგ სქემას:

ბრძანება	აწმყო	მომავალი
მე	.....	.....
შენ	უნდა აკეთო	უნდა გააკეთო
მან	უნდა აკეთოს	უნდა გააკეთოს
ჩვენ	უნდა ვაკეთოთ	უნდა გავაკეთოთ
თქვენ	უნდა აკეთოთ	უნდა გააკეთოთ
მათ	უნდა აკეთონ	უნდა გააკეთონ

მოყვანილი სქემა უნივერსალურია, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმას, რომ მასში წარმოდგენილი ჯერარსობის თითოეული ფორმა ბრძანებას გამოხატავს მხოლოდ შესაბამისი ილოკუციის მინიჭებით, სხვა შემთხვევაში იგი გადმოსცემს მოქმედების დეონტურ აუცილებლობას და არა ბრძანებას. შეადარეთ:

ჯერარსობითი მოდალობა — ბრძანების ილოკუციური აქტი

1. შენ უნდა გააკეთო ეს შენი გადაწყვეტილებით. – შენ უნდა გააკეთო ეს დღესვე!

2. თქვენ უნდა გამოხვიდეთ თქვენი ნებით. – თქვენ უნდა გამოხვიდეთ საჩქაროდ!

3. თქვენ უნდა აღწეროთ ყველაფერი, როცა – თქვენ უნდა აღწეროთ ყველაფერი! მიიჩნევთ საჭიროდ.

4. თქვენ უნდა დარჩეთ აქ თქვენი სურვილით.— თქვენ უნდა დარჩეთ აქ!

იმის გამო, რომ „მოვალეობითი აუცილებლობის" ს ემა კარგად ეხამება ბრძანების მნიშვნელობას, უფრო კატეგორიულს და გამოკვეთილს ხდის ამ უკანასკნელს, ჯერარსობითი ფორმების ბრძანების ილოკუციით გამოყენება იმდენად ბუნებრივია და ხშირი, რომ ჩნდება ცდუნება თავად ჯერარსობითობას მივაწეროთ ბრძანების მნიშვნელობა, ასე, მაგალითად, ინგლისურ ენაში ჯერარსობა გადმოიცემა შესაბამისი მოდალური ზმნებით: should, must, have to, to be to, ought to, shall, will. იმპერატიული ილოკუციების მინიჭებით, მოდალური ზმნების მქონე გამონათქვამები ფაროდ გამოიყენება ბრძანების, რჩევის, შეთავაზების... გამოსახატავად:

1. **You will come back at once.** – შენ ახლავე უნდა დაბრუნდე უკან.
2. **You should speak English.** – თქვენ უნდა ილაპარაკოთ ინგლისურად.
3. **You must go there.** – თქვენ უნდა წახვიდეთ იქ.
4. **You ought not to be late.** – არ უნდა დაიგვიანო.
5. **Ann should come home by 6 o'clock.** – ანა უნდა მოვიდეს შინ ექვსი საათისათვის.
6. **Tom shouldn't do it .** – ტომმა არ უნდა გააკეთოს ეს.

7. **Bob will see Kate in half an hour.** – ბობმა უნდა ნახოს ქეთი ნახევარ საათში.
8. **We will buy this car.** – ჩვენ უნდა ვიყიდოთ ეს მანქანა.
9. **They ought to be there by that time.** – ისინი უნდა იყვნენ იქ იმ დროისათვის.
10. **You must help me.** – თქვენ უნდა დამეხმაროთ.

ამგვარი გამონათქვამების იმპერატიულ მნიშვნელობებს ინგლისურ გრამატიკებში უკავშირებენ მოდალურ ზმნებს, მიიჩნევენ მათ ამ უკანასკნელთა მეორად მნიშვნელობად. მაგრამ მოდალურ ზმნას თავისთავად არ შეუძლია გამოხატოს იმპერატივი, ამ მნიშვნელობას შესაბამისი ილოკუციით გამონათქვამს ანიჭებს მთქმელი. მოყვანილი ჯერარსობითი გამონათქვამები შეიძლება გამოვიყენოთ შეტყობინების ილოკუციით როგორც რეპრეზენტატივები:

„შენ ახლავე უნდა დაბრუნდე უკან“, – ვუბრძანე მე მას.
„თქვენ უნდა ილაპარაკოთ ინგლისურად“, – გვირჩია მასწავლებელმა.
„თქვენ უნდა წახვიდეთ იქ“, – რატომღაც დაიჩემა მაგან.
„არ უნდა დაიგვიანო“, – ასეთ წარწერას ჩვენ ვაკეთებთ კარზე.
„ანა უნდა მოვიდეს შინ ექვსი საათისთვის“, – გაგვაფრთხილა მამამისმა.
„ტომმა არ უნდა გააკეთოს ეს“, – გავიფიქრე გულში.

თურქულ ენაში ჯერარსობითობა გადმოიცემა როგორც შესაფერისი ზმნების (lazim olmak, lazim gelmek, icap etmek, mecbur olmak, gerek) მეშვეობით, ისე ზმნის მორფილოგიური ფორმითაც, გრამატიკულად:

I

1. Onun Ankarada bulunmasi lazim var. – საჭირო არის მისი ყოფნა ანკარაში.
2. Oraya gitmenize lazim var. – საჭირო არის თქვენი წასვლა იქ.
3. Sizin buraya o kadar sık sık gelmenize gerek yok . – თქვენი აქ ასე ხშირად მობრძანება საჭირო არ არის.
4. Paraya lüzüm yok. – ფული საჭირო არ არის.
5. Bizim Türkiye'ye gitmenize gerek var. – ჩვენ უნდა წავიდეთ თურქეთში.

II

Ben yapmalıyım . – მე უნდა გავაკეთო.
Sen yapmalısın . – შენ უნდა გააკეთო.
O yapmalı . – მან უნდა გააკეთოს.
Biz yapmalıyız . – ჩვენ უნდა გავაკეთოთ.
Siz yapmalısınız. – თქვენ უნდა გააკეთოთ.
Onlar yapmalılar . – მათ უნდა გააკეთონ.
Her şey baştan anlatmalısın . – ყველაფერი თავიდან უნდა მომიყვე.
Bugün çok balık tutmalı . – დღეს მან ბევრი თევზი უნდა დაიჭიროს.
Sen bize gelmelisin . – შენ ჩვენთან უნდა მოხვიდე
O evine gitmeli . – ის სახლში უნდა წავიდეს.
Üniversiteye biraz erken gitmeliyiz . – უნივერსიტეტში ცოტა ადრე უნდა მივიდეთ.

მოყვანილი ჯერარსებითი (აუცილებლობითი)მნიშვნელობის მქონე გამონათქვამები თურქულში ისე, როგორც ქართულსა და ინგლისურში, დირექტივის ილოკუციურ აქტში გვეველინება იმპერატივად.

რუსულ ენაში ჯერარსობითობას გამოხატავენ სიტყვები: должен, нужно, надо, обязан, полагается, следует,

вынужден, приходится. ამასთან ერთად, მოვალეობითი აუცილებლობის მნიშვნელობას გამოხატავენ ზმნის მორფოლოგიური ფორმებიც, მაგრამ არა სპეციალური, არამედ იმპერატივის (сиди, пиши, иди, терпи, стой, убирай და ა. შ.) რომლებიც ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, აღარ გამოხატავენ იმპერატიულ მნიშვნელობას:

Он не платит, а я отвечай. – იგი ფულს არ იხდის,მე კი პასუხი უნდა ვაგო.

Он не платит, а ты отвечай. – იგი ფულს არ იხდის, შენ კი პასუხი უნდა აგო.

Ты не платишь, а он отвечай.– შენ ფულს არ იხდი, მან კი პასუხი უნდა აგოს.

Они не платят, а мы отвечай – ისინი ფულს არ იხდიან, ჩვენ კი პასუხი უნდა ვაგოთ.

Я не плачу, а вы отвечай. – მე ფულს არ ვიხდი, თქვენ კი პასუხი უნდა აგოთ.

Ты не платишь, а они отвечай. – შენ ფულს არ იხდი, მათ კი პასუხი უნდა აგონ.

ძნელია ამას უწოდო გრამატიკული კატეგორია, მაგრამ სახეზეა ის ფაქტი, რომ დეონტური აუცილებლობის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში გამოიხატება გრამატიკულად და არა ლექსიკურად; დავაკვირდეთ კიდევ მაგალითებს

Все отдыхают, а я трудись. = Я должен трудиться.

Ты сидишь, а он тебе подавай. = Он должен подавать.

Все ушли, а я сиди дома . = Я должен сидеть дома.

Он профессор, он и объясняй. = Он должен объяснять.

მოყვანილი მაგალითები საკმაო საფუძველია იმისათვის, რათა ბოლო მოეღოს რუსისტიკაში იმ ილუზიას, თითქოს ცალკე აღებული ფორმები: сиди, иди, пиши, встань და სხვა იმპერატიულია და მით უმეტეს ბრძანებითი. იმპერატიულია და ჯერარსობითი ისინი მხოლოდ თავიანთ პარადიგმებში, აგრეთვე გამოყენების დროს.

იმპერატივის პარადიგმა	ჯერარსობითი პარადიგმა
Я ——	Я отвечай (должен отвечать)
Ты отвечай	Ты отвечай (должен отвечать)
Он пусть отвечает	Он отвечай (должен отвечать)
Мы давай отвечать	Мы отвечай (должны отвечать)
Вы отвечайте	Вы отвечай (должны отвечать)
Они пусть отвечают	Они отвечай (должны отвечать)

რუსულ ენაში იმპერატიული ილოკუციით გამოიყენება ლექსიკური მარკერების მქონე ჯერარსობითი გამონათქვამებიც:

Вам надо уехать . – თქვენ უნდა გაემგზავროთ

Ты должен понять. – შენ უნდა გაიგო.

Им нужно отдохнуть. – მათ სჭირდებათ დასვენება.

Тебе следует торопиться. – შენ უნდა იჩქარო.

Вам придётся пройти с нами. – თქვენ უნდა წამოხვიდეთ ჩვენთან ერთად.

Вы должны подождать. – თქვენ უნდა დაელოდოთ.

Он обязан помочь. – ის მოვალეა დაგეხმაროს.

Ему полагается отпуск. – მას წესით ეკუთვნის შვებულება.


კითხვა, მოყვანილი გამონათქვამები ჯერარსობითია თუ იმპერატიული, უადგილოა. ეს ორი ცნება არ გამორიცხავს ერთმანეთს: ყველა ბრძანებითი გამონათქვამი ჯერარსობითია, მეორე მხრივ, ყველა ჯერარსობითი გამონათქვამიც მთქმელის მიერ ადვილად შეიძლება იყოს გამოყენებული იმპერატიულად, მაგრამ თავისთავად აღებული იგი მხოლოდ ჯერარსობითია.

ენაში გრამატიკულად ასახული ილოკუციურ მნიშვნელობათა (შეტყობინება, კითხვა, იმპერატივი, ნატერა, მოვალეობითი აუცილებლობა) გამომხატველი წინადადებების ფუნქციათა ურთიერთმიმართება დღემდე წარმოადგენს ლინგვისტური კვლევის პერიფერიას, მაშინ როდესაც ამის განხილვა მნიშვნელოვანია როგორც ენის, ისე

ადამიანისა და სოციალურ მიმართებათა ზოგადი ბუნების შესასწავლად. ამას უნდა ადასტურებდეს ის მარტივი დასკვნაც, რომლის გამოტანა ჩვენ შევძელით განხილული მასალიდან:


I

შეტყობინება მტკიცებით – ყველა თხრობითი წინადადების გამაერთიანებელი ნიშანი – გამოიხატება როგორც თხრობითი წინადადებით, ისე , რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო შეზღუდულად, მაგრამ მაინც – კითხვითი წინადადებით რიტორიკული კითხვის დროს.




II

შეუძლია თუ არა სხვა ტიპის წინადადებებს კითხვითი ფორმის მიუღებლად გამოხატონ კითხვა? ლინგვისტური თეორია ამ შესაძლებლობაზე სცემს ნეგატიურ პასუხს. ჩვენი დაკვირვებით ამის გაკეთება ხერხდება მხოლოდ თხრობითი წინადადების მეშვეობით, რა თქმა უნდა, ძალიან შეზღუდულად.




III

იმპერატივი ერთადერთი ილოკუციური მნიშვნელობაა, რომელიც გამოიხატება ყველა ტიპის წინადადებით, და მცდარია ის აზრი, თითქოს იმპერატივის მთავარი გამომხატველი გრამატიკული იმპერატივის ფორმებია.



IV

ნატვრითი მნიშვნელობა გამოიხატება სპეციფიკური გრამატიკული ფორმით ან თხრობითი წინადადების მეშვეობით ნატვრის, სურვილის, ნდომის დასახელებით თუ დაუსახელებლად



V

ჯერარსობითობა – დეონტური (მოვალეობითი)აუცილებლობის მნიშვნელობა გამოიხატება შესაბამისი ლექსიკურად ან გრამატიკულად მარკირებული წინადადებებით. ნატვრითი მნიშვნელობისაგან განსხვავებით ჯერარსობითი ვერ გამოიხატება თხრობითი წინადადებით. წინადადებები **„მე უნდა წავიდე“, „მე მევალება გითხრათ“, „მე მჭირდება ვიცოდე“** და სხვა მსგავსი გამოხატავენ დეონტურ აუცლებობას და არა შეტყობინებას მტკიცებით და ამიტომ არ არიან თხრობითი. შეტყობინება მტკიცებით და მოვალეობითი აუცილებლობა – ეს ორი მნიშვნელობა გამორიცხავს ერთიმეორეს. წინადადება **„მე აუცილებლად მოვალ“** კომისიეია. როგორც ადრე აღინიშნა, ჯერარსობითობას გამოხატავენ ბრძანების ფორმებიც, მაგრამ მათთვის ეს მნიშვნელობა დამატებითია და არა მთავარი და მით უმეტეს არ არის ერთადერთი. ჯერარსობითობა ერ-

თადერთი მნიშვნელობაა, რომელიც გამოიხატება მხოლოდ ერთი – საკუთარი გამომხატველით.

ჯერარსობითობა
(დეონტური აუცილებლობა)
↓
ჯერარსობითი
წინადადება

ძირითადი ცნებები

ირიბი სამეტყველო აქტი; ილოკუცია; სემანტიკურად რთული გამონათქვამი; პირდაპირი ილოკუციური აქტი; პირველადი ილოკუციური აქტი; მეორადი ილოკუციური აქტი; იდიომატური გამონათქვამი; საკომუნიკაციო სიტუაცია; წინადადების მიზნობრივი გამოყენება; წინადადების არამიზნობრივი გამოყენება; წინადადების პოლიფუნქციურობა.

საჭირო ტერმინები

რეპრეზენტატივი – დეკლარაცია – გამონათქვამი, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მტკიცებას და ადგენს საგანთა გარკვეულ მდგომრეობას;

მოდალიზებული კითხვა – კითხვითი წინადადება მოდალური ოპერატორით, რომელსაც აქვს თხოვნის მნიშვნელობა;

გამწყვეტი კითხვა – იმპერატიული მნიშვნელობის მქონე კითხვა, რომელიც ხასს უსვამს მსმენელის შეუფერებელ სურვილს, მოქმედებას;

ამკრძალავი კითხვა – იმპერატიული კითხვა, რომელიც უკრძალავს მსმენელს მოქმედების შესრულებას;

ჯერარსობითობა – დეონტური მოვალეობიდან გამომდინარე აუცილებლობა.

საკონტროლო კითხვები

1. შეიძლება თუ არა ერთი და იგივე გამონათქვამი იყოს გამოყენებული სხვადასხვა ილოკუციით?
2. რომელი იდეა დაუდო საფუძვლად ირიბი სამეტყველო აქტების კონცეფციას ჯ. სერლიმ?
3. რაში მდგომარეობს ირიბი სამეტყველო აქტების პრობლემა ჯ. სერლის მიხედვით?
4. რომელ ნიშანს იყენებს ჯ. სერლი კლასთა გამომყოფ კრიტერიუმად ირიბი ილოკუციური აქტების კლასიფიკაციის დროს?
5. რას ნიშნავს ჯ. სერლის სიტყვები: „ირიბი აქტის გამომხატველი გამონათქვამები არ წარმოადგენენ იდიომებს, მაგრამ არიან იდიომატური“?
6. რის წყალობით უგებს მსმენელი მთქმელს ირიბი ილოკუციური აქტის დროს ჯ. სერლის თანახმად?
7. საიდან ეხვდებით, რომ თხოვნასთან გვაქვს საქმე, როდესაც მოგვმართავენ კითხვითი წინადადებით?
8. რის მეშვეობით გადაიცემა ილოკუციები კომუნიკაციის დროს?
9. რა განსხვავებაა ირიბ ილოკუციასა და მინიშნებას შორის?
10. აქვს თუ არა ილოკუციათა უმრავლესობას გამოხატვის საკუთარი ფორმა?

11. რას გულისხმობს წინადადებათა მიზნობრივი და არამიზნობრივი გამოყენება?
12. შეუძლია თუ არა თხრობით წინადადებას გამოხატოს კითხვა?
13. რა შემთხვევაში გამოხატავს კითხვა შეტყობინებას მტკიცებით?
14. რას წარმოადგენს კითხვა თავისი სიღრმული სტრუქტურით?
15. რატომ წარმოადგენს კითხვა იმპერატივს?
16. შეიცავს თუ არა კითხვით გამოხატული მოდალიზებული თხოვნა კითხვას?
17. რატომ გამოხატავს მოდალიზებული კითხვა ნებართვას და არა შეძლებას?
18. არსებობს თუ არა ალტერნატიული თხოვნა?
19. როგორ შეიძლება ნატერა იქცეს თხოვნად?
20. რა ენობრივი ფორმით გადმოიცემა ნატერითი მნიშვნელობა ქართულში?
21. რაში ემსგავსება ნატერა იმპერატივს?
22. რა საერთო აქვს იმპერატივს ჯერარსობითობასთან?
23. რა შემთხვევაში ჯერარსობითი გამონათქვამი შეიძლება იქცეს იმპერატივად?
24. რა ფაქტორი განსაზღვრავს ბრძანების გრამატიკულ ფორმას?
25. გამოხატავენ თუ არა ჯერარსობითი ფორმები თავისთავად იმპერატივს?
26. არის თუ არა ჯერარსობითი გამონათქვამი პერფორმატიული?
27. შეუძლია თუ არა სხვა ტიპის წინადადებებს კითხვითი ფორმის მიუღებლად გამოხატონ კითხვა?

28. რომელი ილოკუციური მნიშვნელობა გამოიხატება თხრობითი წინადადებით?
29. რატომ არ გამოიხატება ჯერარსობითი მნიშვნელობა თხრობითი წინადადებით?
30. რა საერთო აქვს გაკვირვებას კითხვასთან?

დავალება

დაადგინეთ კითხვითი წინადადებების ილოკუციური მნიშვნელობა

1. რა მაქვს შენთან სამდურავი?
2. რატომ დატოვე კარი ღიად?
3. ნაყინს ხომ არ მიირთმევთ?
4. ვინ იყო გუშინ შენთან?
5. შეიძლება წავიდე?
6. როგორ შეიძლება ამის დაჯერება?
7. ვის იგდებ შენ?
8. ყანაში დამეხმარები?
9. არ დაიღალე?
10. რა ქვიფი ახლა, ამ სიცხეში?
11. სად გაგონილა, კაცო?
12. შენ ხომ არ გაგიჟდი?
13. ამას რა მნიშვნელობა აქვს?
14. რა გაყვირებს?
15. შეგიძლია არ იყვირო?
16. შეგიძლია ილაპარაკო?
17. რომელ ყავას მიირთმევთ?
18. პურზე გამეგზავნები?
19. რატომ არ წერ?

§ 5. სუბიექტის აღიარება ენაში ემილ ბენვენისტი (1902-1976)

ანტიკური ხანიდან მოყოლებული მეცნიერული ტრადიცია ცნებების „ობიექტური“ და „სუბიექტური“ დაპირისპირების გამო გამორიცხავდა მეორის ჩართვას მეცნიერულ ანალიზში ამა თუ იმ დარგში ჭეშმარიტი დებულებების მისაღებად. კვლევის აღნიშნული მეთოდოლოგია დამკვიდრებული იყო ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც. მე-20 საუკუნის შუა წლებში ჩ. მორისმა სემიოტიკის პრაგმატული ასპექტის გამოყოფით გამოაცხადა სუბიექტის ფაქტორის აქტუალობა სემიოზისის დროს. ჯ. ოსტინი, ჯ. სერლი და ლინგვისტური ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლები მივიდნენ ამის აღიარების აუცილებლობამდე ბუნებრივი ენის ლოგიკური ანალიზის შედეგად. სხვადასხვა ილოკუციით გამოყენებული ერთი და იგივე სიტყვათა შემადგენლობა იძლევა სხვადასხვა გამონათქვამს. გამოდის, რომ გამონათქვამს სუბიექტი აყალიბებს გარკვეული მიზნით უშუალოდ სამეტყველო აქტში. გამონათქვამის მნიშვნელობის დასადგენად აუცილებელია გაეითვალისწინოთ მთქმელის მიზანი. ფრანგმა ენათმეცნიერმა ემილ ბენვენისტმა კონცეპტუალურად დაასაბუთა მთქმელი სუბიექტის ფაქტორი მეტყველებაში. ენის მთავარ დანიშნულებას ე. ბენვენისტი ხედავს იმაში, რომ იგი აკავშირებს ადამიანის შინაგან ფსიქიკურ ცხოვრებას საზოგადოებრივ-კულტურულთან (Э. Бенвенист, 1974: 45). ამიტომ ლინგვისტიკა არ უნდა იფარგლებოდეს მხოლოდ ენით, არამედ განიხილავდეს აგრეთვე ენის მიმართებას ადამიანთან და კულტურასთან. ლინგვისტიკის ემპირიული ველი უნდა მოიცავდეს ტრიადას: ენა– ადამიანი– კულტურა. მეტყველი ადამიანის ფაქტორმა განასხვაებინა ფრანგ ენათმეც-

ნიერს ცოცხალი მეტყველება (დისკურსი) ისტორიული თხრობისაგან. ყოველგვარი გამონათქვამი გულისხმობს მოუბარ ადამიანს, რომელიც მიმართავს მსმენელს და ამ მიზნით აყალიბებს გამოსათქმელს პირის კატეგორიის ფორმათა მიხედვით. ასეთია პირველ რიგში ზეპირი მეტყველების ყველა ჟანრი, აგრეთვე წერითი მეტყველების ის ჟანრებიც, რომლებიც გადმოსცემენ ზეპირ მეტყველებას ან ჰბაძავენ მის მანერას: წერილები, მემუარები, დრამატული ლიტერატურა, სასწავლო ლიტერატურა. მაგრამ წერითი მეტყველების ერთ ჟანრში, ისტორიულ თხრობაში, სადმე არ ჩანს მთხრობელი; მოვლენები აქ ისეა აღწერილი, თითქოს ისინი თავად მოგვითხრობენ თავის შესახებ. დისკურსში ყოველთვის არის მოცემული მიმართება პირებს შორის. პირველი და მეორე პირი (მე , შენ) აქ უპირისპირდება მესამეს (ის), რომელიც არსებითად არ არის პირი. ისტორიულ თხრობაში მესამე პირი არ უპირისპირდება პირველსა და მეორეს და ამიტომ არ არის ნამდვილი, ე. ბენვენისტის შეფასებით, მესამე პირი გამოხატავს პირის არარსებობას ისტორიულ თხრობაში (Э. Бенвенист, 1974:277).

პირი

დისკურსში	ისტორიულ თხრობაში
1. მე	1. —
2. შენ	2. —
3. ის	3. ის

დროთაგან დისკურსში გამოიყენება ყველა დრო აორისტის გარდა. ისტორიულ თხრობაში მესამე პირის ფორმით დაიშვება: აორისტი, იმპერფექტი, პლუსკვამპერფექტი; გამოირიცხება: აწმყო, პერფექტი და მომავალი დრო.

დრო

დისკურსში	ისტორიულ თხრობაში
Present (აწმყო)	———
future (მომავალი)	———
———	აორისტი (ნამყო წყვეტილი)
perfait (პერფექტი)	———
plus-que-perfait (წინარე წარსული)	plus-que-perfait
imperfait (ნამყო უწყვეტელი)	imperfait

იმისათვს რომ იქცეს ისტორიულ ფაქტად, ესა თუ ის მოვლენა აღარ უნდა არსებობდეს სინამდვილეში. ამ მიზეზის გამო ისტორიული თხრობა გამორიცხავს აწმყო დროსა და პერფექტს, ეს უკანასკნელი აღნიშნავს მდგომარეობას აწმყო დროში როგორც წარსულში მოქმედების შედეგს. ამბის მოსაყოლად ამ დროს იყენებენ წარსულში მომხდარი ფაქტის თვითმხილველნი ან მონაწილეები, ხოლო „თავად ისტორიკოსი არ შეიძლება იქცეს ისტორიის საგნად“ (Э.Бенвенист, 1974:279), სხვაგვარად, ისტორიკოსს არ შეუძლია ჩართოს ისტორიულ თხრობაში ინფორმაცია თავის შესახებ. თუ პერფექტი მიეკუთვნება დისკურსს, რადგან მას განსაზღვრავს უბნობის მომენტი, რომელიც აწმყოშია; აორისტი განისაზღვრება მომხდარი ფაქტის მომენტით, რომელიც წარსულშია, და ამიტომ დასაშვებია მხოლოდ ისტორიულ თხრობაში.

„დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც მე წინა-ღამეს ჩამოვხტი, რუსის პირ-დაუბანელმა და თავ-დაუვარცხნელმა „იამშჩიკმა“ ფოშტის პოვოსკა მოაყენა... როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთადერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს გამოსასალმებლად.

– ეგ ეტლი ვისი მოგონილია? – მკითხა მან... „ (7).

ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“ ეს ნაწყვეტი არ შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულ თხრობად, რადგან წარსულ პლანში აღწერილი მოვლენების მონაწილეა თავად მთხრობელი (I პირი). მაგრამ აორისტის გამო იგი არ შეიძლება მივაკუთვნოთ დისკურსსაც. დისკურსის პლანი გამორიცხავს აორისტს, ხოლო ისტორიული თხრობა იყენებს მას მხოლოდ მესამე პირის ფორმით. განსახილველ ნაწყვეტში დისკურსის პლანი შერეულია ისტორიულთან, ამგვარ შემთხვევებს ე. ბენვენისტი უწოდებს „ირიბ მეტყველებას“ Э.Бенвенист,1974:177).

ისტორიულ თხრობად გამოგვადგება შემდეგი მაგალითები ქართული მწერლობიდან:

„წმინდა ნინოს მამას ზაბულონი ერქვა, იგი პირველად კაპადოკიაში ცხოვრობდა და იმ ქვეყანაში დიდი მამულები ჰქონდა. ახალგაზრდობისას ის წავიდა რომის ქალაქში და იქ სამხედრო სამსახურში შევიდა. სამსახურში ძლიერ ისახელა თავი. როცა სამშობლოში დაბრუნდა, შეირთო ცოლად იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და სუსანა და მიეცა ქალი, რომელსაც ნინო დაარქვა“ (წმინდანთა ცხოვრება, 86).

„რაჟამს აღესრულა წმინდა მოწამე არჩილ, დაშთეს შვილნი მისნი იოვანე და ჯუანშერ. წარვიდა იოვანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თვისნი. ხოლო ჯუანშერ და ორნი დანი მისნი დაშთეს ქვეყანასა ქართლისასა და კახეთისასა“ (ქართლის ცხოვრება, 63).

ე. ბენვენისტი შენიშნავს, რომ სამეტყველო პრაქტიკაში ჩვენ ხშირად გადავდივართ ისტორიული თხრობიდან დისკურსზე და, პირიქით, ასე, მაგალითად, ეს ხდება ყოველთვის „როცა ისტორიკოსი გადმოსცემს რომელიმე პირის სიტყვებს ან როცა აძლევს შეფასებას აღწერილ მოვლენებს“ (Э.Бенвенист, 1974:276):

„არამედ უმრწემესი დაჲ მისი იყო სახითა მშვენიერ. და მიესმა სიმშვენიერე მისი ხაზართა მეფესა ხაკანს, მოუგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად და უქადა შველად სარკინოზთა ზედა. რაჟამს მოიწია მოციქული ხაკანისა მიუმცნო ჯუანშერ ძმასა ოვისა და დედასა. ხოლო მათ არა ინებეს და უთხრეს:

– უკეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩვენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეოად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეღა შეიგინოს შვილი ჩვენი წარმართთა მიერ“ (ქაროლის ცხოვრება, 63).

ისტორიული თხრობა არ ნიშნავს აუცილებლად ისტორიოგრაფიის ტექსტს ან ლიტერატურის შესაბამის ჟანრს, მაგალითად, ისტორიულ რომანს, არამედ გულისხმობს მოვლენათა გადმოცემის დროის ფორმას, ეს უკანასკნელი კი ჩვეულებრივ ცვალებადია ერთი ტექსტის ფარგლებშიც:

„თუთაშხიამ ღიმილით შეგვათვალიერა, ჭიქა ასწია: ... ქუთაისში ძმაკაცმა დუქანში შემიპატიჟა საქეიფოდ ერთხელ. სამი სხვა შემოგვიერთდა თანდათანობით და უსაშველო სმა ატყდა, მაგარი სმა! სადღეგრძელო ინება ლხინის უფალმა, თასი იყო ასფუთიანი, იმით დავლიეთ დიდი გაჭირვებით ყველამ. დათიკო ერქვა ერთს – არ დალია მან. სალუქვაძე იყო გვარი მეორე შემოსწრებულის, დათიკოს უთხ. რა, – დალიე, შე კაცო, რა დაგემართაო! დათიკომ, – ნამეტანი ძნელია, ვერ დავლევო. გაიკვირვა სალუქვაძემ! ქართველობა საერთოდ ძნელიაო, უთხრა, ეითომ ქართველობა ხელობა იყოს რამე. გამეცინა და ჩამრჩა მეხსიერებაში სამუდამოდ“ (ჭ.ამირეჯიბი,224).

ტექსტში პირველი და მეორე პირის ფორმათა გაბატონებით დისკურსი ხდება უფრო გამოკვეთილი; ქალბა-

ტონი ნანოს წერილი დათა თუთაშხიასადმი თავისი ინტიმური ხასიათის გამო გამორიცხავს მესამე პირს:

„... იცი, რა მწყუროდა იმ საღამოს? რწმენა, რომ დამსწრეთა შორის უპირველესი რაინდი ჩემს გვერდით არის, ჩემთან არის და ეს მასაც სიამოვნებს. შურის აღსაძვრელად როდი მეწადა; განა ვინ იცოდა, რომ დათა თუთაშხია ხარ და არა ვიღაც ლაზი აზნაური. ჩემი პატარა, უბოროტო პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და შენი სიხარულისათვის მჭირდებოდა ეს“ (ჯ. ამირეჯიბი, 233).

„სამეცნიერო ტრაქტატში შეიძლება არც ერთხელ არ შეგვხდეს ფორმები „“მე, „შენ“, მაგრამ ძნელია წარმოვიდგინოთ მათ გარეშე სალაპარაკო ტექსტი“, – წერს ე. ბენვენისტი (Э.Бенвенист, 1974: 286) და ასაბუთებს ამ დაკვირვებას იმით, რომ სიტყვები „მე“ და „შენ“ გვაკავშირებენ მეტყველების რეალობასთან. რ. დეკარტმა ფილოსოფიის პირველ პრინციპში „მე ვაზროვნებ , მაშასადამე, ვარსებობ“ რეალობის არსებობა გამოიყვანა მე-ს აზროვნებიდან და ამით სუბიექტური დაუდო საფუძვლად ობიექტურს. ე. ბენვენისტი სუბიექტურობას მიიჩნევს ენის ფუნდამენტურ თვისებად, მდგომარეობს იგი იმაში, რომ მხოლოდ ენის გამოყენებით ადამინს შეუძლია თავი წარმოიდგინოს სუბიექტად და, პირიქით, ენა შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველი მოლაპარაკე წარმოადგენს თავს სუბიექტად (მე-დ), რომელიც მიუთითებს თავის თავზე მეტყველებაში (Э.Бенвенист< 1974:293;294): თუ რ. დეკარტთან „მე“ ასაბუთებს სამყაროს არსებობას, ე. ბენვენისტის მისედვით, „მე“ ის წერტილია, საიდანაც იწყება ენის გამოელენა. ურთიერთობის დროს ენა რეალიზდება სამეტყველო აქტების სახით. ამიტომ, ერთი მხრივ, ენას აქვს ნიშნები სამყაროს შესახებ ინფორმაციის გადმოსაცემად, მეორე მხრივ, ენა შეიცავს ნიშნებს სამეტყვე-

ლო აქტის კოორდინატების გასაცნობიერებლად. პირველი პირის მოქმედების სუბიექტს (მე-ს) ქმნის სამეტყველო აქტი. „მე“-ს გამოყენება შეიძლება მხოლოდ სხვასთან, სამეტყველო აქტში „შენ“-თან მიმართებაში. პირის ნაცვალსახელებზე (მე, შენ) დამოკიდებულია დეიქსისის ნიშნები, ნაცვალსახელური სიტყვები: ჩვენებითი ნაცვალსახელები, ზმნიზედები, ზედსართავები, რომლებიც ქმნიან სივრცის და დროის მიმართებებს სუბიექტის ირგვლივ. ასეთია სიტყვები: ეს, ეგ, ის, ახლა, მაშინ, გუშინ, შარშან, ხვალ – და სხვა. ენამ შექმნა არეფერენტული „ცარიელი“ ნიშნები, რომლებიც პოულობენ მნიშვნელობას მხოლოდ სამეტყველო აქტში. ნაცვალსახელებს იმიტომ უწოდებენ სიტუაციურ სიტყვებს, რომ მათი მნიშვნელობა დამოკიდებულია მთქმელზე (სუბიექტზე).

სუბიექტურობა განსაზღვრავს დროის კატეგორიას ენაში. ლინგვისტური დრო არ ემთხვევა ონტოლოგიურს. ენები თავისებურად განარჩევენ დროებს ლექსიკური ან გრამატიკული საშუალებებით, მაგრამ ამოსავალია ყველა შემთხვევაში აწმყო დრო, რომელსაც, თავის მხრივ, რეფერენტულად განსაზღვრავს მიმართება სამეტყველო აქტთან. „აწმყო დროა – დრო, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ“ (Э.Бенвенист, 1974:297), სხვაგვარად, ლინგვისტური აწმყო დრო იწყება მაშინ, როდესაც ადამიანი აღნიშნავს თავს როგორც მე-ს და ამით „თითქოსდა მთლიანად ისაკუთრებს ენას“ (Э.Бенвенист,1974:296).

სუბიექტურობა ქმნის პირის კატეგორიას ენაში. წინადადებებში:

1. მე მგონია, ამინდი შეიცვლება.
2. მე ვფიქრობ, რომ ამინდი შეიცვლება.
3. მე ვვარაუდობ, რომ ამინდი შეიცვლება.

ნამდვილ წინადადებას წარმოადგენს უპირო მტკიცება ამინდის შეცვლის შესახებ, რომელსაც „მე“ გადააქცევს სუბიექტურ გამონათქვამად. სუბიექტურობას მტკიცებას ანიჭებს ზმნის პირველი პირის ფორმა. მეორე პირში მოყვანილი ზმნები გადმოსცემენ თანამოსაუბრის მოსაზრებას:

1. შენ გგონია, ამინდი შეიცვლება.
2. შენ ფიქრობ, რომ ამინდი შეიცვლება.
3. შენ ვარაუდობ, რომ ამინდი შეიცვლება.

ე. ბენვენისტი კონცეპტუალურად არ მიიჩნევს მე-3 პირს ასეთად, მაგრამ მსჯელობის დროს მის გამოსარჩევად იძულებულია მიმართოს ტრადიციულ ტერმინს „პირი“: „მესამე პირი არ არის პირი, რადგან მისი რეფერენტი (ობიექტი) მოცემულია სამეტყველო აქტის გარეთ, ამიტომ, როცა მთქმელი (მე) წარმოთქვამს მესამე პირის ფორმას, იგი ამით „განსაზღვრავს მას როგორც „არაპირს“, – მიიჩნევს ფრანგი მკლევარი.

§ 6. დროის კოორდინატის პრობლემა გამონათქვამში

ტრადიციული გრამატიკა ყალიბდებოდა ფილოსოფიისა და ლოგიკის მუდმივი კარნახით. ფილოსოფიას და ლოგიკას აინტერესებდათ ჭეშმარიტება, რომელიც დგინდება წინადადებაში. ამიტომ ტრადიციული ლოგიზირებული გრამატიკაც სწავლობდა წინადადებას არა რეალურ გამოყენებაში (კომუნიკაციაში), არამედ ლოგიკის კარნახით – სუბიექტისაგან მოწყვეტით. ლოგიკა გამორიცხავს სუბიექტურს, რომელიც არის ენის ფუძემდებლური თვისება.

ენა რეალიზდება მხოლოდ სუბიექტის მეტყველებაში. მთქმელი ენის გამოყენებისას „თითქმის მოლიანად ისაკუთრებს მას“ (Э.Бенвенист, 1974:296).თუ გამონათქვამი აქცევს მის გამომთქმელს სუბიექტად, სუბიექტი ხდის გამონათქვამს სუბიექტურს, პრაგმატულს. ამიტომ არ არსებობს არასუბიექტური გამონათქვამი. ყველა შემთხვევაში „მეტყველება არის ენა, რომელსაც ისაკუთრებს მოლაპარაკე ადამიანი“(Э. Бенвенист, 1974:300) ამის გამო ლოგიკა არასდროს განიხილავდა გამონათქვამს მოლიანად, ამ უკანასკნელში მას აინტერესებდა პრედიკაციის (მტკიცების) კომპონენტი. ტრადიციული გრამატიკაც წინადადებას სწავლობდა ძირითადად პრედიკაციის თვალსაზრისით.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა კომუნიკაციის პრინციპების გათვალისწინებით შექმნას ახალი ტიპის გრამატიკა. ამ თავში ჩვენ კომუნიკაციის პოზიციიდან განვიხილავთ დროის კოორდინატს, ანუ ელემენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ გამონათქვამის დროულ მიმართებას სინამდვილესთან. გამონათქვამის წევრთა შორის დროის მნიშვნელობა აქვს ორს: ზმნა-შემასმენელს, გრამატიკული და დროის გარემოებას – ლექსიკური, მაგალითად:

1.მეგობარი ჩამოვიდა გუშინ.

2. მეგობარი ჩამოვა ხვალ.

დროის გამოხატვა გამონათქვამში არ შემოიფარგლება მხოლოდ ზმნის ფორმებით. **„მიწისძვრა იყო“** გამოხატავს წარსულში მომხდარ ფაქტს, რომლის დროის საზღვრები გარკვეულია აწმყოსთან და მომავალთან მიმართებაში, მაგრამ გაურკვეველია წარსული დროის თვალსაზრისით. წარსულში როდის? პასუხები ამ კითხვაზე აისახა ენათა სტრუქტურაში წარსული დროის სხვადასხვა გრამატიკული ფორმით: წინარე წარსული, ახლო წარსული, პერფექტი, იმპერფექტი, მომავალი წარსულში.

მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ადამიანებს სჭირდებათ დროის უფრო კონკრეტული მონაკვეთების აღნიშვნა. ეს ფუნქცია ენაში დაეკისრა დროის გარემოებას (ზმნიზედები, სახელები, შესიტყვებები). ტრადიციული სინტაქსის თანახმად, გარემოება როგორც მირთული ფორმა ცალმხრივად დამოკიდებულია ზმნა– შემასმენელზე , რადგან მხოლოდ იმეორებს ზმნის ფორმის მნიშვნელობას: თუ ზმნა წარსულ დროშია, მას ეწყობა მხოლოდ წარსული დროის გამომხატველი გარემოება, მაგალითად, **„მეგობარი ჩამოვიდა გუშინ, გუშინწინ, შარშან...“**, შეუძლებელია **„მეგობარი ჩამოვიდა ხვალ.“** რომ შეიცვალოს ზმნის დროის ფორმა, უნდა შეიცვალოს გარემოებაც: „მეგობარი ჩამოვა ხვალ, ზეგ, მაზეგ.“ ტრადიციული გრამატიკის თანახმად,ზმნის დროის ფორმა განაპირობებს გარემოების ფორმას. სრულმნიშვნელოვან მეტყველების ნაწილთა შორის ზმნიზედებს გრამატიკული თვალსაზრისით ეთმობა დამოკიდებული სიტყვების ადგილი. ამ საერთო შეხედულებას კარგად გამოხატავს „რუსული ენის ენციკლოპედია:“ „ზმნიზედას არ მოეპოვება სახელისა და ზმნის გრამატიკული კატეგორიები. ის შეიძლება იყოს დამოკიდებული როგორც ზმნაზე, ისე არსებითზე, ზედსართავზე და თვით ზმნიზედაზეც ან მთლიან წინადადებაზე“ (Р Я Э, 1979:153). როგორც ვხედავთ, ავტორები პრინციპულად არ დაუშვებენ ზმნიზედის დამოუკიდებელ გამოყენებას წინადადებაში, რასაც ხსნიან ამ მეტყველების ნაწილის გრამატიკული კატეგორიების უქონლობით. ზმნიზედა, მართლაც, მოკლებულია ფორმაცვალებას. ზმნიზედის მსგავსად ასევე მირთულია და ზმნაზე დამოკიდებული დროის აღმნიშვნელი გარემოების ყველა ფორმა. ამიტომ, ტრადიციული გრამატიკის თანახმად, გამონათქვამის დროის კოორდინატს არსებითად შეადგენს ზმნა– შემას-

მენელი, ხოლო დროის გარემოება მხოლოდ იმეორებს და აკონკრეტებს ზმნა-შემასმენლის მნიშვნელობას.

ლინგვისტური ენციკლოპედიის ავტორები დროს განიხილავენ მხოლოდ როგორც ზმნის კატეგორიას, რომელიც ემსახურება რეალური სიტუაციის ტემპორალურ ლოკალიზაციას წინადადებაში. არაფერია ნათქვამი დროის გარემოებით ფორმებზე, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი მიიჩნიეს ზმნაზე დამოკიდებულ სემანტიკურ დანართად(ЛЭС, 1990:89). არისტოტელეც ხომ „პოეტიკაში“დროის მნიშვნელობას მიაწერდა მხოლოდ ზმნებს (Аристотель, 1984:668). მაგრამ მიმართება ზმნა-შემასმენელსა და დროის გარემოებას შორის იცვლება, თუ მას განვიხილავთ კომუნიკაციის პოზიციიდან გამონათქვამის აქტუალური დანაწევრების გათვალისწინებით. განვიხილოთ ორი გამონათქვამი:

1. მე ვიყავი სოფელში გუშინ. |
2. გუშინ მე ვიყავი სოფელში. |

აბსტრაქტულ ლოგიკურ– გრამატიკულ მიმართებებზე დაფუძნებული ტრადიციული სინტაქსი ზმნა-შემასმენელთან გამოყენებულ გარემოებას ყველა შემთხვევაში მიიჩნევს მირთულად (ანრ. ჩიქობავა, 1968:120) ანუ დამოკიდებულად, თუნდაც მხოლოდ სემანტიკურად (Совр. Рус. Яз., 1981: 398). ტრადიციულ გრამატიკას პრინციპულად არ შეუძლია შეაფასოს აღნიშნული სხვაგვარად, რადგან იგი განიხილავს წინადადებას კომუნიკაციური ფაქტორის გაუთვალისწინებლად.

გამონათქვამის თავში გამოტანილი დროის გარემოება, როგორც წესი, თემაა, რომელიც შინაარსობრივად იშლება გამონათქვამის დანარჩენ, რემატულ ნაწილში:

„გუშინ მაიორი ვნახე და ველაპარაკე“ (მ. ჯავახიშვილი, 38).

„წუხელ ალი ხორავამ გამიყვანა ზღვაში“ (ნ. დუმბაძე, 2005;204).

„ხვალ სასეირნოდ არ წახვალთ!–თქვა თავმა“ (ნ. დუმბაძე, 2005;238);

„ დიდი ხნის წინათ თურქებმა მას წაართვეს ქალაქი ქუთაისი“ (საქართველოს ისტორიის წყაროები, 1985:35).

მოყვანილ მაგალითებში ზმნიზედა გამოდის გამონათქვამის დროის მთავარ კოორდინატად, ეს როლი ენიჭება მას კომუნიკაციით,ხოლო, რაც შეეხება ზმნას, იგი იმეორებს ზმნიზედის დროს, ანუ სემანტიკურად დამოკიდებულია გარემოებაზე. აღნიშნული დამოკიდებულება, უფრო თვალსაჩინოა ტექსტში, სადაც თემის შინაარსობრივი გაშლა ხდება რემატული გამონათქვამებით და თემად გამოყოფილი დროის გარემოება განაპირობებს რემატულ ნაწილში მოცემული ზმნების დროის ფორმას:

„წელან ტყეში ჩამუნიც არ ისმოდა, შემდეგ კი აქა-იქ თითქო ხელის ფათური, ფრთხილი წრიპინი, ნელი ფრატუნი და უცნაური ფუსფუსი გაისმა, მერმე მას თანდათან სასიხარულო ჟიჟილ-ხივილი, ტაშის მსგავსი ცემა, ონავარ ფრინველთა ყრიყინი, წვრილფეხა ნადირთა წკმატუნი და უცნობ სულიერთა ფხაჭუნი და წივილი დაერთო, და როცა ჩამუქებულს ტყეში უცებ მზის ათასი თინათინიც შემონაკადულდა და შუქის ნიაღვრებად შემოიჭრა, ფრინველთა, მწერთა, ბოერთა და მხეცთა გუნდები ერთ სულიერად გადაიქცნენ, რომელიც ნიავთან ერთად სხივებში გიჟური სიხარულით ბანაობდა , დაძვრებოდა , დაჰქროდა , ნებიერობდა და ერთ მთლიან საგალობელს მღეროდა.“ (მ. ჯავახიშვილი, 169).

დროის გარემოებისა და მასთან გამოყენებული ზმნის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა გამო-

ნათქვამები, რომლებშიც ზმნის დროის ფორმა გამოყენებულია არაპირდაპირი მნიშვნელობით, მაგალითად:

გუშინ ქუჩაში დგას კაცი და ყვირის.

ხვალ სანადიროდ მივდივარ.

ახლა მე წავედი შინ (რეპლიკა წასვლის წინ).

1880 წელს მწერალი მუშაობს ახალ რომანზე.

Встречаю я его вчера в городе и говорю.

ყველა ამგვარ გამონათქვამში რეალურ დროს გამოხატავს გარემოება და არა ზმნა. ზმნური ფორმის გადატანით გამოყენებას შესაძლებელს ხდის სწორედ გარემოება.

ძირითადი ცნებები

ობიექტური; სუბიექტური; დისკურსი; ისტორიული თხრობა; პირის კატეგორია; დროის კატეგორია; სამეტყველო აქტი; სიტუაციური სიტყვები; კომუნიკაციური გრამატიკა.

საჭირო ტერმინები

დისკურსი – ე. ბენვენისტთან მეტყველება, რომელშიც მოცემულია მიმართება პირებს შორის;

აორისტი – ნამყო წყვეტილი დრო;

პერფექტი – აღნიშნავს წარსულში შესრულებული მოქმედების შედეგად მიღებულ მდგომარეობას აწმყოში;

იმპერფექტი – ნამყო უსრული დრო;

პლუსკვამპერფექტი – წინარე წარსული დრო;

დისკრეტული – არამთლიანი, დაყოფილი;

დეიქსისი – ჩვენება, მითითება;

კოორდინატი — სივრცეში მდებარეობის განმსაზღვრელი.

საკონტროლო კითხვები

1. მეცნიერების რომელ დარგში მოხდა პირველად ნიშანთა გამომყენებელი სუბიექტის აღიარება?
2. როგორ მივიდნენ სუბიექტის აღიარებამდე ენის ლოგიკური ანალიზის წარმომადგენლები?
3. რას უნდა სწავლობდეს ლონგვისტიკა ე.ბენვენისტის თანახმად?
4. რამ განასხვავებინა ე. ბენვენისტს ისტორიული თხრობა და დისკურსი?
5. ნიშნავს თუ არა ე. ბენვენისტის „ისტორიული თხრობა“ ისტორიულ ჟანრს ან ისტორიულ ტექსტს?
6. რამდენ პირს დაუშვებს ისტორიული თხრობა?
7. რომელ დროს გამორიცხავს დისკურსი?
8. რატომ არ გამოიყენება პერფექტი ისტორიულ თხრობაში?
9. შეიძლება თუ არა დისკურსის პლანი შერეული იყოს ისტორიულთან?
10. რას გამორიცხავს ინტიმური დისკურსი?
11. რით ემსგავსება ე. ბენვენისტის ლინგვისტური კონცეფცია რ. დეკარტის ფილოსოფიას?
12. რასთან გვაკავშირებენ სიტყვები „მე“ და “შენ“?
13. რატომ არის ენის გამოყენება დისკრეტული?
14. რა ქმნის სუბიექტს?
15. რატომ უწოდებენ ნაცვალსახელებს სიტუაციურ სიტყვებს?

16. რატომ არის სუბიექტურობა ენის ფუძემდებლური თვისება?
17. არსებობს თუ არა არასუბიექტური გამონათქვამი?
18. განიხილავს თუ არა ლოგიკა გამონათქვამს მთლიანად?
19. გამონათქვამის რომელი წევრი გამოხატავს დროის მნიშვნელობას?
20. შეიძლება თუ არა გამონათქვამის დროის მთავარი კოორდინატი იყოს გარემოება?

დავალება

დისკურსისა და ისტორიული თხრობის ცნებათა გამოყენებით დაადგინეთ დროის პლანი:

„ჩემი მძიმე ავადმყოფობის კვირის თავზე ილარიონი ჩამოვიდა ჩვენს ეზო'ში, მსხლის ძირში ჩამოწვა, პაპიროსი გააბოლა და სხვათა შორის მკითხა:

– რა ქენი, სულძაღლიანო, ოპერაცია გადაიტანე?

– შენ და ილიკოს რა გენაღელებათ, მე კინაღამ, დავიღუპე!“ (ნ. დუმბაძე, 1988: 50).

„ზამთარში საღამოობით მე, ილიკო და ილარიონი ილიკოსთან ვიკრიბებოდით. ბუხარში დიდი წაბლის ჯირკი თვალს აბრიალებს, შაშხი შიშხინებს, ღვინით სავსე დოქი თბება, ჩვენ კი ნარდს ვაგორებთ. ხან წიგნს ვკითხულობთ ხმამაღლა– უფრო ხშირად ილიკო და ილარიონი პოლიტიკაზე საუბრობენ.“ (ნ. დუმბაძე, 1988:80).

„მთელ სამეგრელოში ცნობილი და გაელენიანი მდივანბეგის მაქსიმე ქოჩაქიძის შვილი გიორგი ჭალადიდელი დაიბადა სოფ. ჭალადიდში, სენაკის მაზრაში. ახალგაზრდა გიორგიც აჰყვა თანამედროვეთა ფეხის ხმას, დაემონა თანამედროვეთა სისუსტეს და სამხედრო

სამსახურში შეეიდა. რუსეთში დარჩენამ, იქაური ქალის ცოლად შერთვამ, მერე საოჯახო უსიამოვნებამ პოეტი სრულიად მოსწყვიტა ჩვენს ქვეყანას და მწერლობას." (თ. სახოკია,1984:53).

„დათა თუთაშხიამ კარგა ხანს იფიქრა, რამდენჯერმე ხელიც გაასავსავა, თითქოს, სათქმელად მომდგარ აზრებს უარყოფდა ან ყოყმანობდა, ღირს თქმად თუ არაო. მერე პაპიროსის კოლოფს ახადა, მოწევა დააპირა, ესეც გადაიფიქრა, კოლოფი დახურა, განზე გადადო და დაიწყო:

-თქვენო ბრწყინვალებავ, ეჭვიანი ვარ მეტისმეტად, ხშირად ისეთი არ მჯერა, დასაჯერიც რომ არის და სიმართლეც. ცხოვრებამ მიქნა ეს, თვარა, ადრე მიმნდობი ვიყავი და ის არ მჯეროდა, ეშმაკობა და სიცრუე თუ იყო ქვეყანაზე. (ჭ.ამირეჯიბი, 1997:224).

„კინტო!

ყარაჩოღელი!

ხშირად კინტოსა და ყარაჩოღელს ერთმანეთში ურევენ. ჩვენ, ძველი თბილისის სინდისის შენარჩუნებისათვის, ამ ორ ტიპს განვაცალკევებთ.

კინტო და ყარაჩოღელი სხვადასხვა ჯურის ხალხია.

კინტო უკანასკნელი დროის მცხოვრებია,– გაქსუებული, დაღლარა, თახსირი, ერთი სიტყვით, კინტო ყარაჩოღელების გადაგვარებული მოდგმაა. ყარაჩოღელი დარბაისელია, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი, რაინდი."(ი. გრიშაშვილი, 1986:13).

„ ეს წიგნი კარგა ხანი ვწერე. ვწერდი შავშეთის სოფლებში მუშაობისას, ვწერდი სასტუმროში, ოჯახში, უნივერსიტეტში... ვწერდი ყველგან, სადაც საამისო განწყობა დამეუფლებოდა. ამ წიგნით მინდოდა მკითხველისათვის მომეთხრო იმ განცდებისა და შთაბეჭდილებების

შესახებ, რომელიც მეუფლებოდა თურქეთის საქართველოში მუშაობისას“ (მ. ფაღავა, 2013:3).

„თამარმა თავის მხრივ დაიჭირა ჯარით მთელი სომხეთი და ქართლი, გაამხნევა თავისი ჯარი სიტყვით და დაპირებით, და წარგზავნა ისინი იენისში 1203 წ. ქალაქ შანქორს, სადაც მტერი იდგა საოცარ დიდის ბანაკით“ (მ. ბროსსე, 1998: 131).

Резюме

Навыки использования языка приобретаются и совершенствуются человеком во всех сферах социальной жизни, в то время как понимание процесса языковой коммуникации возможно лишь через усвоение лингвистической теории. Настоящая работа знакомит с основополагающими принципами современной теории языка. Возникнув в недрах античной философии, концептуальное поле лингвистического мышления сегодня не только позволяет дать научную картину устройства и использования языка, но и являет собой гносеологическую основу объективного понимания природы человека. При всём этом лингвистическое учение сохранило в себе форму научного мышления своего античного прошлого, в соответствии с которым предмет познаётся через свою сущность – метафизическую первооснову, совокупность реальных связей предметов при таком подходе не вызывала интереса у античных ученых и их последователей. При этом логику античные мыслители признавали единственным средством (Органоном) научного познания действительности, в том числе и языковой, ибо эта последняя вплоть до В. Гумбольдта не рассматривалась никем в качестве отличной от других сферы. Существование логики в качестве презумпции требует признания изоморфизма между структурами физического и ментального миров, доходящего в «Метафизике» Аристотеля до прямого параллелизма: каждому предмету (материальная форма) соответствует своя сущность (форма-идея) в сознании, посредством которой он познаётся. Поэтому научное описание объекта должно завершаться дефиницией, выражающей его сущность. Полагалось, что научное

описание, исполненное в согласии с требованиями логики, представляет собой сущностную картину мира. Но в таком случае абсолютная правильность логически непротиворечивой научной теории проецируются на объект исследования, создавая иллюзию совершенного устройства этого последнего. По этой же причине логическую правильность лингвистического описания приписывают языку. Но, являясь объективными и универсальными, логические структуры не располагают содержанием. Высказывание, напротив, вместе с содержанием характеризуется временной и пространственной определённостью, модальностью, интенцией, эмоциональной оценкой говорящего субъекта. Передавая посредством языка действительный физический факт, субъект создаёт субъективную языковую интерпретацию действительности, присваивая при этом не только язык, но и саму действительность. Таким образом, логика не касается субъективного, а языковое высказывание не может быть объективным, поэтому построенное на логических дефинициях лингвистическое описание способно рассматривать язык только в отрыве от человека и реальных условий употребления, по этой причине то, что логически представляется однозначным и ясным, в языковом употреблении не является таковым. В попытке создать грамматику как систему истинных суждений о языке грамматисты классифицировали языковой материал, оставляя за рамками описания сам язык . что можно сравнить с гербарием, который давая некое представление о цветах, не является реальным живым лугом. В отличие от традиционной теории наблюдение над тем, как используются говорящим знаки языка в реальной ситуации

общения, позволяет по-новому взглянуть на известные в лингвистике истины.

Summary

The use of language skills is acquired and improved by human in all spheres of social life, while the understanding of the process of linguistic communication is possible only through assimilation of linguistic theory.

The present paper deals with the basic principles of the modern theory of language. Having originated in the depths of ancient philosophy, conceptual field of linguistic thinking today not only allows us to depict a scientific picture of the device and the use of language, but also represents the epistemological basis of objective understanding of human nature. With all this linguistic doctrine preserved a form of scientific thinking of its ancient past, according to which the subject is learned through its essence – metaphysical fundamental principle, the aggregate of real relations of objects; But such an approach did not provoke interest among ancient scholars and their followers. Thus ancient thinkers recognized logics as the only means of scientific cognition of reality, including the language. The latter hadn't been discussed as the distinct from the other spheres by anybody until V. Humboldt.

The existence of logic as a presumption requires the recognition of isomorphism between the structures of the physical and mental worlds, reaching up to the "metaphysics" of Aristotle to direct parallelism: each subject (material form) corresponds to its own essence (form-idea) in the mind, according to which it is learned. Therefore, the scientific description of the object's definition must end in a way to express its essence.

It was believed that a scientific description, which was executed in accordance with the requirements of logic, presented an essential picture of the world. But in this case, the absolute accuracy

of logically consistent scientific theory is projected on the object of investigation, creating the illusion of a perfect device of this latter one. For the same reason, the logical accuracy of linguistic description is credited to language. To be objective and universal, logical structures do not have the content. However statement, together with the content is characterized by temporal and spatial certainty, modality, intention and emotional evaluation of the speaking subject. Passing through the language of the actual physical fact, the subject creates a subjective interpretation of the language of reality, without assigning the language and reality itself. Thus, logic does not concern subjective and linguistic utterance. It can not be objective, so linguistic description of language built on logical definitions is able to consider the language only in isolation from human and the actual conditions of use, for this reason, seem logically clear and unambiguous, which means that language usage is different. In an attempt to create grammar as a system of true propositions about language, grammarians classified linguistic material, leaving far beyond the language description itself, that can be compared to the herbarium, that gives some idea concerning flowers but which is not a real live meadow.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

არისტოტელე, 1981 – რიტორიკა, თსუ, თბილისი.

ლ. ვიტგენშტაინი, 2003 – ფილოსოფიური გამოკვლევები, ლოგოს-პრესი, თბილისი.

პლატონი, 1994 – ტიმეოსი, „ირმისა," თბილისი.

მ. ჰაიდეგერი, 1991 – დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა, „გონი," თბილისი.

XX ს. ბ. ფ., 1970 – XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, „განათლება," თბილისი.

ვ. ლევი, 1985 – ეძიებდე თავსა შენსა, თბილისი.

ფ. სოსიური, 2002 – ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, დიოგენე, თბილისი.

ა. შანიძე , 1980 – თხზ.12 ტ., ტ. III , თბილისი.

ი. კოლომინსკი, 1983 – საუბარი ფსიქიკის საიდუმლოებაზე, განათლება, თბილისი.

არნ. ჩიქობავა, 1983 – ზოგადი ენათმეცნიერება, II, თსუ, თბილისი.

არნ. ჩიქობავა, 1968 – მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, „მეცნიერება," თბილისი.

ლ. კვაჭაძე, 1988 – თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, „განათლება," თბილისი.

ა. ურუშაძე, 1987 – ძველი ბერძნული ენა, „განათლება," თბილისი.

Аристотель, 1976 – соч. в 4т., т.1, Мысль, М.

Аристотель, 1978 – соч. в 4т., т .2, Мысль, М.

Аристотель, 1984 – соч. в 4т., т. 4, Мысль, М.

В. Гумбольдт, 1984 – Избранные труды по языкознанию, М., Прогресс.

Л.Вайсгербер, 2004 – Родной язык и формирование духа, изд. 2-е, М.,Едиториал.

В. Маслова, 2002 – Лингвокультороло гия,М., ACADEMIA.

Н. Мечковская, 2004 – Семиотика, М., ACADEMI .

Б. Спиноза, 1957 – Избранные произведения в 2х т, т1, М.

М. Бахтин, 1986 – Литературно– критические статьи, М., Худож. лит-ра.

И. Л. У., 1980 – История лингвистических учений, Наука, Л.

Дж. Локк, 1985 – Опыт о человеческом размышлении, соч. в 3 ёх т., М., Мысль, 1985, Книга IV.

Ч.Пирс, 2000 – Начала прагматизма, т. II, Алетеия,СПГУ.

Ч. Пирс, 2009 – Что такое знак? Вестник Томского гос. Ун-та, №3.

Платон , 1968 – Соч. в 3-ёх т., т. 1, Мысль, М.

Ч. Моррис, 2002 – Основания теории знаков, Семиотика,М.

В. Руднев, 2007 – Избранные работы, М., «Территория будущего».

Н. Мечковская, 2007 – Семиотика, изд. 2е, Академия, М.

Ю. Лотман, 2000 – Семиосфера, С– Петербург,Искуство.

Р. Якобсон, 1996 – Язык и бессознательное, М., Гнозис.

С. Карцевский, 1965 – в кн. В. А. Звегинцева, История языкознания 19-20 в.в. в очерках и извлечениях , ч. II, Просвещение, М.

Л. Витгенштейн, 1985 – Философские исследования, НЗЛ, 16.., Прогресс.

Л.Халваши, 2005 – К вопросу о том, почему смешивал Аристотель предметы, мысли и

слова . Историко –филолог. изыскания II, С-Петербург, Батуми.

Г Пауль, 1960 – Принципы истории языка, изд-во Иностр. лит-ры, М.

А.А.Шахматов, 2001 – Синтаксис русского языка, 3 изд.УРСС, М.

Л. Блумфилд, 1968 – Язык, Прогресс,М.

З. Хэррис, 1962 – Совместная встречаемость и трансформация в языковой структуре, Н Л, 2, Иностр. Лит-ра, М.

Р. Декарт, 1953 – Рассуждения о методе . . . , изд-во АН СССР,М.

Н. Хомский, 1962 – Синтаксические структуры, НЛ, 2, Иностр. лит-ра, М.

Н. Хомский, 1972 – Язык и мишление, МГУ, М.

Н. Хомский, 2005 – Картезианская лингвистика, М., Ком. Книга.

А. Арно, К. Лансло, 1990 – Грамматика общая и рациональная, М., Прогресс.

Гр.р.я., 1954 – Грамматика русского языка, изд-во АН СССР, М.

Л. Теньер, 1988 – Основы структурного синтаксиса, М., Прогресс.

Ч. Филмор, 1981 – Дело о падеже, НЗЛ, 10, М., Прогресс.

Ш. Балли, 1955 – Общая лингвистика и вопросы французского языка, Иностр. лит-ра, М.

Ф. Ницше, 1998 – Утренняя заря . . . Попурри, Минск.

Дж. Остин, 1986 – Слово как действие, Н З Л,17, М.

В. Матезиус, 1967 – О так называемом актуальном членении предложения, Сб. Пражский линг. кружок,М. Прогресс.

У. Чейф, 1982 – Данное, контрастивность, определённость, подлежащее, топики и точка зрения, НЗЛ, 11,М., Прогресс.

Л. Витгенштейн, 1994 – Философские работы, ч.1,М., Гнозис.

Т. Шмелёва, 1994 – Семантический синтаксис, Красноярский гос. ун-т.

Н. Арутюнова, 1976 – Предложение и его смысл, Наука,М.

Н. Арутюнова, 1973 – Понятие пресуппозиции в лингвистике, Известия А Н СССР, серия лит-ры и яз., т.32, вып.1, М.

М. Кропгауз, 2005 – Семантика 2-е изд., М., [illegible].

Ф Кифер, 1978 – О пресуппозициях, НЗЛ,8, Прогресс.

Дж. Серль, 1986 – Классификация иллокутивных актов, НЗЛ,17, М, Прогресс.

Дж.Серль, 1986 – Что такое речевой акт? НЗЛ,17, М., Прогресс.

Дж. Серль, 1986 – Косвенные речевые акты, НЗЛ,17, М., Прогресс.

Э. Бенвенист, 1974 – Общая лингвистика, Прогресс, М.

Р. Я. Э., 1979 – Русский язык. Энциклопедия, Совет. энциклопедия, М.

Л. Э. С., 1990 – Лингвистический энциклопедический словарь, М., Совет-энциклопедия

С.Р.Я., 1981 – Современный русский язык под ред. В. А. Белошапковой, М., Вышая школа.

W W W koob. ru jung|chelovek i ego simvoli
ვაჟა-ფშაველა, რჩეული, საბლიტგამი, თბილისი, 1957.
ნ.დუმბაძე, თხზ. 4 წიგნად, წ. 1, თბილისი, მერანი, 1988.
ნ. დუმბაძე, თხზ. 5 წიგნად, ტ. 2, საქართველოს მაცნე, თბილისი, 2005.
გ. ლეონიძე, ქართული პოეზია. ტ.14. ნაკადული, თბილისი, 1984.
კ. ჭიჭინაძე, ქართული პოეზია, ტ.14. ნაკადული, თბილისი, 1984.
გ. ტაბიძე, რჩეული, საბჭოთა საქართველო, თბილისი,1973.
XX საუკუნის პოეზია ტ. 12 , ნაკადული, თბილისი, 1982.
ი. ჭავჭავაძე, „კაცია– ადამიანი?“ ქართული პროზა, 8, საბჭოთა საქაროველო, თბილისი, 1984.
ქართლის ცხოვრება, ქართული პროზა, 3, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1982.
ჭ. ამირეჯიბი, „ დათა თუთაშხია“, „თეთრი გიორგი“, სიღნაღი, 1997.
მ. ჯავახიშვილი, თხზ. 8ტ, ტ.4 , საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1977.
კ. გამსახურდია, თხზ. 10 ტ, ტ. 6, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1986.
თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1984.
ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, საბჭოთა აჭარა, ბათუმი, 1986.
მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები, „ჰოროსი XXI“, თბილისი, 2013.
მ. ბროსსე, საქართველოს ისტორია, „აჭარა“, ბათუმი, 1998.
ფ. კუპერი, უკანასკნელი მოჰიკანი, თბილისი, ნაკადული, 1997.

მ. ტ. ციცერონი, სიტყვები კატილინას წინააღმდეგ, თსუ, თბილისი, 1987.

დემოსთენე, ფილიპიკები, განათლება, თბილისი, 1984.

ხამურაბის კანონები, თბილისი, მეცნიერება, 1984.

ა. დიუმა, სამი მუშკეტერი, თბილისი, ნაკადული 1983.

ასავალ-დასავალი, 2009, № 49.

წმიდანთა ცხოვრება, განათლება, თბილისი, 1991.

ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991.

საქართველოს ისტორიის წყაროები, „მეცნიერება“ თბილისი,1985.

В. Хлебников, Избранное, М., Дет.лит-ра,1989.

А. Блок, Избранное, М., Дет. лит-ра, 1975.

И . Бунин, Стихотворенья, М., Дет. лит-ра, 1976.

М.Горький, Макар чудра и другие рассказы, М., Дет.лит-ра, 1977.

С. Есенин, Стихотворения, Поэмы, М., Худож. лит-ра, 1983.

Разум сердца, М.,1989, изд-во Полит, лит-ры.

სარჩევი

ავტორისაგან.....3

თავიI. ზოგადი ენათმეცნიერების საგნის სპეციფიკა

§ 1. ზოგადი ენათმეცნიერების დანიშნულება და პრობლემატიკა.....7

§ 2.ზოგადი ენათმეცნიერების შინაარსობრივი საზღვრები და სტრუქტურა.....10

თავიII. გონის ლინგვისტური უნარები

§ 1. პირველადი კოლექტიური ენობრივი შემოქმედება.18

§ 2. მეორადი სუბიექტური ენობრივი შემოქმედება.....24

§ 3. მეორადი კოლექტიური ენობრივი შემოქმედება.....30

§ 4. ენა როგორც ეროვნულ ფასეულობათა იერარქია-35

თავიIII. ენის ფუნქციები

§ 1. სამეტყველო აქტის სტრუქტურა და ენის გამოყენების ასპექტები.....56

§ 2. ფატიკური ურთიერთობა.....58

§ 3. ენა – ობიექტი და მეტაენა.....61

§ 4. სამყაროს ემოციური შეფასება.....64

§ 5. ურთიერთობის იმპერატიული დანიშნულება.....70

§ 6. ენობრივი ესთეტიზმი.....75

თავი IV. ენის ბუნება

§ 1. სემიოტიკის სათაურებთან.....84

§ 2. ნიშანთა კლასიფიკაცია.....88

§ 3. სემიოტიკა როგორც მეტამეცნიერება.....106

§ 4. ინფორმაციის ნიშნადი სტრუქტურა და კომუნიკაციის სემიოტიკური არსი.....108

§ 5. კომუნიკაცია ცხოველთა და ადამიანთა სამყაროში 114

§ 6. ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმი.....125

თავი V .წინადადების პრობლემა ლინგვისტიკაში

§ 1. ლოგიზირებული წინადადება.....133

§ 2. წინადადება ფსიქოლოგისტური თვალსაზრისით ... 135
§ 3. წინადადების ფორმალური აგებულება (იმანენტური ანალიზი) ... 139
§ 4. წინადადების სინტაქსური სტრუქტურა (დესკრიფციული ანალიზი) ... 143
§ 5. წინადადების სიღრმული სტრუქტურა ... 149
თავი VI. წინადადება როგორც ნომინატიური ერთეული
§ 1. წინადადების სემანტიკური სტრუქტურა; ლ. ტენიერი ... 172
§ 2. დიათეზები ... 179
§ 3. წინადადების სემანტიკური ბრუნვები ... 195
§ 4. წინადადების სუბიექტური და ობიექტური სემანტიკა ... 206
§ 5. კომუნიკაციის ლოგიკური მოდალობის ფაქტორი ... 214
§ 6. ჯ. ოსტინის პერფორმატივები და წინადადების პრაგმატული ჩარჩო ... 234
§ 7. წინადადების კომუნიკაციური ჩარჩო ... 248
§ 8. პროპოზიციები ... 259

თავი VII. პრაგმატული სინტაქსი
§ 1. იმპლიციტური პროპოზიციები ... 272
§ 2. სამეტყველო აქტების თეორია ... 300
§ 3. ილოკუციური აქტების კლასიფიკაცია ჯ. სერლის მიხედვით ... 313
§ 4. ირიბი სამეტყველო აქტები ... 332
§ 5. სუბიექტის აღიარება ენაში ... 370
§ 6. დროის კოორდინატის პრობლემა გამონათქვამში ... 378

Резюме ... 388
Summary ... 390
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები ... 391

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნუნუ ხალვაში

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge